N5 (556) 3/II-9/II-2011 ფასი 1 ლარი

# გზა

**ქართული პროზის საგანძური**

**ტომი №49**

**ელგუჯა მაღრაძე**

ნაწილი I

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

**ელგუჯა მაღრაძე**

ნაწილი II



მამუკა მუმლაძე: „ვეცდები, მის გარეგნობაში კორექტივები შევიტანო"...

„...დედა ადგა და საყვარელი გაიჩინა. მე და ჩემი ძმა ამ კაცს კარგად ვიცნობდით"

მარიამ ჯოლოგუა შეყვარებულია?

„საერთოდ არ მინდა, ჩემზე რამე დაიბეჭდოს"

თინა მახარაძე: „არ ვიცი, ერთმანეთი შეგვიყვარდება თუ არა, ეს „ზემოთ" წყდება"



## „გზა" — ყველაზე მაღალტირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!



კაცი, რომელმაც ბედისწერა შეცვალა



ჩეჩნებმა რამდენიმე ქალი გაიტაცეს და გაყიდეს...

1917 წლის „ჯარეგოს სისხლის ღვრა"



„ხშირად ვიღაცები ეთერში ტიტვლები დარბოდნენ"

„ჩემი გადაცემის დახურვა არხის ხელმძღვანელის უზრდელობით იყო გამოწვეული"

ISSN 1987-5029


franco fontana
italy
გილოცავთ ვალენტინობას!
მობრძანდით franco fontana -ში
და შეიძინეთ ძვირფასი სამკაული
თქვენთვის ძვირფასი ადამიანისთვის!
რუსთაველის 26 ☎18-10-47; პეკინის 7 ☎30-65-56; ჭავჭავაძის 21 ☎18-10-46; დადიანის 7 (ქარვასლა)

## დე-ნოლი® უშუალოდ მოქმედებს წყლულოვანი დაავადებისა და გასტრიტის წარმომშობ მიზეზებზე

ბისმუტის ტრიკალიუმის დიციტრატი




✔ ანადგურებს ჰელიკობაქტერიას

✔ ხელს უწყობს კუჭის ლორწოვანი გარსის შეხორცებას

astellas
Leading Light for Life

მოზრდილებსა და ბავშვებში 12 წლის ზემოთ ინიშნება 1 ტაბ. 120 მგ 4-ჯერ დღეში ან 2 ტაბ. 2-ჯერ დღეში, 4-დან 12 წლამდე ინიშნება დოზით 8 მგ/კგ-ზე, გაყოფილი ორ მიღებაზე. პრეპარატი მიიღება ჭამამდე 30 წთ-ით ადრე. ხანგრძლივობა - 4-8 კვირა. შემდეგი 8 კვირის განმავლობაში არ არის რეკომენდებული ბისმუტის პრეპარატების მიღება. შესაძლებელია განავლის შავად შეფერვა, რაც არ საჭიროებს პრეპარატის მოხსნას. გვერდითი ეფექტები: შესაძლებელია გამოვლინდეს გულისრევა, ღებინება, დიარეა, ყაბზობა, კანის გამონაყარი, ქავილი. არ გამოიყენება თირკმელების მძიმე უკმარისობის, ორსულობის, ლაქტაციის და პრეპარატის ინდივიდუალური აუტანლობის დროს.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

დისტრიბუტორი " ავერსი ფარმა" აღმაშენებლის 148/2

## რა იმალება გასტრიტის დიაგნოზის მიღმა?

**გასტრიტი** – კუჭ–ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. გამოკითხული 10 რესპოდენტიდან სავარაუდოდ ათივე გვიპასუხებს, რომ გასტრიტის მიზეზია არასწორი კვება, განსაკუთრებით კი ჩვენი „გასტრონომიული სისუსტეები"–მშრალი, მჟავე და მწარე საკვები. მე–20 საუკუნის 80–იანი წლების დასაწყისში მეცნიერულად დადასტურდა, რომ გასტრიტის ძირითადი გამომწვევია ბაქტერია ჰელიკობაქტერ პილორი (Helicobacter pylori). ავსტრალიელი მეცნიერების ამ აღმოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა გასტროენტეროლოგიაში. H.P. აზიანებს კუჭის ლორწოვან გარსს, იწვევს მარილმჟავას დიდი რაოდენობით გამომუშავებას, რაც ნეგატიურად მოქმედებს კუჭზე. შედეგად ვითარდება ანთებითი პროცესი –ქრონიკული გასტრიტი.

კიდევ ერთი არასასიამოვნო „სიახლე"– H.P.–ით ინფიცირება ხდება პირადი ჰიგიენის საგნებით და ნერწყვით, რაც ავადმყოფობის ოჯახური კერების ფორმირებას უწყობს ხელს.

ამავე დროს, ქრონიკული გასტრიტი შეიძლება სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს. ხანგრძლივად მიმდინარე H.P.–სთან ასოცირებული ქრონიკული გასტრიტის დროს 6–ჯერ იზრდება კიბოს განვითარების რისკი. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ „გასტრიტის" დიაგნოზის შემთხვევაში პაციენტები ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას მჟავიანობის დამწევი პრეპარატებით. თავიდან ეს მართლაც „შველის", მაგრამ დაქვეითებული მჟავიანობის პირობებში H.P. აქტიურად ვრცელდება კუჭის მთელ ლორწოვან გარსზე, რაც პროცესის გაქრონიკულებას იწვევს.

გასტრიტის სწორი მკურნალობა 2 მიმართულებით უნდა წარიმართოს: გამომწვევის, ანუ H.P. –ის განადგურება და კუჭის დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენა. ამ მხრივ პრეპარატი **დე-ნოლი** თავისი უნიკალური თვისებების გამო შეუცვლელი კომპონენტია გასტრიტის მკურნალობის თანამედროვე სქემებში. **დე-ნოლი** წარმატებით ებრძვის H.P.-ს და ანადგურებს მას, აფერხებს მის გავრცელებას კუჭის ლორწოვანზე, ამავდროულად ხელს უწყობს დაზიანებული ლორწოვანი გარსის აღდგენასა და შეხორცებას. H.P.-ს არ გააჩნია მდგრადობა **დე-ნოლის** მიმართ. **დე-ნოლი** არ მიეკუთვნება ანტიბიოტიკების ჯგუფს, არ ახდენს გავლენას ნაწლავის ნორმალურ მიკროფლორაზე. სწორედ ამ უნიკალური თვისებების გამო, გასტრიტის გამწვავების დროს, ექიმები რეკომენდაციას უწევენ **დე-ნოლს.**

# სექსუალური პრობლემების მარტივად მოგვარება „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია“

## უროლოგიური გამოკვლევა მხოლოდ 49 ლარად

სტრესი, გადაღლა და უარყოფითი ემოციები — ეს ის ძირითადი მიზეზებია, რომლებიც ასე ცუდად აისახება მამაკაცებზე. სწორედ ამ მიზეზების გამო ძლიერი სქესის შრომისუნარიანი წარმომადგენლების დაახლოებით 75%-ს ერექციის დისფუნქცია აღენიშნებათ.

არც ისე დიდი ხნის წინ იმპოტენცია და წინამდებარე ჯირკვლის ადენომა ასაკოვანი მამაკაცების სენად მიიჩნეოდა. მაგრამ სადღეისოდ ყველა ეს უსიამოვნება ძალიან „გაახალგაზრდავდა“.

ზოგადად, მიიჩნევენ, რომ სქესობრივი ფუნქცია ასაკის მატებასთან ერთად სუსტდება და ბევრი „ახალგაზრდული სიხარული“ მიუწვდომელი ხდება. ეს მცდარზე მცდარი შეხედულებაა.

თანამედროვე მედიცინას ამ პრობლემასთან გასამკლავებლად მთელი არსენალი გააჩნია. ამას კლინიკა „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას“ პრაქტიკული გამოცდილება ამტკიცებს.

დღეისათვის ინტიმურ საკითხებში უკვე სხვაგვარად მომზადებული ექიმები არიან ჩართულნი, სხვაგვარი მოწყობილობები გამოიყენება და სხვაგვარია დამოკიდებულებაც მკაცრად არის დაცული კონფიდენციალობა.

საკმარისია პირველი ნაბიჯის გადადგმა — ჩაეწერეთ მიღებაზე „ოქსფორდ მედიქალ“-ის კლინიკის ექიმთან და მიხვდებით, რომ ეს დაწესებულება სწორად აირჩიეთ.

კლინიკა „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიაში“ პირველივე ვიზიტისას ექიმი-უროლოგი დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით გამოავლენს დარღვევების მიზეზს და მკურნალობის ინდივიდუალურ სქემას შეგირჩევთ.

უნიკალური მეთოდების გამოყენებით, „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას“ ექიმი-უროლოგები წარმატებით უმკლავდებიან პოტენციის დაქვეითების პრობლემას.

დადებითი შედეგი მიიღწევა პაციენტის ასაკის თუ ისეთი ჩვენებების მიუხედავად, როგორებიცაა: მაღალი წნევა, შაქრიანი დიაბეტი და გულის დაავადებები.

გამოჯანმრთელების შემთხვევათა მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ხოლო მკურნალობის ეფექტი — პირველივე ვიზიტის შემდეგ შესამჩნევი.

მკურნალობის კურსი ინდივიდუალურად შეირჩევა — ზოგიერთ პაციენტს ექიმთან მხოლოდ რამდენიმე ვიზიტი დასჭირდება, ზოგს პროცედურების გაცილებით სერიოზული კურსის ჩატარება მოუწევს. თუმცა



ერთი რამის თქმა ზუსტად შეიძლება
ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას ექიმე
აუცილებლად დაგეხმარებიან.

**კლინიკა „ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია“ მუშაობს ყოველდღ შაბათ-კვირის ჩათვლით. დამატებითი ინფორმაციის მიღება და ექიმთან ვიზიტზ ჩაწერა შეგიძლიათ ტელეფონზ 29 00 66: 29 47 47**

Oxford MEDICAL
PRIVATE CLINICS

**მიღებაზე ჩაწერა:**
**29 00 66**
**29 47 47**

**ბუასილის მკურნალობა - უმტკივნეულოდ, უოპერაციო**
**სექსუალური დარღვევების ეფექტური მკურნალობა**

**ერთსაათიანი სრული გამოკვლევა 49 ლარად**

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის 15 www.oxford-med.ge




„ მუშაობას გულს ვერ ვუდებ, თავს ვერაფერს ვაბამ, თითქოს ტკივილის ტყვე გავხდი“

„...საშინელ სიმძიმეს ვგრძნობ ორივე ფეხზე და თითქოს ჩემი აღარ არის. მიჭირს ძველებურად სიარული“

„...მეჩვენება, თითქოს ხელებზე ცეცხლი მიკიდია“

თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ სპეციალიზებული ცენტრების მისამართები, სადაც იციან ტკივილის ყველა თანამედროვე მეთოდით მკურნალობა

**დარეკეთ ცხელ ხაზზე: +995 (32) 25 22 33**

№5 (556)
3 – 9 თებერვალი. 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### „ოპოზიცია სუსტი კი არ არის — მცირე შესაძლებლობები აქვს“...

რამდენად ადეკვატურები არიან თავად ოპოზიციონერები, რაში გამოიხატება მათი ქმედუნარიანობა და რას აკეთებენ ისინი საზოგადოების კეთილდღეობისთვის? — ამის გარკვევას, თინა ხიდაშელთან საუბრისას შევეცადე.

7

## სახე





### ვულგარული იმიჯის მორგების გარდა, ყველაფერს გავაკეთებ

„ბევრი სამკაული მაქვს, მაგრამ მათი ტარება არ მიყვარს. ამოჩემებული მაქვს ერთი, ძალიან წვრილი, ოქროს სამაჯური, რომელსაც ლურჯი და გამჭვირვალე თვლები აქვს. ეს სამკაული აჩიკო გულედანის ოჯახმა მაჩუქა“.

18

■ მინიატიურები 5
...ოეეე, სპრინცოვკებოოოო!!!
■ ამინდი 6
■ პოლიტიკა 7
■ მადლი 10
„მამა იოსები უფალმა გამოგვიგზავნა“
■ პოზიცია 12
„ოპოზიცია სუსტი კი არ არის — მცირე შესაძლებლობები აქვს“...
■ პრობლემა 14
■ ტანდემი 19
გადასაღები მოედნის მიღმა დანიშნული „პაემანი“
■ იმიჯი 21
ვულგარული იმიჯის მორგების გარდა, ყველაფერს გავაკეთებ
■ კოლორიტი 22
ვინ სთხოვს სამორი ბალდეს „მეშოკების“ გახდას
■ კარიერა 24
„თუ ზარმაცი ხარ, ვერც ოჯახს გაუძლებები და ვერც კარიერას“
■ შეუცნობელი 26
მგლების მესაიდუმლე ქართველზე ბი-ბი-სი ფილმს გადაიღებს
■ შემოქმედი 28
სამზარეულოში დაწერილი ფეხბურთის ჰიმნი და ვაჟა აზარაშვილის მუსიკალური გემოვნება
■ სულის სიმტკიცე 30
გოგონას მოხიბვლის საბედისწერო მცდელობა და თანაგრძნობით დაწყებული დიდი სიყვარულის ამბავი
■ გასტროლები 33
ამღერებულ-აცრემლებული ქართველი ემიგრანტები და გასტროლისას „დაბადებული“ სიმღერა

## ცხოვრება

### სამზარეულოში დაწერილი ფეხბურთის ჰიმნი



„დინამოს“ გამარჯვებით გამოწვეული ემოციის გამო, დილის 5 საათამდე ვერ დავიძინე, ადგილს ვერ ვპოულობდი, ბოლოს კი სამზარეულოში ჩავიკეტე და „დინამო, დინამოც“ იქ შეიქმნა. მეორე დღეს მორის ფოცხიშვილთან მივედი, რომელმაც მუსიკას ტექსტი ოპერატიულად მოარგო“...

26

## გზა ვნილები

### „ნამდვილი მამაკაცები ქალს ღალატს არ აპატიებენ!“



„მერე რა, თუ მის მშობლებს არ მოსწონდი? შენ რა, ამ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ღალატი გგონია? არა მგონია, ლაშამ ეს გაპატიოს. მერწმუნე, ნამდვილი მამაკაცები ქალს ღალატს არ აპატიებენ!“

76

■ **კრიმინალი** 35
„მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვთამაშობ — საიდან უნდა ვიყო ქურდული სამყაროს წევრი?!“
■ **ასპარეზი** 36
პირველი ქართველი „ევერესტელი“
■ **პოდიუმი** 39
■ **ავტო** 40
■ **ისტორიის ლაბირინთები** 42
1917 წლის „ჯარეგოს სისხლის ღვრა“
■ **ტაძარი** 45
„მოწყალე სამარიტელის“ იგავი
■ **ეს სამყაროა** 46
■ **საკითხავი ქალებისათვის** 48
■ **ჯანმრთელობა** 50
■ **ოჯახი** 54
მრავალშვილიანი ოჯახის თავს გადახდენილი სასწაულები
■ **პროფესია** 57
„წარმოშობით ოფიცერ“ ჟაკო ჯორჯაძის ბარის „მაესტროდ“ გადაქცევის ამბავი
■ **თინეიჯერული პონტები** 59
ერთჯერადი ურთიერთობა და მსუბუქი ფლირტი
■ **წვეთი პოეზია** 62
■ **სახსოვარი** 63
■ **საგანძური** 64
■ **რეალური** 65
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)
■ **ქართული დეტექტივი** 68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)
■ **რომანი** 72
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)
■ **გზავნილები** 76
■ **ყველა ერთისათვის** 80
„ნამდვილი მამაკაცები ქალს ღალატს არ აპატიებენ!“
■ **მობილი-ზაცია** 82
■ **მოზაიკა** 90
■ **ერუდიტი** 92
■ **გასართობი** 94
■ **ასტროლოგია** 96
■ **სკანვორდი** 97
■ **საფირმო კროსვორდი** 98



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



### პირველი ქართველი „ევერესტელი“

...ქართველმა რომან გიუტაშვილმა და ამერიკელმა დენიელ მაზურმა ერთმანეთი კატმანდუში გაიცნეს. ორივეს ევერესტის დალაშქვრა ჰქონდა განზრახული, იქ დამეგობრდნენ და მწვერვალზე ასვლაც ერთად გადაწყვიტეს. ამერიკელი 30 წლის იყო, ხოლო გიუტაშვილი — 54-ის.

36

## ადამიანი



### მრავალშვილიანი ოჯახის თავს გადახდენილი სასწაულები

„სოციალური შემწეობის გარდა, არაფერს ვიღებთ. მადლობა უფალს, უფროსი ქალიშვილი მუშაობს და უმცროსების რჩენაში მეხმარება. კომუნალურ ხარჯებს ვეღარ ვუმკლავდებით, არადა, უმცროსი — ანა სუსტი ბავშვია, ხშირად კრუნჩხვა ემართება“.

54

## ბიბლუსი





### მორიგანი
აჩრდილთა დედოფალი

— არ დაბრუნებულა, — ვუპასუხე და ვახშმის მზადება განვაგრძე.
— დაიბარა რამე?
— არა, — მოჭრით ვუპასუხე და ყურადღება არ მივაქციე, რომ, როგორც იქნა, ჩემი არსებობა შენიშნა.
— თქვენ... — მივხვდი, სახელი უნდა შემეხსენებინა.

62

## ტაიმ-აუტი



### „მინდოდა, რეჟისორი გამოვსულიყავი“

„ბავშვობიდან კინო მიყვარს. პიონერთა სასახლეში, გრიგოლ ჩიგოგიძის სტუდიაში („პიონერფილმი“) დავდიოდი, მინდოდა, რეჟისორი გამოვსულიყავი, მაგრამ ოჯახის წევრებს ჩემი არჩევანი არ მოსწონდათ და საბოლოო ჯამში სასწავლებლად უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში აღმოვჩნდი“.

88



# ...ოეეე, სპრინცოვკებოოოო!!!

**შესავლის ნაცვლად** გაგიკვირდებათ და, ტუნისში მთავრობის შეცვლის, ეგვიპტის საპროტესტო გამოსვლების, მოსკოვის ოპოზიციონერთა მასობრივი დაჭერებისა თუ რუსეთის მილიციის პოლიციად გადაკეთების მიუხედავად, ანუ იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში გასულ დღეებში საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, მე მაინც ერთ ძველ თემაზე საუბრით უნდა დავიწყო ჩემი „პროვოკაცია“.

სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიციის გამო მავანმა, განსაკუთრებით „ზეტოლერანტ-ფეისბუქელთა“ დიდმა ნაწილმა ჰომოფობად შემრაცხა.

არადა, ღმერთი, რჯული — არავინ გამილანძღავს მაგის გულისთვის, პირიქით — მაგათ დანახვაზე სიცილით ვკვდები ხოლმე, არც გეი-აღლუმის დარბევას ვაპირებ (თუკი ჩატარდა), მაგაზეც მაგრად ვიხითხითებ...

რა დროს მაგ თემის წამოწევა იყოო?! — მკითხოთ იქნებ. რა არის, იცით? ორი მიზეზი მაქვს: ჯერ ერთი — ეჭვიანი გავხდი ამ ბოლო დროს და მეორე: ზემოთ ხსენებული სოციალური ქსელის („ფეისბუქს“ ვგულისხმობ) აქტიური მომხმარებელი ვარ, ფაქტობრივად — „ვზივარ“...

ჰოდა, რა კავშირშია ერთმანეთთან ეს ყველაფერი? მოგახსენებთ: ივა კუზანოვისა და მისი პროფესიული შეცდომების ირგვლივ ატეხილი სკანდალის შესახებ ხომ ყველამ ვიცით? არ დარჩენილა არც ერთი ნაციონალური ტელეარხი, ამის შესახებ არ ესაუბროს. რომლებიც უფრო „ობიექტურები“ არიან, იმათ ჯერ კუზანოვის მიერ დაშვებული შეცდომა „განიხილეს“ (რის შედეგადაც, ახალგაზრდა კაცმა ფეხი დაკარგა), შემდეგ კი სასხვათაშორისოდ ახსენეს რამდენიმე მართლაც საშინელი ფაქტი, სადაც ექიმების უყურადღებობამ და არაპროფესიონალიზმმა ახალგაზრდების სიცოცხლე შეიწირა.

ვინც ამ ამბებს მხოლოდ ახლა უყურა და არ უნახავს კუზანოვის წინააღმდეგ აგორებული კამპანია, „სრულიად ქართული“ „ფეისბუქის“ მასშტაბით, იმას არ გაუჩნდება ჩემნაირი ეჭვი, მაგრამ... თავად განსაჯეთ — ერთი, ორი, ექვსი თვის წინ წერდნენ: „რა უფლება აქვს ივა კუზანოვს, რომ არანორმალურებს უწოდებს ჰომოსექსუალებს?!“ „როდემდე უნდა იპარპაშოს ამ ჰომოფობმა ქართული ტელევიზიების ეთერში?!“ „კუზანოვი ქართული ტოლერანტული საზოგადოების სირცხვილია!“ და ახლა: „ახლაც გვიძახოს პიდარასტები!“ „გილოცავთ, მეგობრებო, ფაშისტმა თავისი მიიღო!“ „მაინც ხომ მივაღწიეთ — მიზანი ამართლებს საშუალებას“ (აი, ამ ბოლო პოსტმა განსაკუთრებით დამაეჭვა)...

არადა, რა მოხდა? ამ კაცმა ერთი-ორჯერ ტელევიზიით და ერთი-ორჯერ — პრესაში თავისი აზრი გამოთქვა სექსუალური უმცირესობების მიმართ, თანაც — არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ჰკითხეს და უპასუხა — ექიმია და საკუთარი პოზიცია აქვს ამ ხალხის მიმართ, არ თქვას?! თანაც, პროფესორია თუ აკადემიკოსი, მაინც უფროსი თაობის ერთი კახელი კაცია და, ჩემი არ იყოს, „არ ევასება“ ეგ ხალხი და რა ქნას?! ხომ არაფერს ერჩის, პირიქით — ვინც სთხოვა, ზოგს „მიაბა“ და ზოგს „მოაჭრა“, ყველას „ხუთიანზე შეუსრულა“!

ხომ გითხარით, ეჭვიანი გავხდი-მეთქი, იმ ანეკდოტის გიჟივით, ყველგან „პედიკები“ მელანდება და თითქოს ჩემს ჯინაზეო — აგერ, დღეს, ქართულ საიტზე (ambebi.ge) ელტონ ჯონის აღშფოთებული ინტერვიუ გამოქვეყნდა: ინგლისელი პოლიტიკოსებისგან და ეკლესიისგან მეტ პატივისცემას მოვითხოვ, რა უბედურებაა: მუშაობით თავს ვიკლავ, შვილს ვზრდი, 17 წელია, ერთის გარდა, სხვა კაცისკენ თვალი არ გამპარვია და ესენი მაინც ამრეზით მიყურებენო! არიქა, ქართულო „ფეისბუქ და ისე ბომონდო“, გაიქეცით ინგლისში, ელტონ ჯონს ჩაგრავენ ცუდი ინგლისელები!..

აჰა, თითქმის ჩავათავე ეს „პროვოკაცია“ და თითქოს რაზე მოვცდი და დავხარჯე ჟურნალის ფურცელიც და თქვენი ყურადღებაც, ხომ? მაგრამ მთავარი რა არის, იცით? რა და, ექსპერიმენტი ჩავატარე: აგერ, ერთი კვირის წინ, ახალგორიდან ლტოლვილმა, 65 წლის მოქანდაკემ 2 თუ 3 ძველი ფიცარი „მოიპარა“, მოიპარა, რა — არაფერი გაუტეხავს, სადღაც მიყრილები აიღო და სახლში წაიღო, იმიტომ, რომ ათოვდა და აწვიმდა... დაიჭირეს და ერთი წლით ციხეში ჩასვეს: ნაქურდალი 35 ლარი „ღირდა“ და ამდენი ეკუთვნისო. ჰოდა, ექსპერიმენტიც ეგ იყო: კუზანოვის ადრინდელი პოზიციით აღშფოთებულ და ახლა აღფრთოვანებულ „დემოკრატებს“ გავუგზავნე ეს „ნიუსი“ და კომენტარები ვთხოვე: როგორც ველოდი, რეაქცია — ნოლი! ფიცრები არ არის აქტუალური, არც 65 წლის კაცის დაჭერა და არც ის, რომ ლტოლვილს სხვისი ფიცრების თრევა არ უნდა სჭირდებოდეს... არადა, ახლა ამათზე და ფიცრებზე რომ ვფიქრობ, თანაც, ისიც რომ გავიგე, იმ ბიჭის ამბავი მთლად კუზანოვის ბრალიც არ ყოფილა, ყველაზე „აქტუალურად“ ერთი ცნობილი, ძველი და გოიმური შაირი მახსენდება: „აქეთ — ფიცარი, იქით — ფიცარი...“ (კახელი კაცია, კუზანოვსაც ეცოდინება ესა და, ალბათ ისიც იმეორებს ამათზე ფიქრისას).

**P.S.** ავად ვიყავი, „ვიგრიპანე“ წინა კვირაში და რომ არაფერმა მიშველა (სანამ ტამიფლუს დამინიშნავდნენ), რომ აღარაფერმა დამიგდო სიცხე, დედაჩემმა ისეთი რამე მოიფიქრა, კინაღამ ჩამწერა „ელტონჯონელთა“ სიაში: არ ვიცი მე ეს წამლები, „ბავშვის“ ტანჯვას ველარ ვუყურებ, საღამომდე თუ არ დაუწევს სიცხე, მე ისევე ვუმკურნალებ, როგორც ბავშვობაში ვმკურნალობდიო, — და ვეებერთელა ოყნა „გააძრო“!

აბა, ეგ მინდოდა ამხელა „დამსახურებულ ჰომოფობ“ კაცს?! ვიჩქარი გაცნობოთ, რომ სიცხემ შიშისგან მალევე დამიწია და „ანალური წიაღსვლები“ საჭირო აღარ გახდა, მაგრამ რატომ გავიხსენე, იცით?.. რატომ და, ის ძველმოდური „ინსტრუმენტი“ მაინც „ჩვენი დროის პირმშო“ აღმოჩნდა, რადგან (მერე კოლოფი მოვითხოვე და კარგად დავათვალიერე) უკრაინაშია ნაწარმოები, თანაც, აწერია — სპეციალურად „დლია გრუზიი“ და, რაც მთავარია, სახელი მომეწონა: უკრაინულად ოყნა ყოფილა არა „კლიზმა“, არამედ „სპრინცოვკა“! მაგარია — სპრინცოვკა! დღეიდან ვიმახსოვრებ ამ სიტყვას და ქართულ სლენგ-ჟარგონში ვეცდები დავამკვიდრო, ხოლო ვის მივმართავ, თქვენც მიხვდებით და თვითონაც გაიგებენ:

— ოეეე, სპრინცოვკებოოოო!!!

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# თებერვლიდან ზამთარი ძალას იკრებს

**„თებერვლის დასაწყისიდან, 6 რიცხვის ჩათვლით, ზამთრისთვის უჩვეულოდ თბილ კლიმატს, ცივი ჰაერის მასები ჩაანაცვლებს“, — აცხადებს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ამინდის ბიუროს ხელმძღვანელი სვეტლანა ნიორაძე და იმასაც გვატყობინებს, რომ თებერვლის პირველივე რიცხვებიდან, მთელ საქართველოში თოვლს უნდა ველოდოთ. ტემპერატურა მკვეთრად დაეცემა ღამითაც. ასე რომ, ჩვენი რესპონდენტი მოსახლეობას ურჩევს, ცივი ამინდებისთვის შეძლებისდაგვარად მოემზადოს.**

*ლალი პაპასკირი*

**— ქალბატონო სვეტლანა, ნამქერი და აცივება მთელ საქართველოშია მოსალოდნელი თუ მხოლოდ მაღალმთიან რეგიონებში?**

— მთელ საქართველოში... ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში შესაძლოა, ტემპერატურა -2, -5 გრადუსამდე დაეცეს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, თებერვალში ასევე მკვეთრად იკლებს ტემპერატურა. რამდენიმე დღის შემდეგ, გამოიდარებს, მაგრამ ეს ხანმოკლე გამონათება იქნება და მალე ტემპერატურა, ღამით -10 გრადუსამდე დაეცემა. რაც შეეხება თბილისს, ღამით -4,-5 გრადუსს უნდა ველოდოთ...

**— ანუ თუ იანვრის თბილ დღეებს შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ ზამთარმა ერთი თვით გადაიწია?**

— არა, იცით, როგორ არის?.. იანვარი ზამთრის ყველაზე თბილი თვეა, უბრალოდ, წელს ჩვენდა გასაკვირად, ჩვეულებრივზე მაღალი ტემპერატურა იყო.

**— კავკასიის რეგიონი და კონკრეტულად, ჩვენი ქვეყანა ევროპის ციკლონს გადაურჩა თუ ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია?**

— დიახ, ჯერ დასკვნების გაკეთება ნაადრევია, ზამთრის სეზონზე მხოლოდ ერთი ციკლონი არ მოქმედებს, რამდენიმე დღეში შეიძლება რამდენიმე სახეობის ციკლონი „გვესტუმროს“... მაშინ თითქმის მთელ ევროპას იმ საშინელმა ციკლონმა გადაუარა, მაგრამ საქართველომდე ვერ შემოაღწია, რადგან ე.წ. ციმბირის ანტიციკლონი, მაღალი წნევის არეს ბლოკავდა და კავკასიის რეგიონზე, მათ შორის, საქართველოზე ცივი ჰაერის მასების გავრცელებას ხელს უშლიდა... მაგრამ ბოლო დღეებში ვითარება შეიცვალა, მთელი საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში თოვლი მოვიდა, გუდაურში 56, ჯვარზე კი — 95 სანტიმეტრი თოვლი დევს, რაც იმის მომასწავებელია, რომ ციკლონებისთვის საქართველოსკენ გზა უკვე ხსნილია... იანვრის ბოლოს უკვე გადაგვიარა ციკლონის ერთმა ტალღამ და ნალექს უნდა ველოდოთ, მაღალ მთაში თოვლის საფარი იმატებს და იქნება ქარბუქი. რაც შეეხება თბილისს, შეიძლება ნალექი ან თოვლჭყაპის, ან წვიმის სახით მოვიდეს...

**— მართალია, ჩვენს პირობებში ცივი ზამთარი სასურველი არ არის, მაგრამ ყინვა ვირუსების ერთგვარი გამწმენდია...**

— ცხადია, ყინვა ყოველგვარი ვირუსების გამწმენდია და გარდა ამისა, თბილ ზამთარს ყოველთვის თან ახლავს მწირი მოსავალი. მთავარია, ამას მოსახლეობისთვის საზიანო ბუნებრივი პროცესები (წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი) არ მოჰყვეს, თორემ თოვლი და ნალექი, მიწისა და ჰაერისთვის ნამდვილად საჭიროა...





# ქვეყანა

## ტირანის დამხობა დემოკრატიის დამყარებისთვის საკმარისი არ არის

*ხათუნა ბახტურიძე*

„ცივილიზებული სამყარო შესაძლოა, ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს“ — ასეთი ვარაუდი პოლიტოლოგთა და ჟურნალისტთა ნაწილმა მას შემდეგ გამოთქვა, რაც ეგვიპტეში პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნით დაწყებული აქციები მასობრივ არეულობაში გადაიზარდა.

ამერიკელი და ევროპელი ლიდერები ეგვიპტელი ხალხის პროტესტს სამართლიანად მიიჩნევენ, მაგრამ ჰოსნი მუბარაქს, რომელიც უკვე 30 წელია, ხელისუფლების სათავეშია, გადადგომისკენ არ მოუწოდებენ. უფრო მეტიც, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, დევიდ კამერონმა მუბარაქის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა. „ჩვენ განვითარების ევოლუციურ გზასა და რეფორმების გატარებას ვუჭერთ მხარს და არა — რევოლუციას. სწორედ რეფორმებს შეუძლია იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ხალხის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. იმ ქვეყნებში, სადაც ისლამური ექსტრემიზმი ყვავის, დემოკრატიის ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა სამოქალაქო უფლებები, კანონის უზენაესობა, ასევე ჯარი, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში“, — აღნიშნა პრემიერმა თავის განცხადებაში. კამერონის მოსაზრებას იზიარებს ბარაქ ობამაც, მაგრამ ამერიკელი მეცნიერები თავიანთ პრეზიდენტს „რიტორიკის ფარგლებიდან“ გამოსვლასა და ეგვიპტელი ხალხის მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. ამერიკული უნივერსიტეტების ასზე მეტმა მეცნიერმა ობამას მიმართა ღია წერილით, რომელსაც 157 პოლიტოლოგი, ისტორიკოსი, მკვლევარი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და აშშ-ის ურთიერთობათა სფეროს სპეციალისტი აწერენ ხელს. წერილში კერძოდ, ნათქვამია: „აშშ-მა ბოლო 30 წლის განმავლობაში იმ რეჟიმის შესაქმნელად და მხარდასაჭერად, რომლის ჩამოგდებასაც ახლა ხალხი ცდილობს, მილიარდი დოლარი დახარჯა“. ამერიკელი მეცნიერების აზრით, „დადგა დრო, ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის გადასაყენებლად ქუჩაში გამოსულ დემონსტრანტებს აშშ-იც შეუერთდეს და არაბულ ქვეყანაში ახალი მთავრობის შექმნას დაუჭიროს მხარი. ობამას ადმინისტრაციამ უნდა აღიაროს, რომ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური რეფორმები, რომელსაც ეგვიპტელი ხალხი მოითხოვს, შეუძლებელია მანამდე, ვიდრე ხელისუფლებაში მუბარაქი ან მასთან დაახლოებული პირი იქნება. აშშ-მა ეგვიპტესთან ურთიერთობა ძირეულად უნდა შეცვალოს, კერძოდ, ითანამშრომლოს ამ ქვეყანასთან, საერთო ღირებულებებიდან გამომდინარე და გეოსტრატეგიული პრინციპებით არ იხელმძღვანელოს“. მაშ, რით არის განპირობებული ამერიკელი და ევროპელი ლიდერე-




*ბის ლოიალური დამოკიდებულება დიქტატორი მუბარაქისადმი და რატომ ფიქრობენ პოლიტოლოგები, რომ ეგვიპტეში მომხდარი რევოლუცია ცივილიზებულ სამყაროს ახალი საფრთხის წინაშე დააყენებს? ეს კითხვები პოლიტოლოგ* **სოსო ცინცაძეს** *დავუსვით.*

**— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ რამდენიმე არაბულ სამყაროში (ტუნისი, ეგვიპტე, იემენი, ალჟირი) ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები?**

— რევოლუციების ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ სახალხო აჯანყება ქვეყანაში შიმშილის დაწყებას მოჰყვება. საფრანგეთისა და რუსეთის დიდი რევოლუციები სწორედ შიმშილმა გამოიწვია. მართალია, კომუნისტები სხვაგვარად გვასწავლიდნენ, მაგრამ სინამდვილეში, რუსეთის დიდი რევოლუცია ცარიელი ქვაბებით შეიარაღებულმა ქალებმა



**ამერიკელი და ევროპელი ლიდერები პრაგმატულად აზროვნებენ და მზად არიან, რეგიონში სტაბილური ვითარების შენარჩუნების მიზნით, დიქტატორ მუბარაქს დაუჭირონ მხარი**

დაიწყეს. საფრანგეთში მოსახლეობა მაშინ გამოვიდა ქუჩაში, როდესაც პარიზში პური გათავდა. სხვათა შორის, როდესაც დედოფალ მარია ანტუანეტას არსებული მდგომარეობის შესახებ მოახსენეს, ყოველგვარი



ცინიზმის გარეშე, მთელი სერიოზულობით თქვა, — რა მოხდა მერე? ფუნთუშები ჭამონო!.. აი, ასეთი სისულელეც შეიძლება თქვას ხელისუფალმა, როდესაც მასა და ხალხს შორის უფსკრულია გაჩენილი. დღეს აღმოსავლეთის ქვეყნების უმეტესი ნაწილი (გარდა ნავთობით მდიდარი სახელმწიფოებისა) თითქმის ერთი და იმავე პრობლემების წინაშე დგანან: გამეფებულია კორუფცია, დიქტატურა, ხალხი სიღატაკის ზღვარს მიღმაა, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული პირები კი ფუფუნებაში ცხოვრობენ. ლოგიკურია, რომ ტუნისში დაწყებული სახალხო აჯანყება მაგალითი აღმოჩნდა სხვა დანარჩენი აღმოსავლური ქვეყნებისთვისაც.

**— შეიძლება, დიქტატორის დამხობა ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისა და კორუფციის აღმოფხვრისთვის საკმარისი იყოს?**

— არა, ეს გამორიცხულია. ისეთ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებას თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულებები არა აქვს, სრულყოფილი დემოკრატია ვერ ჩამოყალიბდება. ეგვიპტეში დღეისთვის არ არსებობს საშუალო ფენა, რაც აუცილებელია დემოკრატიისთვის. ერთხელ ჟურნალისტმა ესპანეთის მეფეს ჰკითხა, — დიქტატორი ფრანკოს გადაგდებიდან 2-3 წელიწადში როგორ შეძელით ქვეყანაში დემოკრატიის დამყარებაო? იცით, რა უპასუხა მან? — ამაში ყველაზე მეტად ფრანკო დამეხმარა — მან მემკვიდრეობად, საშუალო ფენა დამიტოვაო... ღატაკი მოსახლეობისთვის, დემოკრატიული პრინციპები გაუგებარი და უცხოა. მუბარაქის გადადგომით, ეგვიპტეში დემოკრატია ნამდვილად ვერ განვითარდება... ეგვიპტეში ორჯერ ვარ ნამყოფი. კაიროს მუზეუმში საათობით ვმდგარვარ გაოცებული. ხალხი, რომელიც ამ მუზეუმს დაარბევს და მრავალსაუკუნოვან მუმიებს გაანადგურებს, დემოკრატიას ვერ შექმნის. სხვათა შორის, თვით ეგვიპტის განვითარებისთვის აჯობებს, რომ მუბარაქი დარჩეს ხელისუფლების სათავეში. იცით, რატომ? მუბარაქმა ხალხის ძალა უკვე დაინახა. ალბათ იცით, რომ მან მომიტინგეების დასაშოშმინებლად, რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა: მთავრობა დაითხოვა, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი აღადგინა, ოპოზიციას მოლაპარაკების დაწყება შესთავაზა. ახლა, როგორც უნდა დასრულდეს ეს ბუნტი, ეგვიპტე (იორდანიაზე რომ აღაფერი ვთქვათ) ისეთი აღარასოდეს იქნება, როგორიც თუნდაც 2 კვირის წინ იყო: მუბარაქი იძულებული გახდება, მთელი რიგი რეფორმა გაატაროს. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, მასზე ზეწოლას ამერიკელი და ევროპელი ლიდერებიც მოახდენენ.

**— ამ ეტაპზე, დიქტატორი მუბარაქისადმი ამერიკელი და ევროპელი ლიდერების ლოიალურ დამოკიდებულებას რით ახსნით?**

— არავინ უარყოფს, რომ არაბულ ქვეყნებში სახალხო აჯანყების უმთავრესი მიზეზი — უმუშევრობა

და სამომხმარებლო პროდუქტზე ფასების ზრდაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვიღაცამ ამით ისარგებლა. ძალიან ადვილია გამწარებული და დამშეული ხალხის აბუნტება. არ გამოვრიცხავ, ამ საქმეში „ალ-ქაიდას“ ან ფუნდამენტალისტ-ისლამისტთა ხელი ერიოს. სოციალური პრობლემებით ოპერირება სწორედ მათ ხელწერას ჰგავს. ამ ამბავში ტერორისტული ორგანიზაციების ხელი რომც არ ერიოს, ისინი საყოველთაო არეულობით მაინც ისარგებლებენ. ეს ინგლისსა და ვაშინგტონში ძალიან კარგად იციან. ამერიკელი და ევროპელი ლიდერები პრაგმატულად აზროვნებენ და მზად არიან, რეგიონში სტაბილური ვითარების შენარჩუნების მიზნით, დიქტატორ მუბარაქს დაუჭირონ მხარი. ბუში-უმცროსმა და კონდოლიზა რაისმა თავი მოიკლეს, ვიდრე პაკისტანიდან მუშარაფი არ გააგდეს; შედეგად რა მიიღეს? სწორედ მათი „დამსახურებაა“, ობამას რუსეთთან სახვეწრად რომ აქვს საქმე: დღეს მუშარაფი თავის პოსტზე რომ იყოს, ნატო ავღანეთში სამხედრო ტვირთს პაკისტანის გავლით შეიტანდა და რუსეთის მარშრუტი არაფერში დასჭირდებოდა. როგორც მოგეხსენებათ, პაკისტანში ახლა სრული ქაოსია, ისლამური დაჯგუფებები ძალიან არიან მომძლავრებულნი და ნატოს სამხედრო ტვირთებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ... ბოლო დროს, ბუში-უმცროსს სადამ ჰუსეინის დამხობის გამოც ხშირად აკრიტიკებენ. დღეს ამერიკელებს ვეღარ გაურკვევიათ, რა სჯობდა — სტაბილური ერაყი, რომელსაც დიქტატორი ჰუსეინი განაგებდა თუ აჯანყებული ერაყი, როგორიც დღეს არის. ქუვეითის კამპანიის წარმატებით დასრულების, შემდეგ ბუში-უფროსს თავისუფლად შეეძლო, ბაღდადშიც შეჭრილიყო და ჰუსეინი ფეხებით ჩამოეკიდა, მაგრამ ეს არ გააკეთა, იმიტომ, რომ შვილზე ჭკვიანი იყო და სპეციალისტებს დაუჯერა, რომლებმაც უთხრეს, — ჰუსეინის დამხობით, ვაის გავეყრებით, მაგრამ ვუის შევეყრებითო. ახლა ვაშინგტონი და ლონდონი ერაყის მაგალითების გათვალისწინებით მოქმედებენ ეგვიპტეში. რუსეთი წარსულში დაშვებულ შეცდომებს რომ არასდროს ითვალისწინებს, ამიტომ არის განწირული პერმანენტული ტერორისტული აქტებისთვის. „დომოდედოვოში“ მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, „ლიბერალმა“ მედვედევმა ისევ მკაცრი, მუქარის შემცველი განცხადებები გააკეთა. წესით, ამ ყველაფრის შემდეგ მას ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკის ლიბერალიზაციასა და რეფორმების გატარებაზე უნდა ელაპარაკა. მედვედევი მუქარით ვერ შეაშინებს ადამიანებს, რომლებიც თავს იფეთქებენ; ამ ხალხთან განსხვავებული მიდგომაა საჭირო. მე თუ მკითხავთ, ტერორიზმის აღმოფხვრის საკითხზე ფსიქოლოგები უნდა მუშაობდნენ. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა პრეცედენტი, რეჟიმის გამკაცრებას სასურველი შედეგი გამოეღოს. ბრიტანეთი ძალიან დიდხანს აწარმოებდა საბრძოლო ოპერაციებს ჩრდილო ირლანდიაში, მაგრამ ვერაფერს მიაღწია; ბოლოს მიხვდა, რომ ამ ხალხის მიმართ პოლიტიკა უნდა შეეცვალა.



**ტუნისში დაწყებული სახალხო აჯანყება მაგალითი აღმოჩნდა სხვა დანარჩენი აღმოსავლური ქვეყნებისთვისაც.**

**— პრეზიდენტმა სააკაშვილმაც თქვა, რომ „დომოდედოვოს“ ტერაქტი რუსეთის პოლიტიკის შედეგია, რის გამოც ის რუსეთის პროვოცირებაში დაადანაშაულეს; ამის შემდეგ გაჩნდა ვერსიები, რომ შესაძლოა, რუსულმა მხარემ საქართველოს, ტერორისტების ხელშეწყობაში დასდოს ბრალი...**

— რუსებს საკუთარი ნათქვამის თავად არ სჯერათ... ჩვენგან განსხვავებით, რუსებს კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენი მენტალიტეტი, ფსიქოლოგია და მშვენივრად იციან, რომ მსოფლიოში ისე არავის უყვარს სიცოცხლე, როგორც ქართველს: ქართველი შეიძლება, ბრძოლაში მოკვდეს, მაგრამ ის არც თავს აიფეთქებს და არც სხვას შეუწყობს ხელს ამის ჩადენაში. ჩვენ მენტალიტეტით არა ვართ ისეთები, რომ უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების სასიკვდილოდ გაწირვა შევძლოთ... ■



# „მამა იოსები უფალმა გამოგვიგზავნა“

**უკვე 3 წელია, რაც მამა იოსები (გაჩავა) სამცხე-ჯავახეთის საზღვრისპირა სოფელ არალში მოღვაწეობს. ამ ხნის მანძილზე, მისი ძალისხმევით, სოფელში ბევრი კარგი რამ გაკეთდა, აშენდა წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, მოსახლეობის დიდი ნაწილი მართლმადიდებელი გახდა; არალსა და ვალეში გაიხსნა სამრევლო სკოლები, სადაც მოზარდები საღმრთო რჯულს, გალობას, ხატვას, ზოგად უნარებს და ა.შ. უფასოდ სწავლობენ. უნარშეზღუდულთათვის კი არალში საინტეგრაციო ცენტრი ფუნქციონირებს. რამდენიმე დღის წინ მამა იოსები თავის მრევლთან ერთად, დედაქალაქს ესტუმრა. მათ ბავშვთა ნახატების გამოფენა, კონცერტი და ფილმის ჩვენება გამართეს.**

*ირმა მაღრაძე*

**— მამაო, რა მდგომარეობა იყო ამ მხარეში 3 წლის წინ, როცა მოღვაწეობა დაიწყეთ?**

— ამ თემაზე ყოველთვის სიფრთხილით ვლაპარაკობ: მოგეხსენებათ, ეს საზღვრისპირა სოფელია. მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკე იყო. 1988 წელს კათოლიკოს-პატრიარქი არ შეუშვეს, მართლმადიდებლობა 3 საუკუნის მანძილზე იდევნებოდა. უფლის წყალობით, ახლა ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება. ამ ხნის მანძილზე ბევრი გახდა მართლმადიდებელი. ისინი ტაძარში დადიან, წირვას ესწრებიან და ცდილობენ, ეკლესიური ცხოვრებით იცხოვრონ. ვალესა და არალში სამრევლო სკოლები გავხსენით, ეს საღამოები ერთგვარი ანგარიშია იმისა, თუ რას ვაკეთებთ. სამრევლო სკოლები ბავშვების ცნობიერების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს — ქვეყნის სიყვარულს ვასწავლით, რწმენაში ვაძლიერებთ. გერმანელი მეგობრების დახმარებით გავხსენით უნარშეზღუდული ბავშვებისთვის საინტეგრაციო ცენტრი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს. მასში ბავშვები 3 სოფლიდან დადიან.


არალში ძალიან ბევრი ადამიანი გახდა მართლმადიდებელი — მამა იოსები უფალმა გამოგვიგზავნა

**— დღეს აქ სამრევლო სკოლის ბავშვების ნახატების გამოფენის გარდა, ფილმის ჩვენებაც მოხდება. ფილმზე რას გვეტყვით?**

— 2 წლის წინ, სოფლის მამაკაცებთან ერთად არალიდან ტაო-კლარჯეთში გადავედი — გადავწყვიტეთ, რომ იქ მონათლულიყვნენ და ნათლობის საიდუმლო ხანძთაში აღვასრულე. ქართველობა და მართლმადიდებლობა ხომ განუყოფელია.


სკოლაში ისეთ საგნებს ასწავლიან, რაც სულიერებასთან ახლოს არის

**თამაზ აკოზაშვილი,** *არალის მკვიდრი:*

— 2009 წლის 16 ივლისი იყო. გადავწყვიტეთ, ტაო-კლარჯეთში გადავსულიყავით და ხანძთის უძველეს ტაძარში მოვნათლულიყავით. 18 ადამიანი გავემგზავრეთ, გავიარეთ შავშეთი, არტანუჯი, არტაანი და იმ წმინდა ადგილას მივედით, სადაც საუკუნეების წინ გრიგოლ ხანძთელი მოღვაწეობდა. იმ დღეს 12 ადამიანი მოვინათლეთ. ქრისტეს ხომ 12 მოწაფე ჰყავდა — სიმბოლური დამთხვევა მოხდა. თითქმის სამი საუკუნის მანძილზე არალი კათოლიკური სოფელი იყო. მას შემდეგ, რაც მამა იოსები ჩვენს სოფელში მოვიდა, არალელები თანდათან მართლმადიდებლებად ვინათლებით. ეს ადამიანი ძალიან დიდ საქმეს აკეთებს.

„მე პეტრე ვარდიძე გახლავართ, ეს ჩემი ნათლობის გვარი და სახელია“, — *ასე გამეცნო ერთი მამაკაცი.*

**— ნათლობის დროს გვარიც შეიცვალეთ?**

— ჩემი წინაპრები ვარდიძეები იყვნენ, მაგრამ მტრის შემოსევების დროს გვარი გადაიკეთეს და ჩილინგარაშვილები გახდნენ. ძალიან მინდოდა, წინაპრების გვარი დამებრუნებინა და ეს ნათლობისას მოვახერხე. მინდა, ჩემი შვილიშვილებიც ვარდიძეები იყვნენ. არალში ძალიან ბევრი ადამიანი გახდა მართლმადიდებელი — მამა იოსები უფალმა გამოგვიგზავნა.

**— არალი დიდი სოფელია?**

— დიახ, ქართული სოფელია. 500 კომლამდე ცხოვრობს.

**— ხანძთაში ნათლობის შემდეგ აღარ ყოფილხართ?**

— არა, და ვაპირებთ, რომ ყველანი ერთად წავიდეთ.

**— თვით ნაგებობა რა მდგომარეობაშია?**

— რესტავრაციას საჭიროებს. შველა უნდა. წირვა არ ტარდება. „მრავალჟამიერი“ ვიმღერეთ, თან ვფრთხილობდით — არავის დავეჭირეთ.

**— იყო ამის საშიშროება?**

— ადრე სხვა ჯგუფი იყო გადასული. მათ ადგილობრივ მუსლიმანებთან უსიამოვნება შეემთხვათ. ჩვენი იქ ყოფნის დროს, ისეთი წვიმა იყო, ყველანი სახლებში იყვნენ შეყუჟულები.

*ბავშვთა ნახატების გამოფენა დავათვალიერე. უმეტესობას ეკლესია ჰქონდა დახატული. როგორც ვალეს სამრევლო სკოლის პედაგოგმა, ლალი ბერიძემ მითხრა, სკოლაში ისეთ საგნებს ასწავლიან, რაც სულიერებასთან ახლოს არის.*



80 ბავშვი გვყავს. საღმრთო რჯულს, რელიგიის ისტორიას, გალობას, ხატვას, ზოგად უნარებს ვასწავლით



**ლალი ბერიძე:**

— 2 წელია, რაც სამრევლო სკოლა დაარსდა. 80 ბავშვი გვყავს. საღმრთო რჯულს, რელიგიის ისტორიას, გალობას, ხატვას, ზოგად უნარებს ვასწავლით.

**— ბავშვები თქვენთან საჯარო სკოლიდან გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოდიან?**

— დიახ, საათები და დღეები აქვთ დანიშნული.

**— სამრევლო სკოლაში სწავლა უფასოა?**

— რა თქმა უნდა. მამა იოსები ძალიან დიდი ქველმოქმედი და სათნო ადამიანია.

**— თავად რა ასაკში გახდით მართლმადიდებელი?**

— საკმაოდ გვიან — 16 წლის ვიყავი. პროფესიით ისტორიკოსი ვარ. ეკლესიაში ვგალობ.

**მარინა აფრიამაშვილი,** *არალის სამრევლო სკოლის პედაგოგი;*

— სკოლის მომღერალთა გუნდს ვხელმძღვანელობ. ჩვენ „არტ-გენშიც“ მივიღეთ მონაწილეობა. ხშირად გვაქვს გასვლითი ტური. სკოლაში 40-ზე მეტი ბავშვია და გუნდში 10 ბავშვი ირიცხება.

**— არალში უნარშეზღუდული ბავშვებისთვის სკოლაა გახსნილი, მის შესახებაც მიამბეთ.**

— ამ ბავშვებისთვის ამ სკოლის არსებობას წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთი 17-18 წლის არის და სახლიდან პირველად ამ ასაკში გამოვიდა — მანამდე კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ, რაც მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ახლა სკოლაში მათ ავარჯიშებენ, განათლებას აძლევენ; რაც მთავარია, ერთმანეთთან და საზოგადოებასთან ურთიერთობას ასწავლიან.

**— სკოლაში მათი ტრანსპორტირება როგორ ხდება?**

— სკოლას ჰყავს მძღოლი, რომელსაც დილით სახლებიდან მოჰყავს და გაკვეთილების შემდეგ უკან აბრუნებს; ზოგს მშობელიც მოჰყვება. ამ ცენტრში სულ 8 ბავშვი დადის.

**— ყველანი მართლმადიდებლები არიან?**

— არა, მათ შორის, რამდენიმე კათოლიკეა. მამა იოსები არალში წლების შემდეგ მოვლენილი პირველი მართლმადიდებელი მოძღვარია. ავაშენეთ წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი. მანამდე წირვაზე დასასწრებად, მეზობელ სოფელში მივდიოდით, 4-5 კილომეტრის გავლა ფეხით გვიწევდა და ყოველთვის ვერ ვახერხებდით.

**მზია თათეშვილი:**

— ქართული ხმების მომღერალი, გივიკო ჭიჭინაძე ყოველთვის არალელების გვერდით არის. შობის დღესასწაულის მოსალოცად, ზურა ყიფშიძე ოჯახთან ერთად ჩამოვიდა, წირვას დაესწრო და ტრაპეზის შემდეგ დაგვტოვა. ცოტა ხნის წინ არალელებს „ჯეოსტარელებმაც“ უმღერეს, დუტა სხირტლაძეც მათთან ერთად იყო. მე და ჩემი მეუღლე წარმოშობით ამ სოფლიდან ვართ. ოცნებად მქონდა გადაქცეული, არალი მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაჰბრუნებოდა. მახსოვს, როცა პატრიარქი არ შეუშვეს (ჩემი ოჯახით მას თან ვახლდი), უკან დარცხვენილი გამოვბრუნდი. არადა, არალი ძირძველი ქართული საზღვრისპირა სოფელია. წლების წინ სულიერებას დაშორდა; დაპირისპირების საფრთხეც იყო, მაგრამ მამა იოსების დიდი ძალისხმევით გაერთიანდნენ. მას კათოლიკეებიც დიდი სიყვარულით მოიკითხავენ ხოლმე, — მამა იოსებ-ჯან, როგორ ხარო? იმედი მაქვს, მალე ისინიც დიდი მართლმადიდებლური ოჯახის წევრები გახდებიან...

■

*ეკლესიის აშენება თათეშვილების ოჯახის ფინანსური მხარდაჭერით მოხდა. შობის დღესასწაულზე მამა იოსების მრევლი ტაძარში წირვაზე დასასწრებად შეკრებილა; იქ მხოლოდ არალელები არ ყოფილან, სტუმრებიც ჰყოლიათ.*



იმედი მაქვს, მალე ისინიც დიდი მართლმადიდებლური ოჯახის წევრები გახდებიან...



# „ოპოზიცია სუსტი კი არ არის — მცირე შესაძლებლობები აქვს“...

ხათუნა ბახტურიძე

**თინა ხიდაშელი მიხეილ სააკაშვილს ძალადობაში ადანაშაულებს. „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთი ლიდერი და თბილისის საკრებულოს წევრი ირწმუნება, რომ ოპოზიცია არც ისე სუსტია, როგორც გარედან ჩანს და არც ისე უმოქმედო, როგორც საზოგადოების ნაწილს ჰგონია. მისი აზრით, პრეზიდენტი არაადეკვატური იყო, როდესაც თქვა, რომ ოპოზიცია სუსტია, მის ლიდერებს კი ქუჩის პოლიტიკასა და მაფიოზური ტიპის სოციალურ წარსულზე უარის თქმა ურჩია. რამდენად ადეკვატურები არიან თავად ოპოზიციონერები, რაში გამოიხატება მათი ქმედუნარიანობა და რას აკეთებენ ისინი საზოგადოების კეთილდღეობისთვის? — ამის გარკვევას, თინა ხიდაშელთან საუბრისას შევეცადე.**




**— ქალბატონო თინა, ერთ-ერთი გამოსვლისას აღნიშნეთ, რომ სააკაშვილს პრეზიდენტად არ აღიარებთ, ამიტომ სულ არ გაინტერესებთ, თქვენზე რას ფიქრობს. პოლიტიკოსისთვის რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ასეთი განცხადების გაკეთება?**

— მე არ მაინტერესებს, რას ფიქრობს სააკაშვილი ოპოზიციაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არც ის მაინტერესებს, რა გეგმები და ამოცანები აქვს მას ხალხთან, სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ან რას ფიქრობს და რა ხედვა აქვს საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

**— მიგაჩნიათ, რომ ოპოზიცია სუსტი არ არის?**

— ოპოზიცია სუსტი კი არ არის, უბრალოდ, ძალიან მცირე შესაძლებლობები აქვს — ეს ორი რამ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ. რაში გამოიხატება ჩვენი სისუსტე? რინგზე ვიბრძოლეთ ხელისუფლების წინააღმდეგ და მან დაგვჯაბნა თუ ინტელექტუალურ ბრძოლაში გვაჯობეს?

**— მაშინ გკითხავთ: როგორ ფიქრობთ — მიიჩნევა თუ არა ოპოზიციის სისუსტედ ის ფაქტი, რომ საპროტესტო აქციებით, მხარდამჭერთა სიმრავლის მიუხედავად, სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეთ?**

— იმ აქციებზე ხელისუფლებამ ძალადობას მიმართა. მისი „ზონდერ-ჯგუფები“ აქციებზე ღამით მოგვეპარებოდნენ, ხალხს იტაცებდნენ და ჩუმად სცემდნენ. ჩვენ მსგავსი რამ არ ვიკადრეთ, მიტინგების დროს ერთი მინაც კი არ ჩაგვიმსხვრევია. არა მგონია, რომ იმ აქციების დროს ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვაჯობეს. პირიქით, აქეთ შეეშინდათ ჩვენი. თუ ასე არ არის, „ნაციონალურ“ არხებზე ტოქშოუები რატომ გააუქმეს?! ხელისუფლების ძალა დღეს ორ რამეზეა დაფუძნებული — ეს გახლავთ პოლიცია, რომელიც ქვეყნის ნაცვლად, კონკრეტულ პირებს ემსახურება, და მასმედია, რომელიც რუპორის ფუნქციას ასრულებს. ის, რაც ჩვენთან ხდება, ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისთვის მიულებელია. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია — როგორც კი ცოტათი გავაქტიურდებით, ჩვენს აქტივისტებს მაშინვე ციხეში ყრიან და ხშირად, მათ მეგობრებსაც ზედ მიაყოლებენ. ყველა კუთხე-კუნჭულში სათვალთვალო

კამერებს აყენებენ. ალბათ მალე ოჯახებშიც დაგვიწყებენ თვალთვალს, ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის საბაბით...

**— თქვენ რას უპირისპირებთ ხელისუფლების ძალადობას და კონკრეტულად, რას აკეთებთ ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად?**

— ძალიან ბევრს ვმუშაობთ. თუ მთელი დღის განმავლობაში ჩვენ გვერდით იქნებით, ამაში თავადაც დარწმუნდებით. ჩვენ არ წარმოვადგენთ პარტიას, რომელიც რაღაცაზე გაბრაზდება, ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს და ვინც ამ მოწოდებას არ გაიზიარებს, გალანძღავს. ასეთ სისულელეებზე დროს არ ვკარგავთ. პირადად მე, 24 საათის განმავლობაში ან მოქალაქეებს ვიღებ, ან მათი პრობლემების მოგვარებაზე ვზრუნავ. იმასაც გეტყვით, რაც ჯერ არასდროს მითქვამს: ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად, ფინანსური რესურსი არ გვქონია. მაგალითისთვის ერთ ამბავს მოგიყვებით. ერთ-ერთი ბრიფინგის დროს ძალიან მნიშვნელოვან თემაზე ვილაპარაკე. კონკრეტული დოკუმენტები წარმოვადგინე, რომელთა საშუალებით დავადასტურე, რომ სამარშრუტო ბიზნესში კორუფციაა და მალე ყველაფერი ერთი მონოპოლისტის ხელში აღმოჩნდება. ვინ გაიგო ეს ამბავი? ვერავინ. თავად ვუყურე „რუსთავი 2“-ზე სიუჟეტს და საერთოდ ვერ მივხვდი, რა უნდოდა „იმ გოგოს“ (ანუ მე — თინა ხიდაშელს), რომელიც ტელეეკრანზე ლაპარაკობდა: მთელი მონოლოგიდან, მხოლოდ ერთი წინადადება მათქმევინეს, მაგრამ არც ამ წინადადებას შერჩენია თავი და ბოლო... მერე, კოკი იონათამიშვილმა (საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე) გააკეთა განცხადება და თქვა, — ხიდაშელი პრეტენზიებს გვიყენებს, მაგრამ ვერ ასაბუთებსო. ერთი სიტყვით, სრული აბსურდი იყო, კაციშვილი ვერ გაიგებდა, ვინ რა განცხადებას აკეთებდა და ვინ რაზე სცემდა პასუხს. როგორ გგონიათ — არ ვიცოდი, რა უნდა მექნა ასეთი სიუჟეტის გასვლის შემდეგ? გადასარევად ვიცოდი — ჩემი დოკუმენტი რამდენიმე ათას ეგზემპლარად უნდა გამემრავლებინა და, პარტიის აქტივისტების მეშვეობით, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისთვის დამერიგებინა, მაგრამ ეს ვერ გავაკეთე: ვერც რამდენიმე ათას ქსეროასლს გადავიღებდი და ვერც აქტივისტებს უზრუნველვყოფდი ტრანსპორტითა და კვებით... ყველაფერი ისე არ არის, როგორც შორიდან ჩანს. დღეს არსებული რეალობა არც ჩვენ გვაკმაყოფილებს, რადგან მეტის გაკეთება გვინდა და შეგვიძლია, მაგრამ ჩვენი მიზნების მისაღწევად, ფული არა გვაქვს.



## დღეს არსებული რეალობა არც ჩვენ გვაკმაყოფილებს, რადგან მეტის გაკეთება გვინდა და შეგვიძლია

**— დღეს სააკაშვილი რომ იყოს ოპოზიციაში, შეძლებდა იმის გაკეთებას, რასაც თქვენ ვერ ახერხებთ?**

— შეძლებდა: როდესაც ის ოპოზიციაში იყო, ყველანაირ ფულს ჰკიდებდა ხელს; ჩვენ რომ ვკადრულობდეთ იმავეს, გარწმუნებთ, სხვანაირად იქნებოდა საქმე.

**— შემოთავაზებულ ფულზე უარი გითქვამთ?**

— კი, იმიტომ, რომ ჩვენთვის, სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლაზე მნიშვნელოვანი — სხვა ღირებულებებია.

**— რუსეთიდან თუ გქონიათ რაიმე შემოთავაზება?**

— არასოდეს: რუსებმა კარგად იციან, ვის რა უნდა შესთავაზონ.

**— არც იმ ოპოზიციურ ძალებთან ითანამშრომლებთ, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების დავალებებს ასრულებენ?**

— არ ვიცი, თქვენ ვის გულისხმობთ რუსეთის ხელისუფლების დავალებების შემსრულებლად. საკრებულოში ყველა იმ ინიციატივისთვის მაქვს ხმა მიცემული, რომელიც კახა კუკავასა და კობა დავითაშვილს დაუყენებიათ. ვაპირებ, ასევე გავაგრძელო, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე მათგანი რაციონალიზმის ფარგლებიდან არ გამოვა. აი, „ექინაია რასიასთან“ კი კონტრაქტს ხელს არასდროს მოვაწერ. იმაშიც ზუსტად ვარ დარწმუნებული, რომ არასდროს ვიქნები იმ პოლიტიკურ ბლოკში, სადაც ზურაბ ნოღაიდელი იქნება.

**— ნინო ბურჯანაძეზე რას იტყვით?**

— იმავეს. ამ ადამიანებს ძალიან კარგი შანსი ჰქონდათ, რომ ქვეყნის სასიკეთოდ რაიმე გაეკეთებინათ. ნოღაიდელმა ყველა შანსი გამოიყენა იმისთვის, რომ გამდიდრებულიყო, ბურჯანაძემ კი, იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი შეცდომა დაეშვა. მე მითითებებს არავის ვაძლევ, არც სხვის მითითებებს ვასრულებ. ყველა ისე უნდა მოიქცეს, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ. ჩემთვის, ამ ადამიანებთან ერთად ბრძოლა მიუღებელია. ბოლო დროს ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერი ძალიან უცნაურად იქცევა. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა მათგანმა ასეთი რამ თქვა, — მე ახლა წერილს დავწერ და ვინც ხელს არ მომიწერს, ის ნამდვილი ოპოზიციონერი არ იქნებაო. ეს ამბავი ძალიან სასაცილო იქნებოდა, სამარცხვინო რომ არ იყოს. ყველას ჩვენი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. მე და ჩემი პარტიის წევრები კომპრომატებით არ ვიბრძვით. პირადად მე, ყველაფერს ვაკეთებ იმი-

„ინ ვიტრო“
ვაწარმოებთ კვერცხუჯრედისა და სპერმის დონორობის, ასევე სუროგატი დედობის მსურველთა რეგისტრაციას (ანაზღაურებადია)
დაინტერესებული პირები ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
მისამართი: ლუბლიანას ქ. 2/6
ტელეფონი: 868 40 50 50
ორშაბათი-პარასკევი (10:00-დან 17:00-მდე)

სთვის, რომ საკრებულოში ჩემი ყოფნა გავამართლო.

— **ამჟამად რა საკითხებზე მუშაობთ?**

— ახლა ვმუშაობ „თბილისის წყალთან“ დაკავშირებულ საქმეზე. ჩემი ამოცანაა, საზოგადოებას მივცე ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ აძვირებენ წყლის ტარიფს. გარდა ამისა, მიწისძვრით დაზარალებულთა საქმეზეც ვმუშაობ. 50 ოჯახია დარჩენილი თავშესაფრის გარეშე და იმედი მაქვს, რამდენიმე დღეში მათი საკითხი საბოლოოდ გადაწყდება. ახლახან დავიწყე მუშაობა კოოპერატივების თემაზე და რამდენიმე დღეში კონკრეტულ ინიციატივებსაც წამოვაყენებთ. ასევე ვმუშაობ იმისთვის, რომ გავარკვიო — როგორ, რა პრინციპით და რაში იხარჯება თანხები თბილისის ბიუჯეტიდან. სასამართლო დავა მაქვს წამოწყებული თბილისის მერიასთან — გარე რეკლამების საკითხზე: იცით, რას აკეთებს კეზერაშვილი? უბრალოდ, წარმოიდგინეთ — თქვენთან სახლში რომ მოვიდეს ვინმე და გითხრათ, — თქვენი აივანი ძალიან კარგ ადგილზე მდებარეობს და მოდი, რა, ერთი რეკლამა გამომაკვრევინეო; თქვენ რომ ჰკითხოთ, — რამდენს გადამიხდი, ამის გაკეთების საშუალება რომ მოგცეო? — და იმან თავში წამოგარტყას და გიპასუხოს, — ფული არა, კიდევ რა გინდაო?!.

— **თუ შეგიძლიათ, დაგვისახელოთ პრობლემა, რომელიც უკვე მოაგვარეთ?**

— პრობლემები, რომლებიც ჩვენ მოვაგვარეთ, ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანებისთვის, მაგრამ მცირედია — ქვეყნისთვის. მე ამაზე ხმამაღლა არ ვილაპარაკებ, რადგან არ მინდა, ადამიანებს, რომლებსაც ჩვენ დავეხმარეთ, ხელისუფლების მხრიდან ისევ შეექმნათ პრობლემები. ასეთი რამ უკვე არაერთხელ მოხდა. ჩვენს ხელისუფლებას ძალიან არ უყვარს, როცა ოპოზიციის მიერ გაკეთებულ კარგ საქმეზე ვინმე ხმამაღლა ლაპარაკობს... ■

რადიო თავისუფლება

radiotavisupleba.ge

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

# კომფორტული მგზავრობა თუ მონოპოლია საქალაქო ტრანსპორტზე?

## სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა გაძვირდება?

**ძველი სამარშრუტო ტაქსები ოქტომბრიდან ახლით შეიცვლება. თბილისის მერიამ დედაქალაქში მგზავრთა გადამყვანი კომპანიის გამოსავლენად ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულები უკვე დაასახელა: „თბილ ლაინის“, „თბილ ქარისა“ და „ფაბლიკ ქარის“ მფლობელებმა წლეულს თბილისში, 2011 წელს გამოშვებული 3 ათასამდე „ფორდ ტრანზიტი“ უნდა შემოიყვანონ, რომელშიც კონდიცირების სისტემაც კი იქნება დამონტაჟებული. მიკროავტობუსში საფასურის გადახდის აპარატი იქნება, რადგან დაგეგმილია, სამარშრუტო ტაქსები გადახდის ერთიან საბარათე სისტემაში მოექცეს. სამგზავრო შეღავათი იგივე დარჩება სოციალურად დაუცველ პირთათვის... სატენდერო პირობების მთავარი პუნქტების თანახმად, მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრის ფეხზე დგომა, კუსტარულად დამზადებული სკამების განთავსება და ანტისანიტარია აიკრძალება.**

*ლალი პაპასკირი*

*რაც შეეხება მოსახლეობისთვის ყველაზე მწვავე საკითხს — გაიზრდება თუ არა მგზავრობის საფასური? — თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის, აკაკი ჯოხაძის თქმით, მგზავრობის ღირებულება არ გაიზრდება, ვინაიდან ტარიფი ბაზრის პრინციპებით რეგულირდება, ხოლო საფასურის გაზრდის შემთხვევაში, სამარშრუტო ტაქსები კლიენტებს დაკარგავენ...*

*როგორც წესი, ყველა სიახლეს თან სდევს საზოგადოებაში გაჩენილი უამრავი შეკითხვა და ვერსია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, სიმართლესთან ახლოსაა. ტენდერის გამოცხადების დღიდანვე, არსებობდა საფრთხე, რომ ამ სფეროში მოქმედი მცირე მეწარმეები, შეზღუდული დროის გამო, სატენდერო პირობებს ვერ დააკმაყოფილებდნენ და ქალაქის მუნიციპალური ტრანსპორტი ერთი მონოპოლისტის ხელში აღმოჩნდებოდა. ამიტომაც, შემოსავლების გარეშე დარჩენის საფრთხით შეწუხებული მცირე მეწარმეები და მძღოლები შიშობენ, რომ ეს რეფორმა თბილისის მერიისა და მასთან დაახლოებული პირების ფინანსურ ინტერესებს ემსახურება.*

*მათ შიშს ამყარებს თბილისის 5-ივე ლოტზე პრეტენდენტი კომპანიების გარშემო ატეხილი ხმაური: ტენდერში 8 კომპანია მონაწილეობდა, თუმცა მათ შორის კონკურენცია არ ყოფილა. გავრცელებული ინფორმაციით, გამარჯვებული 4 კომპანიიდან 3 — „ფაბლიკ ქარ“, „თბილ ქარ“ და „თბილ ლაინი“ — დეკემბრის შუა რიცხვებში, სპეციალურად ამ ტენდერისთვის შეიქმნა, ორი მათგანი კი — ერთსა და იმავე დღეს, 17 დეკემბერს; ორ კომპანიას საჯარო რეესტრის მოსაკრებელი ერთი და იმავე დღეს, 5 წუთის დაშორებით აქვს გადახდილი და საჯარო რეესტრში განცხადებები ასევე 5 წუთის განსხვავებით აქვს წარდგენილი(!). ზემოთ აღნიშნული სამივე კომპანიის დოკუმენტები ერთი და იმავე ნოტარიუსის — გინტურის მიერ არის დამოწმებული... გარდა ამისა, ტენდერში არ მონაწილეობდნენ მცირე მეწარმეები — ე.წ. სამარშრუტო „ხაზების“ მფლობელები.*

*კულუარული ინფორმაციით, სამარშრუტო ტაქსების ხელში ჩაგდების მსურველები, კომპანია „ბილაინის“ წილში მყოფი, აფხაზეთიდან დევნილი და ამჟამად მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენები — ხვიჩა მაქაცარია და მერაბ შარანგია არიან, რომლებსაც წილები აქვთ „სოკარსა“ და კიდევ რამდენიმე მსხვილ კომპანიაში; სავარაუდოდ, 5-ივე ლოტზე შეტანილი განაცხადი მათ ეკუთვნით. ერთ-ერთი ბიზნესმენის შეპირების თანახმად, 2012 წლამდე მათ თბილისში 50-50 ახალი მიკროავტობუსი უნდა შემოიყვანონ... ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მათ სასტუმროსა და რესტორნის ქსელები აქვთ თბილისსა და რამდენიმე დიდ ქალაქში. ამიტომაც ხელისუფლებამ ისინი ტრანსპორტის*

ბიზნესში იძულებით ჩააბა და ახალი მანქანების ჩამოყვანაც მოსთხოვა; უარის თქმის შემთხვევაში, მათი აქამდე წარმატებულ ბიზნესს ზიანი მიადგებოდა...

რაც შეეხება მერაბ შარანგიასა და მის ოჯახურ ბიზნესს, — უდავოა, რომ ეს გვარი ქართულ და რუსულ ბიზნესში საკმაოდ გავლენიან ფიგურასთან ასოცირდება და ამიტომაც, საჭიროდ მივიჩნიეთ მკითხველისთვის მათ შესახებ ცოტა მეტი ინფორმაცია მიგვეწოდებინა: წარმოშობით ოჩამჩირელ ძმებს — მერაბ და გია შარანგიებს საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებად მიიჩნევენ. ისინი ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ რუსულ ბიზნესწრეებში. მათ მფლობელობაშია მოსკოვის რამდენიმე ელიტური რესტორანი. გია შარანგია რუსეთში „მოღვაწე" ქართველ ე.წ. ელიტურ კრიმინალურ ავტორიტეტებთან დაახლოებული პირია. რაც შეეხება მერაბს, — „ბილაინში" წილების გარდა, მის საკუთრებაშია თბილისის სანაპიროზე მდებარე რესტორანი „ქალაქური", რამდენიმე გასართობი კლუბი და „დეზერტირების" ბაზრის ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტები... ორი ძმა — ლევანი და შოთა საქართველოში ცხოვრობენ და საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობენ... რაც შეეხება მამას — ბიზნესმენ ლორენცო შარანგიას, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, მაშინ, როცა საქართველოს რკინიგზის გაყიდვის საკითხის გარშემო უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდებოდა, ამ საქმით დაინტერესებული იყო. მაშინ ისიც ითქვა, — ეს უწყება არაოფიციალურად, უკვე მის ხელში გადავიდაო; ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა და საქართველოს რკინიგზის გაყიდვის თემაც უკანა პლანზე აღმოჩნდა...

გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ ბიზნესმენებისთვის წაყენებულ „აუცილებელ პირობებში" შედის მგზავრობის საფასური: მისი მოთხოვნით, საწვავის გაძვირების შემთხვევაშიც კი მგზავრობის საფასური არ უნდა გაიზარდოს...

ინფორმაციას, თითქოს სამარშრუტო ტაქსების სფეროში ხელისუფლება და ძმები შარანგიები მონოპოლისტად წარმოგვიდგებიან, არ ფლობს პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების" წევრი, თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სამარშრუტო ტაქსების სატენდერო კომისიის წევრი **ზურაბ აბაშიძე:**

— ამ გვარსა და მის ბიზნესინტერესზე არაფერი მსმენია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ დღეს ქალაქში 2500-მდე ინდმეწარმეა, რომლებიც სამარშრუტო ბიზნესში არიან ჩაბმული და ამ ტენდერის შემდეგ, მხოლოდ 4 კომპანია დარჩა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ეს ბიზნესი მონოპოლიზებული გახდება... „თავისუფალი დემოკრატები" ამ ტენდერთან დაკავშირებით, ხელისუფლებას სამ აუცილებელ პირობას ვუყენებდით: სამსახურის გარეშე არ დარჩნენ ის მძღოლები, ვინც დღესდღეობით ამ სფეროში არის დასაქმე-





ბული; მგზავრობის ღირებულება არ გაიზარდოს და მოსახლეობას კომფორტული გადაადგილების საშუალება ჰქონდეს... მეტსაც გეტყვით — ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ მერიამ თავისი სიტყვა შეასრულოს და, ტენდერის პირობების თანახმად, ახალი მიკროავტობუსების შემოყვანის შემთხვევაში, კიდევ 1000 ადამიანი დაასაქმოს.

— **რა რაოდენობის მიკროავტობუსის შემოყვანას გეგმავენ გამარჯვებული კომპანიები?**

— 4-ივე კომპანიამ საერთო ჯამში, დაახლოებით 3 ათასამდე სამარშრუტო ტაქსი უნდა ჩამოიყვანოს. ეს არის კერძო ბიზნესი და ძველი ტრანსპორტის ახლით შეცვლა ეტაპობრივად უნდა მოხდეს.

— **რა ბედი ეწევათ იმ მძღოლებს, რომლებიც ძველ მიკროავტობუსებზე მუშაობენ?**

— ეს უკვე გამარჯვებული კომპანიების პრეროგატივაა, მაგრამ სწორედ ამას ვითხოვთ — ის ადამიანები შემოსავლის გარეშე არ უნდა დარჩნენ და ახალ მიკროავტობუსებში გადაიყვანონ. ტენდერის პირობების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემოსავლის გარეშე დარჩებიან, გამარჯვებულ კომპანიებს მილიონ სამასი ათასი დოლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრებათ. ასე რომ, მათ არ უნდა ულირდეთ პირობების დარღვევა.

## საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები არსებობს, მაგრამ ვარაუდებით საუბარი ძალიან გამიჭირდება




— **ბატონო ზურაბ, ბოლო დროს ხშირად საუბრობენ ხაზების შემცირებაზე; თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

— ამის შესახებ არაფერი მსმენია; პირიქით — როგორც ვიცი, იგეგმება ახალი ხაზების დამატება, რომლებსაც, როგორც გითხარით, ახალი მიკროავტობუსების მძღოლები შეითავსებენ... თუმცა ყველაფრის მიუხედავად, უნდა გითხრათ, რომ ტენდერისთვის მხარი არ დამიჭერია. ვიცი, რომ კომპანიებთან დაკავშირებით, საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები არსებობს, მაგრამ ვარაუდებით საუბარი ძალიან გამიჭირდება. დაველოდოთ, დრო გვიჩვენებს, რამდენად კარგად გაართმევენ ეს კომპანიები თავს ნაკისრ ვალდებულებას...

**ლავრენტი ალანია,** *ტრანსპორტის პროფკავშირის თავმჯდომარე:*

— ტენდერში მონაწილე კომპანიების და მათ განაცხადებში მითითებული სახელებისა და გვარების მიხედვით არ შემიძლია გადაჭრით იმის თქმა, რომ სატრანსპორტო ბიზნესის ხელში ჩაგდება ერთ პიროვნებას უნდა. მართალია, არც ერთ განაცხადში ლაპარაკი არ არის შარანგიაზე, მაგრამ რამდენიმე კომპანიის განაცხადში მართლაც, არის ერთი და იგივე პიროვნება დასახელებული. თუმცა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის იმაზე



## ზუსტად რომ ვიცოდე, ამ სამსახურს შევინარჩუნებ, გავიჭირვებ, სესხს ავიღებ და ახალ მანქანას ჩამოვიყვან

მსჯელობა, თუ კონკრეტულად ვის მფლობელობაში გადავა სატრანსპორტო ბიზნესი; ჩვენი მოვალეობაა, დღეს დასაქმებული მძღოლები ვიღაცის ინტერესებს არ შეეწირონ და უმუშევრები არ დარჩნენ.

— **თქვენი აზრით, ეს საფრთხე რეალურად არსებობს?**

— მართალია, ჯერჯერობით სამართლებრივად ეს საფრთხე არ ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ანუ კულუარებში რა ხდება, ჩვენთვის უცნობია... ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემებით, ქალაქში ე.წ. ხაზზე 2225 მიკროავტობუსი მოძრაობს; მათი 20% მგზავრთა გადასაყვანად გამოსადეგია, 50%-ის შეკეთება კი — შესაძლებელია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მანქანების ხაზზე დატოვება გამარჯვებულ კომპანიებს პირობების დარღვევაში ჩაეთვლება. ამიტომაც ჩვენ ვაპირებთ, გავაკეთოთ ზუსტი აღრიცხვა და მერიას მათი დატოვების თხოვნით მივმართოთ... შესაძლოა, მერიამ მძღოლებს თავისი პირობებიც წაუყენოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ უკიდურესად მძიმე სოციალურ ვითარებაში ეს ადამიანები სამუშაოს გარეშე არ დარჩნენ.

— **თუ იცით, რა ბედი ეწევათ ინდმეწარმეებს ანუ ე.წ. სამარშრუტო „ხაზების“ მფლობელებს?**

— დავიწყოთ იმით, რომ სტატუსი — „სამარშრუტო ხაზის მესაკუთრე“ უკვე აღარ არსებობს. თუმცა იმიტომ, რომ ისინი შემოსავლის გარეშე არ დარჩენილიყვნენ, ჯერ კიდევ დეკემბრის შუა რიცხვებში ვურჩიე, შეექმნათ სააქციო საზოგადოება ან შპს და ამ სახით მიეღოთ ტენდერში მონაწილეობა.

— **მძღოლები შიშობენ, რომ საწვავის ფასის გაზრდის შემთხვევაში, იძულებული გახდებიან, მგზავრობის ტარიფიც გაზარდონ...**

— დიდი ხანია, იმავეს ვამბობ: მგზავრობის საფასურის გაზრდა გარდაუვალია და ამის მთავარი მიზეზი — საწვავის ფასის გაძვირება, ასევე — ის კომფორტული პირობები, რასაც ქალაქის ხელმძღვანელობა ტენდერში გამარჯვებული სატრანსპორტო კომპანიებისგან მოითხოვს. კომფორტი კი, როგორც წესი, ძვირი ღირს...

**თენგიზ ქათამაძე,** *სამარშრუტო ტაქსის მძღოლი:*

— ეს „მარშრუტკა“ ნაქირავები მაქვს. პატრონს ყოველი დღის ბოლოს 20 ლარს ვუხდი... ახლა გვეუბნებიან, — ან ახალი ჩამოიყვანეთ, ან ამ „ჯართით“ მგზავრების ტარებას დაემშვიდობეთო... ზუსტად რომ ვიცოდე, ამ სამსახურს შევინარჩუნებ, გავიჭირვებ, სესხს ავიღებ და ახალ მანქანას ჩამოვიყვან, მაგრამ უმუშევარი რომ დავრჩე?!. თუ ახალ მიკროავტობუსებს ჩამოიყვანენ, შეიძლება, ეს მანქანა ვერც გავყიდო და ზარალში აღმოვჩნდები... მართლა, აღარ ვიცი, რა ვქნა. მუდმივად სამუშაოს დაკარგვის შიში მაქვს, სტრესის ქვეშ ცხოვრებით დავილალეთ... აქამდე ღმერთს მადლობას ვწირავდი, — კიდევ კარგი, საჭის ტრიალი მაინც ვიცი, თორემ ოჯახი მშიერი დამრჩებოდა-მეთქი! — ახლა რაღა გავაკეთო, არ ვიცი... მსუბუქი ტაქსისთვის ლიცენზია 1.300 ლარი ღირს, თორემ მსუბუქ მანქანას მაინც ვიყიდდი... ■

### შესაძლოა, მერიამ მძღოლებს თავისი პირობებიც წაუყენოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ უკიდურესად მძიმე სოციალურ ვითარებაში ეს ადამიანები სამუშაოს გარეშე არ დარჩნენ



# სახე

## ჭორ-მართალი მარიამ ჯოლოგუას სიყვარულის შესახებ

*გვანცა კანკავა*

ამბობენ, სერიალის „შუა ქალაქში“ ყოფილი მონაწილე და ამჟამად „იმედის დილის“ ერთ-ერთი წამყვანი, მსახიობი მარიამ ჯოლოგუა შეყვარებულიაო... მისი რჩეული მისივე კოლეგა, „თავისუფალი თეატრის“ ერთ-ერთი მსახიობი — აპოლონ კუბლაშვილი გახლავთო. სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ იგი ანჩოს ერთ-ერთი თაყვანისმცემლის, სანდროს როლს ასრულებს. მარიამი და პოლიკა ზოგიერთ სპექტაკლშიც ერთად მონაწილეობენ. ინფორმაციის გადასამოწმებლად აპოლონს ტელეფონით დავუკავშირდი და ინტერვიუ ვთხოვე, რაზეც უარი მივიღე — კარიერის შესახებ არ ვიძლევი ინტერვიუს





და პირად ცხოვრებაზე საჯაროდ საუბარს — მით უმეტეს, არ ვაპირებო. შემდეგ, მარიამსაც დავუკავშირდი. ჩემს კითხვაზე გაეცინა და მანაც იგივე მიპასუხა: „საერთოდ არ მინდა, პრესაში ჩემზე რაიმე დაიბეჭდოს. თქვენ რომ ვინმე უცხო ადამიანმა დაგირეკოთ და პირად ცხოვრებაზე საუბარი გთხოვოთ, ბუნებრივია, უარით გაისტუმრებთ...“

როგორც ცნობილია, მარიამს პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი ჰყავს, ქალების გულთამპყრობელი აპოლონი კი ჯერჯერობით უცოლოა... ■



# გადასაღები მოედნის მიღმა დანიშნული „პაემანი“

## „ჩვენი სიყვარულის ამბავი „ზემოთ“ გადაწყდება“

**11 თებერვლიდან სერიალის — „გოგონა გარეუბნიდან“ ახალი სეზონი იწყება. გარეუბნელი გოგონას როლის შემსრულებელი თიკო მახარაძე და ფილმში მისი შეყვარებული — ვახო ანუ მამუკა მუმლაძე ერთმანეთს შევახვედრეთ. ამჯერად მათი „პაემანი“ გადასაღები მოედნის მიღმა შედგა და მას ჩვენც დავესწარით. მამუკა „თავისუფალი თეატრის“ მსახიობია; მე-2 კურსზე სწავლობდა, როცა ავთო ვარსიმაშვილმა „ძმებში“ სათამაშოდ მიიწვია და მას შემდეგ ამ თეატრის სცენაზე დგას. თიკო მახარაძე კი სტუდენტია, გიორგი შალუტაშვილის ჯგუფში ირიცხება და მიიჩნევს, რომ თუ რაიმე იცის — ეს მისი საყვარელი პედაგოგის დამსახურებაა.**

*თამუნა კვინიკაძე*





**მამუკა:**

— როცა გავიგე, რომ სერიალისთვის კასტინგი ტარდებოდა, დავრეკე და მონაწილეობის სურვილი გამოვთქვი. მანამდე „შუა ქალაქის“ 2 სერიაში მქონდა ნათამაშები. მითხრეს, რომ ჩემი შესაძლებლობები იცოდნენ და კასტინგზე მისვლა აუცილებელი აღარ იყო: თუ საჭიროდ ჩავთვლით, თავად დაგირეკავთო. სიმართლე გითხრა, ზარს დიდად არც ველოდებოდი. მაგრამ გამიმართლა — ერთი კვირის შემდეგ დამიკავშირდნენ. რა თქმა უნდა, გამიხარდა. საერთოდ, ამ შემოქმედებით ჯგუფს დიდ პატივს ვცემ. გემოვნებიან გადაცემებს აკეთებენ. გარდა იმისა, რომ როლი, საქმე, სტაბილური შემოსავალი მაქვს, მათთან ურთიერთობაც სასიამოვნოა. დღემდე გახარებული ვარ.

**თიკო:**

— მე იმ პერიოდში სულ სხვა საქმით ვიყავი დაკავებული. ჩემმა ჯგუფელმა დამირეკა და მითხრა, იცოდე, კასტინგზე ჩაწერილი ხარ და აუცილებლად მიდიო. ვალდებულების მოხდის მიზნით შევირბინე და... მერე რაც მოხდა, იცით. ვფიქრობ, რომ მსახიობმა კასტინგებზე უნდა იაროს, ეს აუცილებელია. თავად ამას არ ვაკეთებდი. თამუნას როლზე მუშაობა ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

— **როცა მაკიაჟი გაგიკეთეს და სარკეში საკუთარი თავი დაინახე, რა რეაქცია გქონდა?**

— მანამდე წარბებს ვიჩეჩდი ხოლმე და მეგობრებს ვაცინებდი, როგორ შეიძლება წარბის ფორმამ ადამიანი შეცვალოს-მეთქი?! მაშინ მეგონა, ამაზე მეტად ადამიანის დამახინჯება შეუძლებელი იყო. თურმე ვცდებოდი — ის, რაც გრიმიორმა და მხატვარმა გამიკეთეს (სქელი წარბები, „ულვაში“, ბაკები და ჩაცმულობა), იმდენად მცვლის, ჩემს თავს, როგორც თინა მახარაძეს, ვერც ალვიქვამ. გრიმს გამიკეთებენ თუ არა, ეგრევე თამუნა ჭელიძე ვხდები, უკვე როლში ვარ.

**მამუკა:**

— ვიცოდი, რომ სერიალის ფორმატის მიხედვით, უცნაური გარეგნობა და ჩაცმულობა უნდა ჰქონოდა. ვაიმე, დედა, რას ჰგავს-მეთქი! — არ მითქვამს. მხატვრების ნამუშევარი მომეწონა.

— **გადაღების დროს პირველად შეხვდით ერთმანეთს თუ მანამდეც იცნობდით?**

— თიკოს არ ვიცნობდი.

**თიკო:**

— ამის თქმის ძალიან მრცხვენია — მამუკას სპექტაკლი არ მქონდა ნანახი, მაგრამ შორიდან ვიცნობდი. ძალიან დადებითი ადამიანია. მისგან კარგი აურა მოდის.

**მამუკა:**

— მსახიობის წარმატებაში გარკვეული წვლილი პარტნიორს მიუძღვის. კარგი „პადაჩა“ თუ არ ჩაგაწოდა, მარტო ვერაფერს გააკეთებ. თიკო ნიჭიერი ადამიანია და მჯერა, რომ დიდი წარმატება ელის. ვცდილობ, თავადაც კარგი პარტნიორობა გავუწიო.

— **ეს სერიალი ამერიკული პროექტის ანალოგია — „უშნო ბეტი“ თუ გქონდათ ნანახი?**

— არა. როლზე რომ დამამტკიცეს, მერე დავინტერესდი და ვნახე. იმ ვარიანტში ჩემი პერსონაჟი საერთოდ არ არსებობს. მგონი, თბილისური შტრიხი დაამატეს — უბნის 2 უსაქმური ბიჭი, მაგრამ ახლა უსაქმურები არ ვართ.

**თიკო:**

— მამუკას მიერ განსახიერებული ვახო ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟია. თავიდან ვახოს გამორჩეული ნიშა არც ეჭირა. მგონი, არც იყო გადაწყვეტილი, მას თუ შევუყვარდებოდი, რადგან ჩემი გმირი მის მეგობარ მერაბზე ფიქრობდა. არ ვიცი, მამუკამ ერთი ჩვეულებრივი პერსონაჟი ასე საინტერესოდ როგორ „გააკეთა“. როგორი ტიპია, ანეკდოტებს როგორ ჰყვება, როგორ არის თამუნათი აღფრთოვანებული, როგორ ფიქრობს მასზე — იმდენად კარგად თამაშობს, თავისი პერსონაჟი ძალიან შემაყვარა.

**მამუკა:**

— კარგი, ნუ მაქებ, წესიერი, კეთილი თბილისელი ბიჭის როლს ვთამაშობ. ცოტა იუმორში მოვიკოჭლებ.

— **რით ჰგავხარ შენს გმირს და რით განსხვავდები მისგან?**

— ცოტა უკეთესი იუმორი მაქვს.

**თიკო:**

— მე თამუნასავით დაბნეული და კეთილი ვარ; თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ — მიმნდობიც ვარ. დანარჩენი ყველაფრით განვსხვავდები.

— **გადაღების დროს ყოველთვის ხდება ისეთი რამ, რაც კადრს მიღმა რჩება. გთხოვთ, ასეთი ამბავი გაიხსენოთ.**

**მამუკა:**

— კადრს მიღმა?.. ჩემი ნერვიულო-

ბა მახსოვს, მინდა, კარგად ვითამაშო. თეატრისგან განსხვავებით, სერიალის გადაღების დროს, რეპეტიციის საშუალება არ არის. გადაღებები სწრაფ ტემპში მიდის. ამას თავიდან შეჩვეული არ ვიყავი, ცოტა „მერთულა“ და ვნერვიულობდი. ახლა ალღო ავუღე.

**თიკო:**

— ის არ გახსოვს, პირი რომ დავიწვით?.. სცენარის მიხედვით, საჭმელზე ცხარე სოუსი უნდა მოგვესხა. ორივეს ცხარე საჭმელები გვიყვარს, მაგრამ ამ სოუსმა ისე გაგვამწარა, ენით ვერ ალგიწერთ, ძალიან ცუდ დღეში ჩავცვივდით. ჩვენი რეაქცია მართლა კადრს მიღმა დარჩა. არადა, ისეთი ბუნებრივი იყო,



რომ არ გავიდა, გულიც კი დამწყდა.

— **სერიალში შეყვარებული ხარ...**

— (*მაწყვეტინებს*) ვხვდები — პირად ცხოვრებაზე უნდა მკითხო. ეს ის თემაა, რომელზეც არ ვლაპარაკობ. პრესაში ბევრი რამ არასწორად დაიწერა, ბევრი ვარაუდი გამოითქვა. ხვალ გათხოვება რომ მქონდეს გადაწყვეტილი, მაინც არაფერს ვიტყვი.

— **პირად ცხოვრებაზე შენი გმირიც არავის ელაპარაკება; მგონი, თამუნას ამით ჰგავხარ...**

— არა, ჩემი პერსონაჟი ძალიან მორიდებულია. ცხოვრებაში, როცა მიყვარს, ეს გრძნობა ძალიან „ხმამაღალია“. სიყვარულსა მალვა უნდაო, — ამ აზრს არ ვიზიარებ. სულ მინდა, მასზე ვილაპარაკო, ოღონდ — პრესასთან არა.

— **მამუკა, პირად ცხოვრებაზე შენც არაფერს იტყვი?**

— რა გითხრა? სამწუხაროდ, შეყვარებული არა ვარ.

— **არასდროს გყვარებია?**

— 27 წლის ვარ; გატაცებები, რა თქმა უნდა, მქონია, მაგრამ — მინდა, ეს გოგო მთელი ცხოვრება გვერდით მყავდესმეთქი, — ასეთი შეგრძნება რატომღაც არ მქონია. ყოფილა მომენტი, საკუთარი თავისთვის მითქვამს, რომ ის „ის“ არის, მაგრამ 2-3 თვე გასულა და მის მიმართ ინტერესი გამნელებია. ფილმში ისეთი შეყვარებული ვარ, მაჟრიალებს. ველოდები, ცხოვრებაშიც როდის დამაჟრიალებს. ასეთი რამ ჯერჯერობით არ დამმართვია. საერთოდ მიმაჩნია, რომ მთელი ცხოვრება ერთი ადამიანი უნდა გიყვარდეს. შეიძლება, ბევრთან გატაცება, შეჩვევა, ვნება გქონდეს, მაგრამ სიტყვები — „აღარ მიყვარხარ“, „ახლა სხვა მიყვარს“ — ჩემთვის ძალიან უცხოა.

— **რას ვერ აიტან საყვარელი ადამიანისგან?**

— ჩემი გასაჭირი რომ არ გაიზიაროს, გვერდით არ დამიდგეს... ერთად უფრო ძლიერები ვიქნებით.

— **გარეგნობაზე რას იტყვი?**

— ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად ქერა ან შავგვრემანი უნდა იყოს. ამაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის, მისი ხასიათია. კარგი უნდა იყოს.

— **სერიალში შენს მეგობარს პირად გრძნობებზე ელაპარაკები. ცხოვრებაშიც ასეთი ხარ? შეგიძლია, მეგობარს ასევე გულახდილად ელაპარაკო?**

— რა თქმა უნდა. რამდენიმე უახლოესი ძმაკაცი მყავს, რომლებთანაც ნებისმიერ თემაზე ლაპარაკი შემიძლია, ისევე, როგორც მათ — ჩემთან (ქორაობას არ ვგულისხმობ). ასეთი საუბრები კარგია — შეიძლება, მეგობარმა ცივი გონებით, ისეთი რამ გირჩიოს, რომ ცხოვრებაში გამოგადგეს.

— **სერიალის მსახიობები დამეგობრდით?**

— ერთმანეთს გადაღებებზე ვნახულობთ. ყველა სცენას ცალ-ცალკე იღებენ. მე უმეტესად, მერაბთან მიწევს გადაღება. ცხადია, თიკოსთანაც. ახალი სეზონიდან უფრო კარგი, საინტერესო და დახვეწილი სიუჟეტები იქნება.

— **შენი გმირის ცხოვრებაში რა სიახლეა?**

— მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. ჩემი ბიზნესი წინ მიდის. უსაქმური ბიჭი აღარ ვარ, თამუნასთან ურთიერთობა როგორ გაგრძელდება, ვერ გეტყვი, — ეს ჯერჯერობით სცენარისტებმაც არ იციან.

— **თიკო, რას ჰკითხავ მამუკას?**

— მამუკა, თამუნასნაირი გარეგნობის გოგო, მასავით ჩაცმული, რაც უნდა განათლებული იყოს, მაღალი ღირებულებები ჰქონდეს, შეგიყვარდება?

— არ ვიცი, რა მოხდება მომავალში. ჩემს გმირს ამ პერსონაჟში სხვა რაღაცები მოსწონს და არა — გარეგნობა. თამუნას ბევრი კარგი თვისება აქვს, რის გამოც მისი გარეგნული ნაკლი იფარება. სიკეთე, შინაგანი სისუფთავე და ა.შ. თუ ცხოვრებაში ჩემი გმირის მსგავსი რამ დამემართება, ვეცდები, მის გარეგნობაში მცირედი კორექტივები შევიტანო, დავხვეწო, უკეთესობისკენ შეცვლაში დავეხმარო. ჩემს გმირს სხვა სიღრმე აქვს, რომელიც ჯერ სერიალში არ ჩანს. არც ის არ არის ცნობილი, რატომ შეუყვარდა თამუნა. ჩვენი პერსონაჟები ერთმანეთს ხომ ბავშვობიდან იცნობენ!

**თამუნა:**

— არა მგონია, ასეთი გოგოს მიმართ ფიზიკური ლტოლვა გაგიჩნდეს.

— **მამუკა, შენ რა კითხვა გაქვს თიკოსთან?**

— ვერ გავიგე, მის გმირს ვუყვარვარ თუ — არა, მაგრამ ეს რომ ვკითხო, ვიცი, ვერ მიპასუხებს.

**თიკო:**

— იმიტომ, რომ არ ვიცი, ერთმანეთი შეგვიყვარდება თუ არა, ეს „ზემოთ“ წყდება.

**მამუკა:**

— მე მაინც მგონია, რომ ბოლომდე ერთად ვერ ვიქნებით.

— **თიკო, ამ როლმა შენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა, არა? მიუხედავად იმისა, რომ გრიმით ხარ, მაინც გცნობენ?**

— თავიდან ვერ მცნობდნენ. მერე თანდათან ალმიქვეს. ხმით უფრო მცნობენ — მეუბნებიან, რომ ხმის განსაკუთრებული ტემბრი მაქვს. პოპულარობა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ არის მეორე მომენტიც: ადრე, როცა სხვების ინტერვიუებში ვკითხულობდი, პოპულარობა დამღლელიაო, სულ ვფიქრობდი, რომ ეს იყო პოზა; როგორ შეიძლება, პოპულარობამ დაგღალოსმეთქი?! ახლა ასეთი რამ მეც მემართება ხოლმე: ზოგჯერ არ მინდა სახლიდან გავიდე, ჩემთვის წყნარად ვერსად მივდივარ. გარშემო მყოფნი ისეთ ყურადღებას იჩენენ, თავს ვალდებულად ვთვლი, თავადაც იგივე სითბო გავცე. ამის განწყობილება კი ყოველთვის არ მაქვს.

**მამუკა:**

— სერიალი ძალიან პოპულარულია. ქუჩაში ყველა მცნობს. ყველა თაობის მაყურებელი ჰყავს, მამაკაცებიც უყურებენ და არ მალავენ, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ხდება.

— **ახალი სეზონიდან რა სიახლეს უნდა ველოდოთ?**

— ერთადერთი, იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემი ჩაცმულობა უკეთესობისკენ იცვლება.

— **გემოვნება დაგეხვეწა?**

— ანჩოსთან ვმეგობრობ, ეს ცოტას როდი ნიშნავს (*იცინის*). 11 წლის ძმა მყავს და რუსკა მაყაშვილზე გიჟდება, მისთვის ყველაზე ლამაზი გოგოა. ეს რუსკასაც ვუთხარი და ბევრი ვიცინეთ... ვინც მე მიცნობს და იცის, როგორი ვარ, მათ ვეტყვი, რომ ბოლოს სერიალში ბევრად უკეთესი გამოვჩნდები.

— **ახალ სერიებს ეთერში როდის ვიხილავთ?**

— 11 თებერვლიდან დაიწყება.

— **წარმატებას გისურვებთ!**

# ვულგარული იმიჯის მორგების გარდა, ყველაფერს გავაკეთებ

**მომღერალმა სოფო ხალვაშმა ახალი წლის დღესასწაული ბათუმში, მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად გაატარა. ბათუმის საახალწლო კონცერტის შემდეგ, სოფო საკუთარ ხმის ჩამწერ სტუდიაში აქტიურ მუშაობას აგრძელებს და მალე ახალ კლიპსაც შემოგვთავაზებს...**



ეთო ყორღანაშვილი

— მას შემდეგ, რაც ფართო საზოგადოების წინაშე პირველად გამოვჩნდი, გარეგნულად დიდად არ შევცვლილვარ — უბრალოდ, სხვადასხვანაირ მაკიაჟს მიკეთებენ ხოლმე. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა თმის ფერი რადიკალურად შევიცვალე: შავგვრემანი, უცებ ქერა გავხდი, მაგრამ არ მომეწონა და ვიდრე ფერი კარგად „დაჯდებოდა", თმა ისევ შავად გადავიღებე. ასე რომ, რადიკალური ცვლილებები არ მიყვარს.

— **თმის ქერად შეღებვა ვინმემ გირჩია?**

— სალონში ფრანგი სტილისტი გადამეკიდა, თმა აუცილებლად უნდა შეგიღებოო. მისი რჩევა გავითვალისწინე... საერთოდ, როცა მირჩევენ, ყველას ვუსმენ, მაგრამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებ. თმის ქერად შეღებვის შემდეგ, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე (*იცინის*).

— **თმას როგორ უვლი?**

— შეღებვის შემდეგ თმა დამეწვა... ფეხმძიმობის მერე კი თმის ცვენა დამეწყო. მისი სტრუქტურის აღსადგენად ბევრი კოსმეტიკური საშუალება არსებობს, რომელსაც ვიყენებ.

— **ვარცხნილობის ხშირი ცვლა გიყვარს?**

— კი, თმა ბევრჯერ შემიჭრია, ძალიან მოკლე ვარცხნილობაც მქონია, „კარეც"... ახლა თმას ვიზრდი, რომ რაღაც ფორმა მივცე.

— **შინიდან გასვლისას, თავის მოსაწესრიგებლად რამდენი ხანი გჭირდება?**



— ამისათვის ძალიან მცირე დროა საკმარისი, რადგან ყოველდღიურად „გადატვირთული" მაკიაჟი არ მიყვარს. სახლიდან გასვლისას, მხოლოდ მსუბუქ მაკიაჟს ვიკეთებ.

— **კოსმეტიკურ საშუალებებში დიდ თანხას ხარჯავ?**

— კი. მაგალითად, უცხოეთში ყოფნისას ტანსაცმლის მაღაზიებში ბევრ დროს არ ვატარებ, მაგრამ შემიძლია, კოსმეტიკის მაღაზიაში საათობით ვიყო — იქ დროის შეგრძნებას ვკარგავ, მთელი ფული შემიძლია, იქ დავტოვო და ისე წამოვიდე. ტანსაცმლის მაღაზიაში შესულმა ზუსტად ვიცი, რა მინდა. იქ დიდხანს ყოფნა არ მიყვარს, რადგან სამოსის ჩაცმა-გახდით ძალიან ვიღლები.

— **აღნიშნე, ყოველთვის ვიცი, რა მინდაო, მაგრამ მაღაზიაში ნანახი სამოსი შენს გემოვნებას ყოველთვის აკმაყოფილებს?**

— ყოველ შემთხვევაში, ტანსაცმლის მაღაზიიდან გულდაწყვეტილი არ წამოვსულვარ. დაახლოებით ვიცი ხოლმე, რა ფორმის ტანსაცმელი მინდა. უბრალოდ, შეიძლება, ზუსტად ისეთი ფერის სამოსი ვერ ვიპოვო, როგორიც მსურს...

— **როგორი ფერის სამოსი მოგწონს?**

— მუქი მწვანე. ჩემი სტუდიის კედლებიც კი ამ ფერისაა. საერთოდ, პასტელური ფერის სამოსს უფრო ვიხდენ...

— **ქართველი დიზაინერების სამოსის აქტიური მომხმარებელი ხარ?**

— არა, ამას ვერ ვიტყვი. ბათუმის საახალწლო კონცერტისთვის, ნინო ჩუბინიშვილმა (ჩუბიკამ) საკონცერტო კაბა შემიკერა. „ევროვიზიის" კონკურსზე, თეონა თავართქილაძისა და იკა ბობოხიძის სამოსი მეცვა, იურმალაში — ავთანდილის.

— **ყოველდღიურ სამოსზე რას გვეტყვი?**

— ჯინსი ძალიან მიყვარს. ყოველდღიურად ქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა დისკომფორტს არ მიქმნის, პირიქით — ძალიან მიყვარს. ასეთი ფეხსაცმელი არც საჭის მართვისას წარმოადგენს პრობლემას.

— **სოფო, როგორი ჩანთები მოგწონს?**

— ჩანთები საერთოდ არ მიყვარს (*იცინის*). ვცდილობ, არც ვატარო. მგონი, ბოლო დროს, ჩანთის ტარებას გადავეჩვიე... ტელეფონი სულ თან მაქვს — მის გარეშე არ შემიძლია.

— **სამკაულები გიყვარს?**

— ბევრი სამკაული მაქვს, მაგრამ მათი ტარება არ მიყვარს. ამორჩეულებული მაქვს ერთი, ძალიან წვრილი, ოქროს სამაჯური, რომელსაც ლურჯი და გამჭვირვალე თვლები აქვს. ეს სამკაული აჩიკო გულედანის ოჯახმა მაჩუქა. ცრურწმენების არ მჯერა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს სამაჯური თილისმასავითაა. სხვათა შორის, იურმალაში სამაჯური მაკა ზამბახიძეს გავუკეთე და გაამართლა.

— **სხეულის კარგი ფორმის შესანარჩუნებლად განსაკუთრებულად ზრუნავ?**

— ზედმეტი წონის პრობლემა არასოდეს მქონია, პირიქით — ბავშვობაშიც ძალიან გამხდარი ვიყავი და ყოველთვის მაძალებდნენ, რომ მეჭამა. ფეხმძიმობის შემდეგ, ცოტა ხანს ვარჯიშებზე დავდიოდი, ზურგის მასაჟს ვიკეთებდი... დიეტა არასოდეს დამიცავს. ალბათ ვერც დავიცავ, რადგან ჭამა ძალიან მიყვარს — გურმანი ვარ!

— **სოფო, სცენისთვის იმიჯის რადიკალურად შეცვლა რომ დაგჭირდეს, ამ ნაბიჯს გადადგამ (მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, ასეთ იმიჯში თავი კომფორტულად ვერ იგრძნო)?**

— რაც ჩემს კარიერას დასჭირდება, ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ — გარკვეულ ფარგლებში: შემიძლია, სცენის გამო, გარეგნობა რადიკალურად შევიცვალო, მაგრამ ეს ყველაფერი ვულგარული არ უნდა იყოს. ვულგარულობის გარდა, ჩემთვის ყველაფერი მისაღებია. ■

# ვინ სთხოვს სამორი ბალდეს „მეშოკების“ გახდას

## ქართველი მულატი ზოგს ქურთი და ზოგსაც კახელი ეგონა

**სამორი ბალდესთან ინტერვიუ დაახლოებით ერთი წლის წინ ჩავწერე. ენერგიული, ხალისიანი და ნიჭიერი მულატი რუბრიკის — „ფესვები“ მეშვეობით გავაცანით „გზის“ მკითხველს. საქართველოში გაზრდილი, დედით ქართველი და მამით აფრიკელი სამორის ცხოვრებაში ბოლო დროს უამრავი სიახლეა. სულ ცოტა ხნის წინ, თავისუფლების მოედანზე საახალწლო კონცერტის ერთ-ერთ წამყვანად მოგვევლინა, მანამდე კი პროექტში „ბრავო“, ტანგო იცეკვა სოფო ნიჟარაძესთან ერთად. სამორი კლუბ „ბამბა რუმის“** MC-ია (Master of Ceremonies). **ამასთან ერთად, წერს მუსიკას, სიმღერების ტექსტებს...**



*ელენე ბასილიძე*

— **შარშან მითხარი, რომ პოპულარობას გაურბოდი, მაგრამ ტელევიზიით გამოჩენა მაინც გადაწყვიტე...**

— ჰო, არ გამოდის სხვანაირად. ხანდახან არის სიტუაცია, როცა „ვირზე არ უნდა შეჯდე“ და რაღაც-რაღაცები უნდა გააკეთო... ხშირად საკუთარი პრინციპები შენივე ინტერესების საწინააღმდეგოდ „ილაშქრებს“, მაგრამ მთავარია, ისეთი პრინციპი არ დაარღვიო, რომელიც დიდ ზარალს მოგიტანს. ტელევიზია არ არის ის ადგილი, სადაც მომავალში საკუთარ თავს ვხედავ, მაგრამ საინტერესოა. ასევე მაინტერესებდა, როგორ გამომივიდოდა ცეკვა. ამ საკითხის მიმართ სპორტული ინტერესი მქონდა. რაც შეეხება კონცერტის წამყვანობას, დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა არ



გამჭირვებია. სცენაზე დგომას დიდი ხანია, შევეჩვიე. ჩემთვის რეპეტიცია გაცილებით რთულია, ვიდრე კონცერტი. ყველაფერი გაცილებით უკეთ გამომდის მაშინ, როცა სცენაზე გამოვდივარ. ჩემი პარტნიორი, თიკო სადუნიშვილი გაცილებით გამოცდილი იყო ამ საქმეში და ტექსტის დამახსოვრება მას უკეთ გამოუვიდა. არასოდეს არაფერი გამიკეთებია იმისთვის, რომ რომელიმე კონცერტი ან შოუ წამეყვანა. ისე ხდება, რომ თავად მთავაზობენ...

— **სპორტსმენი რომ იყავი, ვიცოდი, მაგრამ თუ ცეკვავდი, არ გითქვამს...**

— არასოდეს მიცეკვია! გამოსვლამდე რამდენიმე დღე ვივარჯიშეთ — ეგ იყო და ეგ! სიმართლე გითხრათ, როცა ამ პროექტის წარმომადგენლებისგან შემოთავაზება მივიღე, შევყოვნდი, მაგრამ ბოლოს ვიფიქრე, — რატომაც არა-მეთქი?! ვერავინ იტყვის, რომ თუ ტანგოს იცეკვებ, ცუდი ემცე იქნები. ამიტომაც, საკუთარი თავი გამოვცადე. ამ ცეკვის შესრულებას ალბათ არავინ შემომთავაზებდა, შესაბამისი პლასტიკა ან კოორდინაცია რომ არ მქონოდა. თითქოს ფეხბურთი და ცეკვა რაღაცით ჰგავს კიდეც ერთიმეორეს. ბევრ ადამიანს ვიცნობ, რომელიც წლობით ცეკვავს, მაგრამ მის მოძრაობაში ექსპრესია არ შეინიშნება, ყველაფერი დადგმულია: ფეხი — ასე, ტანი — ისე! ცეკვაში ერთი მოძრაობა მილიონნაირად შეიძლება შეასრულო, ისევე, როგორც ფეხბურთში და რაც მთავარია, შეგიძლია, ორივე საქმეში სული და გული ჩააქსოვო. მგონი, როცა ვიცეკვე, ძალიან არ შევრცხვენილვარ, არა?!

— **კარგად გამოგივიდა. სხვათა შორის, მოგიხდა ცეკვა და სამოსის სტილიც...**

— ეგ ბებიაჩემს არ უთხრა, თორემ ისევ თავიდან დაიწყებს: გაიხადე ეგ შენი „მეშოკები“ და ტანი გამოაჩინეო! ჩემი ჩაცმულობით სხვისი გულის მოგებას ის მირჩევნია, თავი კომფორტულად ვიგრძნო.

— **წელან მითხარი, ყოფილი სპორტსმენები არ არსებობენო...**

— კი, ასეა. ვარჯიში — ხასიათის გამოძერწვაა, დროთა განმავლობაში ხვდები, რომ მის გარეშე ის არ იქნებოდი, რაც ახლა ხარ. ნახე, ოთახში რკინის ღერძი დავამონტაჟებინე, სავარჯიშოდ გარეთ გასვლა მეზარება. რამდენჯერაც ამ ღერძს დავინახავ — „სინდისზე მაწვება“ და აზიდვებს ვასრულებ. ჩვენს ქვეყანაში ხალხს უამრავი პრობლემა აქვს და ეს უარყოფითად დამუხტული ენერგია ჰაერში ტრიალებს, რომელიც ყველა ადამიანზე ახდენს გავლენას; მე ამ ენერგიისგან გათავისუფლებას სპორტის საშუალებით ვცდილობ. ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ სპორტის სხვადასხვა სახეობაშიც მოვსინჯე ძალა. ადრე ზედმეტი ჟინით ვვარჯიშობდი და ცოტა არ იყოს, საკუთარ ჯანმრთელობას ცუდი სამსახური გავუწიე. დღეს ვფიქრობ, რომ ნებისმიერმა სპორტსმენმა ჯერ განათლებას უნდა მიხედოს და შემდეგ — სპორტულ კარიერას.

— **მახსოვს, როგორი კატეგორიული უარი თქვი რამდენიმე გადაცემაში მონაწილეობაზე...**

— ვერ ვიტან არაფრისგან შემდ-

გარ პოპულარობას და ჩემ გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს ვერიდები: ხშირად მხოლოდ იმიტომ მოდიოდნენ ჩემთან ინტერვიუზე, რომ განსხვავებული გარეგნობა მაქვს და ვგრძნობდი, გარკვეულწილად, ჩემი გარეგნობით ვსპეკულირებდი, ეს კი ძალიან არ მსიამოვნებდა. ხშირად შემოუთავაზებიათ ამა თუ იმ პოპულარულ პროექტსა და სერიალში მონაწილეობა, მიკავშირდებოდნენ და მეუბნებოდნენ, — მოდი და ეს როლი ითამაშეო. მათ საერთოდ არ აინტერესებდათ, ნიჭი მქონდა თუ არა. იქნებ საერთოდ ვერ ვლაპარაკობდი, ხომ შეიძლებოდა, დებილი ვყოფილიყავი?! მათთვის მე მხოლოდ საინტერესო გარეგნობის ადამიანი ვიყავი და ბევრ შემოთავაზებაზე უარი ამიტომაც ვთქვი.




**— ვიცი, რომ სტუდენტობისას „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" წევრიც იყავი...**

— კი, რამდენჯერმე „კომედი შოუს" იუმორისტ ბიჭებს სკეტჩის გაკეთებაშიც დავეხმარე. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ ბიჭებმა იცოდნენ, თუ რა შემეძლო.

**— როგორც ვიცი, ბათუმში შექმნილი სიმღერის კონკურსში ის ჯგუფიც მონაწილეობდა, რომელშიც შენ მღერი...**

— კი. სხვათა შორის, ამ კონკურსში მონაწილეობა ძალიან მოულოდნელად გადავწყვიტეთ. ჩვენი ჯგუფი, „პანკ სტეფი" არც ისე დიდი ხანია, რაც ჩამოყალიბდა და მუსიკალურ მიმდინარეობა პანკს ვასრულებთ. ბათუმში შექმნილი სიმღერის დემოვერსია ჩემთან სახლში მიკროფონით ჩავწერეთ. ჩვენი სიმღერა 12 საუკეთესოს შორის მოხვდა და ბათუმში ჩატარებულ კონცერტშიც მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენს ჯგუფს დიდი გეგმები აქვს და იმედია, მალე შევძლებთ სურვილების ასრულებას.

**— საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი გაქვს დამთავრებული. საკუთარი პროფესიით მუშაობას თუ აპირებ?**

— არც ამას გამოვრიცხავ. სიმართლე გითხრა, ძალიან არ მინდა, მაგრამ თუ მომიწევს, მუშაობაზე უარს არ ვიტყვი.

**— როგორია, იყო მულატი ბიჭი საქართველოში?**

— სხვათა შორის, გარკვეულ ასაკამდე ჩემს განსხვავებულობას ვერც ვგრძნობდი. დედაჩემსაც არასოდეს გაუკეთებია აქცენტი იმაზე, რომ გამორჩეული და კარგი ვიყავი. მახსოვს, ბაღში „ზანგო! ზანგო!"-ს ძახილით რომ დამყვებოდნენ ბავშვები; მე სათამაშო, პლასტმასის ჩაქუჩით დავდევდი მათ (*იცინის*). ჩვეულებრივი, თბილისელი ბიჭი ვიყავი, მთელი დღის განმავლობაში ჩემს უბნელებთან ერთად დავრბოდი და როგორც სხვა ბავშვები, მეც ბოთლებს ვაბარებდი მაღაზიაში. სხვათა შორის, ბევრი ვერც ამჩნევდა, რომ მულატი ვიყავი. ზოგს ქურთი და ზოგსაც კახელი ვეგონე (*იცინის*). ჩემს თაობაში ნაკლებად, მაგრამ 10 წლამდე ასაკის საკმაოდ ბევრი ბავშვია მულატი... ძალიან მეშინია, ამ ბავშვების მშობლებმა შვილების გარეგნობით სპეკულირება არ დაიწყონ. ბავშვს განსხვავებულობის გამო ვითომ კომპლექსი რომ არ ჩამოუყალიბდეს, გამუდმებით შთააგონებენ, რომ ყველაზე მაგარია! ეს კი პატარისთვის ძალიან ცუდია — დიდი შანსია, ამპარტავანი გაიზარდოს. მოკლედ, ყველაფერი გასათვალისწინებელია.

**— ალბათ ხშირად გახვეულხარ შარში მხოლოდ იმის გამო, რომ განსხვავებული გარეგნობა გაქვს...**

— კი, რა თქმა უნდა! გუშინ ვიღაც მოვიდა ჩემთან და საიდან ხარო? — მეკითხება. — ქართველი ვარ-მეთქი, — რომ ვუპასუხე, დამიწყო იმის მტკიცება, რომ ქართველი არ ვარ: — ნუ ქართველობ, ჩვენ, ქართველები, მგლები ვართო! მოდი და ამ ადამიანს კოსმოპოლიტიზმზე, თანასწორობასა და სიყვარულზე ელაპარაკე (*იცინის*)... მსგავსი ადამიანების ინტელექტუალური დონე იმდენად დაბალია, რომ რამდენიც უნდა ვუმტკიცო, სიმართლეს ვერაფრით შევასმენ და ჩემნაირებზე მეტად გავამწარებ. ვიღაცებს ტელევიზორში ბოროტი ზანგი რომ უნახავთ, ყველა ფერადკანიანი მისნაირი ჰგონიათ... თუმცა იმის გამო, რომ ერთმა გაწყენინა, მთელ საზოგადოებაზე განაწყენება დიდი სისულელე იქნება.

**— ამჟამად რას საქმიანობ?**

— ისევ „ბამბა რუმსში" ვმუშაობ. საკმაოდ რთულია კლუბური ცხოვრება, ღამეების თენება ჩემს ჯანმრთელობას ზიანს აყენებს, მაგრამ უკვე შევეჩვიე. უკეთესი იქნებოდა, „ადამიანური გრაფიკის" სამსახური მქონოდა, მაგრამ ყველაფერი ისე ხომ ვერ იქნება, როგორც გვინდა?!

**— წეღან მითხარი, ფორტეპიანოზე დაკვრას ვსწავლობო...**

— დაკარგულ წლებს ვინაზღაურებ და ვცდილობ, სულიერი განვითარებისთვის რაც შეიძლება მეტი განათლება მივიღო. ბევრი რამის სწავლა მსურს, მინდა, ყველაფერი ერთად გავაკეთო, მაგრამ დროის გამონახვა ძალიან მიჭირს. აგერ უკვე მეორე წელია, ინტერვიუ ტრადიციად გვექცა და დარწმუნებული ვარ, გაისადაც შენთვის მოსაყოლი უფრო მეტი მექნება.

**— ხშირად უთქვამთ შენზე — გოგონებს ძალიან მოსწონსო...**

— რა ვიცი, გაიკითხე უბანში (*იღიმის*)... ცუდს არაფერს ვაკეთებ და ალბათ დადებითად იქნებიან განწყობილნი. მოიცა, კარს გავაღებ, გოგონების რიგი ხომ არ დამიდგა?!. აი, არავინაა. ისე, ფანჯრიდან ნაკურთხ წყალს არ ვასხამ: — წადით, არ მომეკაროთ-მეთქი (*იცინის*)! როცა უფრო ცნობილი ხდები, ის ადამიანიც კი გესალმება, რომელსაც 10 წლის განმავლობაში შენთვის არც შემოუხედავს. იგივე შემიძლია ვთქვა გოგონების მიმართაც. როგორც წესი, იმ ადამიანს ვერავინ შეცვლის, რომელიც მაშინ დაგიმეგობრდა, როცა არავინ გიცნობდა და არაფერი გქონდა.

**— წარმატებებს გისურვებ!**

— შენ და ჟურნალ „გზას" მეც წარმატებებს გისურვებთ! ■



# „თუ ზარმაცი ხარ, ვერც ოჯახს გაუძლვები და ვერც კარიერას“

**ნანიკო ხაზარაძეს სად აღარ უმუშავია?!. ორი პროფესიის მქონემ — მხატვარმა და მსახიობმა თითქმის ყველა ქართული ტელეკომპანია „მოიარა“ და არც საქართველოს ფარგლებს გარეთ წასვლა და იქ მუშაობა გასჭირვებია... საინტერესო კარიერის მქონე ნანიკოს „იმედში“, პირდაპირ საგრიმიოროში დავადექი თავს.**



*ელენე ბასილიძე*

**— როცა პროფესიას ირჩევდი, თუ გქონდა წარმოდგენილი, მომავალში რას გააკეთებდი?**

— პროფესიად ტელეწამყვანობა არ ამირჩევია და ტელევიზიაში მუშაობაზეც არასოდეს მიოცნებია, მაგრამ ყველაფერი ისე აეწყო, მივხვდი, რომ აქ უნდა მემუშავა... გამუდმებით ისეთ სამსახურს მთავაზობენ, რომ ეთერში უნდა ვიყო. მახსოვს, სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როცა ჩემი რძლის ძმამ, მიშკა მრევლიშვილმა დამირეკა და მითხრა, — „მეორე არხზე“ ახალ გადაცემას ვაკეთებთ და იქნებ გამოგვადგეო... გავიარე კასტინგი და მეორე დღეს დამირეკეს, — მოდიო. მახსოვს, საშინლად ჩაცმული მივადექი „მეორე არხის“ შენობას და ალმოჩნდა, რომ მაშინვე პირდაპირ ეთერში უნდა დავმჯდარიყავი. ეს გადაცემა მალე დაიხურა და სხვაგან დავიწყე მუშაობა, მერე — სხვაგან და ასე გრძელდება დღემდე.

**— „მეორე არხის“ შემდეგ, პატარა შესვენება გქონდა, არა?**

— კი, იმ დროს დიდუბეში, „მეგატა სტანდარტ ქარხანაში“ ვმუშაობდი, სადაც სარეკლამო განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. რეკლამისთვის დიზაინზე ვმუშაობდი, გავაკეთე წისქვილის დიზაინიც, რომლის გამოც დღემდე დამცინიან ჩემი მეგობრები... ჩემი მოღვაწეობა არც იქ გაგრძელებულა დიდხანს და „პირველ არხზე“ მივედი. იყო ასეთი გადაცემა — „ტერმინალი 72“, რომლიდან წამოსვლის შემდეგაც, „ჯეოსელში“, მერე კი ტელეკომპანია „მაესტროში“ ვმუშაობდი. მერე მოსკოვში წავედი. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ, „რუსთავი 2“-სა და „მაესტროზე“ ვიმუშავე. რადიოში მიმყავდა საავტორო გადაცემა... ეს ჩემი კარიერული სვლის ის საფეხურებია, რომლებიც მახსოვს, და რაც არ მახსოვს, ბევრია, ოღონდ ტელევიზიას არც ერთი არ უკავშირდება.

**— გადაცემა „ტოროლა“, რომელიც შენ და ნიკა ლომიძეს მიგყავდათ, ჩვენთვის სიახლეს წარმოადგენდა...**

— კი, ასე იყო. სხვათა შორის, ძალიან მალე მოვიზიდეთ მაყურებელი. მახსოვს, ენთუზიაზმზე სამუშაოდ მივედით: გვითხრეს, — ასე უცებ ფული ვერ შემოვა, მაყურებლის მოზიდვასაც დრო უნდაო, — მაგრამ ეთერში გასვლის დღიდან ტელევიზიაში იმდენი დაკვეთა შემოვიდა, სულ მალე მაღალი ხელფასები დაგვინიშნეს. მივხვდით, რომ ამ გადაცემით საკმაოდ დიდი საქმე გავაკეთეთ არა მარტო ტელევიზიისთვის, არამედ ჩვენთვისაც და ხალხისთვისაც. რაღაც ახალი შემოვიტანეთ, რამაც ყველა გაახალისა და ძალიან ბევრი ადამიანი გვიყურებდა... სკოლებიდან და ინსტიტუტიდან გვირეკავდნენ და გვთხოვდნენ, — საეთერო დრო მაინც შეცვალეთ, დილით სკოლასა და ინსტიტუტში ალარავინ მოდისო...

**— ამ გადაცემაში რამდენიმე პარტნიორი გამოიცვალე; რომელს გამოარჩევდი?**

— ნიკა ლომიძე იყო პირველი პარტნიორი და ყველაზე უკეთესიც... ვფიქრობდი, რომ ნიკას შემდეგ ძალიან გამიჭირდებოდა ვინმესთან ერთად დუეტში მუშაობა. ამას წინათ, როცა დოდოშკა საზღვარგარეთ მიფრინავდა, არ ვიცოდი, როგორი გამოვიდოდა ჩემი და იას დუეტი, მაგრამ ია ფარულავა ის ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც ყველაზე უკეთ შევეწყვე და უსიტყვოდ მესმის მისი.

**— „მაესტროზე“ რამდენი წელი იმუშავე?**

— დაახლოებით, 2 წელი. მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ, მე და ჩემს მეუღლეს პირდაპირი ეთერი ბავშვთან ერთად მიგვყავდა. ეს მამუკა ღლონტის იდეა იყო: ბავშვისთვის ძიძა არ მყავდა და ეთერში ყოფნისას ხან ვის ეჭირა ლილუ, ხანაც — ვის; ერთ დღესაც მამუკამ მითხრა, — დასვი ბავშვიც ეთერშიო, — და ოჯახური ჩართვები გვქონდა. ლილუსაც ხელფასს უხდიდნენ — ჩემი შვილი 3 თვის იყო, როცა პირველი ხელფასი აიღო...

„მაესტროზე“ პირდაპირ ეთერში მუშაობის დიდი სკოლა გავიარე, გამოვიბრძმედე... ხშირად, ეთერში როცა ვსაუბრობ, პარალელურად ყურში უამრავ რამეს მეუბნებიან და ამ დროს საკმაოდ რთულია მუშაობა. მახსოვს, მამუკა ღლონტი საშინელ-



ბებს მეუბნებოდა ყურში — აინტერესებდა, როდის ჩავიჭრებოდი, მაგრამ არასოდეს შემშლია რამე. მამუკამ საკმაოდ ბევრი რამ მასწავლა — მადლობა მას ამისთვის!

— **ნანიკო, მოსკოვშიც კარიერისთვის წახვედი?**

— მოსკოვში ჩასვლისას ჯერ ოფიციანტად, მერე ტელევიზია ეს-ტე-ესზე დავიწყე მუშაობა, სტრელნიკოვის გადაცემის ჟურნალისტი ვიყავი. საკმაოდ სკანდალური გადაცემა გახლდათ, სულ არასწორი ორიენტაციის ადამიანებზე იყო საუბარი, ხშირად ვიღაცები ეთერში ტიტვლები დარბოდნენ... სტრელნიკოვის იუმორს ვიზიარებდი და მომწონდა, რასაც ვაკეთებდი, მაგრამ რუსეთიდან წამოსვლის შემდეგ ამ გადაცემასაც დაესვა წერტილი.

— **წამოსვლა რატომ გადაწყვიტე?**

— დავორსულდი და საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე. თან ჩამოვიყვანე ჩემი მეუღლე, რომლის ოჯახიც მოსკოვში იყო დაფუძნებული და ფაქტობრივად, ოჯახი დავშალე. არ ვიცი, დღეს ამ გადაწყვეტილებისთვის რამდენად მემადლიერება, მაგრამ წესით, კმაყოფილი უნდა იყოს. ჩამოსვლისთანავე დამირეკეს „რუსთავი 2“-დან და დილის გადაცემის წამყვანობა შემომთავაზეს. მთელი ორსულობის პერიოდი დილის გადაცემაში ვმუშაობდი. მერე კი ისევ „მაესტრომ“ გადამიბირა.

— **როგორც მახსოვს, ჟურნალისტური საქმიანობა რამდენიმე რადიოშიც განაგრძე...**

— კი, რადიოში „უცნობი“ სოციალურ თემაზე მიმყავდა გადაცემა. საკმაოდ აქტუალურ კითხვებზე ვცემდით პასუხს და ბევრი ადამიანიც გვისმენდა. შემდეგ იყო „ნანიკოს შოუ“...

— **შენი გადაცემა ერთ-ერთი პირველი ტოქშოუ იყო, რომელიც საზოგადოებამ აიტაცა...**

— კი, მართალი ხარ. მე არ ვსაუბრობდი ადამიანების პირად ცხოვრებაზე, ჩემს გადაცემაში სოციალური პრობლემები განიხილებოდა. ეს ფორმატი თავად მივიტანე არხზე. მაშინდელმა დირექტორმა, კობა დავარაშვილმა იდეა ძალიან მოიწონა და მის დასახვეწად, მოსკოვიდან გადაცემის — „დომინოს პრინციპი“ პროდიუსერი ოქსანა ნაიჩუკი ჩამოიყვანა. ამ ქალმა იმდენი რამ მასწავლა, შეიძლება, ის ცოდნა ცხოვრების ბოლომდე ვერც გამოვიყენო. ჩემი გადაცემის დახურვა არხის ხელმძღვანელის უზრდელობით იყო გამოწვეული. რამდენად კარგი პირობებიც უნდა მქონოდა, მასთან



ერთად ერთ ჭერქვეშ ვერ ვიმუშავებდი. მერჩივნა, მშიერი ვყოფილიყავი, ვიდრე ვიღაცის უაზრო ხუშტურები ამეტანა. სწორედ ამის შედეგ წავედი რადიო „106“-ში, მას მერე კი „იმედზე“.

— **ხშირად აღნიშნავ, რომ არა ხარ ხალხმრავლობის მოყვარული ადამიანი, მაგრამ ყოველთვის ბევრ ადამიანთან ერთად გიწევს მუშაობა...**

— მართალია, მაგრამ ეს მხოლოდ სამსახურია. სამსახურის შემდეგაც რომ გავაგრძელო მათთან ურთიერთობა — გამორიცხულია! ყოველთვის წყნარ და მშვიდ გარემოში მერჩივნა მუშაობა.

— **შენს ხასიათს კარიერულ წინსვლაში თუ შეუშლია ხელი?**

— კი, როგორ არა?! მაგრამ რაც გამიკეთებია, არაფერს ვნანობ. ყოველთვის ჩემი ხასიათისა და დამოკიდებულების მიხედვით ვიქცევი და დღემდე ასე მოვედი.

— **თუ ყოფილა შემთხვევა, რომ რაღაც მიზეზების გამო უარი გითქვამს მიმზიდველ წინადადებაზე?**

— კი. ჩემთვის ყველაზე მთავარი — დამოკიდებულებაა. თუ ამა თუ იმ ადამიანის დამოკიდებულება არ მომეწონა, იოლად შემიძლია ყველაფერზე უარის თქმა. ჩემთვის ჯერ მნიშვნელოვანია ურთიერთობები და მერე — კარიერა, ფინანსური დაინტერესება და ა.შ.

— **შენს კარიერაში ყველაზე დიდ მიღწევად რას მიიჩნევ?**

— დღემდე, „ტოროლას ეპოქიდან“ ვერ გამოვსულვარ. ყველა ნოსტალგიით იხსენებს იმ გადაცემას და ბევრი რაღაც საერთოსაც პოულობს „დღის შოუსთან“, ეს კი ძალიან მომწონს. დღეს ჩვენს გადაცემაში ერთადერთი „ჩარჩო“ — დროა. არაფერში გვზღუდავენ და ეს დიდი ბედნიერებაა.

— **ხშირად აღნიშნავენ, რომ ქალისთვის კარიერისა და ოჯახის შეთავსება საკმაოდ რთულია...**

— როცა ოჯახი მქონდა, ორივეს მშვენივრად ვუთავსებდი ერთმანეთს. ძიძა არ მყოლია, მაგრამ არაფერი მღლიდა და სულ კარგ ხასიათზე ვიყავი. თუ სურვილი გაქვს, ყველაფრის მოსწრება შეიძლება, მაგრამ თუ ზარმაცი ხარ და ტახტზე წამოგორება ყველაფერს გირჩევნია, ვერც ოჯახს გაუძლევები და ვერც კარიერას. ალბათ მაქვს რაღაც ისეთი, რის გამოც დღემდე მაქვს სამსახური (სამჯერ აკაკუნებს მაგიდაზე...).

— **თუმცა იყო პერიოდი, როცა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ გამოჩენილხარ...**

— კი. როცა „რუსთავი 2“-დან წამოვედი, ძალიან დიდი სტრესი განვიცადე და რეაბილიტაციას საკმაო ხანი მოვანდომე; არსად მუშაობის სურვილი არ მქონდა... რაც შეეხება ჩვენს გადაცემას — „დღის შოუ“, დამირეკეს და მითხრეს, — მოდი, კასტინგიაო... კი ვიფიქრე, — წაიღეს ტვინი ამ შესარჩევი ტურებით; მივალ, გავივლი კასტინგს და მერე არც უარზე დამირეკავენ და არც თანხმობას მეტყვიან-მეთქი, — მაგრამ ისევ დამირეკეს და მითხრეს, — კონტრაქტის გასაფორმებლად მობრძანდითო. აი, ასეთი მოულოდნელობებითაა სავსე ჩემი კარიერა...

— **რას ურჩევდი კარიერის გაკეთების მსურველ ახალგაზრდებს?**

— არ ვფიქრობ, რომ ვარ ადამიანი, რომელმაც შეიძლება, კომპეტენტური რჩევა მისცეს ვინმეს. ისე კი ვიტყვი — უმჯობესი იქნებაა, თუ ჩემნაირ ხასიათს და ამა თუ იმ საკითხისადმი ჩემებურ დამოკიდებულებას არ გამოიჩენენ: ძალიან ფიცხი ვარ და ამ თვისების გამო ბევრ რამეზე მითქვამს უარი.

■

# მგლების მესაიდუმლე ქართველზე ბი-ბი-სი ფილმს გადაიღებს

**„ის, რასაც მოგითხრობთ, ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ამბავს“ — ასე იწყებოდა „გზის“ შარშანდელ №10-ში გამოქვეყნებული სტატია „ნადირობა მგლებთან ერთად და ცხოვრება მტაცებლების გარემოცვაში“. შეგახსენებთ, რომ ამ „ზღაპრის“ მთავარი გმირი, ჩემი რესპონდენტი — იასონ ბადრიძეა — ადამიანი, რომელმაც მტაცებელი ცხოველები მიიჩვია, დაიმეგობრა, 3 თვის მანძილზე ტყეში მგლებთან ერთად იცხოვრა, ინადირა... ბატონი იასონის საქმიანობით ბრიტანული ტელეკომპანია ბი-ბი-სი დაინტერესდა და გაზაფხულიდან მასზე ფილმის გადაღებას აპირებს.**

თამუნა კვინიკაძე

*იასონ ბადრიძე განათლებით ფიზიოლოგია. მან ცხოველთა ქცევის მექანიზმები შეისწავლა. ძაღლები ყოველთვის აინტერესებდა, მაგრამ მათი ქცევების შესწავლა არაპროდუქტიულად მიაჩნდა, ამიტომ არჩევანი მგლებზე შეაჩერა. თავდაპირველად მათ შესახებ ინფორმაცია მოიძია, მერე ტყეში წავიდა. მტაცებლები ნელ-ნელა მიიჩვია. პირველი შეხვედრიდან ერთი თვის შემდეგ მგლებთან ერთად სიარულიც შეძლო. დიდი ინტერესით აკვირდებოდა, როგორ ნადირობდნენ, როგორ იქცეოდნენ, როგორ ზრდიდნენ შვილებს, როგორ ეპყრობოდნენ ერთმანეთს და ა.შ.*



— **ბატონო იასონ, ჩვენი შეხვედრის შემდეგ ტყეში კიდევ ხომ არ ყოფილხართ?**

— არა, ლაბორატორიული საქმიანობით ვარ დაკავებული.

— **მიამბეთ, ბი-ბი-სი როგორ დაგიკავშირდათ?**

— კვიპროსზე არსებობს სტუდია, რომელიც ბი-ბი-სისა და „დისქავერისთვის“ ფილმებს ამზადებს. ამ სტუდიიდან დამიკავშირდნენ და 4-5 თვის წინ საქართველოში ჩამოვიდნენ. ჩემთან ხელშეკრულება გააფორმეს. ახლა ვწერ წიგნს, რომლის მიხედვითაც ფილმს გადაიღებენ.

— **ამის შემდეგ აღარ შეგხმიანებიან?**

— როგორ არა?! მეორედაც ჩამოვიდნენ. ფილმის გადასაღებად რამდენიმე ადგილი მქონდა შერჩეული და ის ადგილები ვუჩვენე. კასპის რაიონში მდებარე ტერიტორია მოეწონათ. 2 ჰექტარი უნდა დავიკავოთ, იქ ვოლიერები დაიდგმება, რომლებშიც მგლის ლეკვები იცხოვრებენ, თან მათზე დაკვირვებას ვაწარმოებთ.

— **ფილმის იდეა რა არის?**

— მათ უნდა უჩვენონ ჩემი სამუშაო — ანუ ტყვეობის პირობებში როგორ უნდა გავზარდოთ ცხოველი ისე, რომ გაშვების შემდეგ ბუნებასთან შეგუება არ გაუჭირდეს. ავხსნი, რატომ ექცევა ამას ყურადღება. მტაცებლებიდან ძალიან ბევრი სახეობა გადაშენების პირასაა. მათი აღდგენა მხოლოდ დაცვით არ ხდება. ერთ-ერთი საშუალება — ტყვეობაში მყოფი ცხოველების ისე გაზრდაა, რომ ბუნებაში გასვლის შემდეგ მათ გარემოსთან ადაპტირება არ გაუჭირდეთ. ხელოვნურად გამოკვებილი ცხოველები ბუნებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზად უნდა იყვნენ.

— **ვოლიერებში ჩასასმელად მაინცდამაინც მგლის ლეკვები რატომ აირჩიეთ?**

— მგელი მტაცებელთა ჯგუფის ცხოველების მოდელური სახეობაა. ყველაზე რთული ცხოველია. ცდა თუ მგელზე გაამართლებს, ნებისმიერ მტაცებელზე გაამართლებს. ამ თემაზე არაერთი ნაშრომი მაქვს გამოქვეყნებული. დღეს გადაშენების პირასაა მისული ჩლიქოსნის არაერთი სახეობაც. მტაცებელმა უნდა იცოდეს, რაზე ინადიროს. მგლის ლეკვის გასაზრდელად მხოლოდ საწოვარას მიცემა საკმარისი არ არის. ამასაც დიდი ცოდნა უნდა. ახალშობილს არც შიმშილის და არც სიმაძღრის შეგრძნება არა აქვს. ცხოველისთვის მნიშვნელოვანია წოვის დროს დედის ძუძუს თათებით მასაჟი. თუ მათ მასაჟის რეაქციის რეალიზების შესაძლებლობა არა აქვთ, ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებლები ხდებიან. არანაკლებ მნიშვნელოვანია საწოვარას ხვრელის ზომაც, ის, თუ რა ინტენსივობით გამოდის რძე. როგორ უნდა გაზარდო და ასწავლო ნადირობა, — ეს მეთოდიკაც შემუშავებული მაქვს. მსხვილ მტაცებლებს, როგორე-

ბიც არიან მგელი, ვეფხვი და ა.შ. არა აქვთ მტაცებლის ინსტინქტი. მტაცებლობას მშობელი აჩვევს. ექსპერიმენტებს რომ ვატარებდი, ცხოველების რამდენიმე ჯგუფი მყავდა. არ ვაძლევდი საშუალებას, მსხვერპლის მოკვლა ესწავლათ. უნდა ნახოთ, შიშისგან პანიკაში როგორ ცვივდებიან, როცა ცხვართან მიიყვან!.. ეს ყველაფერი წიგნში მაქვს მოთხრობილი. მასზე მუშაობას რამდენიმე დღეში ვამთავრებ, დამკვეთებს გავუგზავნი, დაამუშავებენ და რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა.

— **და შემდეგ გადაღება დაიწყება?**

— დიახ. შერჩეული ტერიტორია დასახლებული პუნქტისგან მოშორებით მდებარეობს. კარგი, ლამაზი ადგილია. რაც მთავარია, მისაღები პირობებია სამეცნიერო მუშაობისთვის.

— **ფილმის გადასაღებად ბევრი დრო იქნება საჭირო?**

— 2 წელი დაგვჭირდება. გადაღების პროცესი 1 წელი და 7 თვე გასტანს. დაიდგმება 2 ვოლიერი: ერთის ბინადრების გაზრდა სწორი მეთოდით მოხდება, მეორის — არასწორით, მაყურებლისთვის ყველაფერი თვალსაჩინო რომ გახდეს და შედარების გაკეთება არ გაუჭირდეს. საერთოდ, მგლები 2 კატეგორიად იყოფიან: მტაცებელ ცხოველებზე მონადირეებად და ცხვარზე მონადირეებად. ქცევითი ტრადიცია სწავლის შედეგად მუშავდება. ფილმის გადასაღებად, 6 ან 8 მგლის ლეკვს ავიყვანთ. ძუძუმწოვრებს გარკვეული რაოდენობის სოციალური კონტაქტების რეალიზების მოთხოვნილება აქვთ. როცა ეს კონტაქტი ნაკლები ან მეტია, ამას სტრესი მოჰყვება. ოპტიმალურია, ჯგუფში 4-დან 6 ინდივიდამდე იყოს. 4 საუკეთესო ვარიანტია. სამუშაოდაც ადვილია. ჯგუფში რამდენი ძუ და ხვადიც უნდა იყოს, მხოლოდ ერთი წყვილი მრავლდება: ძლიერები დანარჩენებზე იმდენად დიდ გავლენას ახდენენ, რომ მათ ფიზიოლოგია ეცვლებათ, გამრავლების პერიოდი აღარ აქვთ.

— **მაგრამ ლეკვების გაზრდაში მონაწილეობენ, არა?**

— რა თქმა უნდა. ვოლიერში ექნებათ ბუნაგი, განვითარების ყველა სტადიას ისე გაივლიან, როგორც ბუნებაში ხდება. 2-3 თვის ასაკში იმ ტერიტორიას ითვისებენ, რა ფართობისაც ეს ვოლიერი იქნება; 4 თვის ასაკში უფრო დიდ ტერიტორიაზე გადაჰყავთ, ამ ასაკში მღრღნელებზე ნადირობას სწავლობენ. როცა ტყვეობაში ზრდი, ბუნებრივი პირობების იმიტირება უნდა მოახდინო. თამაშით ბევრ



რამეს სწავლობენ, მგრძნობელობა უვითარდებათ. ამ დროს სწავლობენ, რა დონეზე შეუძლიათ უკბინონ ერთმანეთს ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ. ერთხელ თუ ეტკინა კბენის დროს, თამაშს აუცილებლად წყვეტს. ჭიდაობის დროს ნადირობის ილეთებს სწავლობენ. თამაშის დროს აზროვნება უვითარდებათ. მგელს თუ გამოცდილება არა აქვს და არასდროს მოუკლავს ცხოველი, თაგვიც კი, მის წინ კურდღელი რომ გაუშვა, შეიძლება გაჰყვეს, გააჩეროს. არ იცის, რომ იჭმევა. როგორც კი პირს შეახებს, გულისრევა ეწყება. ბეწვისგან ცუდად ხდება.

— **რაზე ასწავლით ნადირობას — ამას მერე გადაწყვეტთ?**

— დიახ. ირემსა და შველზე ვერ ვასწავლით. 1979-დან 1994 წლამდე ლაგოდეხის ნაკრძალში ვმუშაობდი. 1991 წელს იქ 1480 ირემი იყო, 1994-ში — 80. ახლა მთელ საქართველოში 250 ირემზე მეტი არ იქნება დარჩენილი. მგელი ირმის არვეს (ჯოგს) რომ გაიგდებს, გამოცდილი ირემი ჩერდება, მგელი მასთან არ მიდის.

— **გაქცეულს მისდევს?**

— დიახ, გაქცეულს მისდევს: მისი ინსტინქტია — გაჩერება არ შეუძლია. ფარაში რომ შედის, ცხვრები დარბიან და მათ ყელს იმიტომ ღადრავს. ერთხელ ასეთი შემთხვევაც მოხდა: შემატყობინეს, ფარაში მგელი შევარდა და მოგვეშველეო. მეტი ვერაფერი მოუფიქრებიათ — ფარეხის კარი გამოუკეტავთ და მგელი ცხვართან ერთად დაუტოვებიათ. ეს ფარეხი ჩამოჭრილ ბორცვზე იყო მიდგმული, ფანჯარა ბორცვის მხარეს ჰქონდა. იქ რომ მივედი და კარი გამოვაღე, არანაირი ხმა არ ისმოდა. შევედი და რას ვხედავ — მგელს 40-ივე ცხვარი დაუკლავს, მერე ერთმანეთზე დაულაგებია, მათზე ასულა და ფანჯრიდან გადამხტარა; ხალხი კი კართან დარაჯობდა. შეეშინდათ, თორემ მათ რომ ფარეხის კარი გაეღოთ, ცხვრების მეტი ნაწილი გადარჩებოდა. ყველაზე საშიში და მავნე — მგლისა და ძაღლის ნაჯვარია. მგლისგან განსხვავებით, მას ადამიანის თანდაყოლილი შიში არა აქვს. ადამიანს ნორმალური ფსიქიკის მქონე ყველა ცხოველი გაურბის.

— **ტყეში მგელი რომ შეგხვდეს, თუ არ გაინძრევი, თავს არ დაგესხმება?**

— 3 თვე მათთან მაქვს გატარებული და დღეს ჩემთან ინტერვიუს წერთ...

— **იცნობთ ადამიანს, რომელსაც თქვენ მსგავსად, მგლებთან ერთად უცხოვრია?**

— არა. მსოფლიოში მსგავსი პრეცედენტი ალბათ მომხდარა. არსებობს ფარლი მოუეტის წიგნი „ნუ იყვირებ, მგელი, მგელი“.

— **წიგნზე მუშაობას ასრულებთ. მალე გადამღები ჯგუფიც ჩამოვა. გარდა ამისა, კიდევ რა თემით ხართ დაინტერესებული?**

— ახლა აგრესია მაინტერესებს, როგორც ფენომენი. ამ თემაზე საინტერესო კვლევებია ჩატარებული, მაგრამ პასუხგაუცემელი კითხვები მაინც არსებობს.

— **წარმატებას გისურვებთ!** ■



# სამზარეულოში დაწერილი ფეხბურთის ჰიმნი და ვაჟა აზარაშვილის მუსიკალური გემოვნება

**„დინამოს“ გამარჯვებით გამოწვეული ემოციის გამო, დილის 5 საათამდე ვერ დავიძინე, ადგილს ვერ ვპოულობდი, ბოლოს კი სამზარეულოში ჩავიკეტე და „დინამო, დინამოც“ იქ შეიქმნა“, — იხსენებს 35 წლის წინანდელ ამბავს ვაჟა აზარაშვილი, რომელსაც არაერთი სიმღერით გაუხარებია ქართველი მსმენელი. მის მიერ განვლილი დიდი გზისა და მრავალმხრივი შემოქმედების შესახებ მოთხრობილია შარშან გამოცემულ სოლიდურ გამოცემაში, რომელსაც კომპოზიტორის ნაწარმოებთა ჩანაწერებიანი კომპაქტდისკიც ახლავს.**

*თამთა დადეშელი*

— ჩემი ბავშვობის პერიოდში მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა. 6 წლის ვიყავი, როცა მუსიკალურ სასწავლებელში სიარულზე უარი ვთქვი, რადგან არ ვიცოდი, მამა ცოცხალი იყო თუ მკვდარი და, — რა დროს მუსიკაა-მეთქი?! — ვამბობდი, მაგრამ მოგვიანებით, მეზობლის დაჟინებულმა თხოვნამ იმოქმედა და მუსიკალურ სკოლაში მაინც შევედი, სავიოლინო კლასში ჩავირიცხე. მეოთხე კლასში გახლდით, როცა ორკესტრში ბახის არიასა და მოცარტის „ღამის სერენადას“ ვუკრავდით. როცა ყველა ინსტრუმენტს ერთად მოვუსმინე, საოცარი შეგრძნება დამეუფლა. ორკესტრში ჩელოზე ელდარ ისაკაძე უკრავდა, რომელმაც ერთხელ სიზარმაცისთვის ცოტათი დამტუქსა კიდეც, მაგრამ მერე დავმეგობრდით და ჩემი ნაწარმოები — ჩელოს კონცერტი პირველად სწორედ მან შეასრულა, დიდი წარმატებით ბევრ ქვეყანაშიც დაუკრა. შვიდწლედში ჩემი პედაგოგი ესფირა გორენბურგი იყო. მეშვიდე კლასში რომ ვიყავი, მითხრა, — წელს სასწავლებელს ერთი „მხეცი“ ამთავრებს და ნორმალურად თუ არ იმეცადინებ, „შეგჭამსო“. მე და იმ „მხეცმა“ ვიმეცადინეთ და ორივემ ფრიადი მივიღეთ.



**— „მხეცი“ ვინ იყო?**

— გორენბურგი კონსტანტინე ვარდელს, კვარტეტის პირველ ვიოლინოს გულისხმობდა, რომელიც დღესდღეობით პროფესორია... მერე მეოთხე სამუსიკო სასწავლებელშიც ჩავაბარე, იქაც — ვიოლინოზე. მეორე კურსზე რომ ვიყავი, სასწავლებლის დირექტორმა, ქსენია ჯიქიამ, ბავშვების თხოვნით, ალექსანდრე შავერდაშვილი მოიწვია პედაგოგად. ეს ადამიანი მოსწავლეებს არასდროს ანებივრებდა და თუ იტყოდა, — „ნე პლოხო“-ო, ე.ი. კარგი იყო... როცა სასწავლებელი დავამთავრეთ, მან მე და ნუგზარ ვაწაძეს გვითხრა, — ორივემ საავტორო კონცერტი უნდა „მისცეთო“. მართლაც, კონსერვატორიის მცირე დარბაზში მალე ჩვენი ნაწარმოებები შესრულდა, თითო-თითო განყოფილება დაეთმო ჩვენს შემოქმედებას. მახსოვს, მაშინ რადიოში სოლისტები ჰყავდათ და მომღერალმა ეთერ წვერავამ იოსებ გრიშაშვილის ლექსზე დაწერილი სიმღერა — „რა კარგი ხარ“ შეასრულა, ჩვენმა გუნდმა კი — ილია ჭავჭავაძის ლექსზე დაწერილი „იავნანა“; ამის შემდეგ გზა გაგვეხსნა, უკვე ყველა გვცნობდა.



მამა-შვილი

**— მეუღლე — ქალბატონი მანანა დანგაძე სად გაიცანით?**

— ერთ ოჯახში გავიცანი და ერთმანეთს გავუგეთ, დავახლოვდით. ლექსებს წერდა და როცა ბევრი დაუგროვდა, მშვენიერი კრებულიც გამოუშვა. მის ლექსებზე არა მარტო მე, არამედ სხვა კომპოზიტორებიც წერენ სიმღერებს. მაგალითად: ნუნუ დუღაშვილი, მარიკა კვალიაშვილი, გიორგი ჩლაიძე, შალვა დავითაშვილი და ა.შ. რაც შეეხება ჩემს შვილს, ნათიამ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, მერე კონსერვატორია — საფორტეპიანო განხრით, მოგვიანებით კი ასპირანტურა — საკონცერტმაისტერო. ახლა დოქტორანტურაში აბარებს, რადგან სურს, კონსერვატორიაში გააგრძელოს საქმიანობა. მისი ქალიშვილი, თეკლაც უკრავს, ვაჟი კი ჯერჯერობით პატარაა. შვილიშვილები — ჩემი ცხოვრების სტიმულია. სხვათა შორის, თეკლას საფორტეპიანო ციკლი მივუძღვენი, „ოთხ ხელში“, რომელსაც „ცირკში“ ჰქვია...

**— რა შეგრძნება გეუფლებათ, როცა თქვენს სიმღერებს ახალგაზრდა თაობები მღერიან?**

— ძალიან გამიხარდა, რომ ახლახან ერთ-ერთ პროექტში ჩემი სიმღერები შეასრულეს. როცა სიკეთეს მიკეთებენ, ამას ვხედავ და მადლობელი ვარ. თბილისის მერია და კულტურის სამსახური წიგნის გამოცემისას მხარში რომ ამომიდგა, არა მარტო ფულადი, არამედ მორალური თვალსაზრისითაც, ესეც დავინახე და ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი გიგი უგულავას, მამუკა ქაცარავასა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ამ საქმეში

რაიმე წვლილი მიუძღვის.

**— თქვენს ცხოვრებაზე საუბრისას, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პერიოდი, როდესაც კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ბრძანდებოდით...**

— როცა თავმჯდომარე ვიყავი, მაინცდამაინც მაშინ მოინდომეს შემოქმედებითი კავშირების დაშლა, მე კი მის შესანარჩუნებლად თავგამოდებით ვიბრძოდი. 10 წლის განმავლობაში ბევრი სიძნელე გამოვიარე. ხელოვანებს მატერიალურად ძალიან გვიჭირს. კიდევ კარგი, რომ მეცენატები არსებობენ.

**— დღეს თითქმის ყველა კომპოზიტორი სიმღერისთვის ჰონორარს იღებს...**

— აი, მე კი ფულს არავის ვართმევ. ხშირად მსაყვედურობენ, — საესტრადო სიმღერებს იშვიათად წერო. საქმე ისაა, რომ ახალი სიმღერის ჩასაწერად დიდი თანხაა საჭირო, თანაც — ზოგიერთ საესტრადო მომღერალს ჩაწერაზე დევნა სჭირდება, მე კი არც ამის დრო მაქვს და არც — სურვილი. აი, როცა კამერულ და სიმფონიურ მუსიკას ვწერ, უკვე ვიცი, როდის რა შესრულდება: ორკესტრები თავიანთ ვალდებულებას ყოველთვის პირნათლად ასრულებენ.

**— როგორც ვიცი, ბევრი სიმღერა ექსპრომტად დაწერეთ, მათ შორის, ძალიან პოპულარული — „დინამო, დინამო". როგორ დაიწერა ფეხბურთის ჰიმნი?**

— 1976 წელს პირველად მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის თასი და ეს სიმღერა ამ გამარჯვებას მივუძღვენი. „დინამოს" გამარჯვებით გამოწვეული ემოციის გამო, დილის 5 საათამდე ვერ დავიძინე, ადგილს ვერ ვპოულობდი, ბოლოს კი სამზარეულოში ჩავიკეტე და „დინამო, დინამოც" იქ შეიქმნა. მეორე დღეს მორის ფოცხიშვილთან მივედი, რომელმაც მუსიკას ტექსტი ოპერატიულად მოარგო და რამდენიმე დღის შემდეგ ანსამბლმა „ივერიამ" სიმღერა ჩაწერა (მისი არანჟირება ალექსანდრე ბასილაიას ეკუთვნის)...

ერთ ამბავს გავიხსენებ: მეგობართან, მწერალ მამია ჩორგოლაშვილთან სტუმრად ვიყავით მისული. სადილობის შემდეგ მან სოხუმზე დაწერილი ლექსი მიჩვენა — „სოხუმი კი ისევ გულში გვიხუტებს", რომელიც ძალიან მომეწონა (ამ დროს სოხუმი უკვე დაკარგული გვქონდა). შევედი ოთახში, სადაც ფორტეპიანო იდგა, ჩავიკეტე და დავწერე მუსიკა, რომელიც მე და მერაბ დონაძემ მერე ბევრ კონცერტზე შევასრულეთ... მუსკომედიის თეატრის წამყვან მსახიობთან, ნოდარ პიპინაშვილთანაც ვმეგობრობდი. ბიძამისმა, რომელიც ევპატორიაში ცხოვრობდა, თავისთან მიგვიწვია და მთელი კვირა ქართულად გაგვიმასპინძლდა. უკან რომ ვბრუნდებოდით, გზაში სულ მისი ნამღერი ძველთბილისური, ქალაქური სიმღერები მახსენდებოდა და მანქანაში ახალი ნაწარმოები — „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება" შევქმენი, რომელზეც მოგვიანებით პეტრე გრუზინსკიმ ლექსი დაწერა, ხოლო პირველად ნანი ბრეგვაძემ და „ორერამ" შეასრულეს... შრომა ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. ვწერ ნაწარმოებებს, რომელთაც შემდეგ დაბინავება, პატრონობა და შესრულება სჭირდება. ხდება ისე, რომ ჯერ მუსიკას ვქმნი და პოეტი მერე წერს ლექსს. მაგრამ ეს ყველას როდი შეუძლია, ამას მორის ფოცხიშვილი და პეტრე გრუზინსკი აკეთებდნენ ბრწყინვალედ, ამჟამად კი ამ საქმეს პოეტ ნანა ცინცაძეს ვანდობ...



**ნათია აზარაშვილი მამის ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია**

**— ამჟამად რა ჟანრის ნაწარმოებზე მუშაობთ?**

— ახლა მესამე სიმფონიაზე ვმუშაობ, დიდი ორკესტრისთვის. მართალია, ის ორჯერ უკვე „გავაშალაშინე" და ფაქტობრივად, მასზე მუშაობა დამთავრებულია, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გადავხედო: ყოველ ჯერზე რაღაც ნაკლს ვამჩნევ და ვცვლი.

**— საინტერესოა, რომელი ჟანრის სიმღერებს უსმენთ ხოლმე?**

— 50-60-იანი წლების მუსიკა მომწონს, ამერიკული ბიგბენდი, ჰაილოუსის კვარტეტი; თანამედროვეც — მერაია ქერი, უიტნი ჰიუსტონი, ბარბრა სტრეიზანდი და სხვები... სამწუხაროდ, ბოლო დროს ტელევიზიითა და რადიოთი ქართული ნაწარმოებები ნაკლებად ჟღერს და შესაბამისად, ახალგაზრდობა ისე არ გვიცნობს, როგორც საჭიროა. ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს!

**— ვის ეკუთვნის თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წიგნის გამოცემის იდეა?**

— ეს იდეა ჩემს ძველ მეგობარს, ჟურნალისტ დემიკო ლოლაძეს ეკუთვნის, რომელიც უმთავრესად სპორტზე, ფეხბურთზე წერს. ის რამდენიმე წლის განმავლობაში მთხოვდა, — მოდი, წიგნი გამოვუშვათო, მე კი სასტიკ უარზე ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც დამითანხმა. ამ წიგნში ასახულია ჩემი შემოქმედებითი გზა, არის საინტერესო მოგონებები, ცნობილი ადამიანების შთაბეჭდილებები ჩემს შემოქმედებაზე და ა.შ.

■



**თეკლა გოგსაძე, მანანა დანგაძე და ნათია აზარაშვილი**

# გოგონას მოხიბვლის საბედისწერო მცდელობა და თანაგრძნობით დაწყებული დიდი სიყვარულის ამბავი

**ზურა ბარამიძემ 24 წლის ასაკში ისეთი ტრავმა მიიღო, რომელმაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ექიმების ვარაუდით, აქტიური ცხოვრების წესს საბოლოოდ უნდა დამშვიდობებოდა. მაგრამ ზურას იმედი არ დაუკარგავს. მას ნელ-ნელა მეტყველების უნარიც დაუბრუნდა, სიარულიც შეძლო... დღეს მისთვის, აუზში კილომეტრნახევრიანი მანძილის გაცურვა დღის რეჟიმის აუცილებელი ნაწილია. ზურას ცოლ-შვილიც ჰყავს. მასა და ნინო თორაძეს უკვე 17 წელია, რაც ოჯახი აქვთ შექმნილი.**

**...შეყვარებულებს ორ კვირაში ერთხელ იცვლიდა. გოგონების მოსახიბლავად, თავს არ ზოგავდა. სუსტი სქესის წარმომადგენლებს საკუთარი საქციელით ყოველთვის აოცებდა. ის საბედისწერო შემთხვევაც გოგონას მოხიბვლის მცდელობის გამო მოხდა...**



ეთო ყორღანაშვილი

**ნინო:**

— მეგობრის დაბადების დღეზე გახლდათ, სადაც ის გოგონაც იმყოფებოდა, რომელსაც ზურა „ეპრანჭებოდა“. გოგონასათვის თავის მოწონების მიზნით, მან მეორე სართულის აივნიდან ტრიუკის გაკეთება მოინდომა (კარატისტი გახლდათ), მაგრამ ნასვამი იყო და პირდაპირ თავით დაეცა.

**ზურა:**

— თავის დარტყმის შემდეგ, დაბადების დღეზე ავბრუნდი და თამადობა განვაგრძე. სახლში მისულმა ვნახე, რომ თვალთან სილურჯე მქონდა. დავწექი და დავიძინე. საშინელმა თავის ტკივილმა გამაღვიძა. „სასწრაფო“ გამოვიძახე. თურმე ტვინში სისხლჩაქცევა მიმდინარეობდა, მაგრამ ექიმმა თვალებში რომ ჩამხედა, თქვა: ახლა ამისთვის ყველაზე კარგი წამალი ძილიაო. პრინციპში, იმ ექიმმა დამღუპა: დავიძინე და დილით ველარ გავიღვიძე — კომაში ჩავვარდი... 3 თვე გონზე არ მოვსულვარ. 2 ოპერაცია გამიკეთეს. როცა გონზე მოვედი, ექიმებმა ჩემს მშობლებს უთხრეს: შინ წადით, დაიძინეთ, თქვენს შვილს ჩვენ მივხედავთო. მეორე დღეს ექიმები ჩემს მშობლებს თავჩაღუნულები დახვდნენ: ღამით ქარი ამოვარდა, ფანჯარა შემოანგრია, ფანჯარა სისხლის გადასხმის აპარატს მოხვდა (რომელიც ჩემს თავს ზემოთ იდგა) და აპარატი თავზე დამეცა. 8 ნაკერი დამადეს. მაინც გადავრჩი. მშობლებმა საავადმყოფოდან გამომიყვანეს, ოღონდ — როგორც „ცოცხალი მკვდარი“: ხმა არ მქონდა, ვერ დავდიოდი... მერე მკურნალობა დავიწყე. ყელზე მასაჟების შედეგად, ექიმმა ხმა ამომაღებინა. შემდეგ ხელფეხის ვარჯიშებიც დავიწყე. მერე ამერიკაში გავემგზავრე, სადაც ურთულესი ოპერაცია გამიკეთეს. ეს ოპერაცია 100.000 დოლარი დაჯდა.

**ნინო:**

— ოპერაციის გაკეთების საშუალება ზურას არ ჰქონდა. ერთხელ მის ოჯახს ამერიკიდან დელეგაცია ესტუმრა. თურმე ერთ-ერთ კაცს (დელეგაციის წევრს) ავტოავარიის შედეგად დაღუპული ჰყავდა შვილი, რომელიც ძალიან ჰგავდა ზურას... ზურას გარდაუვალი სიკვდილი ელოდა — ტვინის კანთან შეხორცება მიმდინარეობდა. ამერიკელმა მისი მდგომარეობა გულთან ახლოს მიიტანა და ფაქტობრივად, სიცოცხლე აჩუქა: ამერიკაში გამგზავრებისა და ოპერაციის ხარჯები საკუთარ თავზე აიღო. მას შემდეგ ერთმანეთს ეკონტაქტებიან...

**ზურა:**

— ამერიკიდან რომ დავბრუნდი, ჩემმა ძმამ ინგლისელი გოგონა შეირთო ცოლად. მის მშობლებს საფრანგეთში მამული და საგვარეულო ციხესიმაგრე აქვთ. იქ გახლდით სტუმრად. საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ, დედაჩემი ჩინეთის საელჩოში მივიდა...

**ნინო:**

— მართალია, შვილები ყველა დედას უყვარს, მაგრამ დედამისს შვილების გამო, შეუძლია, სამყარო „გვერდზე გადადგას“!.. არ ვიცი, ელჩს შვილის მდგომარეობა როგორ აუხსნა, რომ გული მოულბო; გულაჩუყებულმა ელჩმა ჩინეთში, რეაბილიტაციის ცენტრში ზურას ჩაყვანა იკისრა.

— **ჩინეთში გამგზავრება ვინ გირჩიათ?**

— ზურას მონაცემები მსოფლიოს წამყვან კლინიკებში იყო გაგზავნილი. ყველა საჭირო ოპერაცია უკვე ჩატარებული ჰქონდა. მისი გამოჯანმრთელება უკვე მასაჟებზე იყო დამოკიდებული. ცოლად რომ გავყევი, მისი საუბარი თითქმის არ მესმოდა. დაოჯახებიდან პირველი 3 წელი ზურას ალაპარაკებას მოვანდომე. 3 წლის განმავლობაში იმ ამბებს ვაყოლებდი, რაც 24 წლის ასაკამდე გადახდა თავს. ყველა ამბავი ასე იწყებოდა: „ჰოდა, შემიყვარდა ერთი ქალი“... ბოლოს დავთვალე და აღმოჩნდა, რომ 24 წლამდე 64 ქალის სიყვარული მოასწრო (*იცინის*)...

— **ერთმანეთი როგორ გაიცანით?**

— ზურას სკოლიდან ვიცნობდი. ვაკეში ყველაზე მაგარ ბიჭად მიიჩნეოდა. საერთოდ, ძმები „ბარამუშკები“ (ზურა და მისი ძმები) ძალიან „ქუხდნენ“. უნივერსიტეტში (ორივეს ისტორიული ფაკულტეტი გვაქვს დამთავრებული) ზურა ჩემზე ერთი კურსით წინ იყო. მამაჩემი და მამამისი უნივერსიტეტში ერთად მუშაობდნენ. მე უფრო ზურას ძმასთან — გიორგისთან ვმეგობრობდი. უნივერსიტეტში სწავლა რომ დავასრულე, მაშინ შევიტყვე, რომ ზურამ ტრავმა მიიღო. უი, საბრალო-მეთქი! — მხოლოდ ეს ვთქვი, რადგან მას კარგად არ ვიცნობდი, ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ სალმით შემოიფარგლებოდა. დაახლოებით 5 წლის შემდეგ, ზურას დეიდაშვილი — ნინო საყვარელიძე ჩემი მეზობელი გახდა. დავმეგობრდით. ერთხელ შემთხვევით ახსენა, რომ ზურას დეიდაშვილია. მისგან შევიტყვე, რომ თავისი მდგო-

მარეობის გამო დაკომპლექსდა და ხანდახან ქუჩაში სეირნობდა. რატომღაც თავი ვალდებულად მივიჩნიე, რომ პირადად მომეკითხა. ასეც მოვიქეცი და ტელეფონით დავურეკე... იმ პერიოდში ზურა ინგლისში გაემგზავრა. მითხრა: რომ ჩამოვალ, გთხოვ, დამირეკეო. დავურეკე. მთხოვა, ჩემთან მოდიო. აინტერესებდა, ვინ ვიყავი. რომ დამინახა, გამიხსენა, რადგან უნივერსიტეტში „ზოლუშკას“ მეძახდნენ — ზღაპრებს ვწერდი... ვისაუბრეთ, ჩაი დავლიეთ, ნინა დეიდა (ახლა უკვე ჩემი დედამთილი) გამიმასპინძლდა. წასვლისას ზურამ მკითხა: ჩემთან კიდევ მოხვალო? — კი-მეთქი, — ვუპასუხე. თავი უხერხულად ვიგრძენი. მივიჩნიე, რომ უნდა მომენახულებინა. დღე პირდაპირ დამითქვა — ზეგ მოდიო! მივედი, ვაკის პარკთან გავასეირნე.

— **მაშინ სიარული ძალიან უჭირდა?**

— კი, ძალიან: ვაკის პარკამდე მისვლას 4 საათი მოვანდომეთ, ერთი იმდენი დრო — უკან დაბრუნებას. მას შემდეგ, ზურას ხშირად ვსტუმრობდი, ვასეირნებდი, ზღაპრებს ვუყვებოდი... თავად ჩუმად იყო, ძირითადად, მე ვლაქლაქებდი. წარმოიდგინეთ, პირველად ზურასთან 28 მარტს მივედი, 25 აპრილს კი უეცრად მითხრა: შეგიძლია, ჩემი ცოლი გახდეო? ისე ცუდად გავხდი, რომ 5 წუთით ლამის სუნთქვაშეკრული ვიჯექი და ვფიქრობდი: ახლა რა უნდა ვქნა-მეთქი? უცებ მივხვდი, რომ ამ ადამიანისთვის გულის ტკენა არ შემეძლო და ცოლობაზე დავთანხმდი. ლამის გაგიჟდა: ხელი მტაცა, — ახლავე წამოდი, დედაჩემს უნდა ვუთხრათო!.. შეიძლება ითქვას, რომ ცოლად „სპონტანურად“ გავყევი.

— **სიყვარული?**

— 17 წელია, ზურას ცოლი ვარ და ჩემი ნაბიჯი არასოდეს მინანია. თავდაპირველად, მართლა არ მიყვარდა — მის მიმართ ჩემი გრძნობა ალბათ თანაგრძნობა უფრო იყო. ახლა ისე მიყვარს, რომ ცოლობა თავიდან რომ შემომთავაზოს, ხელმეორედ გავყვები (*იცინის*).

**ზურა:**

— ჩემი ცოლი მეც გაგიჟებით მიყვარს. 17 წელია, გვერდით მიდგას.

**ნინო:**

— შვილზე მეტი ამაგი ზურაზე მაქვს გაწეული. ზურა სულიერად იმდენად ძლიერი, ვაჟკაცურია, რომ ბევრ ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანს მირჩევნია. სულით ნამდვილი მამაკაცი, საოცრად ოპტიმისტი ადამიანია.

**ზურა:**

— წარმოიდგინეთ, დღეში კილომეტრ-ნახევარს ვცურავ, ვმუშაობ, ცოლშვილი მყავს კაცს, რომელსაც ექიმები დამჯდარ მდგომარეობაში მთელი სიცოცხლის გატარებას მიწინასწარმეტყველებდნენ.

— **სასოწარკვეთილებას არასოდეს შეუპყრიხართ?**

— არასოდეს! ყოველთვის მწამდა, რომ ფეხზე დადგომას, ოჯახის შექმნას, მუშაობას შევძლებდი. ღვთის წყალობით, ეს მართლაც შევძელი. მადლიერი ვარ მამა ელიზბარის, რომელიც ტრავმის მიღების დღიდან მხარში მიდგას.

**ნინო:**

— ზურა ძალიან მორწმუნე გახდა. წინათ ასეთი არ იყო — ამპარტავანი გახლდათ, ახლა კი ძალიან კარგი ადამიანია. ქაშუეთის ეკლესიის მრევლია. ყოველდღე ლოცულობს.

— **ზურა, სად მუშაობთ?**

— სამთო-სათხილამურო ფედერაციაში. საიტზე ქართულენოვან სტატიებს ინგლისურ ენაზე ვთარგმნი.

— **ინგლისური ენა სად ისწავლეთ?**

— 5 წელი მე და ჩემი ოჯახი ამერიკაში ვცხოვრობდით. მამაჩემი გაეროში მუშაობდა. მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის პერიოდში ამერიკასთან „რკინის ფარდა“ გვყოფდა. ჩვენი ოჯახი პირველი გახლდათ, რომელმაც საქართველოდან ამერიკაში წასვლა მოახერხა. ინგლისური იქ ვისწავლე.

— **კარატეც?**

— დიახ. კარატეს დაუფლება საოცრად მინდოდა. ამერიკაში კარატეს სკოლაში სიარული ახალი დაწყებული მქონდა... მაშინ თეთრი ქამრის მფლობელი ვიყავი. მე და ერთი ამერიკელი (რომელსაც ყავისფერი ქამარი ჰქონდა) სკოლაში გახლდით. ჩვენი მასწავლებელი 40 წლის ქალი იყო, რომელსაც სხეული საშინლად დამახინჯებული ჰქონდა: ძვლის მოტეხილობების ექიმის დახმარების გარეშე მორჩენა სცადა და ამის შედეგად, სხეულზე ღრმულები დარჩა... მოკლედ, ჩვენი მასწავლებელი ილეთებს ასრულებდა, როცა „ბაიკერები“ („ძველი ბიჭები“) თავიანთი ქალებითურთ, სკოლაში შემოცვივდნენ. წინ ორმეტრიანი (სავარაუდოდ, გერმანელი) ბიჭი მოუძღოდა, რომელმაც ჩვენს მასწავლებელს გამასხარავება დაუწყო. ქალმა მშვიდად სთხოვა, — ჩემი სკოლა დატოვეთო. სიტუაცია იძაბებოდა. „ყავისფერმა ქამარმა“ კედლიდან ხმალი ჩამოხსნა. ვიფიქრე, რა შარში ვყოფ თავს-მეთქი?! კრიმინალში ოდნავ შემჩნეული რომ ვყოფილიყავი, დეპორტაცია არ ამცდებოდა. ახმახ გერმანელთან ჩვენი მასწავლებელი მეორედ მივიდა, უთხრა, — ხომ გთხოვეთ, სკოლა დატოვეთო? ეტყობა, ახმახმა იფიქრა, მასწავლებელს ხელით ავწევო და ქეჩოში სწვდა. ვერც დავინახეთ, ქალმა რა ილეთი ჩაატარა. სამაგიეროდ, ის დავინახეთ, ორმეტრიანი კაცი ჰაერში როგორ „აიწია“, გასწორდა, დაბლა დაეცა და პირიდან სისხლი წასკდა. დანარჩენები ერთმანეთის ზურგს ეფარებოდნენ და სკოლიდან ისე „გალაგდნენ“. ქალმა (ვითომ საგანგაშო არაფერი მომხდარა) „სასწრაფო“ გამოიძახა და ახმახი ექიმებს საავადმყოფოში გააყოლა (*იცინის*)... საქართველოში რომ ჩამოვედი, აქ კარატე დაწყებით ფაზაში იყო. ჩემი სკოლა გავხსენი, რომელიც საქართველოში კარატეს ერთ-ერთი პირველი სკოლა გახლდათ. 30-მდე მოსწავლე მყავდა.

— **საქართველოში რა ასაკში დაბრუნდით?**

— 16 წლის ვიყავი, რადგან ამერიკაში საბჭოთა საელჩოსთან არსებულ სკოლაში ვსწავლობდი, სადაც სულ 8 კლასი იყო... უნივერსიტეტში ისტორიული ფაკულტეტი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე, 1 წლის შემდეგ კი ტრავმა მივიღე.

— **თქვენმა მეუღლემ აღნიშნა, რომ თქვენს სასიყვარულო თავგადასავლებს გაყოლებდათ. იქნებ, ყველაზე გამორჩეული ამბავი ჩვენს მკითხველებსაც გაანდოთ?**

**ნინო:**

— ინგა დოდელია (რომელიც სამწუხაროდ, გარდაიცვალა) ულამაზესი გოგონა იყო. სამედიცინოზე სარატოვში სწავლობდა. 8 მარტს ზურამ 1 ვედრო იებით სარატოვში ჩააკითხა. ეს როგორ მოხდა, ჯობს, ზურამ გიამბოთ, რადგან მის მსგავსად ვერავინ ჰყვება...

**ზურა:**

— მე და ის გოგონა შეყვარებულები ვიყავით. მინდოდა, მისთვის სიურპრიზი გამეკეთებინა. მე და ჩემი 2 მეგობარი აეროპორტში რომ





მივედით, შესასვლელთან ბევრი ხალხი დაგვხვდა. ვიფიქრეთ, რომ ეს ხალხიც გამგზავრებას აპირებდა და გადავწყვიტეთ, როცა გაივლიდნენ, ჩვენ მერე შევსულიყავით. ვიდრე ხალხის გასვლას ველოდით (რომლებიც თურმე მგზავრების დასახვედრად მოსულიყვნენ), ჩვენი თვითმფრინავი გაფრინდა. სოკოლოვს (მეგობარს, რომელმაც მირჩია, ხალხის გასვლამდე მოვიცადოთო) ყელში ვწვდი. მითხრა: დაწყნარდი, სარატოვში მე წაგიყვანო. რკინიგზის სადგურზე გავვარდით. სოკოლოვმა როსტოვის მატარებელში აგვიყვანა და დამამშვიდა: ფაქტობრივად, ერთი ფეხი როსტოვში გვაქვს, მეორე — სარატოვის მატარებელშიო. როსტოვში რომ ჩავედით, გაირკვა, რომ თურმე სარატოვის მატარებელი კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით დადიოდა. ის დღე პარასკევი იყო... აეროპორტში გავვარდით, სადაც ასეთი სცენა გავითამაშეთ: მე მივრბოდი და ვყვიროდი, — „უ მენია სესტრა უმერლა ვ ავარიი!“ სოკოლოვი უკან მომდევდა და „მამშვიდებდა“. ბილეთების ასაღებად მისულებმა, მოლარეს ისეთი რამ ვუამბეთ, რომ ქალმა გვითხრა: თქვენი არაფერი მინდა, მხოლოდ პასპორტები მომეცით, ხვალვე გაგამგზავრებთო. მეორე დილით 6 საათზე გავფრინდით, მაგრამ როსტოვის აეროპორტში გატარებული ღამე არასოდეს დამავიწყდება: სულ მეგონა, თვითმფრინავი გვასწრებდა... საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა — სარატოვში ჩემი შეყვარებული ჩემმა მიძღვნილმა იებმა ძალიან გააოცა.

— **გოგონებს ასეთი სიურპრიზებით ხშირად ანებივრებდით?**

— საკმაოდ. 15 წლის გოგონა შემიყვარდა. ყოველკვირა სახლში ჩემი მეგობრის ძმის ხელით 15 ვარდს ვუგზავნიდი. 16 წლის რომ გახდა, მე და ჩემი ძმაკაცი გამოვიპრანჭეთ და ამჯერად 16 ვარდი ვუყიდეთ: ვარდები ჩვენი „სავიზიტო ბარათი“ გახლდათ, რომლითაც გოგონა მიხვდებოდა, რომ ერთი თვის განმავლობაში ყოველკვირა 15 ვარდს მე ვუგზავნიდი. მის ბინასთან მივედით და კარზე ზარი დავრეკეთ. კარი ვიღაც პუტკუნა გოგომ გაგვიღო. — ეს თამრიკოს გადაეცითმეთქი, — და ვარდები მივაწოდე. — რომელ თამრიკოსო? — გვკითხა. გვარი დავუსახელე. — თამრიკო ზემოთ ცხოვრობსო, — მიპასუხა... გაირკვა, რომ ყოველკვირა ვარდებს სწორედ ამ პუტკუნა გოგონას ვუგზავნიდით (*იღიმის*).

**ნინო:**

— ზურა ცნობილი „მომტაცებელი“ გახლდათ. ბაბუამისს „ზაპოროჟეცი“ ჰყავდა. ძმაკაცების საცოლეებს სწორედ ამ „ზაპოროჟეცით“ იტაცებდა.

**ზურა:**

— „6464გგგ“ — ეს „ზაპოროჟეცი“ ბაბუაჩემმა „გამომიყვანა“, როგორც ომის ვეტერანმა...

**ნინო:**

— ვაკისა და ვერის „საუკეთესო“ ბიჭები ინვალიდისნიშნიანი „ზაპოროჟეცით“ დადიოდნენ ხოლმე (*იცინის*). ზურას მეგობარი გოგონა ჰყავდა, რომლის ოჯახისთვისაც ჩემი მეუღლე ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ. ერთხელ ზურას ძმაკაცმა შესჩივლა: ეს გოგო მიყვარსო. ზურამ უთხრა: არ გრცხვენია, ძმაო? რა პრობლემაა, მოვიტაცოთო! ერთ მშვენიერ დღეს ზურამ გოგონას შინ მიაკითხა, — ინსტიტუტში წაგიყვანო. გოგონას ოჯახს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია — ზურა ხომ მათთვის სანდო ადამიანი იყო!.. მანქანით გარკვეული მანძილი რომ გაიარეს, გზაზე ზურას ძმაკაცმა ხელი დაუქნია... გოგონა „ზაპოროჟეცის“ უკანა სავარძელზე დასვეს — რათა ვერსად გადამხტარიყო. მცხეთას რომ გასცდნენ, გოგონა საქმის ვითარებას მიხვდა და იკითხა: რომელი მიტაცებთო? უპასუხეს... მოულოდნელად, მანქანა გზაზე ინსპექტორმა გააჩერა. ზურამ დიდ „ბაზარს“ თავი დაანება, 25-მანეთიანი ამოიღო და ინსპექტორს უთხრა: ძმაო, კარგ გზაზე ვდგავარ, ცოლი მომყავს, დამლოცე და გამიშვი, ნუ გამაჩერებო. უეცრად დაინახა, რომ ინსპექტორი „გაშტერდა“...

**ზურა:**

— მის მზერას თვალი გავაყოლე და რას ვხედავ?! მანქანაში ჩემი ძმაკაცი გოგონას ტუჩებში არ კოცნის?!

**ნინო:**

— ინსპექტორი შეშლილი სახით იდგა — შენ ახლა ცოლი მოგყავსო?! ზურა უკან ხომ აღარ დაიხევდა, არა?! ამიტომ უპასუხა: — კი, მე მომყავსო! — აბა, ის ვინაა, გოგონას რომ კოცნისო? — ეგ ჩემი მეგობარია, გოგონა აღელვებულია და ძმაკაცი ამშვიდებსო! ინსპექტორი საერთოდ „გაგიჟდა“ — სახე „შეერყა“, 5-წამიანი პაუზის შემდეგ კი ჰკითხა: უკაცრავად, თქვენ ვაკელები ხომ არ ხართო?.. აგაშენა ღმერთმა, გამოსავალი იპოვაო, — იფიქრა ზურამ და დაუდასტურა: — ვაკელი ვარ, ვაკელიო! ინსპექტორმა ფული უკან დაუბრუნა: — არ მინდა, შენი უბედურება გეყოფა, წადიო (*იცინიან*)...

— **ზურა, ამჟამად როგორია თქვენი დღის რეჟიმი?**

— დილას კომპიუტერთან ვატარებ, მერე სამსახურში მივდივარ, მერე — ცურვაზე...

— **ცურვას როგორ ახერხებთ?**

— ლასტებისა და დაფის დახმარებით. 25-მეტრიან აუზში 40 წრეს ვაკეთებ. აუზით უფასოდ ვსარგებლობ, რაც სამთო-სათხილამურო ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დამსახურებაა; მეორე ხელმძღვანელმა კი სამსახური დამაწყებინა.

— **თქვენს შვილზეც გვიამბეთ, როგორი ბავშვია?**

— პრობლემების შემდეგ (ჩემს მეუღლეს ორჯერ მოეშალა მუცელი, შემდეგ კი საშვილოსნოს გარე ორსულობა ჰქონდა), ჩემი და ნინოს თანაცხოვრების 10 წლისთავზე ღმერთმა მარიამი გვაჩუქა. ჯერ პატარა შვილი გვყავს. საოცარი ბავშვია. ძალიან მგავს — „დაქსეროქსებული“ ზურაა, პატარაობისას (*იღიმის*). ხასიათითაც მგავს. 3 თვეა, რაც კარატეზე დადის. უკვე ნარინჯისფერი ქამრის მფლობელია...

**ნინო:**

— ყველა ადამიანს, ვისაც ისეთი განსაცდელი შეემთხვა, როგორიც ჩემს მეუღლეს, ვურჩევ: ფარ-ხმალი არ დაყაროს და ღვთის წყალობის იმედი არასოდეს დაკარგოს. ისეთივე ძლიერები იყვნენ, როგორიც ზურაა. მან ის შეძლო, რაც ძალიან ცოტას შეუძლია. ეს ღვთის რწმენამ და ძლიერმა, ვაჟკაცურმა სულმა შეაძლებინა. ადვილია, სუსტები იყოთ — ყველა გაგამართლებთ, მაგრამ სუსტები ნუ იქნებით, იოლ გზას ნუ აირჩევთ!..

■

# ამღერებულ-ატირებული ქართველი ემიგრანტები და გასტროლისას „დაბადებული“ სიმღერა

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალბათ აღარავის ეგონა, საკუთარი მიწიდან გახიზვნა-გადახვეწა კვლავ თუ მოუწევდა ათასობით ქართველს. 90-იან წლებში უცხოეთში არალეგალურად თუ ლეგალურად გაქცეულების ნაწილი ვერაფრით წარმოიდგენდა, მშობლებს, შვილებს, დაძმას, მეუღლეებს ხანგრძლივი დროით რომ ემშვიდობებოდა, ხანგრძლივი, გაურკვეველი დროით და... იქნებ სამუდამოდაც. საბედნიეროდ, ინტერნეტმა ბევრს მისცა თუნდაც ნაწილობრივ ერთმანეთის მოსიყვარულების საშუალება, მაგრამ არა — ჩახუტების, მოფერების. ამიტომაცაა მათთვის საქართველოდან სტუმრად ჩასულ თითოეულ ქართველთან შეხვედრა სანატრელი, მშობლიური და ცრემლიანიც კი. სწორედ იმავე მიზეზით აღმოჩნდა შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი მომღერალ ნეკა სებისკვერაძისა და მომღერლისა და კომპოზიტორის, დავით არჩვაძისთვის გერმანიასა და შვეიცარიაში მცხოვრები ემიგრანტი ქართველებისთვის სიმღერა. დიდი ხანი არც არის, რაც ნეკა და დათო გამორჩეულად ემოციური საგასტროლო მოგზაურობიდან შინ დაბრუნდნენ.**

*ირმა ხარშილაძე*

**ნეკა სებისკვერაძე:**

— გერმანიაში დაახლოებით 10 წელზე მეტია, ცხოვრობს ქალბატონი მანანა თანდაშვილი, კავკასიოლოგი, რომელიც ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. მისი ხელმძღვანელობით ორგანიზაცია „ქართული კულტურის ფორუმი“ ემსახურება ქართული კულტურის, ლიტერატურის პოპულარიზაციას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით აქტიურად — გერმანიაში. სწორედ ქალბატონი მანანასგან მივიღე „ქართული რომანსის საღამოზე“ მიპატიჟება. მას არაერთხელ ვყავდი მანამდეც მიწვეული სოლო კონცერტებით, მაგრამ ამჯერად რომანსის საღამოსთვის დუეტში სიმღერა ვარჩიე და პარტნიორობა დავით არჩვაძეს ვთხოვე. დათო არაჩვეულებრივი მეწყვილეა დუეტში და არაჩვეულებრივად უკრავს ფორტეპიანოზე.

— **დათოსთან დუეტში სიმღერის გამოცდილება გქონდა?**

— სხვათა შორის, პირველად დუეტში დათომ სწორედ ჩემთან იმღერა.

**დავით არჩვაძე:**

— 1998 წელს. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. მახსოვს, ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ახალი შექმნილი იყო.

**ნეკა:**

— მოკლედ, დათოც დათანხმდა და დავიწყეთ მუშაობა. პარალელურად კი შემოთავაზება შვეიცარიიდანაც მოგვივიდა. იქ მცხოვრები ქართველი პიანისტი თეა ჭკუასელი დაგვიკავშირდა. მანანა და თეა მეგობრობენ და თანამშრომლობენ კიდეც. ასე რომ, რომანსის საღამოს იდეა თეამაც გაიზიარა. დაიგეგმა საღამოები ფრანკფურტსა და ბერნში და საგანგებოდ მომზადებული რეპერტუარით ჩავედით მე და დათო.



დათო და ნეკა პატარა ელეონორასთან და კოტე ვარდელის შვილიშვილთან ერთად

— **ვისი სიმღერები შეასრულეთ?**

— ახლახან გაჰიტებულ თანამედროვე სიმღერებს რეტროკლასიკა ვარჩიეთ, რადგან ვიფიქრეთ, ქართველ ემიგრანტებს კარგად ნაცნობი და მონატრებული სიმღერების მოსმენა მეტად ესიამოვნებოდათ. დაახლოებით, თორმეტამდე კლასიკოსი კომპოზიტორის სიმღერები შევასრულეთ ფორტეპიანოსა და გიტარის თანხლებით.

— **და ალბათ ბევრი ცრემლიც დაიღვარა იმ სიმღერების მოსმენისას... მსმენელები მხოლოდ ქართველი ემიგრანტები იყვნენ?**

**დათო:**

— ყველაზე მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი ის იყო, რომ საღამო ქართველებს ეძღვნებოდათ, თუმცა უცხოელებიც გვესწრებოდნენ. სალონური შეხვედრა იყო და განწყობილებაც — შესაბამისი.

**ნეკა:**

— ბერნში ერთ-ერთი ცნობილი სასტუმროს დარბაზში ვიმღერეთ, ფრანკფურტში კი — „რომან ფაბრიკში“, სადაც ლიტერატურული საღამოები ეწყობა ხოლმე.

**დათო:**

— ორივეგან ძალიან თბილი გარემო შეიქმნა. შვეიცარიაში, ბერნში ძალიან ბევრი ქართველი არ ცხოვრობს და ვინც არის, იქაური ცხოვრების მაღალი დონიდან გამომდინარე, თავის პროფესიაში წარმატებული კარიერაც აქვს. კონცერტზე გვესტუმრნენ ენათმეცნიერები, ფიზიკოსები და ასე შემდეგ, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად გადახვეწილებს ნამდვილად არ ჰგავდნენ. ზოგიერთი 14 წლის განმავლობაში არ იყო საქართველოში ჩამოსული. ორმა ქალბატონმა გვითხრა, — თანამედროვე ქართულ ესტრადას საერთოდ არ ვიცნობთ და არც თქვენი სიმღერა გვქონდა მოსმენილი; კონცერტის შესახებ ინტერნეტრეკლამით რომ შევიტყვეთ, თბილისში დავრეკეთ და ახლობლებს გამოვკითხეთ, ღირდა თუ არა თქვენი მოსმენა და ძალიან რომ გაქეს, იმიტომ მოვედითო. იმ საღამოს 8 სიმღერა გვამღერეს „ბისზე“. კიდევ კარგი, შემღერებული დუეტი ვართ და სიმღერებიც არ გველეოდა. სოლოც ვიმღერეთ ჩვენი რეპერტუარიდან. ჩემი „მონატრებიხარ ფიქრებსაც“ შევუსრულე.

**ნეკა:**

— ვთხოვე კიდეც მაყურებელს, — რაც განსაკუთრებით გენატრებათ, იმას გიმღერებთ-მეთქი. და გვამღერეს მაცაცო სებისკვერაძისა და მარიკა კვალიაშვილის სიმღერები; წახნაგას — გია გორდეზიანის „მოწყენილი სახეები“, „სულიკო“ და „თბილისო“.

**დათო:**

— სხვათა შორის, ფრანკფურტის კონცერტს ქართული გაგრძელებაც მოჰყვა.

**ნეკა:**

— დარბაზში ბევრი მელომანი აღმოჩნდა, საკმაოდ კარგად მღეროდნენ ხმებში და სიმღერების ტექსტებიც ზეპირად იცოდნენ. პროგრამის დასრულების შემდეგ ექსპრომტად შესრულებული სიმღერებისას შემოგვიერთდნენ და ძალიან ემოციური საღამო გამოგვივიდა. ბედნიერები გვიმეორებდნენ, — დღეს თითქოს საქართველოში დავბრუნდით და ასე გვგონია, ეს 3 საათი საქართველოში, საკუთარ ოჯახში გავატარეთო.

**მე რომ არ ვყოფილიყავი, დათო უეჭველად დაიკარგებოდა**



**— იქ, ოჯახებში არ მიგიპატიჟეს?**

**დათო:**

— გავიცანით ერთი ექიმი, გელა (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს), რომელიც კონცერტის შემდეგ იქვე ყველა სტუმარს თავისი დაწურული უგემრიელესი წითელი ღვინით გაგვიმასპინძლდა. ასეთი ღვინო კარგა ხანია, არ დამილევია.

**ნეკა:**

— ჩვენებურ „ხვანჭკარას“ ჰგავდა. ბატონმა გელამ აგვიხსნა, გერმანული ვენახის ყურძენია, ქართული წესით დავწურე და დავაყენეო. შინაც დაგვპატიჟა, მაგრამ მეორე დღეს მოვდიოდით და ველარ ვასწრებდით სტუმრობას.

**— ძველი ემიგრანტების შთამომავალი, თუნდაც „დამტვრეული“ ქართულით მოსაუბრე არავინ შეგხვედრიათ?**

— არა. სხვათა შორის, კონცერტს დაესწრნენ ცნობილი ქართველი მევიოლინის, კოტე ვარდელის შვეიცარიაში გათხოვილი ქალიშვილი და იქ დაბადებულ-გაზრდილი, 5 წლის შვილიშვილი, რომელიც საუცხოოდ მღეროდა ქართულ სიმღერებს. როგორც ჩანს, იქაურ ქართველებს ქართული სული და ტრადიციები არ დაუკარგავთ.

**დათო:**

— თუნდაც პატარა ელეონორას, ჩვენი მასპინძლის, თეას ქალიშვილს, რომელიც ასევე შვეიცარიაში დაიბადა, მართლა ქართულად ზრდიან. წლების წინ, მის დაბადებამდე „ქართულ ხმებთან“ ერთად ვსტუმრობდი ამ ოჯახს. ვიცი, ქართულ ტრადიციებს არ ღალატობს, მაგრამ ელეონორას „ქართულმა“ განსაკუთრებულად გამახარა.

**— დათო, ნეკა, ერთად პირველად აღმოჩნდით საზღვარგარეთ?**

**ნეკა:**

— არა. ერთხელ იაპონიაში ვიყავით — გოგონების კვინტეტი და დათო, ერთად; მეორედ — იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში, ქართული კულტურის სიმპოზიუმზე, მაგრამ — არა სამღერლად. დათო კი თეატრალურის კვარტეტთან ერთად სწორედ სამღერლად წავიყვანეთ.

**დათო:**

— ფლორენციაში დაუვიწყარი, ისტორიული გასტროლი გვქონდა: მერიის შენობის — „პალაციო ვეგიოს“ მისაღებ დარბაზში, რომელიც უნიკალური ნამუშევრებითაა მოხატული და სიმღერაც სახიფათოა, კედლის მხატვრობა რომ არ დაზიანდეს, პირველად სწორედ ჩვენ — ქართველებმა ვიმღერეთ, მხოლოდ აკაპელა. სხვათა შორის, იტალიელები გარინდებულები გვისმენდნენ.

**— ახლანდელი მოგზაურობა რით გამოირჩეოდა ან რა ამბები გადაგხდათ თავს?**

— გასტროლის განმავლობაში ძალიან ევროპულად ვცხოვრობდით, თანაც — უალკოჰოლოდ, მხოლოდ ჩაიზე, ერთ დღეს კი ბატონმა ლადო ჭანტურიამ დაგვპატიჟა ბავარიულ რესტორანში, სადაც მართლაც ქართულად მოვილხინეთ. ლუდი ჩემი სისუსტეა, ბავარიული ლუდი კი საუკეთესო აღმოჩნდა — ასეთი ლუდი მანამდე არც დამელია და წარმოგიდგენია, რა სიამოვნებას მივიღებდი?!

**ნეკა:**

— ჩემთვის კი შვეიცარია იყო აღმოჩენა — პირველად ვიყავი. მოვიხიბლე ამ ქვეყნის სილამაზით, სიმშვიდით, წესრიგით, კანონის უზენაესობით. ძალიან კომფორტული, „შიკი“ ქვეყანაა... ხომ პირველად ვიყავი, არაჩვეულებრივი ორიენტაცია მაქვს და გამორიცხულია, გზა ამებნეს. მაგალითად, ფრანკფურტში მანანა გავაოცე, ქუჩებს რომ ვცნობდი. საზღვარგარეთ ძალიან მიყვარს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, თითქოს იქაურობის ხიბლს მეტად შევიგრძნობ ხოლმე. ძირითადად, მეტროთი ვმგზავრობდით და უსწრაფესად გავერკვიე სადგურებში. საწყალი დათო კი დაბნეული დამყვებოდა. უცებ რომელიმე გერმანულ წარწერასთან გაშეშდებოდა პარკებით დატვირთული და, — ნეკა, დარწმუნებული ხარ, რომ სწორად მივდივართო? — დაეჭვებით ჩამეკითხებოდა ხოლმე. მოკლედ, სულ კითხვის ნიშანი ეწერა სახეზე და მე რომ არ ვყოფილიყავი, უეჭველად დაიკარგებოდა (*იცინის*). კიდევ ერთი ამბავი გამახსენდა: „ბისზე“ ვიმღერეთ რევაზ ლაღიძის „გოგოვ, გოგოვ, მე შენს მეტი“. მანამდე, შინ რამდენჯერმე გავიმღერეთ და დათოს ვუთხარი, ამ სიმღერას სცენაზე თუ შევასრულებთ, შენ ტექსტი ჩვეულებრივად იმღერე, მაგრამ არ „დაგითმობ“ და „გოგოვ, გოგოვ“-ს არ ვიმღერებ, ყველაგან „ბიჭოვ, ბიჭოვ“-ს ვიტყვი-მეთქი. — კარგი, რა, ეგრე ცუდი იქნებაო, — იბუზღუნა, მაგრამ... სცენაზე გააღო თუ არა პირი, „გოოო“ — და ეგრევე მივაგებე — „ბიჭოვ“... ისეთი სასიამოვნო შემღერება გამოგვივიდა, დარბაზიც კი აღფრთოვანებული დარჩა...

**ნეკა:**

— რომ გვკითხე, — რით იყო გამორჩეული ეს გასტროლიო? — ერთ ამბავს გაგიმჟღავნებ, ჯერ ხმამაღლა არც გვითქვამს: ძალიან მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი ამ მოგზაურობისას დათოს ახალი და არაჩვეულებრივი სიმღერის დაბადება იყო. „ცხელ-ცხელი“, ახალშექმნილი ჰქონდა, 2 იანვარს თბილისში გაუკეთებია მონახაზი, რომ მომასმენინა და ფრანკფურტში ამუშავებდა. ეს სიმღერა დათომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიუძღვნა და ჩვენი ერთობლივი გასტროლისას გადაწყვიტა, რომ მე უნდა შევასრულო.

**დათო:**

— რასაკვირველია, კურთხევის გარეშე პატრიარქისთვის სიმღერის მიძღვნას ვერაფრით გავბედავდი — ჩემმა მოძღვარმა, მამა ზაზამ მაკურთხა. ღვთის წყალობით, მუზაც გაჩნდა და დაიბადა მელოდია, რომელზეც მანანა სიამაშვილმა საოცარი ტექსტი დაწერა — გეგონება, ერთდროულად შეიქმნა მელოდიაცა და ტექსტიც. სიმღერას ნეკა შეასრულებს, ოღონდ ჯერ არ გადამიწყვეტია — მარტო თუ რომელიმე გუნდთან ერთად. ასე რომ, სერიოზული სამუშაო გველის...

# „მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვთამაშობ — საიდან უნდა ვიყო ქურდული სამყაროს წევრი?!“

**თბილისის საქალაქო სასამართლოში (მოსამართლე ჯემალ კოპალიანი) ცნობილი ფეხბურთელისა და მისი მეგობრების საქმის განხილვა დასასრულს უახლოვდება. განსასჯელის სკამზე გიორგი დემეტრაძე, დავით გაგნიძე და დავით ფეიქრიშვილი სხედან. მათთან ერთად, დაუსწრებლად ასამართლებენ ძებნილ ვახტანგ (ვატო) ყიფიანს. დაკავებულებს ქურდული სამყაროს წევრობაში ედებათ ბრალი და 8 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. ამ საქმის მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან დიდია. განსასჯელების გულშემატკივრები სასამართლო სხდომებზე ხშირად დასწრებასაც ვერ ახერხებენ, რადგან დარბაზი ხალხს ვერ იტევს.**

*თეა ხურცილავა*



შეგახსენებთ: გიორგი დემეტრაძე, ყოფილ ძალოვან კახა მისირელთან ერთად მაშინ დააკავეს, როცა ვაკეში, მეგობარ დავით გაგნიძეს ხვდებოდა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 2010 წელს, მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატზე ვინმე დავით კვიჟინაძემ ლურსმანაშვილთან 140.000 დოლარი წააგო. მან ივნისში დახმარებისთვის ცნობილ ავტორიტეტს, ვახტანგ ყიფიანს მიმართა და უთხრა, რომ ე.წ. თავანი ჰქონდა მისატანი. ურთიერთშეთანხმებით გადაწყდა, — 70.000 უნდა ჩაჰბარებოდა ლურსმანაშვილის მეგობარ დავით ფეიქრიშვილს, ხოლო დანარჩენ თანხას, ქურდების სახელით, ყიფიანი აიღებდა; ეს თანხის მთლიან დაფარვად ჩაითვლებოდა. მოლაპარაკების მიუხედავად, ფეიქრიშვილი კვიჟინაძისგან დარჩენილ თანხას მაინც ითხოვდა. ყიფიანმა კიევში დავითის ძმა, გიორგი ფეიქრიშვილი დაიბარა. განუმარტა, რომ თავანი ჩაბარებული იყო. გამოძიების მტკიცებით, აღნიშნულ გარჩევაში დავით გაგნიძე, გიორგი დემეტრაძე და კახა მისირელიც მონაწილეობდნენ. ძალოვნებმა თავიდან გაავრცელეს სატელეფონი საუბარი, სადაც უკრაინაში მყოფი ყიფიანი თბილისში, ლურსმანაშვილის მეგობარ დავით ფეიქრიშვილს ესაუბრება. ყიფიანი ფეიქრიშვილს მოგებული თანხიდან საჩუქარს სთხოვს და ქურდულ წესებს ახსენებს. არც ფეიქრიშვილი იხევს უკან და ყიფიანს ეუბნება, რომ ეს წესები უკვე აღარ არსებობს. ყიფიანი გაგნიძეს სატელეფონო საუბრისას ეუბნება, „ის“ გადასცეს იმ პიროვნებას, მაგრამ არ აკონკრეტებს, რის გადაცემაზეა ლაპარაკი. არც გაგნიძისა და ფეხბურთელ დემეტრაძის საუბრიდან ირკვევა რამე; მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი — დემეტრაძე ვიღაცას უნდა შეხვდეს. გამოძიების მტკიცებით, დაკავებისას დემეტრაძეს ცელოფანში ჩადებული 30.000 დოლარი ჰქონდა ხელში, ხოლო დაკავებულ გაგნიძეს — 10.000 დოლარი; ამასთან, მას იარაღი და ვაზნები აღმოაჩნდა. გამოძიებამ კახა მისირელის პირადი ჩხრეკისას კი „გლოკის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო, ხოლო ბინაში მას „მაუზერის“ და „იერიხოს“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარა და საბრძოლო ვაზნები აღმოუჩინა. მოგვიანებით, დავით ფეიქრიშვილიც დააკავეს, რომელთანაც, წესით, ეს თანხა უნდა მისულიყო.

თავიდან ითქვა, რომ ბიჭები „ჯოკერს“ თამაშობდნენ და მისირელი მეგობარ დემეტრაძეს უბრალოდ, გაგნიძესთან შესახვედრად გაჰყვა. ძალოვანი კახა მისირელი დიდხანს არ დარჩენილა პატიმრობაში: მას, ავადმყოფობის მოტივით, აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა. უხერხული ბრალდება ჰქონდა პოლიციელს — ქურდული სამყაროს წევრობა. მოგვიანებით, მის მიმართ აღძრული საქმე რატომღაც, ცალკე წარმოებად გამოიყო და მას მეგობრებთან ერთად აღარ ასამართლებენ. უფრო მეტიც — სასამართლო დასასრულამდე მივიდა, მაგრამ ის, არანაირი სტატუსით, სხდომებზე არ დაკითხულა.

ისიც ცნობილია, რომ გიორგი დემეტრაძის დაკავების შემდეგ, პროკურატურას თხოვნით მიმართა ფეხბურთელმა კახა კალაძემ: აღნიშნა, რომ მზად იყო, თავდებად დასდგომოდა მეგობარს და გირაოს თანხაც გადაეხადა. ადვოკატ მარიკა ფხალაძის თქმით, ამ შუამდგომლობაზე კალაძეს პასუხი დღემდე არ მიუღია.

პროცესზე მოწმეები დაიკითხნენ. განსასჯელებმა — გიორგი დემეტრაძემ და დავით გაგნიძემ უკვე მისცეს სასამართლოს ჩვენება. წარდგენილ ბრალდებაში ისინი თავს დამნაშავედ არ ცნობენ და კატეგორიულად უარყოფენ ქურდული სამყაროს წევრობას.

**გიორგი დემეტრაძის** ჩვენებიდან:

*„განსასჯელებთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ვატო ყიფიანი მამაჩემის ძმაკაცის შვილია... ჩემს დაკავებამდე 2-3 თვე კიევში, ჩემს ბინაში ცხოვრობდა... არ ვეთანხმები ბრალდებას, რომ კიევში საქმის გარჩევაში მივიღე მონაწილეობა. საზღვრის გადაკვეთის დოკუმენტებითაც დადასტურდა, რომ გიორგი ფეიქრიშვილის კიევში ყოფნის დროს მე იქ არ ვყოფილვარ... იმ დღეს ჩემმა მეგობარმა, დავით გაგნიძემ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ჩემს ძმაკაცთან, კახა მისირელთან ერთად ვაკეში, მამაჩემის მანქანით წავედი. არ უთქვამს, რისთვის მიბარებდა. ბავშვობის მეგობრები ვართ. დათოს არ შევხვედრივარ, რადგან დამაკავეს. პოლიციელებმა სრულიად უმიზეზოდ, ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს, ხელები გადამიგრიხეს და ძირს დამაგდეს. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. არანაირი ფული ხელში არ მქონია და ტყუილია, თითქოს ის 30.000 დოლარი ჩემგან ამოიღეს. 7 თვეა, ციხეში ვზივარ. მედავებიან, რომ თურმე ქურდული სამყაროს წევრი ვარ. მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვთამაშობ. ამიხსენით, საიდან უნდა ვიყო ქურდული სამყაროს წევრი?! საიდან ასკვნით ამას? რაიმე ქურდულ გარჩევაში მიმიღია მონაწილეობა?.. წაგება-მოგებაზე საუბარი რომ იყო, დაკავების შემდეგ, ციხეში გავიგე. ვიცი, რომ თანხა ტოტალიზატორში ოფიციალურად მოიგო ლურსმანაშვილმა... არ ვიცოდი, გაგნიძეს ჩემთვის ფული რომ უნდა გადმოეცა. კატეგორიულად არ ვცნობ თავს დამნაშავედ“.*

ბრალს არც განსასჯელი **დავით გაგნიძე** აღიარებს:

*„ვახტანგ ყიფიანი ჩემი ბავშვობის მეგობარია. ვიცოდი, რომ ის კიევში, გიორგის ბინაში ცხოვრობდა. მასთან სტუმრად ჩასულიც ვიყავი. მოგებული თანხის შესახებ არაფერი ვიცოდი.*

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 56





# პირველი ქართველი „ევერესტელი“



**იმ ღამეს ჰიმალაის მაღალმთიანეთში ცუდი ამინდი იყო. ძლიერი ქარი ქროდა და ყინავდა. ევერესტის შტურმისათვის ორი მთამსვლელი ემზადებოდა. ბოლო ბანაკიდან გასვლას ისინი ღამის 2 საათზე აპირებდნენ, მაგრამ უამინდობის გამო შეფერხდნენ. მწვერვალამდე სულ 850 მეტრი რჩებოდა, თუმცა ამ ბუმბერაზ მთაზე ალპინისტებს ყველაზე მეტად სწორედ ეს ბოლო მონაკვეთი უჭირთ. გაუხშოებული ჰაერი სუნთქვას ართულებს და ყოველი ნაბიჯის გადადგმა თანდათან სულ უფრო მეტ ენერგიას აცლის ადამიანს.**

## ამერიკელის მეგზური მთამსვლელი და კატმანდუში შეკერილი ეროვნული დროშა

*გოგი ფრანგიშვილი*

დილის 6 საათზე მზე ამოვიდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და მწვერვალისკენ დაიძრნენ. ჰიმალაიში ადრე ღამდება, ამიტომ მწვერვალზე ასვლის შემდეგ, კარვამდე დაშვებაც უნდა მოასწრო. ეს კი ასვლაზე უფრო რთულია: დაღლილ-დაქანცულმა შეიძლება, საბედისწერო შეცდომაც დაუშვა.

...ქართველმა რომან გიუტაშვილმა და ამერიკელმა დენიელ მაზურმა ერთმანეთი კატმანდუში გაიცნეს. ორივეს ევერესტის დალაშქვრა ჰქონდა განზრახული, იქ დამეგობრდნენ და მწვერვალზე ასვლაც ერთად გადაწყვიტეს. ამერიკელი 30 წლის იყო, ხოლო გიუტაშვილი — 54-ის. თუმცა ქართველი გაცილებით გამოცდილი იყო და როდესაც მწვერვალამდე რამდენიმე ათეული მეტრიღა რჩებოდა, ენერგიაც მეტი შემორჩა, ხოლო დენიელს არაქათი გამოეცალა, ნაბიჯიც ველარ გადადგა. რომანი არჩევანის წინაშე დადგა: ან როგორმე გზა უნდა გაეგრძელებინათ, ან თავის ოცნებაზე უარი ეთქვა და ორივე ქვემოთ დაშვებულიყო. მთაში პარტნიორის მიტოვება არ შეიძლება, აქ სხვა კანონებია. რამე რომ მოხდეს, შენს თავს თავადვე ვერ აპატიებ.

დედამიწის უმაღლეს მწვერვალს „ევერესტი“ ცნობილი ინგლისელი გეოგრაფის, ჯორჯ ევერესტის პატივსაცემად 1865 წელს შეარქვეს. ნეპალელები ამ მთას „საგარმატხას“ ეძახიან და იგი მათთვის „ციური მწვერვალია“, ხოლო ტიბეტელები — „ჯომოლუნგმას“: იქაური ბერებისათვის ჩვენი პლანეტის „მესამე პოლუსი“ — „დედამიწის ღვთიური დედაა“. 8848 მეტრი სიმაღლის ეს საოცარი მთა პირველებმა 1953 წელს, ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და ნეპალელმა შერპმა თენსინგ ნორგეიმ დალაშქრეს. მას შემდეგ ევერესტზე ყოველწლიურად ათობით ექსპედიცია ეწყობა, თუმცა მიზანს ყველა ვერ აღწევს. რომან გიუტაშვილისა და დენიელ მაზურისგან განსხვავებით, ყოფილა შემთხვევები, როცა მთამსვლელები უკან გამობრუნებულან.

**რომან გიუტაშვილი:**

*— ევერესტზე ასვლა ყოველთვის და ყველასათვის ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მე პამირის და ტიან-შანის 7000-იანი მწვერვალების დაპყრობის საკმაოდ დიდი გამოცდილება მქონდა და ვგრძნობდი, რომ ჯომოლუნგმაზე ასვლაც შემეძლო. 15 წლის ვიყავი, მთაში სიარული რომ დავიწყე და ჩემი ცხოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ მთაში გავატარე. კრიტიკულ სიტუაციაში არაერთხელ ვყოფილვარ. თითოეული განსაკუთრებულია. ამჯერადაც ჩემი და დენიელის მდგომარეობა გამორჩეული იყო. მაზური ახალგაზრდა კაცი იყო და ახლა თუ ვერ მიაღწევდა მიზანს, მომავალში კიდევ ექნებოდა ევერესტზე ასვლის შანსი, ხოლო მე ეს შანსი პირველად მომეცა და შეიძლებოდა, მეტი აღარც მქონოდა... გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ნეპალის მეფე. მაშინ მან ქართველი მთამსვლელები საგარმატხაზე მიიწვია. ჩვენი წამყვანი ალპინისტები: ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ოთარ გიგინეიშვილი, შოთა მირიანაშვილი ექსპედიციისათვის მზადებას შეუდგნენ კიდეც, მაგრამ ნეპალსა და ჩინეთს შორის პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა და ჰიმალაის მაღალმთიანეთში ქართველი მთამსვლელების ექსპედიცია ჩაიშალა. მოგვიანებით ევერესტზე ასვლის შანსი აკაკი ხერგიანსაც ჰქონდა. 1982 წელს ჰიმალაიში პირველი საბჭოთა ექსპედიცია მოეწყო, რომელშიც ჩვენი აკაკი ხერგიანიც შედიოდა. თავიდან ექსპედიციის ხელმძღვანელმა ევგენი ტამმა ხერგიანი მოიერიშე ჯგუფში ჩასვა და აკაკი მიაღწევდა კიდეც მიზანს, მაგრამ შემდეგ ტამმა რატომღაც გადაიფიქრა. საბჭოთა გუნდმა*

*რამდენიმე ბანაკი მოაწყო, ხერგიანს სხვებთან ერთად აჰქონდა ზევით ყველა საჭირო ტვირთი. ამასთან, იგი დოკუმენტური ფილმისათვის მძიმე კინოკამერით, ექსპედიციის მიმდინარეობას იღებდა კიდეც. ორჯერ 8000 მეტრზეც ავიდა, მაგრამ საბოლოოდ მწვერვალის შტურმზე გასვლის უფლება მაინც არ მისცეს... მეც შემთხვევით მოვხვდი რუსი მთამსვლელების ექსპედიციაში. გახსოვთ ალბათ, 1991 წლის შემოდგომაზე როგორი დაძაბული სიტუაცია იყო საქართველოში. იმ პერიოდში ქართველი ალპინისტების ერთი ჯგუფი ჰიმალაის ერთ-ერთ რვაათასიან მწვერვალ ანაპურნაზე ვაპირებდით ასვლას, მაგრამ სწორედ იმ არეული პოლიტიკური სიტუაციის გამო აღარ გაგვიშვეს. რუს ალპინისტებს შორის ბევრი მეგობარი მყავს და მეც მათ ვთხოვე, თუ ევერესტზე მოაწყობდნენ ექსპედიციას, ჯგუფის შემადგენლობაში მეც ჩავესვი. თუმცა მსგავსი თხოვნით მათ ბევრი მიმართავდა და სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ მქონია. ალპინისტური სეზონი რომ გაიხსნა, პამირის ალპურ ბანაკებში გავემგზავრე სამუშაოდ. რამდენიმე თვე იქ დავყავი. სეზონი უკვე მთავრდებოდა, როდესაც შემატყობინეს, რომ ვლადიმირ ბალიბერდინი სანქტ-პეტერბურგის ექსპედიციის ხელმძღვანელად დანიშნეს და იგი მეც მიწვევდა ევერესტზე ასასვლელად. დრო აღარ ითმენდა, თბილისში ჩამოსვლას ვერ ვასწრებდი, ვერც — ევერესტისათვის საჭირო აღჭურვილობის მომზადებას. იძულებული ვიყავი, პამირის საბაზო ბანაკიდან პირდაპირ ჰიმალაიში გავმგზავრებულიყავი. ჯერ კატმანდუში ჩავფრინდი, იქიდან კი დაახლოებით ერთ კვირაში უკვე ლუკლაში ვიყავი. დენიელ მაზური სწორედ კატმანდუში გავიცანი. სიმართლე გითხრათ, მატერიალურად შეჭირვებული ვიყავი. გარდა იმისა, რომ ჯომოლუნგმაზე ასვლის უფლებისათვის პერმატის თანხაა გადასახდელი, პროდუქტებისა და აღჭურვილობის შესაძენადაც ცოტა გვქონდა ფული. თუმცა მთავარი ეს არ არის. მთაში პარტნიორი საიმედო უნდა იყოს, უნდა ენდობოდე მას და ელემენტარულად, კარგი ადამიანი უნდა იყოს. ამ მხრივ მეც გამიმართლა და ვფიქრობ, მასაც. დენიელმა რომ გაიგო, ვლადიმირ ბალიბერდინთან ერთად ვაპირებდი ევერესტზე ასვლას, თავად მთხოვა ჯგუფში ჩასმა. ბალიბერდინი პირველი საბჭოთა ალპინისტია, ვინაც 1982 წელს ედუარდ მისლოვსკისთან ერთად დალაშქრა ჯომოლუნგმა. უკვე გითხარით, სწორედ ამ ექსპედიციაში იყო ჩვენი აკაკი ხერგიანიც, რომელიც მაშინ არ გაუშვეს მწვერვალზე, ახლა კი სულ სხვა სიტუაცია იყო, შეკრული გუნდი ვიყავით.*

რომან გიუტაშვილმა და დენიელ მაზურმა, ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად, ევერესტის დასალაშქრავად სამხრეთის კალთები აირჩიეს. სწორედ ამ მხრიდან ავიდნენ მწვერვალზე პირველი მთამსვლელებიც — ედმუნდ ჰილარი და თენსინგ ნორგეი. სამხრეთის კალთები გაცილებით კარგად არის შესწავლილი, ვინაიდან 1980 წლამდე, პოლიტიკური სიტუაციის გამო ტიბეტის მხრიდან ექსპედიციები არ ეწყობოდა. დღეისათვის ორივე კლასიკური მარშრუტი კარგად არის ცნობილი და ორივეს თავისი ტექნიკური სირთულეები აქვს. თუმცა ჩრდილოეთის კალთები უფრო ცივია და შტურმისათვის ამ მხარეს ხელსაყრელი ამინდიც შედარებით იშვიათია. სამაგიეროდ სამხრეთიდან ქხუმბუს რთული მყინვარია. ამასთან, ლუკლას აეროპორტიდან (2800 მ) ექსპედიციის მონაწილეებს დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ფეხით უხდებათ საბაზო ბანაკამდე (5300 მ) თავიანთი მძიმე ტვირთის გადატანა. ჩრდილოეთის მარშრუტის საბაზო ბანაკი 6400 მ-ზეა განლაგებული, ე.ი. დაახლოებით ერთი კილომეტრით უფრო ახლოსაა მწვერვალთან.

ნეპალის მხრიდან ევერესტის მარშრუტი ქხუმბუს მყინვარით პრაქტიკულად, საბაზო ბანაკიდანვე იწყება. უზარმაზარ ყინულოვან ლოდებს შორის გზის გაკვლევა ძალიან რთულია, ამიტომაც აქ სიარულის ტექნიკა განსხვავებული და სპეციფიკურია. რიგ ადგილას მთამსვლელებს 20 მეტრამდე სიგანის ნაპრალის გადალახვა ერთმანეთზე გადაბმული კიბით უხდებათ. ამასთანავე, დღე-ღამის განმავლობაში ყინული მოძრაობს, ე.ი. რელიეფი სახეს იცვლის და ალპინისტებსაც ახალ-ახალი ბილიკების ძებნა უწევთ. ამ სირთულეების მიუხედავად, ყოველწლიურად ევერესტის დალაშქვრას მრავალი მთამსვლელი ცდილობს, თუმცა მათი მიზანი განსხვავებულია: ზოგს საკუთარი თავის გამოცდა უნდა, სხვებს მწვავე შეგრძნებების განცდა აინტერესებთ, ვიღაცას კიდევ, უბრალოდ მოგზაურობა სურს.

**რომან გიუტაშვილი:**

*— დღევანდელი ადამიანების აზროვნება მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც თვით სამყაროს ცვლილებამ გამოიწვია. ვიღაცა მთაში სიარულით უბრალოდ ერთობა, ჩვენთვის, ალპინისტებისათვის კი მთა სისპეტაკის, ვაჟკაცობისა და ერთგულების სიმბოლოა. ჩვენ არ გვიყვარს, მაგალითად, როდესაც ამბობენ, — ევერესტი დაიპყროო. ეს ბუმბერაზი მთა ბუნების მშვენიერებაა და მისი დაპყრობა შეუძლებელია. ჩვენ მას პატივს ვცემთ და თუ მასზე ასვლის საშუალება მოგვეცა, ამით ბედნიერები ვართ. მთაში ქალაქისაგან განსხვავებული კანონებია. თუ აქ, ბარში საკუთარი თავის მართლებას დაიწყებ, რაღაც-რაღაცებს მოიმიზეზებ და შეიძლება, ადამიანიც კი გაწირო, იქ, ზემოთ ასეთი რამ გამორიცხულია. მთაში ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული და კარავში თუ ტრასაზე, ერთმანეთზე ვზრუნავთ. ამ მხრივ, კარგი ჯგუფი გვყავდა. ექსპედიციის ხელმძღვანელის, ვლადიმირ ბალიბერდინის გარდა, ჩვენთან ერთად, ანატოლი ბუკრეევიც (ისიც ძალიან გამოცდილი ალპინისტია) და კიდევ ოთხი ესპანელი ალპინისტი იყვნენ. როგორც აღვნიშნე, ფინანსურად გვიჭირდა. ამის გამო ვერც ახალი აღჭურვილობის შეძენა შევძელით, ვერც — საკმარისი სურსათის და ვერც შერპების დაქირავება მოვახერხეთ. მწვერვალამდე 4 შუალედური ბანაკი მოვაწყვეთ და მთელი აღჭურვილობა ზევით ჩვენ ავიტანეთ. ტრასასაც ჩვენ ვამზადებდით და თოკებსაც ჩვენ ვჭიმავდით. შერპები —*



*ადგილობრივი მოსახლეობაა. ისინი 4200-4500 მეტრ სიმაღლეზე ცხოვრობენ. მათი მეურნეობის ძირითადი პროდუქტი — კარტოფილი, ხორბალი და ქერია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ალპინისტებმა სისტემატურად დაიწყეს ჰიმალაის მაღალმთიანეთში ექსპედიციების მოწყობა, შერპები თითქმის ყველა ექსპედიციას ეხმარებიან ბარგის ზიდვაში. საოცრად ჯანმრთელები არიან და მათთვის, 8000 მეტრზე ასვლა და თან ტვირთის ატანა ძნელი არ არის. რა თქმა უნდა, შერპების გარეშე გვიჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. კარვებიც არ გვყოფნიდა. ამიტომ, წინ ბალიბერდინის ჯგუფი მიდიოდა; ისინი რომ ზევით ავიდოდნენ და კარავს გაათავისუფლებდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლო მე და დენიელს იმ კარავთან ასვლა. ბალიბერდინი თავის მეგობრებთან ერთად, ჟანგბადის ბალონების გარეშე მოძრაობდა, ხოლო ჩვენ — ბალონების გამოყენებით. ასე, ორ-ორი ავდიოდით და 8000 მეტრზე, ბოლო ბანაკამდეც ასე მივაღწიეთ. ყველაზე რთული სწორედ იქ იწყებოდა. ასეთ სიმაღლეზე მანამდე არც მე ვიყავი ნამყოფი და არც დენიელი. ორივეს გაგვიჭირდა, განსაკუთრებით, დენიელს. მწვერვალამდე სულ რამდენიმე ათეული მეტრიღა გვრჩებოდა და დენიელმა უარი მითხრა წინ წასვლაზე, აღარ შემიძლიაო. ცუდ დღეში აღმოვჩნდი, იძულებული ვხდებოდი ქვემოთ დავშვებულიყავით. მე ინგლისური ცუდად ვიცი, მან რუსული საერთოდ არ იცოდა. დიდხანს ვუჩიჩინე, ვუმტკიცებდი, რომ მას კიდევ შეეძლო სიარული და მწვერვალამდე მისვლა. არ მიჯერებდა, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე და წამომყვა. გზადაგზა ისევ ვამხნევებდი. დენიელმაც ეტყობა, მთელი ძალები მოიკრიბა და მწვერვალამდე მაინც მივაღწიეთ. ადგილობრივი დროით 17.00 საათზე ევერესტზე ვიდექით. საოცარი გრძნობაა, რომლის გადმოცემაც სიტყვებით შეუძლებელია.*



*იმ პერიოდში სამხრეთის ფერდობიდან 12 ექსპედიცია ემზადებოდა ევერესტის დასალაშქრავად. მათგან მხოლოდ ჩვენმა ჯგუფმა შეძლო მწვერვალამდე მიღწევა. სულ 8 კაცი ავედით ჯომოლუნგმაზე. ამასთან, ექსპედიციის დაწყებიდან დამთავრებამდე მხოლოდ ერთი თვე დაგვჭირდა, რაც ძალიან იშვიათად ხდება: ასეთ მოკლე ვადაში მარშრუტის მომზადება, მწვერვალზე ასვლა და ჩამოსვლა ძალიან რთულია. იქ ყველას თავისი ქვეყნის ეროვნული დროშა მიაქვს. მე კი პამირში რომ ვიყავი, ამის გამო არც ვიცოდი, როგორი იყო საქართველოს ახალი დროშა. ნანახიც არ მქონდა, მაგრამ ქართველი ქალი — თალიკო ყუბუსიძე დამეხმარა. ქალბატონი თალიკო კატმანდუშია გათხოვილი. მისი ქმარი ნეპალის სამეფო ტელევიზიის ოპერატორია. სწორედ მან მოძებნა ინტერნეტში ჩვენი მაშინდელი დროშა, ხოლო თალიკომ თავისი ხელით შემიკერა. მწვერვალზე რომ ავედი, მინდოდა, დროშა წერაყინზე დამემაგრებინა და ფოტო გადამეღო, მაგრამ ძლიერი ქარი ქროდა და ვერაფრით ვამაგრებდი. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიფიქრე — ხელში დავიჭირე, დენიელმა კი რამდენიმე კადრის გადაღება მოასწრო და ჩემი ფოტოაპარატიც გაიყინა.*

რომან გიუტაშვილმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი 1991 წლის 10 ოქტომბერს დალაშქრა. 2 თვის შემდეგ კი თბილისში ძმათამკვლელი ომი დაიწყო. აბა, მისთვის ვის ეცალა?! მაშინ, საქართველოს ტელევიზია და რადიო არ მუშაობდა. სატელევიზიო ანძა ზვიად გამსახურდიას მომხრეებს ჰქონდათ დაკავებული და ეთერში სიცარიელე იყო, ინფორმაცია მხოლოდ ჭორის დონეზე ვრცელდებოდა და პირველი ქართველი „ევერესტელის“ შესახებ არაფერი ვიცოდით. სპორტულ წრეებში მაინც გაჟონა, ქალაქში ხმები დადიოდა — ვიღაც ქართველი ევერესტზე ავიდაო, თუმცა დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. ერთ საღამოს ტელევიზორი მაინც ჩავრთე. ვიცოდი, მთავრობის სასახლის ეზოში გამსახურდიას მომხრეებს მოძრავი სატელევიზიო სადგური ჰქონდათ გადაყვანილი და რადგან ანძაც მათ ხელში იყო, პირდაპირ ეთერში გასვლის საშუალება ჰქონდათ. ტელევიზორის ეკრანი რომ განათდა, ჩემთვის უცნობი ადამიანიც გამოჩნდა. მთებზე საუბრობდა, ჰიმალაიზე. სწორედ მაშინ გავიგე, რომ ის ვიღაც — რომან გიუტაშვილი ყოფილა და ევერესტზე მართლაც ასულა. თბილისის ომი რომ დაიწყო, ბატონი რომანი მალე გაეცალა აქაურობას და ოჯახთან ერთად მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად.

10 წელზე მეტი იყო გასული, მოსკოვში რომ მოვხვდი მივლინებით. ერთთვიანი ვიზა მქონდა, საქმე კი — უამრავი. ერთი დღე მაინც დავიტოვე რომან გიუტაშვილთან შესახვედრად. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ინტერვიუზე უარი არ უთქვამს და სახლშიც მიმიწვია. საშუალოზე დაბალი, გამხდარი, ძარღვიანი კაცი აღმოჩნდა. ქართული უკვე გვარიანად დავიწყებოდა. საუბრისას ჩერდებოდა, სიტყვებს იხსენებდა... მორიდებული ადამიანი ყოფილა, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ ჰყვარებია. ინტერვიუც მოკლე გამომივიდა და თავადაც არ ვიყავი კმაყოფილი. საუბარი მხოლოდ მას შემდეგ აგვეწყო, როდესაც მეუღლემ, ქალბატონმა ერმამ სუფრასთან მიგვიწვია და ქართული ღვინითაც გაგვიმასპინძლდა. რამდენჯერმე უკვე მქონდა მსგავსი შემთხვევა, როდესაც რესპონდენტი სუფრასთან უფრო იხსნება. ამიტომ დიდი თავპატიჟი არ დამიდვია, სიამოვნებით დავთანხმდი და არც შევმცდარვარ. რამდენიმე ჭიქის შემდეგ, ევერესტის ექსპედიციის საინტერესო დეტალები ბატონმა რომანმა სწორედ მაშინ მომიყვა, მათ შორის — ჩვენი ეროვნული დროშის კატმანდუში შეკერვის შესახებ. ყველაზე მეტად მეც ამ დროშის ბედი მაინტერესებდა. როგორც ჩანდა, ბატონი რომანი საქართველოში დაბრუნებას აღარ აპირებდა და ქართველი კაცის გამარჯვების ეს სიმბოლოც სამუდამოდ მოსკოვში დარჩებოდა. ამიტომაც, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე ვუთხარი, — დროშა უნდა მაჩუქოთ: თბილისში ქართული სპორტის დიდების მუზეუმი გვაქვს და იქ გამოვფენთ-მეთქი. დაიბნა, ალბათ — მოულოდნელობისგან; თან, არ ეთმობოდა, მაგრამ ქალბატონმა ერმამ მაინც გამოიტანა. ზედ მწვერვალზე ასვლის თარიღი ეწერა, რომელიც ცოტა გაფერმკრთალებულიყო... ბატონ რომანს დიდხანს აღარ უფიქრია — გამომატანა...

■

# „ორმაგი“ დებიუტი, შემოდგომა-ზაფხულის კოლექცია და ბეწვით გაფორმებული ფეხსაცმელი

**„ბამბა რუმსმა“ ახალშექმნილი სამოდელო სააგენტო „ნიუ ფეისისა“ და დიზაინერ ანა მაისურაძის ჩვენებას უმასპინძლა. როგორც შევიტყვეთ, ჩვენება ანას დაბადების დღეს დაამთხვიეს და შეკრებილმა საზოგადოებამაც დიზაინერს სიამოვნებით მიულოცა 21 წლის შესრულება. ჩვენებაზე შემოდგომა-ზაფხულის მოდელები იყო წარმოდგენილი. მართალია, პირველმა ჩვენებამ მოდელები, როგორც ჩანს, ცოტა დააბნია, მაგრამ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. დამსწრეთა შორის, ნიკა წულუკიძესაც მოვკარი თვალი, რომელიც თითქმის არც ერთ ბომონდურ „ტუსოვკას“ არ აცდენს.**

*ელენე ბასილიძე*







**ნიკა წულუკიძე:**

— ყველაფერი ახალი — მნიშვნელოვანი და საინტერესოა. მიხარია, რომ ადამიანები ბევრ რამეს აკეთებენ. ნათია მაქაცარიას ბავშვის ნათლია ვარ და რა მომასვენებდა, დღევანდელი ჩვენება რომ არ მენახა?! ჩვენებაში მონაწილე გოგონები მალე ძალიან დაიხვეწებიან, მათი ნახევარი მოდელად არ დარჩება, მაგრამ ეს პროფესია მათ დიდ გამოცდილებას შესძენს. მინდა, „ნიუ ფეისსა“ და ანა მაისურაძეს დებიუტი მივულოცო და წარმატებები ვუსურვო; ძალზე გემოვნებიანები, წარმატებულები და ნამდვილი პროფესიონალები გამხდარიყვნენ. ეს ყველაფერი კი გამოცდილებას მოაქვს. არ ვიცი, რამდენად გამოვდგები მოდის სფეროს შემფასებლად, მაგრამ ყველაფერზე ჩემი ხედვა მაქვს (*ღიმის*).

— **ჩვენებაზე ხშირად მინახავხარ...**

— არც ერთი მოდის კვირეული არ გამომიტოვებია, მაგრამ შეფასებით, არასოდეს შემიფასებია. პირველი ცდის კვალობაზე, დღევანდელმა ჩვენებამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მოდელი გოგონებიდან კი ზოგიერთი მომეწონა, ზოგი — ნაკლებად... დღეს ბევრს სურს მოდელობა, მაგრამ ზოგს სხვა საქმე უკეთ გამოსდის, ამიტომ ვისურვებდი, ყველას საკუთარი საქმე ეპოვოს.

— **დღევანდელ ჩვენებაზე ნანახ რომელიმე კაბას თუ აურჩევდი შენ გვერდით მყოფ მანდილოსანს?**

— მაგას იცი, რა სჯობს? ფულს მივცემდი და თავად შეიძენდა კაბას. სიმართლე გითხრა, გოგონებს უფრო ვუყურებდი, ვიდრე კაბებს...

**ნათია მაქაცარია**, *სააგენტოს დამფუძნებელი:*

— სულ რამდენიმე თვეა, რაც სამოდელო სააგენტო „ნიუ ფეისი“ დაარსდა. ჩვენს პრეზენტაციაზე მოსულმა ადამიანებმა ძალიან გაგვახარეს აქ მოსვლით. ჩვენი პროფილი — ახალი სახეების ძებნაა: გვინდა, როგორც ჩვენ ვეძებთ ახალ სახეებს, მათაც ასევე მოგვძებნონ ჩვენ. ყველა გოგონას მივმართავ, — თუ სარკეში ჩახედვისას თავი არ მოგწონთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არც ჩვენ მოგვეწონებით (*ღიმის*). დღეს საკმაოდ ბევრი გოგონა დადის ქუჩაში, რომელიც ჩემი სააგენტოსთვის მომეწონებოდა. სხვათა შორის, სულაც არ არის აუცილებელი, 90-60-90 სტანდარტს აკმაყოფილებდეს.

— **დღევანდელმა ერთობლივმა ჩვენებამ რა შთაბეჭდილება დატოვა შენზე?**

— ისევე, როგორც ჩვენთვის, ანისთვისაც დებიუტი იყო. იყო ბევრი ხარვეზი, რომელსაც აუცილებლად გამოვასწორებთ. ანი ნიჭიერი გოგონაა, თანდათანობით უფრო დაიხვეწება. მომავალში უკეთესი და უკეთესი ჩვენებები გვექნება...

**ანი მაისურაძე:**

— **ანი, გილოცავ დაბადების დღეს! მომიყევი, რას საქმიანობ.**

— სამხატვრო აკადემიაში მოდელირების ფაკულტეტზე ვსწავლობ. ამას წინათ „ნიუ ფეისისგან“ მივიღე შემოთავაზება, ერთობლივი ჩვენება გაგვეკეთებინა. მაშინვე ესკიზების ხატვა დავიწყე. არ მინდოდა, „ხაზი დამეცვა“ და გადავწყვიტე, შერეული კოლექცია გამეკეთებინა. ჩემი კოლექცია შემოდგომა-ზაფხულის უფროა, თუმცა ბეწვით გაფორმებული ფეხსაცმელებიც წარმოვადგინეთ.

— **ფეხსაცმელებიც შენი დიზაინითაა შექმნილი?**

— კი, ყველაფერი... სხვათა შორის, კოლექციაზე მხოლოდ 3 კვირის განმავლობაში ვმუშაობდი. ძალიან ცოტა დრო მქონდა და მინდოდა, მაინცდამაინც დღეს ყოფილიყო ჩვენება (*ღიმის*). ჯერ კიდევ ემოციების ქვეშ ვიმყოფები, არ ვიცი, მოეწონა თუ არა მაყურებელს ჩემი ჩვენება. იმედია, ძალიან არ გამაკრიტიკებენ.

— **შენი კოსტიუმები გაიყიდება?**

— კი. რამდენიმე უკვე „დაკავებულიცაა“ და გადადებულია.

— **სულ რამდენი კოსტიუმი შეიქმნა?**

— 10 ფეხსაცმელი და 23 კოსტიუმი. ეს ყველაფერი საკმაოდ მცირე დროში შეიქმნა. იმ 3 კვირის განმავლობაში, ყველაფერს მოწყვეტილი ვიყავი.

— **წარმატებებს გისურვებ!**

— დიდი მადლობა!

■

# ალ-ფაიედის მანქანები აუქციონზე

ეგვიპტელი მილიარდერი, მოჰამედ ალ-ფაიედი პარიზის აუქციონ „ბოჰემსზე“ გასაყიდად „ფერარისა“ და „როლს-როისის“ 10 ავტომობილს გაიტანს, რომელთა საერთო ღირებულება 1.3 მილიონი დოლარია. ზოგიერთი ავტომობილი ბიზნესმენის ვაჟიშვილს, დოდი ალ-ფაიედს ეკუთვნოდა, რომელიც საავტომობილო კატასტროფაში 1997 წელს დაიღუპა. ამ მანქანებს შორისაა, 1963 წელს გამოშვებული ლიმუზინი „როლს როისი ფანტომ V“, რომელიც ადრე პრინც ედუარდს ეკუთვნოდა და ალ-ფაიედმა 1996 წელს შეიძინა. ეს მანქანა 200 ათას ევროდაა შეფასებული. გარდა ამისა, როგორც ადრე იუწყებოდნენ, მილიარდერი გასაყიდად გამოიტანს ჯონ ლენონის პირველ ავტომობილს; ესაა ლურჯი კუპე Ferrari 330 GT 2+2, რომლის სასტარტო ფასი 170 ათას ევროს შეადგენს. მანქანების კოლექციაში, რომლის გაყიდვასაც ალ-ფაიედი აუქციონზე აპირებს, ასევე შევიდა 1979 წელს გამოშვებული Ferrari 400i Coupe (18 ათას ევროდ შეფასებული), Ferrari Testarossa ორი ავტომობილი — ორივე 1988 წელს გამოშვებული (შესაბამისად — 40 და 48 ათას ევროდ შეფასებული), 1930 წლის გამოშვების Rols-Roice 20/25hp de Ville (65 ათასი ევრო), 1972 წლის Ferrari 365 GTC/4 (75 ათასი ევრო), 1966 წლის Ferrari 330 GTC Berlinetta (140 ათასი ევრო), 1969 წლის Rolls-Roice Phantom V1 (175 ათასი ევრო) და 1992 წლის Rolls-Roice Phantom VI Landaulet-ი (400 ათასი ევრო). ■




# „სეატის“ ახალი უნივერსალი

კომპანია „სეატმა“ წარმოადგინა კომპაქტური უნივერსალი, რომელიც სამკარიანი ჰეჩბეკ „იბიცას“ ბაზაზეა აგებული. ავტომობილს აღარ აქვს უკანა გვერდითი მინები და სავარძლების მეორე რიგი, ხოლო სალონსა და საბარგულის განყოფილებას შორის ლითონის ზღუდე და სპეციალური ბადეა დამონტაჟებული. საბარგულის მოცულობა 930 ლიტრს შეადგენს. ესპანეთის ბაზარზე სიახლე ორი ძრავათი გაიყიდება: 1,2-ლიტრიანი, 3-ცილინდრიანი, 70 ცხძ სიმძლავრის, ბენზინის აგრეგატით და 75 ცხძ-იანი, იმავე მოცულობის „დიზელით“. მწარმოებლის მონაცემებით, „მძიმე საწვავზე“ მომუშავე „იბიცას“ უნივერსალი 100 კმ მანძილზე 3,8 ლიტრ დიზელს მოიხმარს, ხოლო ატმოსფეროში მის მიერ გამონაბოლქვი $CO_2$ ერთ კილომეტრზე 99 გრამს შეადგენს. ევროპაში ბენზინისძრავიან Seat Ibiza Van-ზე ფასები 12 ათას 635 ევროდან იწყება, დიზელისძრავიანი ავტომობილი კი 2.125 ევროთი უფრო ძვირი ეღირება. ავტომობილი „სეატ იბიცა“ ასევე 3 და 5-კარიანი ჰეჩბეკის მოდიფიკაციითაც იყიდება.





# „პეჟოს“ უნივერსალი

ფრანგულმა გამოცემამ — L'Automobile „პეჟოს“ ახალი, მაღალი გამავლობის უნივერსალის არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა. ის მოდელ — 508-ის ბაზაზეა აგებული. წინასწარი ინფორმაციით, ამ მანქანას Outdoor ერქმევა და სერიულ წარმოებაში გაისად ჩაეშვება. გამოცემის ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ ამ მანქანის პრემიერა უკვე წლეულს მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგეს. სიახლის ხილვადობა სავარაუდოდ, 50 მმ-ით გაიზრდება, ხოლო მის ძარაზე სპეციალური დეტალებია დაყენებული, რომლებიც მანქანას დაზიანებისგან დაიცავს. სრული აძვრის ამგვარი სისტემები ჰიბრიდული აგრეგატით, უნივერსალ „პეჟო 508 აუთდორისთვის“ იქნება გათვალისწინებული. ის გააერთიანებს 163 ცხძ-იან, 2-ლიტრიან „დიზელს“ და 37 ცხძ-იან ელექტრომოტორს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მანქანის უკანა ბორბლების აძვრას უზრუნველყოფს. „არასაგზაო“ უნივერსალის ძრავათა გამაში ასევე შევა ბენზინისა და დიზელის მოტორები, რომლებიც ჩვეულებრივ, 508-ე ოჯახის სედანებსა და უნივერსალებზე გამოიყენება. ეს მოდელი შარშან, ოქტომბრის დასაწყისში პარიზის მოტორშოუზე იყო წარმოდგენილი. ევროპაში მანქანა ორი ბენზინის მოტორით იყიდება: 120 ცხძ-იანი, 1,6-ლიტრიანი „ატმოსფერულითა“ და 150 ცხძ-იანი, იმავე მოცულობის ტურბოაგრეგატით. ■







# „ლამბორჯინის“ სპეციალური მოდიფიკაცია

ამ ცოტა ხნის წინ კატარის მოტორშოუზე კომპანია „ლამბორჯინიმ“ სუპერავტო — Gallardo LP560-4-ის სპეციალური მოდიფიკაცია წარადგინა, რომელსაც Bicolore ეწოდა. სიახლე სტანდარტული ავტომობილისგან მხოლოდ ექსტერიერის ორფეროვანი გაფორმებით განსხვავდება. სახურავი, წინა დგარები, მოტორის სათავსის სახურავი და უკანა სპოილერი მხოლოდ შავად იქნება შეღებილი, ხოლო ძარას დანარჩენი ნაწილისთვის მყიდველი არჩევანს თავად გააკეთებს: მას 5 ფერს შესთავაზებენ: ყვითელს, ნარინჯისფერს, რუხ მეტალიკს, თეთრსა და ცისფერს. გარდა ამისა, Bicolore-ს ვერსიის განსხვავება ალუმინის შენადნობისგან დამზადებული, რუხი დისკებითა და ინტერიერში გამოყენებული, შავი ტყავით იქნება შესაძლებელი. „გალარდოს“ სპეციალურ მოდიფიკაციას ტექნიკური თვალსაზრისით, ცვლილება პრაქტიკულად არ განუცდია. სუპერავტო კვლავაც 560 ცხძ-იანი, 5,2-ლიტრიანი, V10 მოტორითაა აღჭურვილი, რომელიც ავტომობილს 100 კმ/სთ სიჩქარის 3,7 წამში განვითარების შესაძლებლობას აძლევს. ასეთი მანქანის მაქსიმლური სიჩქარე 325 კმ/სთ-ია. ■







# 1917 წლის „ჯარეგოს სისხლის ღვრა“

მიხეილ ლაბაძე

**1917 წლის თებერვალში, რუსეთის იმპერიის დედაქალაქ სანქტ-პეტერბურგში დატრიალებულმა ამბებმა და უკანასკნელი გვირგვინოსნის — ნიკოლოზ II-ის გადადგომამ კავკასიის სამეფისნაცვლოში სიტუაციის სერიოზული გართულება გამოიწვია. როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივი არარუსი ეროვნების ხალხებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე შეხლა-შემოხლა გახშირდა. სხვათა შორის, ცარიზმის მესვეურთა მიერ კავკასიელთა შორის ოდითგანვე წარმოებულმა, „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკამ შედეგი სწორედ იმხანად გამოიღო, რის გამოც მთელი კავკასია აფეთქდა — დაიწყო დაპირისპირებანი სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ინგუშებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის და ა.შ. ამას თან დაერთო ისიც, რომ დროებითმა მთავრობამ, რომელსაც სიტუაციის დარეგულირება თავად არ შეეძლო, მოსახლეობას იარაღი დაურიგა — თქვენი თავი თქვენვე დაიცავითო.**

1917 წლის გაზაფხულზე, ერთი მხრივ, ხევსურებსა და თუშებს, მეორე მხრივ მთიელ ჩეჩნებს (კერძოდ — მელხებს) შორის ურთიერთობა მეტად გამწვავდა. ამის მიზეზად იქცა მარბიელი თავდასხმები, რომლებიც ორივე მხრიდან ხშირი იყო; აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ჩეჩენმა, ისე ქართველმა მთიელებმა ძველი დრო გაიხსენეს და გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცებას მიჰყვეს ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებით სოფელ სახანოს (ჩეჩნეთი, ჯარეგოს თემი) მცხოვრებთა რაზმი გამოირჩეოდა, რომელსაც ვინმე მოჰმად ძეცაევი (იგივე ძეცათ მაჰამი) ხელმძღვანელობდა. ძეცაევი გამოცდილი ყაჩაღი იყო და ბევრის სისხლიც ემართა — როგორც ქართველების, ისე სხვა თემის ჩეჩნებისა, მაგრამ მოსისხლეებმა მისი მოკვლა, მრავალგზის ცდის მიუხედავად, ვერ შეძლეს. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ერთ-ერთი თავდასხმისას, ხევსურმა მოსისხლემ — შატილელმა ნიკო ჭინჭარაულმა, ძეცაევი ფეხში მძიმედ დაჭრა. ამის შემდეგ ეს უკანასკნელი ხევსურეთში ლაშქრობას ერიდებოდა; სამაგიეროდ, თუშეთს იკლებდა.



შატილელი მესაზღვრეები. 1917 წლის ფოტო

თუშეთის სოფლებზე ჯარეგოს თემის მცხოვრებთა თავდასხმები არც მას შემდეგ შეწყვეტილა, რაც მოჰმად ძეცაევი თუშმა მოსისხლეებმა სამუდამოდ დაახეიბრეს — მას ვინმე დავითო შალაფიშვილმა და იჩო ედიშერაშვილმა ხმლით ორივე ფეხი მოჰკვეთეს; ძეცაევი ცოცხალი ძლივს გადარჩა და გამოკეთებისთანავე, თუშებზე შურის საძიებლად ჯარეგოელთა დიდი რაზმი გამოგზავნა. შალაფიშვილი და ედიშერაშვილი მაშინ წოვათის თემის სოფ. წაროში იმყოფებოდნენ; ჯარეგოდან მომავალ ჩეჩნებს კი გზა აებნათ და ამ სოფლის მაგივრად ტბათანაში, წოვათელი მწყემსების საზაფხულო სადგომში მოხვდნენ. ცხადია, ვისაც ეძებდნენ, ისინი იქ ვერ ნახეს, მაგრამ მწყემსები დაარბიეს, მათი ფარები გაირეკეს და რამდენიმე მწველავი ქალიც გაიტაცეს, რომლებიც შემდგომ გაყიდეს.



ნასოფლარი ჯარეგო ამჟამად

ეს ყველაფერი ზაფხულის დასაწყისში მოხდა, ხოლო აგვისტოს თვეში კი მთაში კავკასიის ფრონტიდან დემობილიზებული ჯარისკაცები დაბრუნდნენ, რომლებმაც თან აუარებელი იარაღი ჩამოიტანეს — რუსეთში მომხდარი ამბების გამო, ფრონტი მოიშალა და სამხედროთა განმკითხავი აღარავინ იყო. ასე რომ, თუშებისა და ჯარეგოელების დაპირისპირებამ ხელახალი ძალით იფეთქა; არადა, გაჭიანურებული კონფლიქტი არც ერთ მხარეს ხელს არ აძლევდა. ამიტომაც, საქმეში ხევსურები ჩაერივნენ — რუსული არმიის მაღალჩინოსანმა, არხოტელმა ხევსურმა თომა ბალიაურმა, რომელსაც კავკასიონის ორივე მხარეზე უამრავი ძმადნაფიცი ჰყავდა, თუშები და ჯარეგოელები ლუდითა და საკლავით „შახყარა“, მაგრამ მათი შერიგება ვერ შეძლო — გატაცებული ქალები უკვე გაყიდულნი იყვნენ, რაც მთის კანონის დარღვევა იყო; გარდა ამისა, ჯარეგოელთა მხრიდან უფრო მეტი იყო დახოცილი, ვიდრე თუშების მხრიდან. ეს უკანასკნელები ქალთა გაყიდვის ფაქტს იშველიებდნენ და „გაუბარებელი“ მოკლულების (ასე ეწოდებოდა იმ მოკლულს, რომელიც შერიგების დროს — როცა მოკლულებს გადათვლიდნენ — რომელიმე მხრიდან ზედმეტი აღმოჩნდებოდა) სისხლის საზღაურის გადახდაზე უარს აცხადებდნენ. ერთი სიტყვით, დაზავებაზე ჯერ საუბარიც არ შეიძლებოდა.

საბოლოოდ, თუშებისა და ჯარეგოელების მტრობის ამბებმა ბარშიც ჩამოაღწია — თიანეთის მაზრის (იმხანად თუშეთიცა და ჯარეგოც მის შემადგენლობაში შედიოდა) უფროსმა ტბათანიდან ქალების გატაცებისა და გაყიდვის შესახებ ყველაფერი შეიტყო და საქმის მოსაგვარებლად თუშეთში სამხედრო კომისარი, ვინმე მენთეშაშვილი გაგზავნა. აღსანიშნავია, რომ მხცოვანი თუშების გადმოცემით, მაზრის უფროსთან ჯარეგოელებს მეცხვარეებმა უჩივლეს, რომელთაც თავის მხრივ, ფარების პატრონები აწუხებდნენ და დანაკლისის ანაზღაურებას სთხოვდნენ. კომისარი მენთეშაშვილი თუშეთში, სოფ. ომალოში 1917 წლის აგვისტოს ბოლოს ავიდა და მთელ მხარეში საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. კომისრის დავალებით,

თუშებმა ჩეჩნეთში ლაშქრობისაკენ ხევსურებსა და ფშაველებსაც მოუწოდეს.

სანამ თუშ-ფშავ-ხევსურები ჩეჩნეთში „სამეკოპაროდ“ წასვლაზე ბჭობდნენ, ჯარეგოს თემში ვიღაცამ ამბავი მიიტანა — ქართველები ერთიანდებიან და ჩეჩნეთის დაპყრობას აპირებენო. ცხადია, ყველანი აღელდნენ და საპასუხო ზომების მიღებას შეუდგნენ: ბარის ჩეჩნეთში ხალხი გაგზავნეს და არაკეთილისმსურველის მოტანილი ამბავი ყველას ამცნეს, თავადაც შეიარაღდნენ და საქართველოდან მომავალი გზა-ბილიკების გაკონტროლება დაიწყეს. „ჯარეგით დიან ქისტები, არღუნს ჩასტეხეს ხიდია, ჩაჩანში კაციც წაღლალეს — ლაშქარ გვაშველეთ დიდია!“ — ასეა აღწერილი იმდროინდელი სიტუაცია ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში. ბუნებრივია, შერიგების მცდელობები ორივე მხრიდან კვლავაც იყო: საღად მოაზროვნენი ცდილობდნენ, სისხლის ღვრა როგორმე თავიდან აეცილებინათ და ამისთვის ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ ამაოდ — ჯარეგოელებიც და თუშებიც ისე იყვნენ განწყობილნი, რომ უომრად საქმე არ გადაწყდებოდა.

სწორედ ამ დროს, მოჰმად ძეცაევის სამივე შვილი — მურთუზა, აჰმადი და ბაჰმადი, რომლებიც ადრე, ტბათანაში მწყემსებზე თავდასხმას მეთაურობდნენ, ლამ-ახის თემის ინგუშებმა დახოცეს. შერიგების მომხრეებმა ეს ფაქტი გამოიყენეს და ომის თავიდან აცილებას კიდევ ერთხელ შეეცადნენ. თომა ბალიაური და ხევსურთა სხვა თავკაცები ჯერ ჯარეგოში ჩავიდნენ, იქაურ უხუცესებს დაელაპარაკნენ, მერე თუშებსაც შეხვდნენ და მოუწოდეს, განზრახვაზე ხელი აეღოთ: „ჩვენ და ქისტები მეზობლები ვართ... ერთი კაცის ცოდვას ხალხს ნუ ავკიდებთ, დავზავდეთ და ისევე მშვიდობიანად ვიცხოვროთ, როგორც ჩვენი მამა-პაპანი ცხოვრობდნენ!“ — მიმართა თუშებს ბალიაურმა. მისი თქმით, თუკი თუშები დაზავებაზე დათანხმდებოდნენ, ჯარეგოელთა დაყოლიება ძნელი აღარ იქნებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თომა ბალიაურის შეთავაზებამ თუშთა შორის დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია: ქალები მოგვტაცეს, გაგვიყიდეს და ჩვენ პირველნი რატომ უნდა დავზავდეთო, — გაიძახოდნენ უკმაყოფილონი. ზოგიც ხევსურებს ეუბნებოდა — ხომ იცით, ქისტების ნდობა არ შეიძლება, მაგათ სამუდამოდ ჭკუა უნდა ვასწავლოთ, რომ ჩვენზე გამოლაშქრება ველარ გაბედონო. კომისარ მენთეშაშვილსაც თომა ბალიაურის აქტიურობა არაფრად ეჭაშნიკა და უკმეხად მიმართა — მთავრობის წარმომადგენელი აქ მე ვარ და ჯარეგოს თემთანაც მოლაპარაკებას მე გავმართავო. ბალიაური ბევრს ეცადა, მენთეშაშვილისთვის საქმის ვითარება უკეთ აეხსნა, მაგრამ ვერაფერი შეაგნებინა და იმედგაცრუებული უკან გამობრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურის წინამძღოლობა არ ინდომეს, თუშებმა ჯარეგოში ლაშქრობის მოწყობაზე ხელი მაინც აიღეს: რადგან ძეცაევები უკვე დახოცილნი იყვნენ, კომისარმა მენთეშაშვილმა მათ ურჩია, რომ ჯარეგოელებს ჯერ გაყიდული ქალების გამოხსნაზე მოლაპარაკებოდნენ და ზავი ამის მერე დაედოთ. კომისარს „მთავრობის კაცობით“ თავი მოჰქონდა და თუშებს ასე აიმედებდა — ჯარეგოელები ჩემ წინააღმდეგ წასვლას ვერ გაბედავენო.

ამასობაში, ჯარეგოში ბარის ჩეჩნეთიდან 2500 კარგად შეიარაღებული მოლაშქრე ავიდა. შატილელებმა ეს შეიტყვეს და თუშები გააფრთხილეს, უიარაღოდ ნუ წახვალთო. კომისარმა მენთეშაშვილმა შეკრებილი მოხალისეები სახლებში აღარ გაუშვა და ყველა თან წაიყვანა; გადმოცემით, თუშეთში ბრძოლისუნარიანი მამაკაცი თითქმის აღარ დარჩა. ლაშქარმა თეთრი დროშა აღმართა და ჩეჩნეთში გადავიდა; მათ მშვიდობიანად გაიარეს თუშეთის მოსაზღვრე შაროის, ითონყალას თემები და ჯარეგოსაც მიაღწიეს, სადაც 2500 ბარელი ჩეჩენი იმყოფებოდა. თეთრი დროშით მომავალი თუშთა ლაშქარი სოფლის გარეთ გაჩერდა, კომისარი მენთეშაშვილი კი უხუცესებთან შესახვედრად გაემართა.



**სახანოელ ძეცაევთა ოჯახი. ქვედა რიგში, მარცხნიდან მესამე — მოჰმად ძეცაევი. 1911 წლის ფოტო**

აღსანიშნავია, რომ სანამ თუშების ლაშქარი ჩეჩნეთში იყო გადასული, ერთ-ერთმა ყაჩაღმა — ითონყალელმა უანსაგმა („უან საგ“ ჩეჩნურად „ავ კაცს“ ნიშნავს) დრო იხელთა და ოციოდე კაცთან ერთად, საქონლის გადმოსარეკად თუშეთში გადავიდა. მართალია, უანსაგი დაუნდობელი ყაჩაღი იყო, მაგრამ იცოდა რა, რომ მამაკაცები ჩეჩნეთში იყვნენ წასულები, ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს ხელი არ ახლო, საძოვრებზე გაშვებული ხარ-ძროხა გაირეკა და წავიდა. ცხადია, საქონლის წაგვრას თუშები მას არ შეარჩენდნენ, მაგრამ უანსაგმა კარგად გათვალა, რომ ჯარეგოში დიდი შეხლა-შემოხლა მოხდებოდა და შემდეგ მისთვის ველარავინ მოიცლიდა; ამიტომაც თამამად მოქმედებდა და, მწყემს ქალებს გაეხუმრა კიდეც: ჯერ ამ ხარ-ძროხას წავიყვან და სათქვენოდ მერე მოვიცლიო. გადმოცემით, ამ სიტყვების გამგონე ქალებს ფერი ეცვალათ და კბილებამდე შეიარაღებულ ყაჩაღებს ისე გადახედეს, რომ ამ უკანასკნელთ ღიმილი სახეზე შეეყინათ.

უანსაგმა და მისმა ხალხმა გატაცებული საქონელი ჩეჩნეთისკენ მიმავალ გზას გაუყენეს და, ის-ის იყო, თავი სამშვიდობოსაც დაიგულეს, რომ მოულოდნელად სროლის ხმა გაისმა; ერთ-ერთი ჩეჩენი ცხენიდან გულგანგმირული გადმოეშვა, ხოლო მეორე ტყვიამ კი თავად უანსაგს მოუღო ბოლო. საქონელი დაფრთხა და აირია; ყაჩაღებიც გვარიანად დაიბნენ და დაშინდნენ, რადგან ვერაფრით მოახერხეს დაენახათ, თუ ვინ ესროდა მათ. ბოლოს საქონელი მიატოვეს და თავქუდმოგლეჯილნი ჩეჩნეთის მხარეს გაიქცნენ; როცა თვალს მიეფარნენ, სამალავიდან ორი თოფმომარჯვებული ქალი გამოვიდა — საძოვრებზე გამოჩენილი ყაჩაღებისთვის მათ ადრევე თვალი მოეკრათ და ჩეჩნეთისკენ მიმავალ გზაზე საგანგებოდ ჩასაფრებოდნენ. გადმოცემით, ისინი ელანიძეთა გვარიდან იყვნენ და, ერთ-ერთს მარიამი ერქვა; ქალებმა აბლავლებული ხარ-ძროხა მოაგროვეს და ისევ საძოვარზე გარეკეს.

რამდენადაც ჩეჩნების თავდასხმის საფრთხე კვლავაც დიდი იყო (უან-

საგის მოკვლის გამო ისინი აუცილებლად შურს იძიებდნენ) თუშმა ქალებმა მოითათბირეს და ფშავში


ითონყალელი აბრაგი უანსაგი. 1905 წლის ფოტო

მაცნე გაგზავნეს — ჩეჩნები გვემუქრებიან და მოგვეშველეთო. იმავე საღამოს, ფშავიდან უკაცოდ დარჩენილ თუშეთში ასამდე კარგად შეიარაღებული კაცი ავიდა და საზღვარზე ჩადგა. ჩეჩნები აღარ გამოჩენილან, მაგრამ უანსაგის ნათესავებს შურისძიებაზე უარი არ უთქვამთ — მათ ყველაფერი ჯარეგოელებს აცნობეს და მოითხოვეს, რომ თუშებთან ზავი არ დადებულიყო: „ეგენი ჩვენი მტრები არიან და, თუ დაუზავდებით, უანსაგის სისხლს თქვენ გაზღვევინებთ!“ — შეუთვალეს ითონყალელებმა ჯარეგოელებს.

უანსაგის ახლობლების მიერ გაგზავნილი კაცი ჯარეგოში იმ დროს ჩავიდა, როცა მოლაპარაკება დასასრულს უახლოვდებოდა. ჯარეგოელი უხუცესები ზავზე თანახმანი იყვნენ, მაგრამ როცა ახალი ამბავი შეიტყვეს, გადაწყვეტილება შეცვალეს. მიუხედავად ამისა, კომისარ მენთეშაშვილს არაფერი აგრძნობინეს; პირიქით — უთხრეს, რომ ზავის დადების აღსანიშნავად, ქალები სუფრას შლიდნენ და, სანამ ყველაფერი გამზადდებოდა, თან წამოყვანილ ლაშქართან ერთად სოფლის განაპირას მოეცადა. კომისარს არაფერი უეჭვია, დიდად კმაყოფილი დარჩა და მოხალისეებსაც უბრძანა, მითითებულ ადგილას დაბანაკებულიყვნენ. თუშები ერთბაშად მოეშვნენ, ყურადღებაც მოადუნეს და ქეიფის მოლოდინში, ჯარეგოელებთან მასლაათი გააბეს. მტრული დამოკიდებულება უცებ გაქრა, თუმცა, როგორც შემდგომ გამოჩნდა, ჩეჩნებს სულ სხვა ჩანაფიქრი ჰქონდათ.

„საქეიფო სამზადისი“ შებინდებამდე გაგრძელდა. თუშებს მასპინძელთა ერთგულებაში ეჭვი შეეპარათ და ნელნელა დაიძაბნენ. უანსაგის მოკვლის ამბავი მათაც შეიტყვეს, მიუხედავად იმისა, რომ ჯარეგოელები არაფერს აგრძნობინებდნენ. ლაშქარი თითქმის მთლიანად წოვათუშებისაგან შედგებოდა, რომლებსაც ჩეჩნური ენა კარგად ესმოდათ და სწორედ ერთერთმა მათგანმა, სახელად ლორსამ, ჯარეგოელთა საუბარს მოჰკრა ყური: „კარგად რომ შეღამდება, სუფრაზე მსხდარ უიარაღო თუშებს კურდღლებივით ამოვხოცავთ და უანსაგის სისხლსაც ასე ავიღებთ...“ — თათბირობდნენ ჩეჩნები. მალე მათი ლოდინით დაღლილი თუშები სუფრაზეც მიიწვიეს და ვითომ სხვათა შორის უთხრეს: „როგორც წესია, თოფიარალი აიყარეთ, ჩაგვაბარეთ და წასვლის დროს ყველაფერს უკლებლივ ჩაგაბარებთ!“ თუშებმა იარაღის აყრა დააპირეს, მაგრამ ლორსამ შესძახა — იარაღს ნუ ავიყრით, ამოხოცვას გვიპირებენო და, პირველი ტყვიაც სწორედ ამ დროს გავარდა. კოშკებში ჩასაფრებულმა 2500-მა ჩეჩენმა ქართველებს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნა. ბუნებრივია, ამ უკანასკნელებმა რეაგირება ვერ მოასწრეს, ამიტომაც ბევრი მოლაშქრე (მათ შორის — ლორსაც) ისე დაეცა, საპასუხოდ გასროლაც ვერ მოახერხა. დაიღუპა თვით კომისარი მენთეშაშვილიც.

თუში მოლაშქრეების მცირე ნაწილი, რომელიც ხოცვა-ჟლეტას გადაურჩა, ჩეჩნებმა ტყვეებად აიყვანეს და სოფლის თავში, ერთ მაღალ კოშკში ჩაკეტეს. ისინი საღამოსთვის ითონყალაში, უანსაგის ახლობლებისთვის უნდა გაეგზავნათ, იქ კი უეჭველი სიკვდილი ელოდათ — ყველა მათგანს ყაჩაღის საფლავზე დაკლავდნენ, რათა სისხლი აღებულად ჩათვლილიყო. დატყვევებულ თუშებს იმედი გადაუწყდათ, მაგრამ სწორედ ამ დროს, ერთ-ერთმა ჯარეგოელმა ქალმა მათ პურსა და წყალთან ერთად, პატარა ქლიბიც მოუტანა და უჩუმრად უთხრა: „ჩვენ წესი გვაქვს — გამარჯვების აღსანიშნავად, მოლა საყოველთაო ლოცვას აღავლენს, რომელსაც მთელი სოფელი უნდა დაესწროს... თქვენც ამით უნდა ისარგებლოთ და გაიქცეთ!“ თუშებმა ქალს ქლიბი მაშინვე უსიტყვოდ ჩამოართვეს და ბორკილების ხეხვას შეუდგნენ.

მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ, „ძიქარზე“ (ჩეჩენი სუფისტების რელიგიური ცერემონია, რომლის დროსაც ისინი წრეზე დგებიან და მოლის ნიშანზე, საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ; თანაც, განუწყვეტლივ იმეორებენ ისლამურ მრწამსს — „შაჰადას“) მთელი სოფელი შეიკრიბა. ლოცვა რომ დაიწყო, თუშებმა დრო იხელთეს, კოშკის კარი გამოამტვრიეს, გარეთ გამოვიდნენ და შატილისაკენ გაიქცნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ გზაზე დარაჯად აღარავინ იდგომებოდა, მაგრამ შეცდნენ — ალაქოს ხევში (რომელზეც ჯარეგოელთა და შატილელთა საზღვარი გადიოდა) ჩეჩნების მცირერიცხოვანი რაზმი მდგარიყო, რომელმაც გაქცეულები შეამჩნია და სროლა-სროლით უკან გამოედევნა.

ალაქოს ხევში ატეხილი სროლის ხმა და გამოქცეულ თუშთა ყვირილი შატილში მალევე გაიგონეს, აქედან კი ხმა ხევსურეთის სხვა თემებს, ფშავსა და თუშეთსაც მიაწვდინეს. სასწრაფოდ, ქუდზე კაცი გამოვიდა და ყველანი ჯარეგოსაკენ დაეშვნენ. თუშეთში მყოფი ფშავლებიც საჩქაროდ ჩეჩნეთში გადავიდნენ, მდ. არღუნი გადალახეს და ჯარეგოს ზურგიდან მოუარეს. 1917 წლის 3 სექტემბერს, დილით ადრე, ხევსურებისა და ფშავლების მაშველმა რაზმებმა სოფელს ორი მხრიდან შეუტიეს. შემდგომში ამ ლაშქრობის მონაწილენი იხსენებდნენ, რომ ჯარეგოს სანახებთან შეუმჩნევლად მიახლოება მათ ნისლის დახმარებით შეძლეს — გათენებისას, ნისლი მთებიდან დაბლა, სოფლისკენ ჩაცურდა და მას თან ხევსურებიც მიჰყვნენ. ჩეჩენმა მზირებმა ახლოს მოსული მტერი მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როდესაც შუკებში ძაღლებმა ყეფა ატეხეს. სულ მალე, დაპირისპირებული მხარეები ხმალდახმალ შეებნენ ერთმანეთს. ხევსურებმა თან წამოღებული თვითნაკეთი ბომბები კოშკების შესასვლელ კარებშიც შეყარეს და იქ გამაგრებული ჩეჩნების დიდი ნაწილი გაანადგურეს; მიუხედავად ამისა, სოფელმა წინააღმდეგობა გვიან საღამოსღა შეწყვიტა. ხევსურებმა ჯარეგოს შუკებში მიმოფანტული თუშთა გვამები მოკრიბეს, ჯარეგოელთა ნახირიც გამოირეკეს და გამარჯვებულნი, უკან გამობრუნდნენ. „ხევსურთ დალლახნეს ქისტები,/ სისხლის ადინეს ღვარია,/ სამს დღეს ისმოდა ჯარეგით/ ქისტის დიაცთა ზარია!“ — მოგვითხრობს ამის შესახებ ხევსურული ლექსი, რომელიც ჯარეგოს სისხლის ღვრის ერთ-ერთმა მონაწილემ გამოთქვა. ■

# „მოწყალე სამარიტელის“ იგავი

**„მოწყალე სამარიტელის“ იგავი ლუკას სახარების მე-10 თავშია მოთხრობილი: ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიქონისკენ მიემგზავრებოდა. გზაში ავაზაკები დაესხნენ თავს, გაძარცვეს, სცემეს და ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს. შემთხვევით იმ გზაზე მღვდელმა ჩამოიარა, დაინახა მომაკვდავი კაცი და გვერდი აუქცია; ასევე მოიქცა ლევიტელიც. შემდეგ, სამარიტელმა გამოიარა, დაინახა სიკვდილის პირას მყოფი კაცი და შეებრალა; მივიდა მასთან, საკუთარი სამოსით შეუხვია ჭრილობები, ზეთი და ღვინო დაასხა, თავის სახედარზე შესვა და ერთ-ერთ სასტუმროში დააბინავა. მეორე დღეს სასტუმროს პატრონს ორი დინარი მისცა და უთხრა: იზრუნე მასზე; თუ მეტი დაგჭირდა მის მოვლა-პატრონობისთვის, რომ დავბრუნდები, მოგცემო...**

*შორენა მერკვილაძე*

„მოწყალე სამარიტელის“ იგავს მაცხოვარი მოაყოლებს ერთ-ერთი სჯულისმცოდნის შეკითხვას, — მოძღვარო, რა უნდა ვქნა იმისათვის, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდროო? როგორც ვიცით, სჯულისმცოდნეთა მოვალეობა საღმრთო წიგნების კანონების ცოდნა იყო, ამიტომაც უფალი კითხვითვე მიუგებს: რა წერია სჯულში, ღმერთი რას გვეუბნებაო? ისიც მიუგებს: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა; და მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. მართალი ხარო, — მიუგებს უფალი, რითიც არა მარტო სჯულისმცოდნეთ, არამედ თითოეულ ჩვენგანს მოგვიწოდებს საღვთო სჯულის დაცვა-აღსრულებით ცხოვრებისკენ. საღვთო სჯულში კი, როგორც ვხედავთ, უმთავრესი — ღვთისა და მოყვასის სიყვარულია.

ვიცით, რომ მაცხოვარს ხშირად გაუბამდნენ ბაასს ისრაელის ერის ელიტური ნაწილის წარმომადგენლები — ფარისევლები, უხუცესები, მწიგნობარნი და სჯულისმცოდნენი, მაგრამ არა მისი ქადაგებისა და მოძღვრების მისაღებად, არამედ საკუთარი ზრახვების ხორცშესასხმელად: სურდათ, ბრალი დაედოთ მისთვის სჯულისკანონთა არცოდნასა თუ დარღვევაში, დაებეზღებინათ და ამ გზით წინ აღდგომოდნენ მის ქადაგებას.

...სჯულისმცოდნე აგრძელებს მაცხოვრის „შეცდომაში შეყვანის“ მცდელობას და ისევ ეკითხება: ვინ არის მოყვასი ჩემიო? სწორედ ამ კითხვას მოაყოლა უფალმა „მოწყალე სამარიტელის“ იგავი, რომლის თანახმადაც, უფლის მთავარი სათქმელი სწორედ მოყვასის სიყვარული და მის მიმართ გულმოწყალებაა. მოყვასის სიყვარულით უფალს განვადიდებთ, უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს მცნებას — ღვთის სიყვარულს აღვასრულებთ. იგავის თანახმად, უფალი ასევე გვასწავლის იმას, თუ ვინ არის ადამიანისთვის მოყვასი და ჩვენც როდის ვართ სხვა ადამიანებისთვის მოყვასნი, რა შემთხვევაში აღვასრულებთ ღვთის ამ უდიდეს მცნებას. ვინ არის მოყვასი ჩემი? — რატომ სვამს სჯულისმცოდნე ამ შეკითხვას? მან, როგორც სჯულის მცოდნემ, კარგად უნდა იცოდეს პასუხი ამ კითხვაზე. მოსეს სჯული ებრაელებს, თვისტომელთა გარდა, უცხოთა სიყვარულსა და დახმარებასაც ავალდებულებდა, თუმცა იმ პერიოდში ისრაელიანთა — რჩეული ერის ელიტის წარმომადგენელთა გულები იმდენად დაშორებული იყო ჭეშმარიტებისა და ღვთის რწმენას, რომ მოყვასად ნებისმიერი ადამიანი კი არ მიაჩნდათ, არამედ მხოლოდ თანამოაზრე იუდეველები ან ნათესავი და მეგობარი; ღვთის სჯულს მხოლოდ გარეგნულად აღასრულებდნენ. სწორედ ღვთისა და უფლის სჯულის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების გამოხატულება და დადასტურებაა სჯულისმცოდნის საუბარი მაცხოვართან, რომელსაც უფალი „მოწყალე სამარიტელის“ იგავით მიუგებს და ბოლოს, კითხვასაც დაუსვამს: რას ფიქრობ, იმ სამიდან, რომელი უფრო იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილი მოყვასი? ე.ი. — რომელმა აღასრულა ღვთის მცნებაო? ცხადია, ამ კითხვით უფალი თითოეულ ჩვენგანს მოგვმართავს, სჯულისმცოდნის მსგავს, ვითომდა მართალთ კი ამხელს „მოწყალე სამარიტელის“ იგავით...

მღვდელს, რომელიც იგავის თანახმად, მაცხოვარმა იმ გზაზე გამოატარა, უპირველესად ევალებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილი მოყვასის მიხედვა და დახმარება (მღვდელი იერუსალიმის ტაძარში აღასრულებდა სხვადასხვა მსახურებას: მსხვერპლშეწირვას, გუნდრუკის კმევას... იუდეველთა სამსჯავროშიც მღვდელს ეკუთვნოდა გადამწყვეტი ხმა; ხალხს განუმარტავდა ღვთის სჯულს...); მაგრამ მღვდელიც და შემდგომ, ლევიტელიც გვერდს აუვლიან გასაჭირში ჩავარდნილ თანამოძმეს, მის დახმარებას არც ცდილობენ. მათი ქმედების იგავური თქმით, უფალი სწორედ



ამის შესახებ შეახსენებს შეკითხვის დამსმელ სჯულისმცოდნეს, ამასთან, მიანიშნებს, რომ მოყვასისადმი სიყვარულის მცნება მართლაც, აღარ სრულდებოდა იმ პერიოდში, უპირველესად — წარჩინებულ იუდეველთა მიერ, რომელთაც სჯულისმცოდნეც მიეკუთვნებოდა.

წმინდა მამათა განმარტებით, იმ კაცში, რომელსაც ავაზაკნი დაესხნენ თავს, უნდა ვიგულისხმოთ განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანი, ყველა, ვინც ჩვენს შეწევნასა და დახმარებას საჭიროებს, მღვდელსა და ლევიტელში კი — ვითომდა ღვთის წინაშე მართალი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად აღასრულებენ საღვთო მცნებებს და თავი მოაქვთ ამით.

იგავის თანახმად, გასაჭირში ჩავარდნილ კაცს უფალი შემწედ, სამარიტელს მოუვლენს, რომელიც წეს-

ით, იუდეველის მიმართ გულმოწყალებას არ უნდა იჩენდეს, რადგან მათ შორის მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მტრობა არსებობდა. სამარია იუდეველთა მეზობელი მხარე იყო, მაგრამ იუდეველთა და სამარიტელთა შორის ურთიერთობა არ არსებობდა. სამარიტელები და სამარიტელობა წარმოიშვა ასურეთის მიერ ისრაელის სამეფოს განადგურების შემდეგ, ძვ.წ.აღ-ის VII საუკუნეში: ასურეთის მეფემ ისრაელიანთა ნაწილი ტყვედ წაიყვანა, მათ ადგილას კი კერპთაყვანისმცემელი ასურელები ჩამოასახლა. მათ უამრავი განსაცდელი დაატყდათ თავს. რადგან მიაჩნდათ რომ ყველა ადგილს თავისი ღმერთი ჰყავდა, იფიქრეს, — იმის გამო ვისჯებით, რომ ადგილობრივ ღმერთს არ ვცემთ თაყვანსო. ამიტომ მიიღეს მოსეს ხუთწიგნეული, მაგრამ არც კერპთაყვანისმცემლობა, წარმართული ზნე-ჩვეულებანი მიუტოვებიათ; ამდენად, მათ სარწმუნოებაში მოხდა ჭეშმარიტი სჯულისა და წარმართობის შეზავება, რასაც „სამარიტელობა“ ეწოდა; თავად სამარიტელები, ასურეთიდან ჩამოსახლებული ხალხისა და ადგილობრივ ისრაელიანთა ნაჯვარს წარმოადგენდნენ და ეს სახელი ქალაქ სამარიის მიხედვით ეწოდათ. დროთა განმავლობაში, შერეული სჯული, რომელიც სამარიტელობად იწოდა, ებრაელებისა და სამარიტელების დაპირისპირების, სიძულვილისა და მტრობის მიზეზი გახდა. იუდეველებს სასტიკად სძულდათ ისინი, სახალხოდ სწყევლიდნენ, მათ სახლშიც არ უშვებდნენ. როგორი გასაჭირიც უნდა ჰქონოდა ებრაელს, სამარიტელს დახმარებას არ სთხოვდა. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ სამარიტელებსაც ებრაელების მიმართ. იგავში სწორედ სამარიტელი აღმოუჩენს დახმარებას ავაზაკთაგან გვემულ ებრაელს. და ამ იგავური თქმით უფალი გვასწავლის, რომ უკლებლივ ყველა ადამიანი, თუგინდ ჩვენ მიერ მტრად მიჩნეული, ჩვენი მოყვასია და ყველას მიმართ გვმართებს მოყვასის სიყვარულის მცნების აღსრულება. ადამიანი კი არ უნდა მოვიძულოთ, არამედ — მასში არსებული ცოდვა, სიძულვილით კი უხილავი მტერი — ბოროტი სული უნდა გვძულდეს, რადგან როგორც წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს, უხილავად არსებული მტერია შენთვის ავის მომტანი და არა ადამიანი, შენი მოყვასი, რომელიც უხილავმა მტერმა მიდრიკა ამ უკეთურების ჩადენისკენ. შეიძლება, ჩვენ მიმართ მძიმე ცოდვის ჩამდენთან არ ვიმეგობროთ, მაგრამ თუ მის მიტევებასა და პატიებას შევძლებთ, ესეც სიყვარულის გამოხატულებაა.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ღრმა სიბერემდე იმდენად დაუძლურდა, რომ საკუთარი ფეხით მორწმუნეთა შეკრებებზე სიარული აღარ შეეძლო და მოწაფეებს დაჰყავდათ. ბოლოს საუბარიც უჭირდა და მხოლოდ ამ სიტყვებს ამბობდა: „შვილებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“ გაკვირვებულმა მოწაფეებმა ჰკითხეს, — რატომ იმეორებდა სულ ერთსა და იმავეს? — ეს არის მთელი სჯულის მოკლე შინაარსიო, — მიუგო მათ იოანემ.

უფლის მცნებების აღსრულება რთულია, ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის. იმის განცდა, რომ ჩვენ ქრისტესთან ვართ და ქრისტე ჩვენთან არის, ყველაფერს აწესრიგებს.

იგავის თანახმად, სამარიტელი იმასაც ჰპირდება სასტუმროს პატრონს, — მოვალ და რასაც დახარჯავ, აგინაზღაურებო. წმინდა მამები ამ ადგილის განმარტებისას ბრძანებენ: „მართლაც, უფლის მეორედ მოსვლის ჟამს ხომ ყოველ ჩვენგანს ჩვენი საქმისამებრ მოგვეზღვევა: რასაც დავხარჯავთ (გავცემთ) და როგორც დავიხარჯებით, საზღაურიც ამის მიხედვით გვერგება უფალი ღმერთისგან“.

უფალი ბრძანებს: არაფერია იმაზე დიდი ჩემთვის, ვიდრე მოყვასმა მოყვასისთვის დადოს თავი; ასევე მოგვიწოდებს, — ვინც ტირის, მასთან ერთად თქვენც იტირეთ, ვისაც უხარია, მასთან ერთად თქვენც გაიხარეთო. თუ ადამიანს გასაჭირი ადგას და მისი გასაჭირი შენს გულზე არ მოქმედებს, სხვისი ტირილი არ გესმის, ასეთ დროს სინანული და გლოვაა საჭირო. თუ სხვისი სიხარული გვიხარია, ძალიან კარგია, თუ არა, მაშინაც სინანული და გლოვა სჭირდება ჩვენს გულს, რათა ადამიანების ჭეშმარიტ სიყვარულამდე, თანაგრძნობამდე და გულმოწყალებამდე ავმაღლდეთ სულიერად. უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მცნება, როგორც ვთქვით, ღვთის სიყვარულია. მამები ამბობენ, რომ ადამიანი სიყვარულს მოყვასის სიყვარულით იწყებს და სწავლობს. მას ჯერ დედა, მამა და ოჯახის წევრები უყვარდება, შემდეგ ეს წრე ფართოვდება და იწყებს ახლობლებისა და ნაცნობების სიყვარულს. ამის შემდეგ მიდის ადამიანი ღვთის შემეცნებამდე და აღწევს იმ მდგომარეობას, რომ უპირველესად, უფალი უყვარდეს. ამდენად, ადამიანი ღვთის სიყვარულისკენ მოყვასის სიყვარულის გზით მიდის. ■

# დედამიწის ყველაზე ლამაზი ტაძრები

ლას ლახასის ტაძარი მდინარე გუაიტარას ღრმა და ვიწრო ხეობაში მდებარეობს. მისი მშენებლობა 1916-დან 1949 წლამდე გრძელდებოდა. ტაძრის აშენების მიზეზად, ასეთ ლეგენდას ჰყვებიან: ინდიელ ქალს ყრუ-მუნჯი შვილი ზურგზე მოკიდებული მიჰყავდა. მოულოდნელად ბავშვმა ხმა ამოიღო და დედას გამოქვაბულთან გაჩერება სთხოვა. იქ გოგონამ ღვთისმშობელი და ყრმა იესო დახატა. ექსპერტებმა ვერ დაადგინეს, თუ რა სახის საღებავებია გამოყენებული ხატის შესაქმნელად. მათი აზრით, ქვები



თითქოს „გაჟღენთილია“ ნახატით. გამოქვაბულში უამრავი მლოცველი იყრიდა თავს. მოგვიანებით სასწაულთმოქმედი ხატისთვის პატარა სამლოცველო ააგეს, შემდეგ — ლას ლახასის ტაძარი. ის იმგვარადაა აშენებული, რომ ღვთისმშობლის და ყრმა იესოს ხატი ტაძრის ცენტრში მდებარეობს.

„საგრადა ფამილიას“ (ბარსელონა, ესპანეთი) მშენებლობა 1882 წელს დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს. მისი ესკიზები სახელგანთქმულმა არქიტექტორმა — ანტონიო გაუდიმ შექმნა. მაგრამ მშენებლობის დასრულებას არ ჩქარობდა. „ჩემი კლიენტი არ ჩქარობს“, — ამბობდა იგი. ტაძრის მშენებლობა 1936 წელს, სამოქალაქო ომის დროს შეჩერდა. კატალონიელმა ფანატიკოსებმა გაუდის მაკეტი გაანადგურეს. მშენებლობა დღესაც გრძელდება და მის დასრულებას 2026 წლისთვის ვარაუდობენ. მოსახლეობამ „საგრადა ფამილიას“ ასე შეარქვა — „ტაძარი, რომლის მშენებლობა არასდროს დასრულდება“. 2010 წლის 7 ნოემბერს ტაძ-





არი პაპა ბენედიქტ XVI-მ აკურთხა.

ნეტარი ვასილის ტაძარი მოსკოვში, წითელ მოედანზე მდებარეობს. ტაძრის შვიდი გუმბათი სამყაროს შექმნის შვიდ დღეზე მიანიშნებს. საკათედრო ტაძარი ივანე მრისხანეს ბრძანებით ააგეს.

სტამბოლის აია-სოფია მუზეუმადაა ქცეული. თავდაპირველად ეს მართმადიდებლური ეკლესია იყო, რომელიც მოგვიანებით მეჩეთად გადაკეთდა.

წმინდა პეტრეს ბაზილიკა (ვატიკანი) 2 ჰექტარზეა გადაჭიმული და 60 ათას ადამიანს იტევს. აქაა დაკრძალული პეტრე მოციქული, რომლის სახელსაც ტაძარი ატარებს. თანამედროვე ბაზილიკის მშენებლობა 1506 წელს დაიწყო და 1626 წელს დასრულდა. ძველად მის ადგილას კონსტანტინეს ბაზილიკა მდებარეობდა.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც ნოტრ-დამის სახელითაა ცნობილი, გოტიკური საკათედრო ტაძარია და ფრანგული არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ ნიმუშად მიიჩნევა. მისი მშენებლობა 1163 წელს დაიწყო და 200 წელს გაგრძელდა. უნიკალურია ტაძრის ფანჯრები, რომლებზეც ბიბლიის სცენებია აღბეჭდილი.

**დაბოლოს — ყველაზე ორიგინალური თანამედროვე ტაძრები:**

რეიკიავიკის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს Hallgrimskirkja -ის 74,5-მეტრიანი ტაძარი. იგი 1945-86 წლებშია აგებული. ეს რთულად წარმოსათქმელი სახელი სიტყვასიტყვით „ხალგრიმურის ეკლესიას“ ნიშნავს. ხალგრიმურ პეტერსონი ისლანდიელი პოეტი და ეკლესიის მსახური იყო. ტაძრის ფასადი გეიზერს ჰგავს, რითაც ცნობილია ისლანდია.

პროტესტანტების „კრისტალების ტაძარი“ კალიფორნიაში, ქალაქ გარდენ-გროვში მდებარეობს. იგი თითქმის მთლიანად მინისაა. ტაძარი განსაკუთრებით ლამაზია მზის ამოსვლისას. „კრისტალების ტაძარი“ იმითაცაა ცნობილი, რომ მასში მსოფლიოში უდიდესი ორგანია. ■

# საპადი: ადამიანი-სირაქლემა

ცენტრალურ აფრიკაში, ზიმბაბვესა და ბოტსვანის საზღვარზე, პატარა სოფელში საპადების ტომი ცხოვრობს. სხვა დანარჩენი ადამიანებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ფეხებზე მხოლოდ ორი თითი აქვთ, თანაც ორივე — დიდი. მეცნიერები ამ დაავადებას „მარწუხის სინდრომს“ უწოდებენ და მათი აზრით, იგი სისხლის აღრევითაა გამოწვეული. საპადები უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ — მათ შესახებ პირველად სტრაბონი წერდა. 1863 წელს ფრანგმა ბიოლოგმა აფრიკაში მოგზაურობის დროს ორთითიანი აფრიკელებიც მოიხსენია. 100 წლის შემდეგ მათ შესახებ ინგლისური გაზეთი „გარდიანიც“ წერდა. მოგვიანებით საპადებს ეთნოგრაფი ბასტერ ფილიპსი ეწვია. საკუთარი სტატია ერთ-ერთ ინგლისურ გეოგრაფიულ ჟურნალში აღწერა: „ადამიანი-სირაქლემას ტომელები საშუალო სიმაღლისანი არიან. ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევიან. სოკოებით, ტყის ნობათითა და მარცვლეულით იკვებებიან. კარგად დარბიან, ხეებზე მაიმუნებივით დაძვრებიან. შეუძლიათ, წყლით სავსე ჭიქა პირამდე ფეხით მიიტანონ. მალამოებითა და ბალახეული ნაყენებით სხვადასხვა დაავადების განკურნება შეუძლიათ“.





1971 წელს საპადებს მეცნიერებმა და ექიმებმა ჩააკითხეს. მასპინძლები სტუმრებს ეჭვის თვალით უყურებდნენ. მათთან კონტაქტს გაურბოდნენ. ტომის უკეთ შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა რამდენიმე უჩვეულო წესჩვეულება აღმოაჩინეს, მაგალითად: შეყვარებულ წყვილს, დაქორწინებამდე ერთმანეთზე აბამენ და გავარვარებულ ქვიშაზე ერთი დღე-ღამით, საჭმელ-სასმლის გარეშე აწვენენ. ვინც ამ გამოცდას ვერ გაუძლებს, ვერ დაქორწინდება. ახალმთვარეობას, ათამდე მამაკაცს მიწამდე ქვიშაში მარხავენ. მათ მთელი ღამე სარიტუალო ტექსტები უნდა თქვან, დანარჩენები მათ გარშემო ცეცხლს ანთებენ.

სხვათა შორის, მეცნიერი და მოგზაური იან ჰარტ-სინგიც აღწერდა მარწუხკიდურებიან ადამიანებს, რომლებიც სამხრეთ ამერიკის მიუვალ ტყეებში ცხოვრობდნენ. მეცნიერი მათ „ტუვინგას“ უწოდებდა. ალბათ ინგლისური სიტყვის — Two-fingers-ის დამახინჯებულ ფორმას, რაც „ორთათითიანს“ ნიშნავს. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, უძველესი საპადები სატირებისა და სხვა მითური არსებების პროტოტიპები იყვნენ. ■



# ერთკვირიანი დიეტა სხეულისა და კანის სილამაზისათვის

**თუკი უკმაყოფილო ხართ თქვენი წონით, პრეტენზია გაქვთ კანისა და თმის მდგომარეობის მიმართ, პრობლემების გადაჭრა ორგანიზმის შინაგანი ფუნქციების მოწესრიგებით უნდა დაიწყოთ. ამისთვის კი შეგიძლიათ ერთკვირიანი განმტვირთავი დიეტა დაიცვათ. დიეტის ავტორები ირწმუნებიან, რომ უკვე მესამე დღეს კანი სასიამოვნო ვარდისფერს მიიღებს, თვალებს ბრწყინვალება დაუბრუნდება და რაც მთავარია, მთელ სხეულში უჩვეულო სიმსუბუქეს იგრძნობთ.**



დიეტის დაწყებამდე რამდენიმე რჩევა გაითვალისწინეთ:

დიეტის დაცვისას ორგანიზმი დაგროვილი ტოქსინებისგან თავისუფლდება და მათ მესამედს ოფლის სახით გამოყოფს. ამიტომაც, დღეში ორჯერ მიიღეთ შხაპი. რაც შეეხება 24-საათიანი მოქმედების დეზოდორატორებს, ისინი საოფლე ჯირკვლების ფუნქციონირებას ახშობს და უმჯობესია, თუ მათი გამოყენებისგან თავს შეიკავებთ.

ქვემოთ მოყვანილი მარტივი პროცედურები კი სტიმულს მისცემს სისხლის მიმოქცევას და დიეტას უფრო ეფექტურს გახდის:

შხაპის მიღებისას სხეული უხეში ჯაგრისით დაიზილეთ.

კვირაში ორჯერ ზღვის მარილის აბაზანა მიიღეთ. პროცედურის ხანგრძლივობა 15 წუთია.

დილით საწოლიდან უცბად არ წამოდგეთ, ჯერ კარგად გაიზმორეთ, მიიხედ-მოიხედეთ და სასიამოვნო ამბავი გაიხსენეთ.

ახლა დიეტის შესახებ:

**პირველი დღე**

**საუზმე:** ხილი და ნიგოზი (ან თხილი);

**სადილი:** მოშუშული ბოსტნეული და ხაჭო;

**ვახშამი:** ხილის სალათა, იოგურტი და ორცხობილა;

**შუალედებში** — ვაშლი.

**ყურადღება!** დიეტის დაცვისას, ყოველდღიურად, მინიმუმ 2,5 ლ წყალი, ბალახის ან ხილის ჩაი დალიეთ.

**მეორე-მეოთხე დღე**

**საუზმე:** ბალახის ან ხილის ჩაი, ერთი ჩ/ჭ მწნილის წვენი;

**სადილი:** ბოსტნეულის ბულიონი (აიღეთ 100 გ ნიახურისა და ოხრახუშის ძირები, 50 გ კარტოფილი, 30 გ პრასი და ერთი სტაფილო. ყველაფერი მსხვილად დაჭერით, დაუმეტეთ შავი პილპილი, დაფნის ფოთოლი და 1 ლ წყალში 30 წუთი ხარშეთ);

**ვახშამი:** ერთმანეთში გაზავებული ნახევარი ჭიქა ბოსტნეულის წვენი და ნახევარი ჭიქა წყალი.

**მეხუთე დღე**

**საუზმე:** 4-5 ცალი შავი ქლიავის ჩირი, ბალახის ან ხილის ჩაი;

**სადილი:** ბოსტნეულის ბულიონი კარტოფილით;

**შუალედებში:** ვაშლი.

**ვახშამი:** პომიდვრის წვნიანი ორცხობილასთან ერთად; ბალახეული ნაყენი.

**მეექვსე-მეშვიდე დღე**

**საუზმე:** 4-5 ცალი ლეღვი ან შავი ქლიავის ჩირი; ბალახის ან ხილის ჩაი;

**სადილი:** მოშუშული ბოსტნეული (უმარილოდ) და კარტოფილის პიურე (რძის გარეშე), ცოტაოდენი კარაქით და დაჭრილი ოხრახუშით;

**შუალედებში:** ნიგოზი, თხილი ან ნუში;

**ვახშამი:** ორცხობილა, ხაჭო, ასკილის ნაყენი.

ამ დიეტის შემდეგ, საკუთარ თავს სასიკეთო ცვლილებებს თვალნათლივ შეატყობთ. თუმცა კვებისას ზომიერების გამოჩენა არც დიეტის დამთავრების შემდეგაც გაწყენდათ. ■

# როგორ მოვუაროთ მშრალ და ცხიმიან თმას



ყველაზე ნაკლებპრობლემური ე.წ. ნორმალური ტიპის თმაა. მის მოსავლელად განსაკუთრებული ძალისხმევა არ გჭირდებათ. მაგრამ ძალზე მშრალი ან პირიქით, ცხიმიანი თმის პატრონებმა სასურველია იცოდნენ — თმა მუდამ წესრიგში რომ ჰქონდეთ, მას საგანგებოდ უნდა მოუარონ.

ცხიმიანი თმის დასაბანად გამოიყენეთ გაგრილებული და გადაწურული მუხის ქერქის ნახარში (3 ს/კ მუხის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში); მშრალი თმა კი დაბანის წინ დაიმუშავეთ აბუსალათინის, ნუშის ან ზეითუნის ზეთით. შემდეგ თავზე შემოიხვიეთ თბილი პირსახოცი. ერთი საათის შემდეგ, შეგიძლიათ თავი ჩამოიბანოთ და 1 ცალი ათქვეფილი კვერცხი ან ცოტაოდენი ამჟავებული რძე შეიზილოთ. ბოლოს ჩაის, გვირილის ან ცაცხვის ნაყენი გადაივლეთ.

## ნიღბები ცხიმიანი თმისთვის

- ერთი კვერცხის გულს შეურიეთ 1 ჩ/კ წყალი, შეიზილეთ თმაში, გაიჩერეთ დაახლოებით 10 წუთი, შემდეგ კი ჩამოიბანეთ. კვერცხის გული სასარგებლოა იმით, რომ მასში არსებული ქოლესტერინი ხელს უშლის ზედმეტი ცხიმის წარმოქმნას.
- 1-2 კვერცხის ცილა საგულდაგულოდ, ქაფის წარმოქმნამდე თქვიფეთ, შეიზილეთ თმაში და გაიჩერეთ, ვიდრე კარგად არ გაშრება. შემდეგ თმა გოგირდის შემცველი საპნით ჩამოიბანეთ.

# რას სვამენ ნამდვილი მამაკაცები

**სასურველია, ქალებმა იცოდნენ, რომ ნამდვილი მამაკაცისთვის ხარისხიანი სასმელი ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორიც გემოვნებით შერჩეული ტანისამოსი, აქსესუარები თუ ნატიფი არომატის მქონე სუნამო. რაც უფრო ნაკლებად ეტანება სასმელს ადამიანი, მით უფრო დახვეწილი უნდა იყოს მისთვის სმის პროცესი. „დაგემოვნებით და მცირე დოზებით" — ასეთია ათწლეულების დევიზი, მაგრამ ვიცით კი ქალებმა, რა ღირს ის ხარისხიანი სასმელი, რომელსაც ჩვენი „ნამდვილი მამაკაცი" მიირთმევს? იმის მიხედვით, თუ რას სვამს მამაკაცი, მისი ჯიბის მდგომარეობაზეც შეგვიძლია შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა. ასე რომ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია, ძვირად ღირებული სასმელებისა და მათი ღირებულების შესახებ შეიძლება თქვენთვის სასარგებლო აღმოჩნდეს.**






**ვისკი** — ამერიკულ სასმლად მიიჩნევა. თუმცა, ის შვეიცარიელების გამოგონებაა. შვეიცარიული ექსპორტიდან ყველაზე ხელმისაწვდომია „როიალ სალუტი" და „ჩივას რეგალი" — მათი ფასი 20-დან 70 დოლარამდეა; „სვინგი" — $30 ღირს. ნაკლებად ცნობილია 25 წლის სიძველის „მაკალან ჰაილანდ სინგლი" — ის, ვინც მას მიირთმევს, კარგი სპეციალისტ-დეგუსტატორია.

**რომი** — ოდესღაც მეკობრეების სასმლად მიიჩნეოდა. ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო ცენტრალური ამერიკაა. დღეს ამერიკაში რომს განსაკუთრებით ესპანურენოვანი მოსახლეობა ეტანება. ყველაზე იაფფასიანი თეთრი რომი — $15 ღირს. ჰაიტიზე, იამაიკასა და პუერტო-რიკოში დამზადებული რომი უფრო ძვირია.



**ტეკილა** — კაქტუსის არაყია. აშშ-ში იგი მექსიკიდან და ლათინური ამერიკიდან გავრცელდა და პოპულარობა ეგზოტიკური სუნითა და გემოთი მოიპოვა. ტეკილა უნდა მიირთვათ ერთბაშად. ყველაზე ძვირად ღირებულია „ჩინაკო" — მისი ფასი $30-ია. ნამდვილ ტეკილას მუხის კასრებში 2 წლის მანძილზე ინახავენ.

ამერიკასა და ინგლისში პოპულარულმა, გემრიელმა და სასარგებლო **ჯინმა** ვერაფრით მოიპოვა არისტოკრატიულის სტატუსი. საუკეთესო ჯინი — „ბომბეი საპფარი", რომელიც არომატით ფასობს, ნუშის ნაყოფზე, ლიმონის ქერქზე, მიხაკსა და ქინძზეა დაყენებული. მისი ფასი $21-ია.



**კონიაკი** (და ბრენდი) — ანგლოამერიკული სასმელია, თუმცა, მას სხვა ქვეყნებშიც ამზადებენ. ბრენდი იგივე კონიაკია, ოღონდ ნაკლებად დაძველებული. საუკეთესო კონიაკის დასაყენებლად საჭირო მასალას მუხის კასრებში ზოგჯერ 10 წელზე მეტხანს ინახავენ. კონიაკი უნდა მიირთვათ ნასადილევს, ყავასა და სიგარეტთან ერთად. პოპულარულია „მარტელი", „რემი", „მარტინი" და „ნაპოლეონი". მათი ფასი 10-დან 30 დოლარამდეა.



გაცილებით ძვირად ღირებული და ხარისხიანი კონიაკებია: „დელამენ ტრე ვენერაბლი" — $117; „ზესენი პარადაიზ" — $120-180; „მარტელ კოროდონ ბლიუ" — იყიდება ბროლის ჭურჭელში — $350; „რემი ლუი X" — $610; 1914 წლის „ჰაინ ექსტრა" — $950; 150 წლის „ზარდი გრან შამპან" — $3.500. ■

*რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა*

---

100-150 გ შავი პური დააქუცმაცეთ და დაასხით ადუღებული, ცხელი წყალი. როცა წყალი ოთახის ტემპერატურამდე გაგრილდება, მომზადებული ნარევი შეიზილეთ თმაში, შემოიხვიეთ პოლიეთილენის თავსაბურავი და გაიჩერეთ 20-30 წუთი. შემდეგ კი უსაპნოდ ჩამოიბანეთ.

## ნიღბები მშრალი თმისთვის

- ათქვეფილი კვერცხის გული ფრთხილად შეიზილეთ თმაში. 10-15 წუთით შეიფუთეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ.
- დაბანიდან დაბანამდე, თმა პერიოდულად შეგიძლიათ კვებოთ ზეთების ნარევით (1 წილი აბუსალათინის და 3 წილი ნუშის ზეთი). ამ ნარევით დაისველეთ ხელისგულები და ნაზი მოძრაობით წაისვით თმაზე. შემდეგ ჩამოიბანეთ. ■

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. აკაკი წერეთელი საკუთარ თავს დღიურ მუშას ეძახდა.

2. პტერონოფობია ბუმბულით ან ფრთით შელიტინების შიშია.

3. „ტოტ კტო სპიტ, ნე მოჟეტ გრეშიტ", — ამბობენ რუსები.

4. „რაც არ გკლავს, გაძლიერებს", — ამბობდა ფრიდრიხ ნიცშე.

5. ისლამი კრძალავს მეჩეთის კედლებზე ცოცხალ არსებათა გამოსახვას.

6. კაპიტან ვრუნგელს ცნობილ მულტიპლიკაციურ ფილმში ზინოვიი გერდტი ახმოვანებს.

7. ქალაქი გორი სამი მდინარის — მტკვრის, ლიახვისა და მეჯუდას წყალშესაყართან მდებარეობს.

8. კოსტა მაისურაძე, კოლია ქვარიანი, სანდრო კანდელაკი, მიშიკო მაჩაბელი, საშო ვერელი, ნესტორ ესებუა და კულა გლდანელი განთქმული ქართველი ფალავნები იყვნენ.

9. ერეკლე II თელავში გარდაიცვალა. 40-დღიანი გლოვის შემდეგ საქართველოს მეფე მცხეთაში გადმოასვენეს და სვეტიცხოველში დაკრძალეს.

10. სამურაის აბჯარი, გარდა უშუალო ფუნქციის შესრულებისა, პატრონის ინდივიდუალობას წარმოაჩენდა. ამის გამო იაპონელი ოსტატები მის დამზადებას ხანდახან 2 წელს ანდომებდნენ. აბჯრის დამზადება სამურაის ზოგჯერ საკუთარი სახლის აშენებაზე ძვირი უჯდებოდა.

11. „ალბინოსი ცხოველების გალიებში ყოლა და შენახვა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება, რადგან მსგავსი შეფერილობით ისინი ბუნებაში ვერასოდეს იარსებებდნენ", — ამბობენ ზოოლოგები.

12. საბჭოთა მთამსვლელთა მიერ პირველად მყინვარწვერის დაპყრობაში 1923 წელს ქართველი ალპინისტი ქალები, მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარიამ ტყავაძე და ლიდა ჩხაიძე მონაწილეობდნენ.

13. პარიზის ოპერის განთქმული მომღერალი სოფი არნუ, გაკვირვებული იმით, თუ როგორ სწყალობდა ბომარშეს ყველაზე გამოუვალ სიტუაციებში ბედი, გაიძახოდა: „დამერწმუნეთ, მას ადრე თუ გვიან, სიკვდილით დასჯიან, მაგრამ ჩამოხრჩობისას უსათუოდ თოკი გაწყდება".

14. მოლიერის გარდაცვალების შემდეგ მისი შემოქმედების დიდ თაყვანისმცემელს, პრინც კონდეს, ერთი უნიჭო პოეტი ეახლა და წაუკითხა ეპიტაფია, რომელიც დიდი კომედიოგრაფის საფლავის ქვაზე უნდა ამოეკვეთათ. ფულადი ჯილდოს მომლოდინე პოეტს პრინცმა



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ლეიკოზი: სიმპტომები და მკურნალობა

**რედაქციაში ხშირად გვწერენ და გვთხოვენ, მივაწოდოთ ინფორმაცია ლეიკოზის შესახებ. ეს საკმაოდ რთულად ასახსნელი დაავადებაა, მაგრამ შევეცდებით, მარტივად გადმოგცეთ მისი არსი და მოგაწოდოთ ინფორმაცია დღევანდელი მედიცინისთვის ხელმისაწვდომი სამკურნალო შესაძლებლობების შესახებ.**



## რა არის ლეიკოზი?

ლეიკოზზე საუბრის დაწყებამდე განვმარტავთ, თუ რას წარმოადგენს ლეიკოციტები. დავიწყებთ იმით, რომ სისხლი შედგება პლაზმისგან და ფორმიანი ელემენტებისგან, ფორმიანი ელემენტებია: ერითროციტები, ლეიკოციტები და თრომბოციტები. ლეიკოციტი სისხლის თეთრი სხეულაკია. მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ორგანიზმის დაცვა სისხლსა და ქსოვილებში შეჭრილი მიკროორგანიზმებისაგან. ლეიკოციტები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: მარცვლოვან ანუ — გრანულოციტებად და უმარცვლო ანუ — აგრანულოციტებად. გრანულოციტები თავის მხრივ იყოფა 3 ჯგუფად: ეოზინოფილებად, ბაზოფილებად და ნეიტროფილებად. აგრანულოციტებს მიეკუთვნება მონოციტები და ლიმფოციტები. როდესაც ადამიანი სისხლის საერთო ანალიზს იკეთებს, ლეიკოციტარულ ფორმულაში თითოეული მათგანის მონაცემია მითითებული. მათ დიდი სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დაავადების დროს.

ლეიკოზი (იგივე — ლეიკემია) ძვლის ტვინის ონკოლოგიური ხასიათის დაზიანებასთან დაკავშირებული მძიმე დაავადებაა. ლეიკოზი არის სისხლის კიბო ანუ სისხლმბადი (სისხლის წარმომქმნელი) სისტემის სიმსივნური დაავადებების საერთო სახელწოდება. მიმდინარეობისა და ხასიათის მიხედვით განასხვავებენ:

**მწვავე ლეიკოზს** — ამ დროს ხდება სისხლის ბლასტური უჯრედების უკონტროლო გამრავლება. ბლასტური უჯრედები სისხლის უმწიფარი ანუ განვითარების ადრეულ სტადიაზე მყოფი, ე.ი. ძალიან ახალგაზრდა, ჩამოუყალიბებელი, დისფუნქციური უჯრედებია. ისინი დიდი რაოდენობით გროვდება სისხლში და სისხლის ყველა სხვა ნორმალური უჯრედის ზრდა-განვითარებას თრგუნავს.

**ქრონიკული ლეიკოზი** — ამ დროს მრავლდება მწიფე, უკვე ჩამოყალიბებული ანუ დიფერენცირებული (წესისამებრ, გრანულოციტური) უჯრედები და ისინი თანდათანობით ენაცვლება სისხლის ნორმალურ უჯრედებს. უფრო გასაგები რომ გახდეს, ვიტყვით, რომ მწვავესგან განსხვავებით, ქრონიკული ლეიკემიის დროს სისხლის უჯრედები ასწრებს მომწიფებას, მაგრამ მიღებულ უჯრედთა უმეტესობას არ შესწევს თავისი ფუნქციის შესრულების უნარი. სისხლის ლაბორატორიული ანალიზები ავლენს დიდი ოდენობით ლეიკოციტებს, მაგრამ რადგან ისინი არ არის სრულყოფილი და ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ამიტომ ორგანიზმს მიკროორგანიზმებისგან ვერ იცავს. აღსანიშნავია, რომ ქრონიკული ლეიკოზის დროს სწორედ ამგვარი, არასრულყოფილი უჯრედები ენაცვლება ნორმალურ უჯრედებს.

თავის მხრივ მწვავე და ქრონიკული ლეიკოზები იყოფა ჯგუფებად, მაგრამ ეს იმდენად ვრცელი და რთული თემაა, რომ არ შევეხებით.

უნდა ითქვას, რომ ჰემატოლოგიაში ტერმინებს — „მწვავე" და „ქრონიკული" მედიცინის სხვა დარგებთან შედარებით განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ეს ტერმინები პირობითია, გამოხატავს დაავადების ბუნებას და არა მისი

მიმდინარეობის ხანგრძლივობას. ერთი სიტყვით, მწვავე ლეიკოზი და ქრონიკული ლეიკოზი — ორი დამოუკიდებელი დაავადებაა.



### რა არის ლეიკოზის მიზეზები?

ლეიკოზის განვითარებას მრავალი მიზეზი არსებობს, მათგან აღსანიშნავია:

**ინფექციები და ვირუსები** კერძოდ, დნმ-ის და რნმ-ის შემცველი ვირუსები — როგორიცაა, მაგალითად, ადამიანის პაპილომავირუსი, ჰერპესვირუსი, ყვავილის ვირუსი და სხვა. მაგრამ ეს ვირუსები ყოველთვის როდი იწვევს ლეიკოზს. ვარაუდობენ, რომ კანცეროგენების ზემოქმედებით ხდება ამ ვირუსების „მიძინებული“ დნმ-ის გააქტიურება, რომელიც სისხლის ნორმალურ უჯრედებს კიბოს უჯრედებად გარდაქმნის.

**მემკვიდრული ფაქტორები,** კერძოდ — ქრომოსომებში მომხდარი ცვლილებები;

**ქიმიური ფაქტორები;** მათგან აღსანიშნავია ციტოსტატიკური (გამოიყენება ქიმიოთერაპიის დროს) საშუალებების, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ქიმიის მავნე გავლენა;

მაიონიზირებელი გამოსხივება (რადიაცია), რომელიც ქრომოსომების დაზიანებას ახდენს.

### როგორი სიმპტომები აქვს ლეიკოზს?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწვავე და ქრონიკული ლეიკოზები სხვადასხვა ფორმით გამოირჩევა, მაგრამ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე არ შევეხებით — მხოლოდ მწვავე და ქრონიკული ლეიკოზის ზოგად დახასიათებას მოგაწვდით.

### მწვავე ლეიკოზი

მწვავე ლეიკოზის ნიშნებია: ძლიერი სისუსტე, თავბრუსხვევა, ქოშინი, სიფერმკრთალე, ტაქიკარდია, წონაში კლება, სისხლდენა პირის ღრუს ლორწოვანი გარსიდან, სისხლჩაქცევები, ცხელება (ზოგჯერ); ზოგჯერ დიდდება ღვიძლი, ელენთა და ლიმფური კვანძები.



აღსანიშნავია, რომ მწვავე ლეიკოზს ახასიათებს მოულოდნელი გართულება, მეტწილად — ბავშვებში. თავდაპირველად ავადმყოფს ჰგონია, რომ გაცივდა ან გრიპი შეეყარა, მაგრამ სიმპტომები სწრაფად პროგრესირებს, დაავადებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება და სისხლის ანალიზშიც მკვეთრი ცვლილებები აღინიშნება.

მწვავე ლეიკოზი საშიში დაავადებაა!!! მკურნალობის გარეშე სწრაფად პროგრესირებს და შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს. სამწუხაროდ, მწვავე ლეიკოზის პროფილაქტიკისთვის სპეციალური ღონისძიებები არ არსებობს.

### რა უნდა გააკეთოს დაავადებულმა?

ლეიკოზზე ეჭვის მიტანისას, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ჰემატოლოგს. მკურნალობა ჩვეულებრივ, 2 წელი გრძელდება და სიმსივნის საწინააღმდეგო მკურნალობას ითვალისწინებს.

გახსოვდეთ! რაც უფრო ადრე დაიწყება მკურნალობა, მით მეტია გამოჯანმრთელების შანსი.

### ქრონიკული ლეიკოზი

ქრონიკული ლეიკოზი შეიძლება მიმდინარეობდეს რამდენიმე წელი უსიმპტომოდ, თუმცა ზოგს სისუსტე, ლიმფური კვანძების (კისერზე) და ელენთის გადიდება აღენიშნება.

თანდათანობით მატულობს სისუსტე, ავადმყოფი კარგავს მადას და იკლებს წონაში, უჩივის მარჯვენა



ანტიდეპრესანტი

## გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

ცივი წყალი გადაასხა: „ჯობდა, პირიქით მომხდარიყო და მოლიერს დაეწერა თქვენი საფლავის ქვისათვის ეპიტაფია“.

15. ფაშისტები ებრაელ მუსიკოსებს უფლებას არ აძლევდნენ შეესრულებინათ ვაგნერის, ბრამსისა თუ ბეთჰოვენის ნაწარმოებები, რადგან თვლიდნენ, რომ ისინი აბინძურებდნენ გერმანულ მუსიკას. მუსიკალურ სკოლებში ერთგვარი ცენზურა გაჩნდა. არიული წარმოშობის მოსწავლეებს ეკრძალებოდათ ებრაელი კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესრულება. ერთი პიანისტი იგონებდა, 10 წლის ასაკში მასწავლებელმა ნოტები მომცა და მითხრა, დაკვრისას ფანჯრები კარგად დახურე, რადგან დღეს აკრძალულია მენდელსონის შესრულებაო.

16. „კახეთი არანაკლებ დავალებულია ალაზნისა, ვიდრე ეგვიპტე — ნილოსისა, ან მესოპოტამია — ტიგროსისა და ევფრატისა. ალაზანი კახეთის ვერცხლის ქამარია, მისივე მადლი და ჯავარი“, — წერდა ლევან გოთუა.

17. „უინსტონ, შენში ის დამპყრობლური ინსტინქტები მძლავრობს, რომელიც 400 წლის განმავლობაში შენს წინაპრებს სისხლში ჰქონდათ გამჯდარი. შენ ვერც კი წარმოგიდგენია, როგორ შეიძლება ძლიერ ქვეყანას რომელიმე მიწის დაპყრობა და მიერთება არ ეწადოს, თუნდაც ეს მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდეს“, — საყვედურობდა იმპერიალისტურ ზრახვის გამო უინსტონ ჩერჩილს ფრანკლინ რუზველტი.

18. „გერმანიის საქმე წასულია. თუმცა გარკვეული დრო დასჭირდება საქმის საბოლოოდ დასრულებას. მთავარი პრობლემა ახლა რუსეთია და მე ვერაფრით შევძელი ამაში ამერიკელთა დარწმუნება“, — ამბობდა ჩერჩილი ომის დასასრულს.

19. როცა ალექსანდრე მაკედონელმა ათენელებს საკუთარი ფლოტისთვის ხომალდები მოსთხოვა, ხალხმა ფოკიონს ჰკითხა, — როგორ მოვიქცეთო? „იყავით ძლიერნი და თუ არ ძალგიძთ, იმეგობრეთ ძლიერთან“, — მოკლედ მოჭრა ბერძენმა სტრატეგმა.

20. ზაქარია ფალიაშვილის „დაისზე“ გაიძახოდნენ — მენშევიკური ნაწარმოებიაო. ვიქტორ დოლიძეს უთქვამს საბჭოთა მაღალჩინოსნებისთვის, არ ვიცი „დაისი“ მენშევიკურია თუ ბოლშევიკური, მაგრამ ერთი კი ვიცი, რომ თქვენ ყველას ამ მუსიკით დაგასაფლავებენო.
P.S. სტალინის პანაშვიდებზე ბეთჰოვენის, ბერლიოზის და შოპენის მუსიკასთან ერთად „მაროს მოთქმაც“ ჟღერდა ფალიაშვილის „დაისიდან“.



ფერდის ქვეშ სიმძიმეს და შებერილობას, აქვს ღამით ჭარბი ოფლდენა, აღენიშნება ანემია, მაღალი ტემპერატურა და სისხლდენები.

მკურნალობის გარეშე დაავადება სწრაფად პროგრესირებს და ხშირად სავალალოდ მთავრდება.

## რა უნდა გააკეთოს დაავადებულმა?

შეუძლებელია ლეიკოზის თვითმკურნალობა. მაგრამ კლინიკური სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში, დაავადებულს ჩვეული ცხოვრების გაგრძელება შეუძლია. ორგანიზმის სასიცოცხლო ძალების შესანარჩუნებლად საჭიროა ზოგადგამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარება, სრულფასოვანი კვება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დადებით ემოციებს. ქრონიკული ლეიკოზით დაავადებული ბევრი ადამიანი სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში ნორმალური ცხოვრების წესით ცხოვრობს და არ კარგავს შრომის უნარს წლების განმავლობაში.

ლეიკოზის სიმპტომების გაჩენის შემთხვევაში აუცილებელია ექიმთან გადაუდებელი ვიზიტი. სიმსივნის საწინააღმდეგო მკურნალობით ხანგრძლივი რემისია მიიღწევა.

■






# წყლის ძალა

**წყლის გარეშე ერთ კვირასაც ვერ გავძლებდით. წყალი საიდუმლოებებით მოცული სითხეა და მასზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა.**

## სუფთა წყალი

ზოგჯერ გვგონია, აბსოლუტურად სუფთა წყალს მოვიხმართ, მაგრამ საქმე ასე მარტივად როდია. მაშინაც კი, როცა წყაროს წყალს მიირთმევთ, 100%-ით არ უნდა იყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ის სუფთაა.

წყლის შემადგენლობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის



— კოსმოსის ზემოქმედებაზეც. მაგალითად, მზის გააქტიურების წლებში ის მიკრობები, რომლებიც თითქმის უვნებელია, საშიში ხდება, ხოლო საშიში მიკრობები — სიცოცხლისთვის ძალიან საშიში.

## წყლის გაწმენდა ფილტრის გარეშე

არსებობს წყლის სპეციალური ფილტრების გარეშე გაწმენდის რამდენიმე მეთოდი:

ონკანის წყალი ჩაასხით ქვაბში (უმჯობესია, ქვაბი ალუმინის იყოს); აადუღეთ, გადმოდგით ცეცხლიდან და გაცივების შემდეგ შედგით საყინულეში 2 საათით. ქვაბის კედლების გარშემო ყინულის თხელი (3-4 მმ) ფენა გაჩნდება. გადაასხით წყალი მომინანქრებულ ან უჟანგავი მეტალისგან დამზადებულ ჭურჭელში. ალუმინის ქვაბის კედლებზე დარჩება ყინული, რომელიც მძიმე წყლისგან შედგება. ეს მძიმე წყალი კი შხამია, რომელიც ორგანიზმში დაგროვების უნარით გამოირჩევა. ეს სიბინძურე გაალღვეთ და გადაასხით, ალუმინის ქვაბი კი კარგად გარეცხეთ.

მომინანქრებულ ჭურჭელში გადმოღებული წყალი მთელი ღამით შედგით საყინულეში. დილისთვის მის ზედაპირზე ყინულის სქელი ფენა წარმოიქმნება. ჭურჭელი ნელ ცეცხლზე ოდნავ შეათბეთ, რათა ყინული მის კედლებს მოშორდეს. ჩააგდეთ იგი თუშფალანგში და ცენტრში (ყინულს ცენტრში მომდგარი ექნება ბუშტუკი ან ნამი) დაუმიზნეთ მდუღარეწყლიანი ჩაიდნიდან ამომავალი ორთქლის ჭავლი. ცენტრი გაიხვრიტება და მიიღებთ ყინულის რგოლს, რომელიც აბსოლუტურად სუფთა წყლისაგან შედგება.

შემოგთავაზებთ წყლით გასუფთავების კიდევ ერთ მეთოდს. ამისათვის გამოიყენეთ უმარტივესი მოწყობილობა: ყვავილების სარწყავი და ორი მაგნიტი, რომელიც ერთმანეთს იზიდავს და მიკრულია სარწყავის ცხვირზე. უფრო ძლიერად დამაგნიტების მიზნით, წყალი ასეთ სარწყავში შეიძლება რამდენჯერმე გაატაროთ.

## მკურნალობა ყინულითა და მაგნიტით

ყინულის გალღობის შედეგად მიღებული წყალი უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა — იგი განსაკუთრებულად მოქმედებს ადამიანზე, აახალგაზრდავებს მას და აუმჯობესებს ორგანიზმში მიმდინარე ბევრ პროცესს. ტყუილად კი არ ბრუნდებიან ყოველწლიურად სამხრეთიდან ჩიტები ჩრდილოეთში: სწორედ იქ სვამენ ისინი გალხობილ წყალს და გამრავლებისთვის ემზადებიან.





იმასაც კი ამბობენ, თითქოს სასმელი წყლის თვისებებზე ბევრადაა დამოკიდებული, გოგო გეყოლებათ თუ ბიჭი: თუ ტუტე წყალი გიყვართ, ძეობაა მოსალოდნელი, თუ მჟავე წყალს ეტანებით, გოგონა შეგეძინებათ.

მარტივი ხერხით დამაგნიტებული წყლის მეშვეობით მკურნალობენ თირკმლკენჭოვან და ნაღველკენჭოვან დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის მოშლილობებს, ასუფთავებენ ორგანიზმს ტოქსინებისა და მარილებისგან. ამასთანავე, ის ამცირებს ქოლესტერინის შემცველობას სისხლში, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას და არტერიულ წნევას.

ასეთ გასუფთავებულ წყალზე მომზადებული სამკურნალო მცენარეები კიდევ უფრო ძლიერ სამკურნალო ეფექტს იძენს.

ასეთი წყალი წამლების ფარმაკოლოგიურ მოქმედებასაც კი აუმჯობესებს, ამიტომ სამკურნალო აბების მაგნიტის საშუალებით გაწმენდილი წყლის დალევა უფრო მეტ სარგებელს მოგიტანთ. ■

## სასარგებლო რჩევები

ავადმყოფობის ან მძიმე ფიზიკური შრომის შემდეგ ძალების სწრაფ აღდგენაში დაგეხმარებათ „ფორთოხალმარილის" გალხობილი წყალი. ამისათვის აიღეთ გალხობილი ყინულისგან მიღებული 1 ჩ/ჭ წყალი, დაუმატეთ 2 ს/კ ფორთოხლის წვენი და 1/3 ჩ/კ სუფრის მარილი. მიიღეთ თითო ჭიქა დღეში ორჯერ.

აიღეთ 1 ს/კ დაქუცმაცებული წიწვი, დაასხით 2 ჩ/ჭ ცხელი, დამაგნიტებული წყალი და 1 საათით გააჩერეთ თერმოსში. ვირუსული ეპიდემიების დროს ძალზე სასარგებლოა 0,5 ჩ/ჭ ამ ნაყენის მიღება დღეში 3-ჯერ. ■



■



P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.




# ადამიანი



# მრავალშვილიანი ოჯახის თავს გადახდენილი სასწაულები



უფალმა სამ უდიდეს განსაცდელს გადაგვარჩინა

## „ყველგან ცეცხლის ალი ელანდებოდა...“

**ამბავი, რომელიც შვიდი შვილის დედას გადახდა თავს უცნაური, საოცარი და ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ რეალურია. ნინო სააკაშვილი შვილებთან, მეუღლესა და მოხუც დედამთილთან ერთად წეროვანში, დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს. მისი ახლობლები ფიქრობენ, რომ ნინოს ოჯახს წმინდანები მფარველობენ და ყველა განსაცდელისგან იცავენ. მართალია, სხვა დევნილების მსგავსად, მასაც უამრავი საფიქრალი, სადარდებელი და ყოველდღიური ყოფითი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი, მაგრამ მთავარ განსაცდელს გადაურჩა და... ახლა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — აგვისტოს ომის დროს დაკარგული სამშობლოს ნაწილის დაბრუნებაა. უზომოდ ენატრება სახლი, სადაც მისი შვილები გაიზარდნენ, კარ-მიდამო, რომელიც საყვარელ მეუღლესთან ერთად, დაუღალავი შრომის შედეგად ბაღნარს დაამსგავსა და ის დრო, როდესაც მთელი ოჯახი ერთად ცხოვრობდა... იასონი, ეკა, ნანი, გიორგი, მარიამი და ანა ახლაც შინ ჰყავს, მაგრამ უფროსი ქალიშვილი, 27 წლის ნინიკო საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა ოჯახს მატერიალურად დაეხმაროს.**

*ხათუნა ბახტურიძე*

— **ქალბატონო ნინო, როგორც დევნილი ან როგორც მრავალშვილიანი დედა, ხელისუფლებისგან რაიმე სახის დახმარებას არ იღებთ?**

— სოციალური შემწეობის გარდა, არაფერს ვიღებთ. მადლობა უფალს, უფროსი ქალიშვილი მუშაობს და უმცროსების რჩენაში მეხმარება. კომუნალურ ხარჯებს ველარ ვუმკლავდებით, არადა, უმცროსი — ანა სუსტი ბავშვია, ხშირად კრუნჩხვა ემართება, მისი გაცივება არ შეიძლება და გამათბობელი სულ ჩართული მაქვს. ჰოდა, იმდენი დავალიანება დაგვიგროვდა, რომ ერთი პერიოდი გაზის მოწოდებაც შეგვიწყვიტეს.

— **პრეზიდენტი სააკაშვილი, როგორც მოგვარეს, არასდროს დაგხმარებიათ?**

— ერთხელ ბავშვი ძალიან ცუდად მყავდა, სიკვდილის პირას იყო, ჩვენ კი მისი მკურნალობის საშუალება არ გვქონდა და მიხეილ სააკაშვილის მამა 500 ლარით დაგვეხმარა... ერთი წლის წინ სანდრა რულოვსი სტუმრობდა წეროვანს. მას ჩემი გასაჭირის შესახებ დიდხანს ვესაუბრე და დახმარებას დამპირდა, მაგრამ ჯერჯერობით დანაპირები არ შეუსრულებია.

— **თქვენი მეუღლე არ მუშაობს?**



ბავშვებმა უფროსი დის წასვლა ძალიან განიცადეს

— კი, როგორ არა, ავტოგასამართ სადგურზე მუშაობს. ჩემი შვილი, ეკაც დასაქმებულია მალაზიაში. მაგრამ მათი ხელფასები იმდენად მცირეა, რომ არაფერში გვყოფნის.

— **მრავალშვილიანი დედობისკენ რამ გიბიძგათ?**

— სამი დედმამიშვილი მყავს, ჩემი ქმარი კი დედისერთაა. მოკლედ, ისიც ვიცი, რამხელა ნუგეშია, და-ძმა რომ გყავს და დედისერთა კაცის „ტირილიც“ არაერთხელ მომისმენია. ამიტომ თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ოთხ შვილს გავაჩენდი; მეხუთე ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ უფლის ნებას ველარ შევეწინააღმდეგე — ღმერთმა საჩუქრად შვილი გამომიგზავნა და როგორ მომეკლა?!.

— **მომავალი მეუღლე სად გაიცანით?**

— მერვე კლასში ვიყავი, როცა ჩემს სოფელში — ქსოვრისში იკოთიდან გოგონა გამოთხოვდა და მომავალი მეუღლე მათ ქორწილში გავიცანი; 17 წლის გავხდი თუ არა, მაშინვე ცოლად გავყევი.

— **მითხარით, რომ უფალი ყველა განსაცდელისგან გიცავთ...**

— უფალმა სამ უდიდეს განსაცდელს უვნებლად გადაგვარჩინა: ერთხელ ჩვენს ორსართულიან სახლს ცეცხლი წაეკიდა. მაშინ ნინიკო სკოლის მოსწავლე გახლდათ, სახლში მარტო იყო და თანაც — ეძინა. იმ სახლისგან კედლების გარდა, არაფერი დარჩა, ბავშვი კი გადარჩა.

— **როგორ? ბავშვმა ცეცხლის ალს დამოუკიდებლად დააღწია თავი?**

— დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ასეა! სახლი კვამლით რომ აივსო, ბავშვს თურმე ხველა აუტყდა (კიდევ კარგი, არ გაიგუდა), გამოეღვიძა და იმის ნაცვლად, რომ დაბნეულიყო, მეორე სართულიდან გადმოხტა და უვნებელი გადარჩა. მართალია, ერთი პერიოდი ყველგან ცეცხლის ალი ელანდებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ შიშმაც გაუარა... მეორედ გიორგის შეემთხვა უცნაური ამბავი: მაშინ ის 9 წლის იყო. თურმე, წელზე ძაღლმა უკბინა, მაგრამ ეს არ გაგვიმხილა, მერე ინფექცია შეეჭრა და ცუდად გახდა. სწორედ მაშინ დაგვეხმარა პრეზიდენტის მამა 500 ლარით; ბავშვმა გონება დაკარგა და რამდენიმე



ნინო სააკაშვილი დედამთილთან ერთად

დღე სასუნთქ აპარატზე იყო შეერთებული. ბოლოს ექიმებმა მითხრეს, — მაცოცხლებელი ორგანოები ფუნქციონირებას ნელ-ნელა წყვეტს, ამის წვალებას აზრი აღარ აქვსო! ის იყო, მისთვის სასუნთქი აპარატი უნდა მოეხსნათ, რომ ბავშვმა თვალები გაახილა და იკითხა, — მამა გაბრიელი სად წავიდაო?.. ექიმს ლამის გული წაუვიდა და, — მკვდარი გაცოცხლდაო! — გაიძახოდა. გიორგი ძალიან სწრაფად გამოჯანმრთელდა. მოგვიანებით გვიამბო, რომ ძილში მამა გაბრიელს ხედავდა და ელაპარაკებოდა. როგორც კი ფეხზე წამოდგა, მაშინვე მის საფლავთან მივიდა. ამ ამბის შემდეგ ბავშვი მორწმუნე გახდა და ამბობს, რომ უნდა, მღვდელი გახდეს... სულ ცოტა ხნის წინ ჩვენს სახლში კიდევ ერთი სასწაული მოხდა: ღვთისმშობლის ხატს მირონი დაედინა და მთელი კედელი დასველდა. თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და ხატს ადგილი შევუცვალე, მაგრამ იგივე განმეორდა... აგვისტოს ომს მთელი ოჯახი უვნებლად გადავურჩით. ჩვენი სახლი ზუსტად მთის ძირასაა, მთის გადაღმა კი ცხინვალია. ომის დაწყებამდე ჩვენამდე გამაყრუებელი გუგუნის ხმა მოდიოდა და ბავშვები ძალიან შეშინდნენ; 8-დან 14 აგვისტომდე შინ დაზაფრულები ვისხედით, 14-ში კი გაგვაფრთხილეს, ახალგორიდან იკოთისკენ ოსები და რუსები დაიძრნენო. ჩვენს ბედად, სოფელ ქსოვრისიდან სამარშრუტო ტაქსი იყო ამოსული და ვინც ჩავეტიეთ, წამოვედით. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ მოდიოდა მთავარ გზაზე რუსული ტანკების კოლონა...

— **იკოთიდან პირდაპირ თბილისში ჩამოხვედით?**

— არა. ერთხანს, ვიდრე წეროვანში ამ კოტეჯს მოგვცემდნენ, ქსოვრისში დედაჩემთან ვცხოვრობდით.

— **ერთ პატარა კოტეჯში 9 სული როგორ ეტევით?**

— სხვა რა გზა გვაქვს?! მართალია, ორი კოტეჯი გამოგვიყვეს, მაგრამ ჯერ ავეჯი არ გვაქვს, იქ რომ შევიტანოთ და თანაც — იმ სახლის გათბობა დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული... იასონს შეყვარებული ჰყავს და დაქორწინებას აპირებს. ამბობს, — იმ კოტეჯს მე მივხედავო. ვნახოთ, რას იზამს.

— **თქვენი ქალიშვილი საზღვარგარეთ აგვისტოს ომამდე გაემგზავრა?**

— არა, ომის შემდეგ. ვიდრე იკოთში ვცხოვრობდით, ჩვენი მიწა გვქონდა, თავის რჩენას ვახერხებდით და ბავშვის საზღვარგარეთ გაშვებაზე არც მიფიქრია, მაგრამ როცა სახლი დავკარგეთ და მატერიალურად ძალიან გაგვიჭირდა, იძულებულნი გავხდით, ნინიკოს წინადადება მიგვეღო. ბავშვებმა მისი წასვლა ძალიან განიცადეს, რამდენიმე თვის განმავლობაში სულ დაღვრემილები დადიოდნენ. ნინიკო საზღვარგარეთიდან



მრავალშვილიანი ოჯახის უმცროსი წარმომადგენელი

ყოველდღე რეკავს და და-ძმების ამბავს კითხულობს; ესენიც, შინ შემოვლენ თუ არა, მაშინვე მეკითხებიან, — ნინიკოს ხომ არ დაურეკავს, ხომ კარგად არისო?.. სიმართლე გითხრათ, დალხინებული ცხოვრება არც იქ გვქონდა, მაგრამ იმის საშუალება მაინც იყო, რომ გვეშრომა და დაუყვედრებელი ლუკმაპური გვქონოდა. ერთი ვირი გვყავდა, რომელიც ჩვენთვის მაგდანას ლურჯასავით იყო. უფროსი ვაჟი მეათე კლასში გახლდათ, როცა ტყიდან შეშას ეზიდებოდა და ახალგორში მიჰქონდა გასაყიდად, იქიდან კი ფქვილით სავსე ტომრები ამოჰქონდა...

— **მიწა აქაც ხომ გაქვთ, რატომ არ ამუშავებთ?**

— ჯერ ერთი, ამ ერთ ციცქნა მიწაზე რა მოსავალი უნდა მოიყვანო?! მერე კიდევ, არც სარწყავი არხია ახლოს, არც — მდინარე და ყველა სიკეთესთან ერთად, მიწაც არ ვარგა.

— **ომის დაწყებამდე იკოთში უსაფრთხოდ ცხოვრობდით?**

— აბა, რა! 1992 წელს „ზვიადისტებმა“ და „მხედრიონელებმა“ ოსებს ისეთი დღე აყარეს, რომ ბოლო დრომდე ვეღარაფერს გვიბედავდნენ, უფრო მეტიც — ახალგორის ბაზარში წასვლა რომ უნდოდათ, რიყერიყე იპარებოდნენ.

— **გაქვთ თუ არა იმის იმედი, რომ თქვენს კარ-მიდამოს დაუბრუნდებით?**

— მე და ჩემი შვილები ამ იმედით ვცოცხლობთ. განსაკუთრებით, ბიჭები განიცდიან მშობლიური კუთხიდან გადმოხვეწას და დარწმუნებული ვარ, თუ საჭირო გახდება, მის დასაბრუნებლად იარაღსაც კი აიღებენ ხელში... ■

დასაწყისი იხ. გვ. 35

დაკავებამდე ერთი კვირით ადრე ვატომ დამირეკა; მითხრა, რომ თანხას მომიტანდნენ და ის დროებით უნდა შემენახა. მერე მეტყოდა, როგორ მოვქცეულიყავი. ავად ვიყავი და ვთხოვე, სახლთან მოეტანათ. ჩემთვის უცნობმა პირმა 40.000 დოლარი გადმომცა. ეს ფული სახლში მქონდა. ვატომ იმ დღეს 30.000 დოლარის დემეტრაძისთვის მიცემა მთხოვა და მითხრა, დანარჩენი 10.000 ზაზას უნდა მისცეო. გიორგის რომ დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, მკითხა, — ხომ მშვიდობააო? მივხვდი, ფულზე არაფერი იცოდა. ისევ ვატოს დავურეკე, — გიორგიმ არაფერი იცის და უთხარი-მეთქი. — გიორგისთან უნდა დაერეკათ; თუ არ იცის, არა უშავს, შენთან რომ მოვა, დამალაპარაკე და მე თვითონ ავუხსნი ყველაფერსო. გიორგის ველოდებოდი, როცა პოლიციამ დამაკავა. მანქანაში ვიჯექი პოლიციელებთან და ვუყურებდი, როგორ დააკავეს გიორგი და კახა მისირელიც. მისთვის თანხის გადაცემა ვერ მოვასწარი. 40.000 დოლარი პოლიციამ ჩემგან ამოიღო, ჯიბეში მქონდა... მერე მითხრეს, — შენი სახლიდან ტყვია ამოვიღეთო. ტყუილია, სახლში არანაირი ტყვია არ მქონია, არც იარაღი. არ ვიცი, რატომ მაბრალებენ ქურდული სამყაროს წევრობას; ეტყობა, ეს პირადი ინტერესია, რადგან ყიფიანის ბავშვობის მეგობარი ვარ. არც ვატოა ქურდი... არასდროს მქონია იარაღი, პოლიციამ მოიტანა და მითხრა, ეს შენიაო. უდანაშაულო ვარ“.

ადვოკატი მარიკა ფხალაძე, გიგი ზირაქაშვილთან ერთად, სამ განსასჯელს — დემეტრაძეს, ყიფიანს და გაგნიძეს იცავს.

**მარიკა ფხალაძე:**

— ბრალდებაში მოყვანილი არც ერთი სიტყვა მართალი არ არის. საქმე ისე მთავრდება, რომ გიორგი ფეიქრიშვილი არც გამოძიებას და არც სასამართლოს არ დაუკითხავს. არადა, გამოძიება ირწმუნება, თითქოს მას კიევში საქმე გაურჩიეს. საოცარია, მაგრამ არც კვიჟინაძე აინტერესებს ვინმეს. საქმეში ის მოწმის სტატუსითაც არ ფიგურირებს. ცნობილია, რომ თამაში ლურსმანაშვილსა და კვიჟინაძეს შორის იყო. დავით ფეიქრიშვილი ლურსმანაშვილის მეგობარია და კვიჟინაძისგან მოგებული თანხის მიღებას ცდილობდა. ლურსმანაშვილი მხოლოდ მოწმედ დაჰკითხეს. განმარტა, რომ 140.000 დოლარი მან ოფიციალურად, ტოტალიზატორში მოიგო. ტოტალიზატორის დირექტორი კი კვიჟინაძე იყო. ვინაიდან მოგებული თანხა სრულად არ ჰქონდათ, თავიდან მხოლოდ 70.000 გადაუხადეს. მერე დარჩენილის ამოღებას ცდილობდნენ. თუკი კრიმინალი მოხდა და არალეგალური შემოსავალი იყო, მაშინ საქმის წამგები და მომგები ხომ უნდა მიეცათ პასუხისგებაში?! კანონით, თუკი ხელზე „მაზს“ სისტემატური ხასიათი აქვს და პირი არ არის მეწარმე, ეს ქმედება უკანონო სამეწარმეო საქმიანობად ითვლება. ამ ეტაპზე ლურსმანაშვილი მართალია, პატიმრობაშია, მაგრამ — სხვა საქმისთვის. ამ ფაქტის შემდეგ მისი სატელეფონო საუბრების მოსმენა მოხდა და მას ბრალი უკანონო სამეწარმეო საქმიანობისთვის წაუყენეს, ე.წ. „მაზავშიკობისთვის“. ჩვენს საქმეში მას არანაირი ბრალი არა აქვს. კიევში რაღაც გარჩევა რომ მოხდა, ესეც არანაირი მტკიცებულებით არ დასტურდება. არ არსებობს მოწმე, ვინც ამას იტყვის. არ დასტურდება დემეტრაძის, გაგნიძის და მისირელის იმ პერიოდში კიევში ყოფნაც. როდის გადაკვეთეს საზღვარი ამ პირებმა, ამის დოკუმენტი ჩვენ წარვადგინეთ. ეს პერიოდი ფეიქრიშვილის კიევში ყოფნის დროს არ ემთხვევა. ლურსმანაშვილი და ფეიქრიშვილი ვატო ყიფიანს საერთოდ არ იცნობდნენ, ეს სატელეფონო საუბრიდანაც ჩანს. გაგნიძე იყო კიევში, ყიფიანი მისი ბავშვობის მეგობარია. გაგნიძეს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა ჰქონდა და ვატო ყიფიანმა ის სიკვდილს გამოჰგლიჯა ხელიდან, უმკურნალა. რაც შეეხება ყიფიანს, ყველამ კარგად იცის, რომ ის ქურდი არ არის.

— **თავის დროზე, ყიფიანს რამდენიმე ბრალდება ჰქონდა; საბოლოოდ, რამდენი წელი მოიხადა ციხეში?**

— ვატო მკვლელობის ბრალდებით იყო დაკავებული, ასევე — ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის, ნარკოტიკების შეძენის. მკვლელობა არ დაუმტკიცდა. მხოლოდ უკანონო იარაღის გადაზიდვისთვის გაასამართლეს და 6 წელი მიუსაჯეს, თუმცა არც ამ ფაქტთან დაკავშირებით ჰქონდათ მტკიცებულებები.

— **დემეტრაძე ირწმუნება, რომ მას ფული არ ჰქონდა, საქმეში წერია, რომ მისგან ამოიღეს...**

— დაიკითხნენ პოლიციელები და ვერც ერთმა ვერ თქვა, კონკრეტულად ვინ ამოიღო ფული. ფაქტია, მისირელი და დემეტრაძე ერთმა ჯგუფმა დააკავა, გაგნიძე — მეორე ჯგუფმა; არც ერთი გაგნიძისგან იარაღის ამოღებას არ ადასტურებს, მაგრამ ოქმში წერია, რომ შარვალში ედო ის იარაღი. ფეიქრიშვილის ტელეფონი მართალია, კანონიერად ისმინებოდა, მაგრამ მერე გაგნიძის ტელეფონი ისე ჩართეს მოსმენაზე, რომ მოსამართლის ბრძანების აღებაც დაავიწყდათ. ასე აღმოჩნდნენ უკანონო მოსმენაზე დემეტრაძე და გაგნიძე. მაგრამ არც ამ მოსმენის ამორიცხვას მოვითხოვთ, რადგან მათი საუბრებიდანაც ამ ბიჭების უდანაშაულობა დასტურდება, განსაკუთრებით — დემეტრაძის. ერთადერთი, რაც ბრალდებამ წარმოადგინა გაგნიძის მიმართ, პოლიციელ ადამიას ჩვენებაა, რომელიც ამბობს, — ოპერატიული ინფორმაცია გვქონდა, რომ გაგნიძე ქურდული ტრადიციის მიმდევარიაო. ბუნებრივია, წყარო არ დაასახელა. მთელი უბანი აწერს ხელს დახასიათებას, რომ ის წესიერი ბიჭია და არაფერში შემჩნეული არ ყოფილა... ეჭვქვეშ დგება სატელეფონო საუბრებიც. ისიც არ ვიცით, არის თუ არა ეს ყიფიანის ხმა: ვატო რადგან არის ნახსენები, ჩათვალეს, რომ ეს არის ყიფიანი... საინტერესოა, რა ჩვენებას მისცემს ფეიქრიშვილი. მისი ჩვენება ბევრ რამეს ახდის ფარდას. თუკი მომგები და წამგები კრიმინალი არ არის და არავის დაუსჯია, რატომ სჯიან ამ ხალხს?..

— **პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმება ხომ არ შემოუთავაზებია?**

— საპროცესო შეთანხმებაზე საუბარი ვერ იქნება, რადგან ისინი ბრალს არ აღიარებენ. ჩვენ მოვითხოვთ გამამართლებელ განაჩენს. საპროცესო გარიგება ერთგვარი ფორმაა პატიმრობიდან თავის დაღწევის. დემეტრაძე ამბობს, — ფეხბურთელი ვარ, რაც არ ჩამიდენია, ის როგორ ვაღიარო, ტყუილი რომ ვთქვა და ვიძახო, ქურდული სამყაროს წევრი ვარ, ამას ხომ მოჰყვება ათასი შეკითხვა, მერე რა პასუხი გავცე?! ბუნებრივია, ზღაპრებს ვერ მოვყვებიო... მთელი ამათი დანაშაული ის არის, რომ ისინი ყიფიანის მეგობრები იყვნენ. საქმის მასალებში გაგნიძის რძალი და ძმისშვილები გაგნიძის ცოლ-შვილად არიან მოხსენიებულნი — გამოძიებამ ელემენტარულად, პიროვნების დადგენა ვერ შეძლო! როგორც ეს არის სიმართლე, ისეთივე სიმართლეა, რომ მე კრიმინალი და ქურდულის მიმდევარი ვარო, — თქვა გაგნიძემ. თუ სამართალს საქართველოში ვერ მივაღწიეთ, ეს საქმე აუცილებლად სტრასბურგში წავა. უკვე მივმართეთ სტრასბურგის სასამართლოს იმ დარღვევების გამო, რომლებიც წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაფიქსირდა.

განსასჯელი დავით ფეიქრიშვილი სასამართლოს ჩვენებას მისცემს. ამის შემდეგ მხარეთა კამათი გაიმართება და სულ მალე, მოსამართლე ჯემალ კოპალიანი განსასჯელებს განაჩენს გამოუტანს.

■

# „წარმოშობით ოფიცერ“ ჟაკო ჯორჯაძის ბარის „მაესტროდ“ გადაქცევის ამბავი

„სასტუმრო „ივერიაში“ 1967 წელს, საქართველოში პირველი ბარი გაიხსნა, რომელიც მხოლოდ უცხოელებისთვის მუშაობდა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ბარმა. მომეწონა გაბრწყინებული ვიტრინა, თავისებური არომატი, უცხოური სიგარეტის სურნელი, საზოგადოება. როდესაც ბარმენად მუშაობა შემომთავაზეს, დიდხანს არ მიფიქრია და 1970 წელს, ჩემი კარიერა დაიწყო“... ფრანგული ენის სპეციალისტი ჟაკო ჯორჯაძე მაშინ 30 წლის იყო. მისი პედაგოგები — შოთა სანიკიძე და არონ ვაისმანი იყვნენ. ერთი თვე დამხმარედ იმუშავა. ბარში დამოუკიდებლად სამუშაოდ რომ გაუშვეს, არ გასჭირვებია. მისთვის სამსახურში წასვლა ზეიმი იყო. ყოველთვის კარგი განწყობილება ჰქონდა, რაც იმის საწინდარი იყო, რომ სტუმარიც მისთვის ღიმილსა და მადლობას არ იშურებდა.

დღეს ჟაკო ჯორჯაძე მრავალნაცადი ბარმენი და უამრავი მოსწავლის აღმზრდელიცაა.



## „უმჯობესია, ბარმენს სასმელი არ უყვარდეს“

*ნანული ზოტიკიშვილი*

— **ბატონო ჟაკო, ბარმენისთვის შერჩეული სახელი გაქვთ თუ მართლა ასე გქვიათ?**

— ბარმენს მეტსახელი არ სჭირდება. ჟაკო კი მოგონილი სახელი არ არის: ჩვენ, ჯორჯაძეები იმთავითვე სამხედროები ვხდებოდით: პაპაჩემი მეფის არმიის პოლკოვნიკი იყო, მამაჩემი და მისი ორი ძმა — ვორონეჟის კადეტთა კორპუსში სწავლობდნენ. ოფიცრობისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ყველანი სახლში დააბრუნეს... მამაჩემი — კოტე 8 თუ 10 წლის ასაკში ვორონეჟში მდინარეზე გაიპარა, პატარა ბიჭთან ერთად. თურმე იხრჩობოდა; პატარა ბიჭი ჯოხითა და ხის ტოტებით დაეხმარა და გადაარჩინა. მამას უთქვამს, — როცა გავიზრდები და შვილები მეყოლება, ერთ-ერთს აუცილებლად „ჟაკოს“ დავარქმევო, რადგან იმ ბიჭს ჟაკ დოჟე ერქვა.

— **სასმელთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ და ყველაზე ხშირად, თავად რას მიირთმევთ?**

— ალკოჰოლი არ მიყვარს. სიმართლე გითხრათ, მობეზრებულიც მაქვს. ხანდახან, კარგი თეთრი ღვინო მომინდება. 2-3 ჭიქის დალევა მსიამოვნებს. საერთოდ, უმჯობესია, ბარმენს სასმელი არ უყვარდეს. ბარმენი უნდა იყოს კეთილი, ხალხის მოყვარული, მომთმენი, ბევრს არ უნდა ლაპარაკობდეს, სასურველია, ფსიქოლოგიაში ერკვეოდეს. ამ თვისებებიდან უპირველესია მოთმინება. ერთი ინგლისური ანდაზაა: „მოთმინება ის ყვავილი არ არის, რომელიც ყველა ბაღში იზრდება“ და ჩვენებური „ვინც მოითმენს, ის მოიგებს“. ნამდვილი ბარმენი სტუმრებს ისე ხვდება, როგორც საკუთარ სახლში.

— **რამდენი კოქტეილი გაქვთ შექმნილი?**

— ათამდე, შეიძლება — მეტიც. 3 წელია, ჩემი კოქტეილი „ტკბილი გოგონა 2“ ახალგაზრდებში ძალიან პოპულარულია. ევროპაში არსებობს „ტკბილი გოგონა 1“, რომელიც არ მომეწონა, ამიტომ განსხვავებული ვარიანტი შევქმენი. კოქტეილის სახელთან უნდა ასოცირდებოდეს მისი გემო, ფერი, არომატი. ახლახან, შიდსის საერთაშორისო დღისთვის ახალი კოქტეილი — „ანტისპიდი“ მოვამზადეთ. მისი პრეზენტაცია მოვაწყვეთ აქციაზე — „საქართველოს ბარმენები შიდსის წინააღმდეგ“. უმნიშვნელოვანესია კოქტეილისთვის სახელის შერჩევა. როდესაც სასიამოვნო, რომანტიკული განწყობილების კოქტეილს ვქმნი, ასე ვიქცევი. ძილის წინ ჩავიფიქრებ და ღმერთს ვთხოვ, რომ სახელს მივაგნო; ვიღვიძებ და სახელიც „მზად არის“... ერთ-ერთი კოქტეილი ციმბირიდან ჩამოსულ ქალბატონს მივუძღვენი და „ციმბირული ლილია“ დავარქვი. თეთრი კოქტეილი იყო. ყინვისა და თოვლის ასოციაციით შევქმენი, სასიამოვნო დასალევი და ამავე დროს, მაგარიც იყო. პარიზის სასტუმრო „რიცში“, მსოფლიოში სახელგანთქმული ბარმენი — პიტერ კოლინფილდი მუშაობს, რომელიც ჟურნალმა — „ფორბს“ 100 ცნობილი ადამიანის სიაში შეიყვანა. მან თქვა: „როცა კოქტეილს ქალბატონისთვის ვამზადებ, ის გარკვეული დროის მანძილზე მისი სამკაულია“. მეც ვცდილობ, ამ პრინციპით შევქმნა კოქტეილი ქალბატონისთვის. ასევე აუცილებელია, კოქტეილის გემო და მორთულობა ერთმანეთს შეეფერებოდეს.

— **ბარმენები კლიენტებთან მეგობრობთ ხოლმე; კიდევ რა არის საჭირო მათ მოსაზიდად?**

— რა თქმა უნდა, იყო მეგობრობა, წერილები, საჩუქრები... დღემდე ვმეგობრობ ფრანგ ბარმენთან. აქ გავიცანი, ბარში, ტურისტად იყო ჩამოსული. საჭიროა, გვახსოვდეს იმ კლიენტის სახელი, ვინც ბარში ხშირად დადის, და ის, თუ რომელი კოქტეილი უყვარს. თავის დროზე, ჩემთვის ვინიშნავდი: „ნაცრისფერი კოსტიუმი“, „დიდი ყურები“ და ა.შ. სანამ სახელებს გავიგებდი, ასე ვწერდი. ადამიანს ძალიან სიამოვნებს, სახელით რომ მიმართავ. როდე-



ბარმენი უნდა იყოს კეთილი, ხალხის მოყვარული, მომთმენი, ბევრს არ უნდა ლაპარაკობდეს

საც სტუმარი ნასვამი მოდის, შეიძლება ერთი ბოკალი კოქტეილი დალიოს და ცუდად გახდეს, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ და დაბალალკოჰოლიანი სასმელი მივცეთ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სტუმარი ბარმენს ეპატიჟება: რაც გინდა, დაისხი და დალიე, მე ვიხდიო, — ეუბნება. ასეთი შემთხვევებისთვის კარგი გამოსავალი მქონდა — კონიაკის ბოთლში ჩაი მქონდა ჩასხმული, „ვოდკის" ბოთლში — წყალი...

**— სტუმრები კოქტეილების საკუთარ ვარიანტებს ხშირად გთავაზობდნენ?**

— კი, უთქვამთ, მაგალითად: რომი — ამდენი, წვენი — ამდენი, მალიბუ — ამდენიო და ა.შ. — და მეც ვაკეთებდი. სხვათა შორის, ფინელებმა მასწავლეს კოქტეილი „ამპიაენენ". „ინტურისტში" რომ ვმუშაობდი, უცხოელების უამრავი ჯგუფი ჩამოდიოდა და მათ შორის, საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. მასში შედიოდა 40-50 მლ „ვოდკა", 25 მლ ფორთოხლის ლიქიორი „კუანტრო" და ზემოდან — ტონიკი ან „სპრაიტი". უნდა ჩავასხათ „ჰაიბოლის" ჭიქაში (მაღალ ჭიქას ეძახიან), მოვურიოთ ბარის კოვზით, ჩავდოთ საწრუპავი და მზად არის. „ამპიაენენ" ფინურად კრაზანას ნიშნავს და კოქტეილიც ცოტა „იკბინება".

**— ბატონო ჟაკო, ბარმენმა რამდენი კოქტეილი უნდა იცოდეს ზეპირად?**

— სულ ცოტა, 50-60. როცა ახალგაზრდებს ვასწავლით, ყოველთვის ვეუბნებით, — რომელი კოქტეილიც მოგეწონებათ, ცალკე ჩაინიშნეთ-თქო. ვთქვათ, კაცი ქალბატონთან ერთად მოვიდა. მამაკაცისთვის ერთია საჭირო, ქალისთვის — სხვა. ჩაიხედავ და გაიხსენებ, — რვეული თან რომ გქონდეს, ეს დასაშვებია. „მარიოტში", „რედისონში" ჩვენი მოწაფეები მუშაობენ. ხანდახან, კონსულტაცია სჭირდებათ და ღამის 2 საათზე მირეკავენ: ბატონო ჟაკო, ეს კოქტეილი როგორ კეთდებაო? თუ არ მახსოვს, — 10 წუთში დამირეკე-მეთქი, ვეუბნები. კლასიკური კოქტეილები რეცეპტის ზუსტი დაცვით უნდა მზადდებოდეს და ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ ბარში ერთნაირი გემო ჰქონდეს. საქართველოში ბარმენები სტუმართან ურთიერთობით გამოირჩევიან, პროფესიონალიზმი ამის შემდეგ მოდის.

**— როგორც ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტს, რა გეგმები გაქვთ?**

— ჩვენი ასოციაცია 8 წლის წინ ჩამოყალიბდა. ასეთი ასოციაციები მთელ მსოფლიოში არსებობს. აქედან, 54 ქვეყანა IBA-ს (ბარმენთა საერთა-


ასეთი ასოციაციები მთელ მსოფლიოში არსებობს

შორისო ასოციაცია) წევრია. საქართველო ჯერჯერობით არ არის, მაგრამ წელს პოლონეთში IBA-ს სხდომა ტარდება და შეიძლება მიგვიღონ კიდეც. ჩვენ სომეხ კოლეგებთან ვმეგობრობთ (მათი ასოციაციის პრეზიდენტი ახალგაზრდა კაცი — ტიგრან ავეტისიანი), ვთანამშრომლობთ რუსებთან. ისინი სისტემატურად გვიგზავნიან ჟურნალებს, გვაცნობენ სიახლეებს. ჩვენი ასოციაცია ატარებს შეხვედრებს ბარმენებთან, კონსულტაციებს უწევს მათ. გვაქვს ფილიალი აჭარაში (ქობულეთში), გვინდა გავხსნათ გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში; ახალციხეში, თელავში. ამით, მოსახლეობას მომსახურების კულტურას გავაცნობთ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრს ჰგონია, რომ ბარმენი თაღლითი ადამიანია, რომელიც მას მოატყუებს, გააკოტრებს... საზღვარგარეთ ბარმენს უბატონოდ ხმას არავინ გასცემს. წინათ ჩვენში, ბარმენისთვის შეიძლებოდა, ასე მიემართათ — ეი, ბარმენ!.. ბარმენი ყველას „თქვენობით" მიმართავს და სტუმარიც ასე უნდა მოიქცეს. ამ მხრივ ვითარება ცოტათი გამოსწორდა, სასიკეთო ძვრები ნამდვილად შეინიშნება. ნელ-ნელა, ევროპული სტანდარტები მკვიდრდება.

**— ბარმენის შეცდომას როცა ხედავთ, როგორ იქცევით?**

— მაშინვე ვამჩნევ, ბარმენი დაძაბუ-
ლია თუ — არა, იმის მიხედვით, თუ
როგორ აილო ხელში ჭიქა ან რომელიმ
ინსტრუმენტი. ზოგჯერ ბარმენი მოსარ-
თავ ხილს — ალუბალი იქნება, ფორ-
თოხალი, ლიმონი თუ კივი — ბოკალზ
ხელით ამაგრებს, რაც დაუშვებელია.
ამისთვის სპეციალური მაშა არსებობს.
საწრუპავიც მაშით უნდა
ავილოთ. ყველაფერს თავი-
სი წესები აქვს. მაგრამ
ბარმენს შენიშვნას პირდა-
პირ არასოდეს მივცემ ანუ
თვალში თითს არ ვატა-
კებ; ცალკე გავიყვან ან
ყურში ჩავჩურჩულებ, —
შვილო, ასე და ასე გაა-
კეთე, მე ასე გავაკეთებდი-
მეთქი.

**— როგორ ფიქ
რობთ — სასმელებ
შორის, კოქტეილ
რატომ უნდა მივანი
ჭოთ უპირატესობა?**

— წარმოიდგინეთ
კაცმა ერთბაშად დალიო
ნახევარი ბოთლი „ვოდ
კა" — ბევრია, ხომ?.. ა
რაოდენობის „ვოდკით" 1
კოქტეილი გამოდის. ად-
ამიანი დაახლოებით
საათის განმავლობაში 10 ჭიქა კო-
ქტეილს სვამს. ეს ნიშნავს, რომ კო-
ქტეილში მაგარი ალკოჰოლი არ იგ-
რძნობა, „იმალება" და სასიამოვნო დასა-
ლევია. ე.ი. პიროვნება მშვენიერ ხასი-
ათზე წავა სახლში და ცუდი არაფერ
მოხდება. აი, ეს არის კოქტეილი...

*ჟაკო ჯორჯაძის დამსახურებაა, რო
ჩვენში ბარმენთა პროფესიონალიზმ
ვითარდება. რამდენიმე წელი
თბილისის და ქობულეთის პროფ
სიული სწავლების ცენტრებში ბარ
მენის სპეციალობას ასწავლიან. ბ
ტონმა ჟაკომ გამოსცა სახელმძღვან
ლო ბარმენებისთვის, რომელსაც „შეი
ერის მელოდია" ჰქვია. ის არა მარ
ტო მის ახალბედა კოლეგებს, არამე
ნებისმიერ მკითხველს დააინტერესებ
კოქტეილების რეცეპტებიც მიმზიდ
ველია და ლამაზად არის აღწერ
ილი. მათ შორის 100 ყველაზე პო
ულარულია მსოფლიოში. ერთ-ერთ
ჩვენს მკითხველსაც წარმოგიდგენ
თუ შინ არც ვისკი გაქვთ, არც მარ
ტინი და არც ლიქიორი, შეგიძლია
სახელდახელოდ მოამზადოთ უმარ
ტივესი კოქტეილი — „ცივი შოკოლ
დი": ბლენდერში ჩაყარეთ 1 ს/კ კაკა
ფხვნილი, დაამატეთ 150 მლ ცი
რძე და 3 ჩ/კ შაქარი; თქვიფეთ
წამის განმავლობაში. ქაფის მიღებ
შემდეგ გადაასხით მაღალ ჭიქაშ
გემრიელად მიირთვით!*

# ერთჯერადი ურთიერთობა და მსუბუქი ფლირტი

## ეპატიება თუ არა საყვარელ ადამიანს ღალატი

**ზოგჯერ გაბრაზებული ადამიანი სისულელეს სჩადის და როგორც ამბობენ, — „ცხელ გულზე“ საყვარელი ადამიანის ღალატზეც კი მიდის, მერე ჩადენილ საქციელს ნანობს, მაგრამ... რამდენად ადვილია საყვარელი ადამიანისთვის ღალატის პატიება? — ამ კითხვით მივმართე მოზარდებს, რომლებმაც თავიანთი პასუხებით არა მარტო გამაოცეს, არამედ დამაბნიეს კიდეც...**

*ლიკა ქაჯაია*



**ელა,** *17 წლის:*

— თქვენს კითხვას ასე ვუპასუხებ: თურმე ოდესღაც, მამაჩემმა დედას უღალატა. იმ დროისთვის ისინი უკვე ცოლ-ქმარი იყვნენ, მაგრამ ოჯახი არ დანგრეულა ანუ — იქ, სადაც ნამდვილი სიყვარულია, წყვილის ურთიერთობას ღალატიც ვერ გააფუჭებს!

— **დედაშენმა საიდან გაიგო, ქმარმა რომ უღალატა ან ეს ამბავი შენ როგორ შეიტყვე?**

— დედა თავისი ცხოვრების ეპიზოდებს თავად მიამბობს ხოლმე და არც ეს დაუმალავს. როცა ამას მიყვებოდა, გავოგნდი: როგორ შეიძლება, ქალმა ღალატიც კი მოითმინო-მეთქი? — მიყვარდა და აბა, რა მექნა? თუ წივილ-კივილს ავტეხდი, მერე ოჯახიც უნდა დამენგრია, ეს კი სულაც არ მინდოდაო... ამ ამბავზე დიდხანს ვფიქრობდი და ბოლოს, „გადავხარშე“: დედა მართალი იყო! ის ქალი მამასთვის ერთი დღის გატაცება გახლდათ, მერე მისი ცხოვრებიდან უკვალად გაქრა, დედა კი დღემდე ქმრის გვერდითაა.

— **შეყვარებული გყავს?**

— მყავს!

— **მან სხვას რომ აუხსნას სიყვარული და ეს ამბავი შენს ყურამდე მოვიდეს, დავიჯერო, აპატიებ?**

— ალბათ, გამიჭირდება, მაგრამ თუ ყველაფერს გულწრფელად მოინანიებს და პირობას მომცემს, რომ ასე აღარასდროს მოიქცევა, დავუჯერებ და ვაპატიებ კიდეც. ბოლოს და ბოლოს, მეც ახალგაზრდა ვარ, ხან ვინ მეპრანჭება, ხან — ვინ მიხსნის სიყვარულს, ჰოდა, ვახოს ხომ შეუძლია, ამის გამო მომდოს შარი, ღალატში დამადანაშაულოს და მიმატოვოს?.. სიმართლე გითხრა, ეს მსუბუქი ფლირტი მეც მომწონს.

— **როცა შეყვარებული გყავს, სხვასთან ფლირტაობა რამდენად მისაღებია?**

— რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ? მე ხომ არ ვმრუშობ, უბრალოდ, ვფლირტაობ და თუ შეყვარებული ვერ გამიგებს, ჩემი ცხოვრებიდან „დავახვევინებ“. ახალგაზრდა ვარ და ვერთობი, მაგრამ დედაჩემის ხნის რომ ვიქნები და ოჯახი მექნება, მერე კი აღარ დავიწყებ თვალების ცეცებას; გათხოვილს ვინმემ სიყვარული რომ ამიხსნას, შეიძლება, ქვა თავში ვთხლიშო, მაგრამ ახლა არავის წინაშე არ ვარ ვალდებული.

— **როგორ ფიქრობ, დედაშენს რომ ეღალატა ქმრისთვის, ის ამას აპატიებდა?**

— ცხადია, არ აპატიებდა! როცა კაცი „გულაობს“, რატომღაც, ეს მას ეპატიება, ქალს კი მსგავსი რამის ჩადენა დიდ დანაშაულად, ცოდვად ეთვლება. ცხადია, ეს ყველაფერი სისულელეა, ქალიც და კაციც თანასწორნი არიან, მაგრამ რას ვიზამთ, საქართველოში ვცხოვრობთ... იმედია, რამდენიმე წელიწადში გონს მოვალთ და ღალატი არა მარტო ქალისთვის, არამედ კაცისთვისაც მიუტევებელი იქნება.

**გიზო,** *15 წლის:*

— შეყვარებულმა რომ მიღალატოს, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაპატიებ!

— **ბოდიში რომ მოგიხადოს, შეცდომა მოინანიოს?..**

— (*მაწყვეტინებს*) რა სისულელეა?! ეს შეცდომა როგორ უნდა მოინანიოს? ქალი ერთხელ თუ გიღალატებს და ამას აპატიებ, ის მსგავს საქციელს მეორედაც ჩაიდენს და მესამედაც, ოღონდ — განსხვავება ის იქნება, რომ მომავალში ამას მალულად გააკეთებს, საქმის კურსში აღარ ჩაგაყენებს...

— **შენ გირჩევნია, საყვარელმა ადამიანმა საქმის კურსში ჩაგაყენოს, ვიდრე ეს ყველაფერი მალულად აკეთოს?**

— დებილი არა ვარ, მსგავსი რაღაცები რომ გამომეპაროს. შეიძლება, ბევრი ამბობს, — ეჭვიანი არა ვარო, მაგრამ ვფიქრობ, იტყუებიან. არ შეიძლება, შეყვარებული ადამიანი მეორე ნახევარზე რაღაც დოზით მაინც არ ეჭვიანობდეს, ხოლო როცა ეჭვი ღრღნის, „ლოვეს“ აუცილებლად შეამოწმებ და თუ ის რაიმე ისეთს სჩადის, რაც მოსაწონი არაა, ამაში ოდესმე აუცილებლად გამოიჭერ.

— **ძლიერი სქესის წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, რომ კაცებს ღალატი ეპატიებათ, ქალებს კი — არა...**

— ეს არც კაცებს გვეპატიება, მაგრამ ზოგჯერ, ისეთ სიტუაციაში ამოვყოფთ ხოლმე თავს, რომ თუ სხვასაც არ გავეკეკლუცებით, უფრო სწორად — არ „გავეხახუნებით“, შეიძლება არაკაცად მიგვიჩნიონ, რაც თავმოყვარეობას შეგვილახავს... ასე რომ, ქალებმა უნდა გაგვიგოთ.

— **და როცა სხვას „ეხახუნებით“, ამ დროს ქალების შელახული თავმოყვარეობა სულაც არ გადარდებთ, არა?**

— შეიძლება გვადარდებს კიდეც, მაგრამ საკუთარ თავზეც ვფიქრობთ...

— **რომ გაიგო, შენს შეყვარებულს ვინმესთან მსუბუქი ფლირტი აქვს, როგორ მოიქცევი?**

— თუ მხოლოდ მსუბუქი ფლირტი აქვს და სხვა არაფერი, შეყვარებულს ამის გამო ნამდვილად არ დავტუქსავ. ბოლოს და ბოლოს, ისიც ადამიანია და შეიძლება, თვალები სხვისკენ გაექცეს; ქუჩაში ჩემზე სიმპათიური კაცი დაინახოს და თვალი გააყოლოს. ჰოდა,

ავადმყოფი უნდა ვიყო, მსგავს რაღაცებზე რომ ვიეჭვიანო და ვუსაყვედურო. ეგ ღალატი ნამდვილად არაა!

**— დაბოლოს, მამაშენმა დედას რომ უღალატოს და ეს ამბავი შენს ყურამდე მოვიდეს, როგორ მოიქცევი?**

— რა დროს მამაჩემის ეგეთებია? რაც აქამდე „იგულავა", ის შეირგოს... და მაინც, თუ გავიგებ, რომ დედას ერთჯერადად უღალატა, შეიძლება მეწყინოს, მაგრამ საყვედურს ვერ ვაკადრებ, მის პირადში არ ჩავერევი, მაგრამ თუ საყვარელს გაიჩენს, მაშინ — ოოო...

**— და დედაშენმა რომ უღალატოს ერთჯერადად?**

— გაგიჟდი? ბოლოს და ბოლოს, მოგზავნილი ხომ არ ხარ? ახლა ეჭვის ჭიას რატომ მიჩენ (*იცინის*)? ცხადია, დედას ამას ვერ ვაპატიებ, მეტიც — შეიძლება სამუდამოდ შევიძულო კიდეც!

**გიო,** *17 წლის:*

— ქალს კი არა, ღალატი კაცსაც არ ეპატიება! ვინც სხვანაირად ფიქრობს, არა მგონია, სრულ ჭკუაზე იყოს. ჯერჯერობით სერიოზული ურთიერთობა არავისთან მაქვს და თავს უფლებას ვაძლევ, რამდენიმე გოგო ერთდროულად „შევაბა", მაგრამ როცა ვინმე ნამდვილად შემიყვარდება, ას ქალს ერთად არ გავცვლიდები, მხოლოდ იმ ერთზე ამომივა მზე და მთვარე.

**— ამაში დარწმუნებული ხარ?**

— რა თქმა უნდა! დარწმუნებული რომ არ ვიყო, ასე არ ვილაპარაკებდი. ამას წინათ ძმაკაცს იცი, რის გამო ვეჩხუბე? — საქეიფოდ ვიყავით და მისი შეყვარებულიც თან გვახლდა. როცა დათვრა, ის გოგო სულ



დაავიწყდა და სხვებს დაუწყო „შებმა". ნინის მთელი ღამე მე ვართობდი და პარალელურად ვცდილობდი, ძმაკაცი გონს მომეყვანა, მაგრამ ეს არ გამომივიდა — იმ საღამოს ვიღაც სხვა მოეწონა და მის გამო შეყვარებულს მეორე დღესვე დაშორდა. ეს არაკაცური საქციელია, არაკაცთან კი ვერ ვიმეგობრებდი და ერთმანეთს მაგრად დავცხეთ... ჰოდა, როგორ ფიქრობ, ჩემნაირი ადამიანი „ლოცეს" ღალატს შეძლებს?!

**ხათო,** *16 წლის:*

— თუ ადამიანი ღალატს დაიმსახურებს, უნდა უღალატო! მაგალითად, მამაჩემმა რუსი ნაშები „მოიგულავა", მას დედა წლების მანძილზე ჰყავდა მიტოვებული და არც ანაღვლებდა, ქალი მის გარეშე რომ იტანჯებოდა. ჰოდა, დედაც ადგა და, კაცი გაიჩინა. მამა რომ ჩამოვიდა, მას უკვე ჰყავდა საყვარელი და მეორე ნახევრისთვის სიმართლე არც დაუმალავს. მართალია, თავიდან მამა „დაიგრუზა", მაგრამ რამდენიმე თვეში გონს მოეგო და ცოლს ასეთი კითხვა დაუსვა: ყველაფერი რომ გაპატიო, ჩემ გამო იმ კაცს თუ მიატოვებო? დედამ უპასუხა: შენი საპატიებელი რა მჭირს? რუსეთში ქალი არ დაგიტოვებია, რომელსაც არ მიეფერე და მე თუ ერთი კაცი მყავდა, ამაზე მიბრაზდები? აბა, რა მექნა, როცა სისხლი მიდუღდა? გელოდი, გელოდი, შენ კი არ ჩანდი და ვინც ჩემ მიმართ ყურადღება გამოიჩინა, მეც მას დავეყრდენიო.

**— ახლა შენი მშობლები ერთად ცხოვრობენ?**

— კი და მჯერა, ერთმანეთის ღალატს გულში აღარასდროს გაივლებენ, ჩვენს ოჯახში სრული იდილიაა. დარწმუნებული ვარ, დედა ქმარს პატიოსნად რომ დალოდებოდა, მამას იმის სურვილიც არ გაუჩნდებოდა, რომ „დაობებულ" ქალს შერიგებოდა, მაგრამ თავმოვლილი დედა რომ დაინახა, რუსი ქალების „ღირსებები" სულ გადაავიწყდა. აი, ასე მოუხდებათ კაცებს!

**— ახლა არ მითხრა, რომ ეს ამბავი დედამ ან მამამ გიამბო.**

— არა. როცა მამა რუსეთიდან ჩამოვიდა, 8 წლის ვიყავი და ამ ამბებს თავად შევესწარი. რაც შეეხება დედას საყვარელს, მას მე და ჩემი ძმაც კარგად ვიცნობდით. ის არაჩვეულებრივი ადამიანია, ჩვენთან საჩუქრების გარეშე არ მოდიოდა და ამიტომაც გვიყვარდა. მართალია, მაშინ ვერ ვაცნობიერებდით, ვინ იყო ის დედასთვის, მაგრამ გვეგონა, რომ ჩვენს მამობას აპირებდა და ეს გვახარებდა.

**— საკუთარი მამა არ გიყვარდათ?**

— ცხადია, არა! მეტიც, იგი არც გვახსოვდა — რუსეთში რომ გადაბარგდა, მე 3 წლის ვიყავი, ჩემი ძმა კი 4-ის.

**— ახლა მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ხომ გითხარი, ოჯახში სრული იდილიაა-მეთქი.

**— შენ თუ შეძლებ საყვარელი ადამიანისთვის ღალატის პატიებას?**

— ოჯახში იმდენი რამ მაქვს ნანახი და გაგონილი, რომ ალბათ, შევძლებ, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ მე და ჩემი შეყვარებული ოჯახურ იდილიას ღალატის გარეშეც ავაწყობთ.

**სესილი,** *15 წლის:*

— როგორც ამბობენ, ბაბუაჩემი საოცარი მექალთანე გახლდათ. ეს ბებომაც იცოდა, მაგრამ ქმარს ყველაფერს აპატიებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახის დანგრევა არ უნდოდა. პირადად მე, ქმარს მსგავს საქციელს ვერ ვაპატიებ. რატომ უნდა „იგულაოს" კაცმა სხვებთან, როცა შინ ცოლი ელოდება? ქართველ კაცებს გაცნობიერებული არა აქვთ, რომ ცოლიც ქალია და არა — ჭურჭლის მრეცხავი...

**პიკზო,** *17 წლის:*

— ახლა არ მითხრა, — თუ ვიღაცას გაეპრანჭები, ეს შეყვარებულის ღალატს ნიშნავსო, თორემ გავგიჟდები.

**— რა, ასე არ არის?**

— შეყვარებული მყავს, მაგრამ როცა დასასვენებლად მივდივარ, სხვებსაც ვეფლირტავები და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

**— ეს შენმა შეყვარებულმა თუ იცის?**

— რა საჭიროა, ყველაფერი იცოდეს? ისე, რომც ვუთხრა, არა მგონია, მასთან პრობლემა შემექმნას, რადგან ცუდს არაფერს ვაკეთებ.

**— რას ნიშნავს ფლირტაობა?**

— თვალების ჟუჟუნს, ერთჯერად „გაგულავებას" ანუ ბიჭთან ერთად ვთქვათ, დისკოთეკაზე წასვლას და საკმაოდ თამამი ცეკვების შესრულებას, ხელის მოხვევას...

**— ვთქვათ, დასასვენებლად წასულმა ერთ-ერთ ბარში შეყვარებული დაინახე, რომელიც ვიღაც გოგოს „ახვევს", მას ეფლირტავება. საინტერესოა, როგორი რეაქცია გექნება?**

— ნუ, თუ გვერდით კავალერი მეც მეყოლება, შეიძლება ბარიდან გავიდე, მათ შეხვედრას თავი ავარიდო, მაგრამ თუ მარტო ან დაქალებთან ერთად ვიქნები, არსადაც არ წავალ და არც სკანდალს მოვუწყობ. უბრალოდ, დავენახვები და ვუჩვენებ, რომ მსგავსი რაღაცების პატიება შემიძლია; მეტიც — შეიძლება მათ „სასტავს" შევუერთდე კიდეც.

— **დავიჯერო, არ იეჭვიანებ?**

— ცხადია, ვიეჭვიანებ, მაგრამ დამეთანხმე, ისიც სასიამოვნოა, როცა ქალები შენი კაცის „შეხვევას" ცდილობენ; ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი ტიპის გვერდით ხარ და შენი შურთ.

**სალი,** *16 წლის:*

— არა, საყვარელ ადამიანს ღალატს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაპატიებ! მეტიც, ამას წინათ დაქალს ტყუილის თქმა ვერ ვაპატიე და ამის გამო დავშორდი. შეიძლება, ზედმეტი მომივიდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ თუ ადამიანი ერთხელ მაინც მოგატყუებს, ის ამას მეორედაც გაიმეორებს.

— **დანაშაული რომ აღიაროს და პირობა მოგცეს, მსგავს რამეს არასდროს გავიმეორებო?..**

— (*მაწყვეტინებს*) ვერ დავუჯერებ. ცრუს ტყუილზე დაფიცებაც კი არ გაუჭირდება... კაცს შეიძლება, შეცდომა აპატიო, მაგრამ თუ ყველაფერს გამიზნულად, გააზრებულად აკეთებს — ანუ იცის, რომ დანაშაულს სჩადის, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო უკან მაინც არ იხევს, ის ყველაფერზე წამსვლელია და ეს ვითომ „შეცდომა" არ ეპატიება.

— **მსუბუქ ფლირტზე რა აზრის ხარ?**

— ამას კიდევ არა უშავს, მაგრამ როცა შეყვარებული ან მეუღლე გყავს, თავი ასეთი ფლირტისგანაც უნდა შეიკავო. ნუ, შეიძლება ქუჩაში ვიღაც მოგეწონოს და თვალი გააყოლო, მაგრამ საქმე ამაზე შორს არ უნდა წავიდეს!.. შეიძლება ახლა მითხრა, — ძველმოდური ხარო, მაგრამ მირჩევნია ასეთი ვიყო, ვიდრე მოღალატე მერქვას. ■

# თინეიჯერები გვწერენ

**მარი,** *13 წლის:*

„იცით, „გზა" მეც ახლახან აღმოვაჩინე და ძალიან მომეწონა. საბავშვო ჟურნალებს ვერ ვიტან, მაგრამ მაინც, მშობლები მას „მტენიდნენ" ხოლმე. ახლა უკვე თინეიჯერი ვარ და უფლება მაქვს, თავად ავირჩიო, რისი წაკითხვა მსურს და რისი — არა. თანაც, საბავშვო ჟურნალებში მხოლოდ ზღაპრები წერია, იქ ჩემთვის საინტერესო არაფერი იბეჭდება, აქ კი ბევრი ისეთი რამაა გამოქვეყნებული, რაც ჩემს ცნობისმოყვარეობასაც აკმაყოფილებს და რაღაცებს მასწავლის კიდეც. მაგალითად, თქვენი „ისტორიული ლაბირინთები" მეხმარება იმაში, რომ სკოლაში პედაგოგი გავაოცო, რაც ძალიან მახარებს. როცა „გზაში" წაკითხულს ნაზი მასწავლებელს ვუყვები, გაოცებული მეკითხება ხოლმე, — ეს ყველაფერი შენ საიდან იციო? მე კი ჩემს საიდუმლოს ვმალავ; არ ვუტყდები, რომ „ისტორიული ლაბირინთების" ფანი ვარ... „თინეიჯერულ პონტებშიც" ბევრ ჩემთვის საინტერესო თემას ეხებით, „გზავნილები" კი იმით მიზიდავს, რომ მისი მეშვეობით მკითხველებს ჩვენი თავგადასავლების გამომზეურების შესაძლებლობა გვაქვს (მართალია, ჯერჯერობით ვერც ერთმა ჩემმა ნაჯღაბნმა ვერ იხილა დღის სინათლე, მაგრამ ეგ არაფერი, ოდესმე მეც გამიმართლებს). ვგიჟდები პროვოკატორზე და რუბრიკაზე — „ჩემი ცხოვრების გზა", სადაც საინტერესო ადამიანების შემოქმედებაა ასახული და მათზე ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვიძიებ... ასე რომ, „გზავ", შენი ფანი ვარ და მიყვარხარ!"

**ქეითი,** *16 წლის:*

„ვერ გამიგია, ამ ჟურნალში უამრავ სისულელეს რატომ ბეჭდავთ? მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ „სახეში" ვიღაც „ფეისები" გყავდეთ, შეიძლება მოხვდეს კაცი, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 5% თუ იცნობს... პირადად მე, ჟურნალებს მხოლოდ იმიტომ ვყიდულობ, რომ იქ ცნობილების პირადი ცხოვრებაა ასახული, თუმცა თქვენთან მსგავსი რამ დიდი ხანია, არ წამიკითხავს და ამიტომაც, როგორც წესი, მხოლოდ პროვოკატორის ნაშრომის კითხვით შემოვიფარგლები, მერე კი ჟურნალს გვერდზე მოვისვრი ხოლმე... თუმცა, თქვენი მადლობელი ვარ, რადგან ჩემ მერე „გზას" ბებიაჩემი იღებს ხელში და იქ მისთვის საინტერესო ამბების პოვნა არ უჭირს, რაც ცხადია, ძალიან მახარებს არა მარტო მე, არამედ ოჯახის სხვა წევრებსაც — თქვენი მეშვეობით, მისი ბუზღუნისგან ცოტა ხნით ვისვენებთ ხოლმე... ისე, კარგი იქნება, თუ ახალგაზრდებზეც იფიქრებთ და ცნობილებს „გაგვიშიშვლებთ".

**მარიანა,** *21 წლის:*

„გზას" დიდი ხანია, ვკითხულობ და იქ ჩემთვის საინტერესო ბევრ ინფორმაციას ვპოულობ, მაგრამ ყველაზე მეტად, თქვენთან დაბეჭდილი რომანები მომწონს და თხოვნა მაქვს — რა იქნება, ისინი წიგნად რომ გამოსცეთ ხოლმე ან თუნდაც — „ქართული პროზის საგანძურში" ჩართოთ. ვფიქრობ, ურიგო ნამდვილად არ იქნება". ■

# „ბექა ჩემი ჰაერია..."

**პაწუ:**

„ზამთარია, სიცივეა... ზამთრის არდადეგებს სოფელში ვატარებ. ახლა ჟურნალ „გზას" ვკითხულობ და თვალები ცრემლით მევსება — ეს ცრემლები ხან სიხარულისაა, ხანაც — სევდის. წლების მანძილზე „გზის" ერთგული მკითხველი ვიყავი, მაგრამ არც ერთხელ არ გამჩენია სურვილი იმისა, რომ თქვენთვის მომეწერა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ მოსაყოლი არაფერი მქონდა. ჩემი სიყვარულის ამბავი ბრაზილიურ სერიალს ჰგავს: მეც მიყვარს და მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ერთად ვერასდროს ვიქნებით. ბექა 17 წლისაა, მე — 15-ის. ალბათ, ახლა გაგეცინებათ და იტყვით, — ჯერ პატარები ყოფილხართო, მაგრამ მერწმუნეთ, სიყვარულმა ასაკი არ იცის!.. ჰო, ბექა ჩემი 21 წლის ძმის ძმაკაცი იყო (მას შემდეგ, რაც ის შემიყვარდა, მათ ძმაკაცობაზე წარსულში ვლაპარაკობ). ცხადია, ორივე ძალიან მიყვარს, არც ერთის დაკარგვა არ მინდა და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დამერწმუნეთ, ბექა ჩემი ჰაერია და მჯერა, მასაც ძალიან ვუყვარვარ. ხალხნო, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ასეთი არჩევანის წინაშე დავდგები: ან ძმა, ან სიყვარული და ამის მეშინია; არ ვიცი, ეს ყველაფერი თავიდან როგორ ავიცილო... გთხოვთ, გამიგეთ და ნუ გამკიცხავთ. მერწმუნეთ, თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. უფალი გფარავდეთ. და კიდევ, რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას!" ■

*P.S.* ***მაშ ასე, თუ პაწუსა და ანუკის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.***

# „ერთი უბნელი ნარკომანი მოსვენებას არ მაძლევს..."

**ანუკი,** *16 წლის:*

„ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, სხვებისგან არაფრით გამორჩეული, საშუალო გარეგნობის მქონე, მაგრამ თაყვანისმცემლები მაინც არ მაკლია... ჩემს უბანში ერთი ნარკომანი და სახელგატეხილი 23 წლის ბიჭი ცხოვრობს, რომელმაც ამას წინათ სიყვარული ამიხსნა და ახლა მოსვენებას აღარ მაძლევს; სკოლიდან რომ ვბრუნდები, გზაში მხვდება და მიმტკიცებს, — მიყვარხარო. არ ვიცი, რა ვქნა. ამ ამბავს სახლში ვერ ვამბობ, რადგან უფროსი ძმა მყავს და ეს რომ გაიგოს, ვიცი, უბედურება დატრიალდება, არადა, უკვე აღარ ვიცი, როგორ მოვიშორო თავიდან. იქნებ თქვენ მირჩიოთ რამე". ■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## გამოღმით მე ვარ

**(სიმღერა)**



გამოღმით მე ვარ, გაღმა – შენ
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე.

მინდა გაკოცო, მაკოცო,
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოვედ
ამ სატიალო მდინარეს.

მეც უნავო ვარ, შენაცა,
ცურვა არ ვიცით, ვტირითა;
მეშველიც არვინ გვიჩნდება
არც ციდან, აღარც ძირითა,
შენ მე მიმელი, მე – შენა
გაცინებული პირითა.

ვეღარც ხმას გაწვდენ, გითხრა რამ,
მდინარე ბრაზობს, ღრიალებს,
ჩემს ძახილსა ნთქავს მის ზვირთი,
როგორ შავადა ტრიალებს!..

რა უნუგეშო ყოფნაა,
წელთა სვლა მხოლოდ მზერაში;
რომ მოვკვდე, ბევრით ჰჯობია,
მაინც გარგივარ ვერრაში!..
არა, ის მინდა, გხედავდე,
ნუგეშსა ვპოვებ ცქერაში.

*ვაჟა-ფშაველა*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თემურ ივანიძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-4, 2011

**კერტი** — ძუძუსთავი.

**კერშვა, კერშილობა** — დაგრილება (ღორისა).

**კეწკეწი** — ჯერ უხმარი, ხელუხლებელი, ახალთახალი.

**კეჭნი** — ჭდე, ნაჭდევი.

**კეჭნა** — კოდვა, ბალთვა, ჭდევა.

**კეხი** — 1. უნაგირის ხის ჩონჩხი; 2. ამოზნექილი, მაღალი ადგილი ადამიანის ცხვირის ზურგისა.

**კეჭნაობს** — იგივეა, რაც ფარიკაობს.

**კვალწმინდად** — უკვალოდ; სულ ერთიანად, მთლიანად, სავსებით, პირწმინდად.

**კვანტი** (კუთხ.) — იგივეა, რაც სარმა.

**კვანჩხი** (კუთხ.) — იგივეა, რაც მუჭი.

**კვანწი** (ძვ.) — თამაშობა, ცეკვა.

**კვართი** (ძვ.) — იგივეა, რაც პერანგი.

**კვაწარახი** — გათუთქული მწიფე ტყემლის წვენი, მოდუღებული შესანახავად (იციან იმერეთში) — წუა.

**კვაწია** — პატარა ქოთანი, კოჭობი.

**კვაჭი** (საუბ.) — გაქნილი, მოხერხებული ადამიანი მ. ჯავახიშვილის რომანის პერსონაჟის — კვაჭი კვაჭანტირაძის — სახელიდან.

**კვებულა** — ერთი წლის ხბო ან ზაქი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გრიგოლ ხანძთელი

ქართველი სასულიერო მოღვაწე და მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი გრიგოლ ხანძთელი დაიბადა 759 წელს ქართლში, წარჩინებულ ოჯახში (მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ვრცლად აღწერა გიორგი მერჩულემ). გრიგოლი აღიზარდა ქართლის ერისთავის — ნერსეს კარზე (ნერსეს მეუღლის ძმისწული და შვილობილი იყო). მან თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო. აღმზრდელთა და ქართლის დიდებულთა ნებით, მღვდლად აკურთხეს, ხოლო როცა მისი ეპისკოპოსად კურთხევა განიზრახეს, ფარულად მიატოვა ქართლი და VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთში დაიწყო მოღვაწეობა. ჯერ ოპიზაში ცხოვრობდა, შემდეგ ხანძთაში დასახლდა და საერო ხელისუფალთა დახმარებით, ფართო სამონასტრო მშენებლობა გააჩაღა, რომელშიც თანამოღვაწეთა დიდი დასი ჩააბა. საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო ცხოვრებას ტაო-კლარჯეთში, ხანძთასა და შატბერდში ააგო მამათა, ხოლო გუნათლესა და მერეში — დედათა სავანეები. დასავლეთ საქართველოში დააარსა უბისის მონასტერი. გრიგოლ ხანძთელის წაბაძვით მისმა მოწაფეებმა დაიწყეს მონასტრების მშენებლობა იშხანში, ნეძვში, წყაროსთავში... გრიგოლ ხანძთელი მონაწილეობდა კლარჯეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. IX საუკუნის 30-იან წლებში იგი ტაო-კლარჯეთის მონასტერთა არქიმანდრიტად დაადგინეს. მისი ენერგიული ჩარევით გადააყენეს თბილისის ამირა, საჰაკის აგენტი — ანჩის ეპისკოპოსი „ცქირი“. გრიგოლ ხანძთელმა დიდი როლი შეასრულა IX საუკუნის 50-იან წლებში ჯავახეთში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, რომელმაც არსენ I-ის კათოლიკოსად არჩევის კანონიერების საკითხი გაარჩია. მისი მხარდაჭერით არსენი კათოლიკოსად დარჩა.



გრიგოლის ძირითადი საცხოვრებელი ადგილი ხანძთა (აქედანაა მისი ზედწოდება) ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად იქცა. მის მიერ დაარსებულ მონასტრებში გაჩაღებული მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სულისჩამდგმელი იყო. გიორგი მერჩულის ცნობით, მას საბაწმინდის მონასტრის წესის საფუძველზე, თავისი ძმობის წევრთათვის შეუდგენია ქტიტორული ტიპიკონი და შეუთხზავს ჰიმნოგრაფიული კრებული — „საწელიწდოი იადგარი“ — ლიტურგიკული კრებული მთელი წლისა.

გრიგოლ ხანძთელმა 102 წელი იცხოვრა და 861 წელს გარდაიცვალა.

■

**„იგი იყო ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“**

**„ხოლო შრომაი დიდად უყვარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაი ოდენ, არამედ დღე და ღამე ხელითა თვისითა იქმოდა“**

**„სიტყვაი მისი შეზავებულ იყო მარილითა მადლისაითა“**

**„ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა აღესრულების“**

*გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“*



ხანძთა

# დაღესტნის პირველი ტყვე

**შეიძლება, ახალგაზრდების დიდ ნაწილს არც კი სმენია მთარგმნელის, ლიტერატორისა და მწერლის — ელგუჯა მაღრაძის სახელი. არადა, სწორედ მისი წყალობით გაიცნო და შეიყვარა ქართველმა მკითხველმა ბევრი საინტერესო ავტორი და მათი კრებულები სამაგიდო წიგნებად გაიხადა, ესენია — მაინ რიდის „უთავო მხედარი“ და „თეთრი ბელადი“, ჯონ გოლზუორთის „ფორსაიტების საგის“ პირველი ნაწილი — „მესაკუთრე“, არტურ კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი“ და სხვ.**

*თამთა დოლიძე*

ელგუჯა მაღრაძე რედაქტორობდა ჟურნალებს — „ნიანგსა“ და „მნათობს“, იყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, წერდა მონოგრაფიებსა და ბიოგრაფიულ რომანებს გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრების შესახებ. მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები — „მეველე“ და „გოდება“, ესეები — „ლევან გოთუა“, „კონსტანტინე გამსახურდია“ და სხვ. აი, ასეთი საინტერესო მწერალი შეემატა „ქართული პროზის საგანძურს“ ბიოგრაფიული რომანით — „გრიგოლ ორბელიანი“, სადაც ავტორმა თავი მოუყარა დიდი ქართველი პოეტის შესახებ აქამდე არსებულ მასალებს და მისი სახიფათო თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება წარმოგვიდგინა.

ელგუჯა მაღრაძე რუსეთის არმიის სახელგანთქმულ გენერალს და ამავე დროს, სამშობლოს თავისუფლების დაკარგვით გულმოკლულ ქართველს ერთ მთლიან, „დაუნაწევრებელ“ პიროვნებად წარმოგვიდგენს. ავტორი დაგვანახვებს იმას, თუ რაოდენ ძნელი იქნებოდა ჩრდილოელი მფარველის ბორკილებისა თუ მედლების სიმძიმის ქვეშ ეროვნული საქმის კეთება.

საინტერესოა, როგორ ახერხებდა უმეტესად საქართველოსგან შორს მყოფი პოეტი ქართული ენის შეუცვლელად შენარჩუნებისთვის ბრძოლას. გენერალი ორბელიანი ორივე იარაღს — მუზას და ქვემეხს, ოსტატურად ხმარობდა და ორივე ფრონტზე თანაბრად იბრძოდა. პოეტი ქართული ენის გამარტივებას დიდ დანაშაულად მიიჩნევდა: — **„რედაქციის მეტი ვინლა დაგვრჩა ენის მფარველად, რომ ესეცა ასე დაუდევნელად, გულშეუტკივებლად ბეჭდავს ყოველსავე არეულად დაწერილსა“**. ხშირად ქცეულა მისი გაკილვის საგნად — გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის, ეკატერინე გაბაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის და თვით დიდი ილიას ქართული. განსაკუთრებით სერგი მესხს უწუნებდა ენის ცოდნას და რედაქტორობისთვის შეუფერებელ კაცად მიაჩნდა (**„ვერ ისწავლა მესხმ წერა, ვერა, ვერა“**). თუმცა არც ამ სტრიქონების ავტორი იყო უცოდველი და მისი ნაწერები ხშირად რუსიციზმებით იყო სავსე. ენის დაცვის მცდელობა კი, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია.



გრიგოლს ყველაზე მეტად წერილების წერა ჰყვარებია. მეგობრებსა და ნათესავებს დაჟინებით სთხოვდა, ხშირად მომწერეთო და საყვედურობდა, როცა მათგან მოკლე პასუხებს იღებდა. თავად საკმაოდ ვრცელ წერილებს წერდა, დაწვრილებით უყვარდა ამბების მოყოლა. მისი წერილები არა მარტო დამწერის, არამედ ბევრი მისი თანამედროვე, გამოჩენილი ადამიანის შესახებ გვაწვდის საყურადღებო ცნობებს.

წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა გრიგოლ ორბელიანის სამხედრო საქმიანობას. შეიძლება, ბევრმა არც კი იცის, თუ რა რთული გზა გაიარა მან ჯარისკაცობიდან გენერლობამდე. „დაღესტნის ვეფხვის“ ყველაზე ღირსეულ მეტოქეს, წარმატებული სამხედრო კარიერის მიუხედავად, დიდი ლოდი აწვა გულზე — უსამშობლობა (**„ახლა თბილისში ახალი წელია, ანათებენ ჩირაღდნები, მიაქვთ-მოაქვთ საჩუქრები. აქაური საჩუქრები კი ესაა: ყაჩაღთა მოჭრილი თავები, მოკვეთილი ხელები, წართმეული დროშები, უსულო გვამები...“**).



გურჯმა გენერალმა დაღესტნის მთებს მრავალი წელი შეალია, შამილი ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა, ამიტ-ომ დიპლომატმა მეომარმა კრაზანების ბუდეში შეფრენა განიზრახა. გრიგოლი „ავარიის იმამად“ დაინიშნა და თხუთმეტი წელი ინავარდა შამილის „ბუნაგში“. როგორც ჩანს, პოეტს არც დიპლომატიური ალღო აკლდა და ღირსეული მტრის პატივისცემაც იცოდა. შამილის მარჯვენა ხელს, რუსეთის მხარეს გადმოსულ ჰაჯი მურატს, შეხვედრისას მადლობასაც კი უძღვნის (**„მადლობელი ვარ, მთის არწივო, რომ გამიხსენე“**).

მაღალი სამხედრო წოდების შესაფერისი, ყველა სიკეთით შემკული ცხოვრების მიუხედავად, პოეტი ლეკების ქვეყანაში ტყვედ გრძნობდა თავს და იტანჯებოდა: — **„პირველი ტყვე დაღესტნისა მე შევიქენ, ველარ დავაღწიე თავი“,** — სწერდა ქეთევან ორბელიანს. მის სატანჯველს კიდევ უფრო ამძიმებდა ის ფაქტი, რომ მართლმორწმუნე იმამს თურმე მოსახლეობისთვის ყურანის კითხვა ევალებოდა. დიდად არც დაღესტნელი დიდგვაროვნების მასპინძლობა ეჭაშნიკებოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, მხოლოდ მონატრებული ოჯახის წევრებთან და ახლო მეგობრებთან იოხებდა გულს და ისიც, წერილობით.

ელგუჯა მაღრაძეს არც რომანტიკოსი პოეტის სასიყვარულო ფრონტის გაშუქება დავიწყებია. გრიგოლს, სამხედრო კარიერისაგან განსხვავებით, არ უმართლებდა სიყვარულში. გრიბოედოვის ქვრივზე — ნინო ჭავჭავაძეზე უიმედოდ შეყვარებულს, მისი და, აკვანშივე მასზე დანიშნული სოფიო ჭავჭავაძე გაუთხოვდა. მას შემდეგ კიდევ ბევრი მარცხი განიცადა სასიყვარულო ფრონტზე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რომანტიკოსი პოეტი არ ყოფილა სიყვარულისთვის გაჩენილი. სახლისგან მოშორებით მყოფს სიკვდილმა ნელ-ნელა გამოაცალა ხელიდან ძმები, საყვარელი დისშვილი ტატო. მხოლოდ ნინაკა (ორბელიანის ერთგული მსახური) იყო მისი ოჯახი. **„კარგია, ვისაცა ჰყავს ქვეყანაზე ვინმე გულშემატკივარი და ჩემსავით არა გდია ოთხ კედელსა შუა“**, — სწერდა ტასო ორბელიანს მოხუცი პოეტი.

სულ ესაა, რისი მოკლედ თქმაც შეიძლებოდა ამ შესანიშნავი ბიოგრაფიული რომანის შესახებ. იმედი მაქვს, ეს წიგნი კიდევ ერთხელ მოექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში და დიდ მოწონებასაც დაიმსახურებს, რადგან მკითხველი აქ „ცოცხალ“ გრიგოლ ორბელიანს აღმოაჩენს. ■

# მორიგანი
## აჩრდილთა დედოფალი



მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-4, 2011

მითითებულ ოჯახში ჩემი მისვლა იქიდან სრული და საიდუმლო ინფორმაციის გამოტანას ითვალისწინებდა. ამის შესახებ სანდრომ 3 დღის შემდეგ მაცნობა. მანამდე, პატარა თამუნასა და მის მშვენიერ დედას ვეცნობოდი და დღითი დღე ვიხიბლებოდი ამ ახალგაზრდა ქალბატონით. მათ გარდა, ოჯახში კიდევ, თამუნას მამა, დავითი და მისი მშობლები ცხოვრობდნენ. თავიდანვე თვალში მომხვდა რძალ-დედამთილის კარგი ურთიერთდამოკიდებულება. დავითი მაღალი თანამდებობის პირი იყო და შინ ფაქტობრივად, არასოდეს იმყოფებოდა. სწორედ მის შესახებ აინტერესებდათ რაღაც ცნობები. ბინაში მოსასმენი აპარატურის დაყენებაც დამეკისრა და საჭირო ალჭურვილობაც გადმომცეს.

იმის გამო, რომ კვირაში მხოლოდ ერთი უქმე დღე მქონდა, ჩემი საქმის ბოლომდე მიყვანას ვერ ვახერხებდი და დროებით, საადვოკატო ფირმისთვის საჭირო ფართობის ძებნაც შევწყვიტე.

თამუნა მშვიდი, წყნარი ბავშვი აღმოჩნდა და ზედმეტ პრობლემებს არ მიქმნიდა. დღის განმავლობაში შინ მხოლოდ მე, ბავშვი და ბებია ვიყავით. ბებია ეთქმოდა, თორემ ნანა საკმაოდ ახალგაზრდა და კარგი გარეგნობის ქალბატონი გახლდათ.

ერთ საღამოს დავითი შინ ცოტა ადრე დაბრუნდა. მეუღლეს, ნინოსაც დაასწრო სახლში მოსვლა. ქალი არ მუშაობდა, მაგრამ ყოველდღე სადღაც დადიოდა. დავითმა პირველ რიგში, ნინო მოიკითხა.

— არ დაბრუნებულა, — ვუპასუხე და ვახშმის მზადება განვაგრძე.

— დაიბარა რამე?

— არა, — მოჭრით ვუპასუხე და ყურადღება არ მივაქციე, რომ, როგორც იქნა, ჩემი არსებობა შენიშნა.

— თქვენ... — მივხვდი, სახელი უნდა შემეხსენებინა.

არ ჩავთვალე საჭიროდ, მასთან დიალოგი გამება და უბრალოდ მივბრუნდი, მაგიდას მივეყრდენი და შევხედე იმის დასადასტურებლად, რომ ყურადღებით ვუსმენდი.

— სახელი შემახსენეთ, — არც შემოუხედავს, ისე მითხრა.

— რა მნიშვნელობა აქვს? მაინც არ დაიმახსოვრებთ, — ხელის ზურგით შუბლზე ჩამოყრილი თმა გადავიწიე.

— რატომ გგონიათ — თქვენი თავი გამაცნეს და ვერ დაგიმახსოვრეთ?..

— თქვენს სახლში ჩემი მოსვლიდან ზუსტად ერთი კვირაა გასული. მეორე დღეს წარგიდგინეს თქვენი შვილის ძიძა ანუ მე და სახელიც მაშინ გითხარით. ნუთუ თქვენთვის სულერთია, ვინ უვლის თქვენს შვილს და ვის ანდობთ ბავშვს?

— განაწყენებული ქალის პოზიციიდან მელაპარაკებით.

— უბრალოდ, ძიძა, მოახლე, მებაღე და დანარჩენი „პრისლუგაც“ ადამიანები არიან და მათაც მოსწონთ, როდესაც სახელით მიმართავენ, ბატონო დავით, — მისი სახელი საგანგებოდ გამოვკვეთე.



— მითხარით კიდევ ერთხელ თქვენი სახელი და პირობას გაძლევთ, არასოდეს დამავიწყდება.

— მაკა.

— კარგი, დავიმახსოვრე და „აქედან ვერ ამოშლი“, — თავზე თითი დაიკაკუნა.

— ძალიანაც კარგი. სულ ეს არის, რაც ჩემ მიმართ გევალებათ...

მინდოდა, ჩვენი საუბარი კიდევ გაგრძელებულიყო, რადგან ეს ერთ-ერთი ხერხი იყო ამ ადამიანთან დასაახლოებლად, რაც ძალიან მჭირდებოდა, მაგრამ მისი მეუღლის დაბრუნებამ „სასიამოვნო ჟღურტული“ შეგვაწყვეტინა.

— მაკა, ვახშმად რა გვაქვს? — შემოვიდა თუ არა, კარიდანვე მკითხა ნინომ.

— რაც დამავალეთ.

— ვა, დათუნა, სახლში ხარ?! — მეუღლის დანახვა გაუხარდა თუ გაუკვირდა, ვერ მივხვდი, რადგან სახეზე უფრო დაბნეულობა აღებეჭდა.

ცოლ-ქმრის ურთიერთობის მომსწრე, ფაქტობრივად, არასოდეს ვყოფილვარ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ისინი ერთად ვნახე. დავითს თავი არ აუწევია. თეფშზე გულმოდგინედ ანაწილებდა სალათასა და ძეხვის ნაჭრებს. მივხვდი, რომ ცოლ-ქმარს შორის იდილია არ უნდა ყოფილიყო და ინტერესი გამიჩნდა, გამეგო, სად დადიოდა ნინო ყოველდღე. მიუხედავად იმისა, რომ დავითი ახლა გავიცანი და „ჩხუბიც“ მოვასწარით, ხოლო ნინოს მიმართ თავიდანვე სიმპათიით ვიყავი განწყობილი, ახლა შეხედულება შემეცვალა და რატომღაც, მამაკაცის მიმართ უფრო მეტი სიმპათია გამიჩნდა.

სუფრა გავაწყვე და თამუნა დასაძინებლად წავიყვანე. უკან რომ დავბრუნდი, ნინო სამზარეულოში აღარ დამხვდა. დავითი კი რატომღაც იქვე, სავარძელში ჩამჯდარიყო და ტელევიზორს უყურებდა. მივხვდი, აქ ჩემ გამო დარჩა. მაგიდის ალაგებას შევუდექი და თან ველოდი, როდის წამოიწყებდა საუბარს.

ის იყო, თეფშზე რამდენიმე ნაჭერი ძეხვი და პური დავდე და სავახშმოდ ჩემს ოთახში წასვლა გადავწყვიტე, რომ დავითის ხმა შემომესმა:

— მარგო!

წამით კართან გავშეშდი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ამ სახელს არ უნდა გავპასუხებოდი და უკანმოუხედავად განვაგრძე გზა. ძახილი მალე განმეორდა.

— მაკა, მაკა! — პრეტენზიული ხმით შევახსენე ჩემი სახელი.

— თუ შეიძლება, აქვე ივახშმეთ, მერე კი ერთად დავლიოთ ყავა და ვისაუბროთ.

— კარგი, — უკან მოვბრუნდი, თეფში მაგიდაზე დავდგი და სკამზე ჩამოვჯექი. ჩემკენ მობრუნებულ დავითს თვალი გავუსწორე და მანამდე არ დავახამხამე, ვიდრე თვითონ არ მომარიდა.

ძეხვის ნაჭერს გულმოდგინედ ვანაწევრებდი და ნელა მივირთმევდი. თან, ვცდილობდი, გამომეცნო, რა იქნებოდა მისი პირველი შეკითხვა. ასეთ სიტუაციაში არასოდეს მოვხვედრილვარ. პირველად ხდებოდა, რომ ასეთი მოულოდნელი სიტუაცია წინასწარ არ მქონდა გათვლილი. საუბრის დაწყებას დავითიც აჭიანურებდა. ალბათ ტკბებოდა იმით, რომ დამაბნია.

— ხომ არ შევმცდარვარ? მგონი, სწორად მახსოვს თქვენი სახელი.

— მაკა მქვია. არც ისე მხცოვანი ხართ, რომ ნახევარი საათის წინ ნათქვამს ვერ იმახსოვრებდეთ.

— მარგო, შენ ისეთი გარეგნობა გაქვს, — რატომღაც „შენობით“ მომმართა, — ერთხელ თუ გნახავს კაცი, არასოდეს დაავიწყდები.

— ეს კომპლიმენტია თუ...

— არა, ეს ფაქტია. წლების წინ ჩემს მეგობარს იცავდი. შესაძლოა, აღარც კი გახსოვს ის საქმე, ვინაიდან სასამართლო სულ რაღაც 2 კვირაში დასრულდა, მაგრამ ერთი ნახვით დამამახსოვრდი.

— შესაძლოა, თქვენი მეუღლე გისმენდეთ... — კეკლუცად გავუღიმე.

— სიყვარულს კი არ გიხსნი, ძველ ამბავს ვიხსენებ.

— ვინ იყო თქვენი მეგობარი და რა საქმე იყო, თუ შემახსენებთ, კარგი იქნება.

— მაგას ახლა დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ის უფრო მაინტერესებს, ყოფილი ადვოკატი, ყოფილი პატიმარი, რომელსაც საბრალდებო დასკვნაში „მკვლელი“ უწერია, როგორ მოხვდა ჩემს ოჯახში, ჩემი შვილის ძიძად. იმედია, ხვდები, რომ ჩემთვის არც ისე უმნიშვნელო ყოფილა, ვის ვანდობ ბავშვის უსაფრთხოებას, საკუთარ ოჯახს და შესაძლოა, ოჯახის წევრების სიცოცხლესაც კი. ალბათ იმასაც ხვდები, რომ როდესაც ჩემი შვილის ძიძაში ჩემი მეგობრის ადვოკატი ამოვიცანი, მის შესახებ ინფორმაცია მოვიძიე და მისი წარსულის შესახებაც ყველაფერი შევიტყვე.

— რა კითხვები გაქვთ? — სჯობდა, მეღიარებინა, ვიდრე გავჯიუტებულიყავი და მემტკიცებინა, რომ მარგო კი არა, მაკა ვარ და ეჭვი გამომეწვია.

— როგორ მოხვდი ჩემს ოჯახში?

— მას შემდეგ, რაც სხვისი დანაშაული მომაწერეს, მე კი ვერ შევძელი, უდანაშაულობა დამემტკიცებინა, 7 წლით ციხეში გამომკეტეს.

— მაგრამ განაჩენი 11 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, შენ კი 7 წელიწადში გამოხვედი. ეჭვს სწორედ ეს იწვევს.

— მეკუთვნოდა ვადაზე ადრე გათავისუფლება და გამომიშვეს. ვინაიდან ჩემს ძველ საქმიანობას ჯერ ვერ დავიწყებ, გადავწყვიტე, რა სამსახურსაც ვიშოვიდი, იმას დავჯერებოდი.

— და ადვოკატს, მარგო ლობენკოს აღმოაჩნდა მაკა ქუფრაშვილის სახელზე გაცემული დიპლომი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგის განათლება აქვს მიღებული; და ცნობაც, რომელიც გვაუწყებს, რომ საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა.

— რომ მოვსულიყავი თქვენთან და მეთქვა ის ყველაფერი, რაც უჩემოდ გაიგეთ, ამიყვანდით?

— რა თქმა უნდა, არა.

— და ასე იქნებოდა ყველგან, სადაც მივიდოდი. ფაქტობრივად, ლუკმაპურის გარეშე დავრჩებოდი.

— მგონი, მაინც სიმართლის თქმა სჯობდა. არ გიპასუხია იმ კითხვაზე, რომელიც დავსვი.

— თუ ჩემს დიპლომსა და სამუშაო ადგილიდან ცნობას გულისხმობთ, ისინი ჩემს მეგობარს ეკუთვნის. იმედია, არ დამითხოვთ.

— ჯერჯერობით იყავი, მერე — ვნახოთ.

— მადლობის მეტი რა მეთქმის?!

— მაგრამ ერთი პირობით: საიდუმლოს შენახვისთვის სამაგიერო სამსახური უნდა გამიწიო.

— რას გულისხმობთ?

— შენ, როგორც ყოფილმა ადვოკატმა და იურისტმა, კარგად იცი, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ ადამიანზე ინფორმაციის მოპოვება.

— დიახ, — დავიძაბე. მეგონა, ისიც იცოდა, რა მიზნით ვიყავი მის სახლში მისული.

— მინდა, რომ ჩემს ცოლს უთვალთვალო და ყოველ საღამოს მომიყვე, რა დროს სად იმყოფებოდა.

— კი, მაგრამ დღის განმავლობაში შინიდან ვერ გავდივარ. ამის გამო შეუძლებელია, მისი თვალთვალი შევძლო და რაიმე ინფორმაცია მოვიპოვო.

— მაგას მე მოვაგვარებ: თამუნას სხვა ძიძას ავუყვან, შენ კი ოჯახის მეთვალყურეობა, საქმეების განკარგვა დაგევალება — ასე ვთქვათ, დიასახლისი იქნები.

— თუ ასეა, მაშინ შემიძლია, რასაც დამავალებთ, შევასრულო, — ბავშვთან ურთიერთობას მართლაც, ის საქმე მერჩივნა, რომელსაც დავითი მავალებდა.

ჩემს ოთახში განმარტოებული, დიდხანს ვფიქრობდი იმ დღეს მომხდარ ამბებზე. ბოლოს სიტუაცია სრულად რომ გავაანალიზე, ლამის ხარხარი ამიტყდა: ორმაგი აგენტი! — ასე შეიძლებოდა, ჩემი მდგომარეობისთვის დამერქმია.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***


მსოფლიოს ლიტერატურის მოთხრობები
ლიტერატურის მთხრობელებისგან!
ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
პროსპერ მერიმე
7 თებერვლიდან - ტომი №3
მთხრობელი - პროსპერ მერიმე
ფასი ... 2 ლარი!!!
14 თებერვლიდან
ტომი №4 - ფიოდორ დოსტოევსკი

# ანტიკვარი




რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №51, 2010 – 1-4, 2011

კარზე ზარი რომ დარეკეს, გოგლას ჯერ კიდევ ეძინა. „ნეტავ, ამ დილაადრიან ვის არ ასვენებს გამჩენი?“ — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მან და კარის გასაღებად წამოდგა.

სადარბაზოში უცნობი მამაკაცი იდგა.

— გოგლა ლაღიძე, ხომ? — ჰკითხა მან მასპინძელს.

— დიახ, — გაკვირვებით შეათვალიერა გოგლამ უცნობი, — თქვენ...

— მე გამომძიებელი ჩაჩანიძე ვარ, პოლიციის რაიონული განყოფილებიდან, — საბუთი აჩვენა მამაკაცმა, — შეიძლება, შემოვიდე? სალაპარაკო მაქვს.

— რასთან დაკავშირებით? — დაუპატიჟებელი სტუმრების შინ შეშვებას არ ჩქარობდა გოგლა.

— ეს მხოლოდ არაფორმალური საუბარი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში განყოფილებაში დაგიბარებდით.

— მობრძანდით, — მაინც უხალისოდ გადგა განზე ლაღიძე.

— ალბათ ხვდებით, აქ რატომაც ვარ? — ოთახში შესვლისთანავე საქმეზე გადავიდა ჩაჩანიძე.

— წარმოდგენა არ მაქვს, — უპასუხა გოგლამ და, თან, სავარძელზე ანიშნა: — დაბრძანდით. გამომძიებელი სავარძელში მოხერხებულად მოეწყო და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— იცით, ამ ფრაზას დღეში რამდენჯერ ვისმენ?

— მაგრამ მართლაც არაფერი ვიცი.

— კარგი, მაშინ მე დაგეხმარებით.

— ყურადღებით გისმენთ.

— თუ არ ვცდები, ანტიკვარიატის ყიდვა-გაყიდვით ხართ დაკავებული, ხომ?

— დიახ, ასეა, მაგრამ ამას ლეგალურად და კანონიერ საფუძველზე ვაკეთებ.

— ძალიან კარგი... მაშინ ისიც უნდა იცოდეთ, რომ მოპარულის ყიდვა-გაყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულია.

— რა თქმა უნდა. ამ მხრივაც ყველაფერი წესრიგში მაქვს. შეგიძლიათ, შეამოწმოთ, — გოგლას ხმაში გაღიზიანება დაეტყო.

— ნუ ნერვიულობთ. ეს ისე, სიტყვის მასალად გითხარით, თორემ თქვენზე რომ რამე მართლა გვქონდეს, აქ აღარ იჯდებოდით, — გაეღიმა გამომძიებელს, — აქ სასაუბროდ მოვედი.

— კვლავაც ყურადღებით გისმენთ.

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენთან ვინმე ირაკლი კორძაძის განცხადებაა შემოსული, რომელიც ირწმუნება, რომ ძვირფასი სურათი გროშებად დასტყუეთ.

— კორძაძე? — მხრები გაკვირვებით აიჩეჩა გოგლამ. — ასეთი გვარი არ მახსოვს.

— ვითომ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა გამომძიებელმა. — იქნებ, მხატვარ ერეკლე იაშვილზეც არაფერი გსმენიათ?

— იაშვილი რა შუაშია?

— ბატონო გოგლა, კორძაძე იაშვილის ერთადერთი შვილთაშვილია.

— ააა, — შუბლი მოისრისა გოგლამ, — ახლა გამახსენდა, მაგრამ მისგან მართლა არაფერი მიყიდია. სურათი ბებიამისმა — მარიამ იაშვილმა მომყიდა.

— ნამუშევრის ყიდვის ფაქტს ადასტურებთ? — დააზუსტა გამომძიებელმა.

— დიახ, ოღონდ კიდევ გიმეორებთ, რომ ის კორძაძისგან კი არა, მარიამ იაშვილისგან ვიყიდე და ამის დამადასტურებელი ხელწერილიც მაქვს.

— მესმის თქვენი, მაგრამ მეც უნდა გამიგოთ. რაკი ჩვენთან განცხადება შემოვიდა, ყველაფერში უნდა გავერკვე. ეს ჩემი მოვალეობაა.

— კი, ბატონო, მაგრამ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია.

— რა თქმა უნდა, გავერკვევით... თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ამ საკითხის გადაჭრა ელემენტარულადაც შეიძლება, — თვალები ისევ ეშმაკურად მოწკურა ჩაჩანიძემ.

— მართლა? — გაუკვირდა გოგლას. — მაინც როგორ?

— უბრალოდ, დაუბრუნებთ კორძაძეს ნამუშევარს და საქმეც მაშინვე დაიხურება.

— სურათი დავუბრუნო?.. — გაოგნდა ლაღიძე. — რატომ?.. მე ხომ ის სრულიად კანონიერად ვიყიდე და, როგორც უკვე გითხარით, ხელწერილიც მაქვს.

— გარდაცვლილი ადამიანის ხელწერილი, — ცბიერი ღიმილით დაუკონკრეტა მას გამომძიებელმა, — ასე რომ, საქმე არც ისე მარტივადაა, როგორც თქვენ...

— იაშვილის ტილო ჩემგან უკვე სხვამ იყიდა, — სიტყვის დასრულება აღარ აცალა გოგლამ, რომელიც მიხვდა, რომ ამ ადამიანის სტუმრობის მთავარი მიზანი ნამუშევრის ხელში ჩაგდება იყო.

— მართლა? — პირზე მაშინვე ღიმილი შეაშრა გამომძიებელს. — ვინ?.. როდის?..

— დაახლოებით 2 კვირის წინ. მყიდველის ვინაობა კი არ ვიცი, რადგან კოლექციონერებს საკუთარი თავის აფიშირება არ უყვართ.

— იმის თქმა გინდათ, რომ არც კი იცით, ნამუშევარი ვის მიჰყიდეთ?

— ასე გამოდის.

— არ მჯერა, — თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა მას ჩაჩანიძემ, — სიმართლე მითხარით, სად არის სურათი? თუ მას გამოაჩენთ, კორძაძეს მოველაპარაკები და შეიძლება, ის ფულიც კი დაგიბრუნოთ, ბებიამისს რომ გადაუხადეთ.

— ხომ გითხარით, აღარ მაქვს-მეთქი.

— კარგი, — ხანმოკლე ფიქრის შემდეგ დასძინა გამომძიებელმა, — ნამუშევრის ფოტო მაინც მაჩვენეთ.

— რად გინდათ?

— უნდა დავრწმუნდე, რომ ნამდვილად ერთსა და იმავე ტილოზე ვლაპარაკობთ.

— სამწუხაროდ, ვერც ამაში დაგეხმარებით, რადგან აღარც ნამუშევარი მაქვს და აღარც მისი ფოტო.

ამის შემდეგ ჩაჩანიძე დადუმდა და რაღაცაზე ჩაფიქრდა.

— რა გაეწყობა, — დასძინა მან შემდეგ, — რადგან სხვა გზას აღარ მიტოვებთ, იძულებული ვარ, საქმე აღვძრა.

— როგორც გენებოთ, — ბოლომდე შეუვალი დარჩა გოგლა, — მეტს ვერაფერს დავამატებ.

სამართალდამცავებთან უსიამოვნება გოგლას ნაკლებად სჭირდებოდა, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ამჯერად რაღაც ხრიკს უწყობდნენ, მაგრამ რას, ჯერ ვერ მიმხვდარიყო. ამიტომაც, დრო უნდა მოეგო და გამოცდილ იურისტთან გაევლო კონსულტაცია.

— ისე, უნდა გითხრათ, რომ თავი

შარში ტყუილად ჩაიგდეთ, — ფეხზე უხალისოდ წამოდგა ჩაჩანიძე, — რომ იტყვიან, ჩიტი ბდღვნად არ ღირს. ალბათ, ამ დღეებში განყოფილებაში ოფიციალურად დაგიბარებთ და დანარჩენს უკვე ადგილზე გავარკვევთ...

უცნაური სტუმრის წასვლის შემდეგ, გოგლა კარგა ხანს ველარ დამშვიდდა, რადგან მსგავს სიტუაციაში პირველად აღმოჩნდა. „ლამის ქურდობა დამაბრალეს, — ბრაზობდა გულში, — ამის ასე დატოვება არ შეიძლება. ამიტომ, სასწრაფოდ უნდა ვნახო კორძაძე და მისგან გავიგო, რამ ან ვინ უბიძგა ასეთი საქციელისკენ“. მაგრამ ირაკლი კორძაძე გოგლას შინ არ დახვდა. მისი ასავალ-დასავალი ვერც მეზობლებისგან გაიგო და უკან კიდევ უფრო დაღვრემილი დაბრუნდა.

გამომძიებელი ორდენიძე კვლავაც გულმოდგინედ ასრულებდა მარი მდივნის პირადი მცველის როლს. მეტიც, მას ეს როლი უკვე მოსწონდა კიდეც, რადგან ყოველდღე სრულიად კანონიერად შეეძლო, იმ ქალის გვერდით ყოფნა, ვის მიმართაც გულგრილი არ იყო. მარიც ყოველ საღამოს მოუთმენლად ელოდა და ერთმანეთზე უკეთეს ვახშამს ახვედრებდა. გამომძიებელმა თავიდან რამდენჯერმე გააპროტესტა მარის თავგამოდება, მაგრამ როცა ქალმა პირდაპირ გამოუცხადა, რომ მისი დაპურება სიამოვნებას ანიჭებდა, მაინც დაჰყაბულდა, ოღონდ მხოლოდ იმ პირობით, რომ პროდუქტებით თავად მოამარაგებდა. მას შემდეგ, სამსახურიდან გამოსვლამდე, ორდენიძე მარის ურეკავდა და საჭირო პროდუქტებს მასთან შეთანხმებით ყიდულობდა. ერთი სიტყვით, უკვე ორივე ოჯახის ერთგული და ერთმანეთის დამჯერი ცოლ-ქმარივით ირჯებოდა.

ამ იდილიის მიუხედავადაც კი, ახლო ურთიერთობა მაინც არ გაუბამთ და ორდენიძესაც ძველებურად ჰოლში ეძინა. თუმცა ერთხელაც, როცა მეორე სართულიდან მომავალმა საეჭვო ხმაურმა — კიბეზე ვიღაც ფეხაკრეფით ჩამოდიოდა — გამოაღვიძა და მაშინვე იარაღს სტაცა ხელი, გამომძიებელმა გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ ეს თავად მარი იყო. ორდენიძემ მაშინვე თავი მოიმძინარა, მარი კი მის საწოლს მიუახლოვდა და კიდეზე ფრთხილად ჩამოჯდა. გამომძიებელი გრძნობდა, რომ ქალი მას გულმოდგინედ აკვირდებოდა და ის იყო, თავი უნდა გაეცა და თვალი გაეხილა, რომ მარი წამოდგა, საბანი მზრუნველად ამოუკეცა და ისევ ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას. „ყოჩაღ, ოთო! — გულში საკუთარი თავი შეაქო ორდენიძემ. — მაგრად გაუძელი, რომ ხელი არ სტაცე და... ბოლოს და ბოლოს, ქალი თვითონ მოვიდა შენთან... მაგრამ გამორიცხული არაა, რომ საერთოდაც ამით დამთავრებულიყო ჩვენი ურთიერთობა, რადგან ყველაფერს მაინც თავისი დრო და ადგილი აქვს.“ ასე იყო თუ ისე, ორდენიძეს ამის შემდეგაც არ დაუჩქარებია მოვლენების განვითარება და ამაში მარიც ყველანაირად უწყობდა ხელს.



იმ დღესაც გამომძიებელმა ჩვეულებისამებრ დაურეკა მარის და



გააფრთხილა, შემაგვიანდებაო, შემდეგ, ძალა მოიკრიბა, შეფთან შევიდა და ანტიკვარების გაუჩინარებასთან დაკავშირებული ყველა ეჭვი და ვარაუდი გადმოულაგა. მისდა გასაკვირად, შეფმა ამჯერად ბოლომდე მოუსმინა. როცა ხელქვეითმა თხრობა დაასრულა, ცოტა ხანს ოთახში ჩაფიქრებული გადი-გამოდიოდა და ამის შემდეგ ჰკითხა:

— კონკრეტული ხელჩასაჭიდი თუ გაქვს?

— კოლექციონერების სახლებიდან ძვირად ღირებული ნივთები გაქრა.

— ვინმეზე თუ გაქვს ეჭვი?

— ჯერ არა, — დანანებით უპასუხა ორდენიძემ, რომელიც თავადაც კარგად ხვდებოდა, რომ საქმის ალსაძვრელად სამხილები აკლდა.

— აი, ხომ ხედავ... — დანანებით ამოიოხრა შეფმა. — მოდი, ასე შევთანხმდეთ: თუ რამე უფრო სერიოზული ამოტივტივდება, როგორც იტყვიან, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი! მანამდე კი შეეშვი, რა, ამ ნაგვის უაზრო ქექვას და საქმეს მიხედე.

კაბინეტიდან გამოსულმა ორდენიძემ შვებით ამოისუნთქა. მართალია, შეფი გამოძიების ოფიციალურად დაწყებას არ დათანხმდა, მაგრამ არც უარი უთქვამს. ეს კი ცოტათი მაინც უხსნიდა ხელ-ფეხს.

სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, ორდენიძეს თავის ბინაში შერბენა ჰქონდა გადაწყვეტილი, რადგან მას შემდეგ, რაც უშტატო პირადი მცველი გახდა, იქ აღარ მისულა. შინ მისულს ოთახში არც კი შეუხედავს, მაშინვე სამზარეულოში გავიდა და, ჩვეულებისამებრ, ფანჯარაში გაიხედა. აქედან მთელი ეზო ხელისგულივით მოჩანდა. თუმცა ამჯერად ეზოცა და თვით ბინაც, სადაც მთელი ცხოვრება ჰქონდა გატარებული, უკვე იმდენად ცივი და უსახური მოეჩვენა, რომ იქ დაბრუნების სურვილიც კი აღარ გასჩენია. ან როგორ გაუჩნდებოდა, როცა ქალაქის პრესტიჟულ უბანში მდგარი მშვენიერი სახლის კიდევ უფრო მშვენიერი დიასახლისი ყოველ საღამოს მოუთმენლად ელოდა?! დილით საუზმით, საღამოს კი უგემრიელესი ვახშმით უმასპინძლდებოდა და შემდეგ მისთვის როიალზეც სიამოვნებით უკრავდა. რა თქმა უნდა, გამომძიებელს ესმოდა, რომ ეს ყველაფერი ოდესმე აუცილებლად დასრულდებოდა, რადგან, სხვა რომ არაფერი, მთელი ცხოვრება პირადი მცველის როლს ვერაფრით ითამაშებდა, მაგრამ ორდენიძეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მარისთან გატარებული ყოველი წუთით ბოლომდე დამტკბარიყო. „მერე კი მოხდეს, რაც მოსახდენია," — ვინ იცის, მერამდენედ გაიფიქრა მან და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო. სიგარეტს რომ უკიდებდა, ანთებული ასანთის ღერი ხელიდან გაუვარდა და იატაკზე დაეცა.

— უხ, შენი! — შეიგინა ორდენიძემ და ასანთის ღერის ასაღებად დაიხარა.

სწორედ ამ დროს, რაღაცამ ისე გაიწკრიალა, თითქოს ბროლის ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნესო. გამომძიებელი უცბად ვერც კი მიხვდა, ასეთი ხმა რას უნდა გამოეცა, მაგრამ ინსტინქტურად მაინც იატაკს გაეკრა. თავი რომ ასწია, კინაღამ ძარღვებში სისხლი გაეყინა, რადგან სწორედ იმ ადგილას, სადაც ის წუთის წინ იდგა, ფანჯარაში ნახვრეტი იყო გაკეთებული. „ფეხზე რომ ვმდგარიყავი, ტყვია პირდაპირ გულში გამივლიდა", — ცივი ოფლით დაცვარული შუბლი ძლივს მოიწმინდა ორდენიძემ...

— ასე რატომ დაგაგვიანდათ? — ჰკითხა გამომძიებელს შეშფოთებულმა მარიმ. — რა აღარ ვიფიქრე. თან უკვე ვახშამიც გაცივდა. ყველაფერი რიგზეა?

— კი, ყველაფერი, — ნაძალადევი ღიმილით უპასუხა ორდენიძემ.

— ნამდვილად?

— რა თქმა უნდა, — ისევ იცრუა გამომძიებელმა, რომელმაც თავისი ამბის მოყოლა და ისედაც დაზაფრული ქალის კიდევ უფრო დაზაფვრა აღარ ისურვა.

თუმცა თავად კი სერიოზულ საგონებელში იყო ჩავარდნილი. „ასე მაინც ვინ გავამწარე, ვის გადავუარე გზაზე, რომ დღისით, მზისით, ჩემსავე სახლში დამიპირა გაგორება?" — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა ის საკუთარ თავს, მაგრამ პასუხს ვერაფრით პოულობდა.

— ცუდად ხომ არ ხართ? — ფიქრიდან გამოარკვია გამომძიებელი მარის შეწუხებულმა ხმამ. — ფერი აღარ გადევთ.

— არა, არა, ყველაფერი რიგზეა, — ძლივს გაუღიმა ქალს ორდენიძემ და ხელის დასაბანად სააბაზანოში გავიდა.

ვახშმობისას ჩვეულებრივ ენაწყლიან დიასახლისს გამომძიებლისთვის ერთი ზედმეტი კითხვაც კი არ დაუსვამს. ის მამაკაცს ჩუმად აკვირდებოდა და მისი უხასიათობის მიზეზის ამოხსნას ცდილობდა.

— დალევა ხომ არ გინდათ? — ჰკითხა მან. — კარგი კონიაკი მაქვს.

გამომძიებელმა მხრები აიჩეჩა:

— თუ თქვენც დალევთ...

კონიაკი მართლაც კარგი აღმოჩნდა. ორდენიძეს სასმელმა მთელ სხეულში სასიამოვნოდ დაუარა და დაძაბულობამაც ნელ-ნელა უკლო.

— მთელი დღეები შინ მარტო ყოფნა ალბათ, ძალიან გიჭირთ, ხომ? — მიუბრუნდა ის შემდეგ მარის.

— უკვე მივეჩვიე.

— მარტოობას?

— სულ მარტო ხომ არასდროს ვრჩები; ტელევიზორი, წიგნები და, თუ ძალიან გამიჭირდა, ტელეფონიც მაქვს.

— ეს ყველაფერი ადამიანებთან ურთიერთობას მაინც ვერ შეგიცვლით, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ასე დიდხანს აღარ გაგრძელდება. მალე დამნაშავეებს დავიჭერთ და...

— რაღაცაში რომ გამოვტყდე, ძალიან გამიბრაზდებით? — სათქმელის დასრულება აღარ აცალა გამომძიებელს სასმლისგან ლოყებავარდისფრებულმა დიასახლისმა.

— რა მოხდა? — დაიძაბა ორდენიძე.

— ისეთი არაფერი...

— მაინც?

— პირობა დავარღვიე და სტუმარი მივიღე.

— სტუმარი?

— ჰო, ვერ მოვითმინე და დაქალი მოვიპატიჟე, — თვალები დამნაშავესავით დახარა მარიმ.

— ჰმ... — შუბლი შეიკრა ორდენიძემ.

— უფრო სწორად, თვითონ მთხოვა, მოსვლა მინდაო და უარი ვერ ვუთხარი. ძალიან ცუდად მოვიქეცი?

— დიდი ხანია, რაც მას იცნობთ? — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა გამომძიებელმა.

— მთელი ცხოვრება. ერთი სოფლიდან ვართ. ერთი სკოლა გვაქვს დამთავრებული. ოღონდ, ის ჩემზე ერთი წლით უმცროსია.

— მე თბილისელი მეგონეთ, — თავისთვის ჩაილაპარა შეფიქრიანებულმა ორდენიძემ.

— არა, თბილისში მხოლოდ 5 წლის წინ გადმოვედი. მანამდე სოფელში ვცხოვრობდი და მშობლიურ სკოლაში მასწავლებლად ვმუშაობდი.

— ქალაქში როგორ აღმოჩნდით?

— როგორ და სოფელში ცხოვრებამ დამღალა. უფრო სწორად, მომეჩვენა, რომ ცხოვრებას საბოლოოდ ჩამოვრჩი. ამიტომ, ავდექი და გულის გადასაყოლებლად თბილისში ჩამოვედი. ჯერ მაღაზიებს ჩამოვუარე, შემდეგ კინოში შევედი, საღამოს კი ახლობელთან ერთად, სპექტაკლსაც დავესწარი. ცოტათი თითქოს დავმშვიდდი და მეორე დღეს ისევ სოფელში დაბრუნება გადავწყვიტე. მატარებლის გასვლამდე კიდევ რამდენიმე საათი რჩებოდა და დროის მოსაკლავად, უბრალოდ ქუჩაში გავისეირნე. უცბად თვალში მომხვდა აფიშა, რომელიც ახალგაზრდა მხატვრების გამოფენის გახსნის შესახებ იტყობინებოდა. ხატვა ბავშვობიდან მიტაცებდა და ერთხანს, თვითონაც რაღაცას ვცოდვილობდი. პროფესიონალი მხატვრების ნამუშევრების

დათვალიერება კი საათობითაც შემეძლო. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სოფელში დაბრუნება გადავდე და გამოფენაზე წასვლა გადავწყვიტე. სწორედ იქ გავიცანი ჩემი ცხონებული მეუღლეც, — ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა მარის.

— სულ მინდოდა, მეკითხა, თქვენი მეუღლე რით გარდაიცვალა?

— ასთმა ჰქონდა.

— ასთმა? — გაუკვირდა ორდენიძეს. — მერედა, ამ დაავადებით დღეს ვინღა კვდება?

— ჩემი მეუღლე 77 წლის იყო.

— რაო? — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა გამომძიებელს. — იმის თქმა გინდათ, რომ...

— დიახ, — გააწყვეტინა მას მარიმ, — სწორედ ასე იყო... ალბათ, ხვდებით, რომ ერთმანეთთან ვნებიან სიყვარულს არ დავუკავშირებივართ. ეს უფრო საქმიანი გარიგება იყო, რომლის ინიციატორიც მე არ ვყოფილვარ. თუმცა ჩემი მეუღლის მაინც მადლობელი ვარ. მისი წყალობით, აქ სულ სხვა ცხოვრება დავიწყე.

— დიახ, რა თქმა უნდა. მაპატიეთ, რომ ასეთი უაზრო კითხვა დაგისვით. უბრალოდ, იმდენად ახალგაზრდა ხართ, რომ... — ახლა თავად ვეღარ დაასრულა სათქმელი საგონებელში ჩავარდნილმა ორდენიძემ.

— არც ისე ახალგაზრდა ვარ, თქვენ რომ გგონიათ, — სევდიანად გაეღიმა მარის, — მალე 38-ის გავხდები.

— მართლა? — გაუკვირდა გამომძიებელს. — მე 30-საც კი დიდი გაჭირვებით მოგცემდით.

— გულს მიკეთებთ, ხომ?

— სულაც არა. მართლა შესანიშნავად გამოიყურებით.

— ესეც ჩემი მეუღლის დამსახურებაა. მასაჟი, აუზი, ფიტნეს-კლუბი... მოკლედ, არაფერი დაუკლია, რომ სოფლის მოუქნელი მასწავლებელი ქალაქელ ქალად ვექციე.

— ნუთუ მანამდე საერთოდ არავინ გყვარებიათ? — მარის ასე პროზაულად გათხოვების ამბავს მაინც ვერ შეჰგუებოდა ორდენიძე.

— მყვარებია? — მწარედ გაეღიმა მარის. — განა ბევრ ქალს აქვს ამის ფუფუნება?..

— არ ვიცი, არ ვიცი... — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა გამომძიებელმა. — მე ხომ ყველაფერს მამაკაცის თვალით ვუყურებ. ასე რომ, მაპატიეთ, თუ ზედმეტი მომივიდა.

— პირიქით, თავად მაპატიეთ, რომ ჩემი ამბავი თავს ასე მოგახვიეთ, — თითქოს მძიმე ფიქრიდან გამოერკვაო, სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა დიასახლისი და სუფრის ალაგება დაიწყო, — არ ვიცი, რა გულახდილობა ამიტყდა.

— რა მოხდა მერე? ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, — ფეხზე წამოდგა ორდენიძეც.

— მართლა? — როგორც დაიწყო, ისევე სწრაფად შეეშვა სუფრის ალაგებას მარი. — სხვათა შორის, ვერც მე. საერთოდაც, იქნებ დროა, ყველაფერს გადავაბიჯო და მხოლოდ ის გავაკეთო, რაც სინამდვილეში მინდა?

— რა გინდათ სინამდვილეში?

— აი, ეს! — გულში გამეტებით ჩაეკრა გამომძიებელს მარი...

— გოგლას გაუმარჯოს, გოგლას! — დიდი ხნის უნახავი ახლობელივით მოიკითხა ტელეფონში ლაღიძე საშა კლიმიაშვილმა. — იმედია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და, ბოლოს და ბოლოს, გაყიდე ის თარსი ნამუშევარი.

— ნეტავ, ასე იყოს, — ამოიოხრა ლაღიძემ, — საქმე ისე უცნაურად აიწეწა, რომ მგონი, კიდევ დიდხანს ვერ დავიძვრები ადგილიდან.

— რას მეუბნები? აბა, ერთი მომიყევი, რა ხდება?

გოგლამ საშას იაშვილის სურათთან დაკავშირებული ყველა უსიამოვნების, მათ შორის სამართალდამცავებთან გაჩენილი პრობლემის შესახებაც დაწვრილებით უამბო.

— ცუდია, რომ ასე მოხდა, — შეწუხდა საკომისიოს მომლოდინე კლიმიაშვილი, — მაგრამ გული არ გაიტეხო. ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცევა, თუ ნამუშევრის გაყიდვას დროებით გადავდებთ. რამდენიმე კარგ იურისტს ვიცნობ და პრობლემებს ისინი მოგვიგვარებენ.

კლიმიაშვილის ზარმა გოგლა ცოტა დაამშვიდა, რადგან კარგად იცოდა, რომ თუ ეს ადამიანი მართლა მოინდომებდა, ბევრი რამის მოგვარება შეეძლო. „მოინდომებს, აბა, რას იზამს? იაშვილის სურათის გაყიდვით ჩემზე ნაკლებად კი არ არის დაინტერესებული. მაგრამ მთლად გულხელდაკრეფილი ვერც მე დავჯდები. სხვა რომ არაფერი, თანაშემწის ამბავი მაინც უნდა გავარკვიო“, — გაიფიქრა გოგლამ და ლელას ტელეფონის ნომერი აკრიბა.

— ალო, ლელა, გოგლა ვარ.

— გამარჯობა, გოგლა. ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას.

— მერე?

— თანახმა ვარ.

— მადლობა ღმერთს! — სიხარული ვერ დამალა ლაღიძემ. — თორემ მარტო საქმეს მართლა ვეღარაფრით ვწვდები.

— როდის შემოგიერთდე?

— ხვალ დილიდან შეძლებ?

— დღესაც მზად ვარ.

— მართლა?

— მართლა.

— მაშინ ჩაიწერე მისამართი და ახლავე ჩემთან გაჩნდი.

20 წუთში ლელამ უკვე გოგლას კარზე დააკაკუნა:



— აბა, მაჩვენე, ერთი, სად ხარ და რას საქმიანობ?

გოგონა ბინის შემოვლას შეუდგა, გოგლა კი უკან მიჰყვებოდა და ყველაფერს დაწვრილებით უხსნიდა.

— გამოდის, რომ ცხოვრებითაც აქვე ცხოვრობ, ხომ? — ლაღიძის ოთახს თვალი ყურადღებით მოავლო ლელამ.

— ასე გამოდის, — დამნაშავესავით თავი დაუქნია გოგლამ, — ჯერ ცალკე ოფისამდე ვერ ვქაჩავ.

— არა უშავს, წინ მთელი ცხოვრება გაქვს.

— ახლა კი „სიძველეთა დახლი“ უნდა გაჩვენო, — კოტეს ყოფილ ოთახში შეუძღვა ლაღიძე გოგონას.

— რა უნდა მაჩვენო?

— აი, ეს, — გოგლამ ანტიკვარიატის შესანახად გამოყოფილი კუთხისკენ ანიშნა გოგონას, — სხვათა შორის, შენი სამუშაო ოთახიც აქ იქნება.

— ძალიანაც კარგი, — ნივთებს თვალი ინტერესით მოავლო ლელამ, — ყველა ნამდვილია?

— ყველა.

— და საიდან ამდენი სიკეთე?

— ნუ გეშინია, ყველაფერი სრულიად ლეგალურად მაქვს ნაყიდი.

— ეს იარაღიც?

— რა თქმა უნდა. ეს „მანლიჰერია“.

— რა არის?

— პირველი მსოფლიო ომისდროინდელი რევოლვერი. ერთ დროს ძალიან მაგარ იარაღად მივიჩნევდი.

— ახლა აღარ გაისვრის?

— აბა, როგორ გითხრა? — მხრები აიჩეჩა გოგლამ. — სურვილი იყოს, თორემ შეიძლება, ჯოხმაც კი გაისროლოს...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***



# ნაადრევი ენძელები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ „გზა“ №2-4

შაბათიც გათენდა. დილიდან აფორიაქდა კორძაძეების სახლ-კარი. დედა და შვილი შუადღემდე გადარბენაზე იყვნენ, ვერაფერს ასწრებდნენ. ამასობაში მეჯვარეებმა და ნათესავებმა ნელ-ნელა ეზოში მოიყარეს თავი... როგორც იქნა, მოაწია სამმა საათმა და ოთხმანქანიანი სადღესასწაულო პროცესია სვეტიცხოვლისკენ დაიძრა.

როგორც კი მანქანები თვალს მიეფარნენ, ნუკიმ შვებით ამოისუნთქა. ღონემიხდილი მოქანავე სავარძელში ჩაესვენა, თვალებდახუჭულმა თავი უკან გადააგდო და დახშული ხმით გაბმულად შეყვირა: „აააააააააა!“ ძლივს არ შეიგრძნო სიწყნარის გემო?! ახლა აღარც ჯვრისწერაზე დასწრება უნდა, აღარც რესტორანში ქეიფი და აღარც ზურასთან ცეკვა (ვითომ?!). ამ გაწამაწიაში არც არავის გახსენებია იგი. ჭირსაც წაუღია მაგათი ქორწილი! ყველა ეზიზღება, ყველა! მათ შორის მაქსიც და თვით ზუ... არა, ზურა არა, ის სხვებს არ ჰგავს, მაგრამ მას რატომ არ გაახსენდა? იმიტომ, რომ აქ არ მოსულა. ის პირდაპირ იქ მივიდოდა, სვეტიცხოველში. საინტერესოა, რას მოიმოქმედებს, ნუკის რომ ვერ ნახავს? თუ მოიკითხავს? კი, როგორ არა, თავქუდმოგლეჯილი გამოიქცევა მის წასაყვანად, მეტი საქმე არა აქვს! ადგება და მაშინვე თათულის გაეპრანჭება, ეკას დაქალს. თან, რა გოგოა! როგორ აცვია! ეკამ ალბათ უკვე ინანა, ის რომ აირჩია მეჯვარედ. ახია მასზე, რა ეგონა? სკდება ალბათ ახლა შურით (ბოღმითაც), მაგრამ ვეღარას გააწყობს. ასე მოუხდება! ნეტავ, თვითონ რა უხარია? ყველასგან მივიწყებული (და გარიყული) რომ აგდია აივანზე? ამის გაფიქრებაზე ცრემლები მოადგა... მათი შეკავება არც უცდია. რამდენჯერაც დაებინდებოდა მზერა, იმდენჯერ დახუჭავდა თვალებს და...

უკითხავად მოსული ცრემლი დაუნდობლად უსველებდა ღაწვებს, მერე ნიკაპზე დაეკიდებოდა და წკაპუნით ეცემოდა მის ყელ-მკერდს. „რა უბედური ვარ!“ — უკვე მერამდენედ ანდობდა დარდს თავისსავე ფიქრებს, „როგორ არავის ვჭირდები ამქვეყნად!“ ასეთ დროს ერთადერთი, ვისაც თავისი უბედურების მიზეზად მიიჩნევდა, დედა იყო. „რას მერჩოდი, რისთვის გამაჩინე, თუკი არ გინდოდი? ვის იმედად დამაგდე? რატომ გამწირე ასე, რატოოომ?!“

„კარგი რა, ნუკი, ტყუილად მოთქვამ“, — აპროტესტებდა მისი შინაგანი ხმა, — „შენ ხომ მეტაფიზიკური გოგონა ხარ, ასე არ უნდა იქცეოდე. შენ ხომ მირანდა ხარ, არარსებული, მაგრამ საოცნებო. ხომ იცი, რომ სხვას თუ არა, ზურას მაინც სჭირდები. ასე რომ არ იყოს, ვერც ვერასდროს შეგამჩნევდა, არც გამოგელაპარაკებოდა. ორი დღეა, შენი გულისთვის მოდის აქ. გგონია, მართლა შენი ბიძაშვილის ჯვრისწერა აინტერესებს?“

— ეეჰ, ნეტავ, მართლა ეგრე იყოს! გამანებე რა, თავი! — ხმამაღლა შეუტია თავის შინაგან ხმას და „ცრემლმარილით“ დასველებული ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია.

ასეთი დიალოგი თავის მეორე „მესთან“ ბევრჯერ ჰქონია და რაც უფრო ემატებოდა წლები, მით უფრო ხშირად უწყობდა შინაგანი ხმა დაკითხვებს (შეგონებებსაც). როგორმე უნდა შესჩვეოდა ამას, რადგან იცოდა, ასე ძალიან დიდხანს (ალბათ სიცოცხლის ბოლომდე) გაგრძელდებოდა.

კარგა ხანს იტირა უხმოდ, უსიტყვოდ. მერე ერთხანს თვალებგაშტერებული იჯდა და უაზროდ (უფიქროდაც) გაჰყურებდა შორეთს. ბოლოს ჩაეძინა...

ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. დაფეთებული წამოხტა, ჰოლში შევარდა და ყურმილს ეცა.

— ნუკი... — ჩაესმა ნაცნობი ხმა.

— გისმენთ! — ჟრუანტელმა დაუარა.

— რატომ მალოდინებ? — ისე იდუმალად ჟღერდა ზურას ხმის ტემბრი, მუხლები მოეკვეთა.

— მე... მე დამაგვიანდა... ახლა მოსვლას აზრი არა აქვს.

— კარგი რა, ვილა აქცევს ახლა ამას ყურადღებას, პირიქით, დაგვიანება უფრო მოდაშია.

— მაგრამ არა ბიცოლაჩემისთვის. მას არ უყვარს, როცა ვინმე იგვიანებს.

— მერედა, რატომ დაიგვიანე?

— რაღაც საქმეები გამომიჩნდა...

— ო! მაგაში ეჭვიც არ მეპარება! ახლავე ჩაიცვი და წამოდი!

— ვერა, ახლა ვეღარ წამოვალ.

— უნდა წამოხვიდე! შენ მე ცეკვას შემპირდი! გინდა, გამოგიარო?

— არა, რას ამბობთ! რა საჭიროა...

— გასაგებია. ნახევარ საათში წამოვალ და მზად დამხვდი.

— იცით...

— მზად დამხვდი, გასაგებია?! — მშრალად შეაწყვეტინა მამაკაცმა და გათიშა.

ნუკიმ მწარედ ამოიკვნესა. როგორ ეზარება (არადა, როგორ უნდა) წასვლა... იმიტომ, რომ სათანადო ფორმაში არ იქნება. ვაითუ, დასცინონ კიდეც, საფრთხობელასავით რომ გამოცხადდება რესტორანში. იქნებ არ ღირს? არა, ზურას აწყენინებს, ასე რომ მოიქცეს. ჯობია, დროზე მოიწესრიგოს თავი...

ზურა ეზოში შევიდა და მის მოლოდინში კიბის თავთან დადგა. დიდხანს ცდა არ დასჭირვებია, ნუკი მალევე გამოჩნდა. ვარდისფერი კაბა ხელით აეწია და პირველსავე საფეხურთან შედგა დამფრთხალი მზერით. სასაცილოდ ხომ არ გამოვიყურებიო, მის თვალებში იკითხებოდა.

მამაკაცს რაღაცამ სასიამოვნოდ გაჰკრა გულში. მიუხედავად იმისა, რომ ნუკის 2 ზომით დიდი კაბა ეცვა და ერთი ზომით დიდი ფეხსაცმელი, მაინც თავბრუდამხვევად ლამაზი იყო, ვარდისფერი მის მზემოკიდებულ სახეს საოცრად უხდებოდა. მაღალი მკერდი მღელვარებისგან თითქოს იბერე-

ბოდა სიფრიფანა ქსოვილის ქვეშ და კაბის გულისპირიდან გადმოხტომას ლამობდა. თვალები? ზურა გაოგნებული მისჩერებოდა. ნუთუ შეიძლება, შავმა თვალებმაც ფერი იცვალონ? მის მირანდას აშკარად გალიავებოდა გუგები და მისი ნუშისებრი მოყვანილობის თვალები ახლა რუხი ნაცრისფერი გამხდარიყო.

ნუკი მხრებში გამართული ფრთხილად ჩამოუყვა საფეხურებს. როგორი გრძელი წამწამები აქვს, როგორი დაშვებული, სწორი, არანაირი აპრეხილი... წამწამებიც კი დაუხრია სევდას... ერთადერთი, რაც დისჰარმონიას უქმნიდა, კაკაოსფერი პომადა იყო, რომელიც სრულიად არ მიესადაგებოდა კაბის ფერს.

— როგორ გამოვიყურები? — ხმადაბლა ჰკითხა მან, როგორც კი მიწაზე ფეხი დაადგა.

— გამოიყურები... თავბრუდამხვევად! — წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, მამაკაცი მიხვდა, რომ სიმართლეს ამბობდა.

გოგონა ერთობ ნაზი, აღელვებული და შვლის ნუკრივით დამფრთხალი ჩანდა. ეს კი უფრო წარმოაჩენდა მის ბუნებრივ (და არა მაკიაჟით შეთითხნილ) სილამაზეს. საოცარმა სურვილმა წამოუარა. ხელი ჩაეჭიდა საოცნებო მირანდასთვის და სადმე შორს გადაემალა, სადაც არავის მიუწვდებოდა მზერა და არავინ დასცინებდა ასეთი უგემოვნო ჩაცმულობისთვის.

— თქვენი ხათრით, თორემ არაფრით არ წამოვიდოდი, — მორცხვად ჩაილაპარაკა ნუკიმ და თვალი აარიდა, რათა მის მომნუსხველ მზერას დამალვოდა. სამაგიეროდ, შეუძლებელი იყო, მამაკაცის ხმას დამალვოდა — მკერდისმიერს, თბილს, ოდნავ ჩახრინწულს... თითქოს მუქი ყავისფერი დაჰკრავდა ამ ხმას, ასე აღიქვამდა ნუკი მას თავის წარმოდგენაში.

— ხედავ? უკვე გვიჭირს განშორება, — თქვა ზურამ, გაიცინა და ნაოჭებშეპარულ სახეზე ნათელი გადაეფინა.

გოგონას ვარდისფერმა უფრო მძაფრად გადაურბინა სახეზე, სევდიანად გაეღიმა, მაგრამ პასუხი არ გაუცია.

— ნუ ხარ ეგეთი ნაღვლიანი და სასოწარკვეთილი, ყველაფერი კარგად იქნება.

— არა, არ ვარ, თქვენ გეჩვენებათ მხოლოდ, — გაუბედავად შეეპასუხა.

— ცოტათი ვერკვევი დარდისა და სასოწარკვეთის მიზეზებში. ეს მეცნიერება შესწავლილი მაქვს. ასე რომ, მე ვერაფერს გამომაპარებ, მეტაფიზიკურო გოგონავ! წავედით?

— წავედით!

რესტორანში ნუკის „შეუფერებელი“ ჩაცმულობა (პომადაც) დიდად არავის მოხვედრია თვალში. შეიძლება უფრო იმიტომ, რომ ქეიფი უკვე გახურებულიყო და მისთვის არავის ეცალა. გოგონამ სიძე-პატარძალს მიულოცა შეუღლება და შემდეგ მორიდებით გადგა განზე, სუფრასთან დაჯდომა არც უფიქრია. შეზარხოშებული მამაკაცები ხმამაღლა გადადიოდნენ ერთმანეთთან ალავერდს, ქალები კი მუსიკოსებს ელოდებოდნენ, რათა ეცეკვათ.

— ეს მგონი, ჩვენი ცეკვაა, — როგორც კი მელოდია გაისმა, ზურა მიუახლოვდა და ხელები გაუწოდა.

ერთიანად დაძაბულმა ნუკიმ მხარზე ჩამოაწყო მკლავები მამაკაცს და მკერდზე ოდნავ მიეკრა. ზურას წამით თავბრუ დაეხვა. ქალის სხეულს სასიამოვნო სურნელი ასდიოდა, შამპუნის, ვარდის, საპნის... ყველაფრის ერთად... და მაინც სასიამოვნო. „უცნაური მეტაფიზიკური გოგონა“, — გაიფიქრა მან, თუმცა სწრაფადვე გამოასწორა თავისი ნაფიქრი — „შესაძლებელია, პატარა გოგონას მანერები აქვს (და საქციელიც), მაგრამ ის უკვე ქალია, ზრდადასრულებული ქალი, რომელმაც აწმყოს იმედი დაკარგა, მაგრამ მომავლისგან ბედნიერებას მაინც ელის“.

— მეშინია, ფეხი არ დაგაბიჯოთ, — ჩურჩულით წარმოთქვა ნუკიმ და ძლიერად ჩაეჭიდა მამაკაცის მხრებს.

— რატომ? — თავი დახარა ზურამ, რათა მუსიკის ხმაურში მისი ხმა უკეთ გაეგონა.

— ფეხსაცმელი დიდი მაქვს, ლამის მძვრება, როცა ვმოძრაობ. კაბაც ძალიან გრძელია...

— არა უშავს, ნელა ვიტრიალოთ და არ გაგძვრება. მომენდე!

ნუკიმ ამოიოხრა და თავით ოდნავ შეეხო მის მკერდს. გოგონას თმა ზურას ლოყას გამაღიზიანებლად ეხებოდა. ორივე ნელა აჰყვა მელოდიის ტაქტს.

მიუხედავად სიფრთხილისა, ნუკი რამდენჯერმე მაინც წაბორძიკდა და რომ არა მამაკაცის ძლიერი ხელი, იატაკზე გაიშოტებოდა.

— არა უშავს, არავინ გიყურებს, — დაამშვიდა ზურამ, — გინდა, აივანზე გავიდეთ? ცეკვა იქაც შეიძლება, — დააყოლა ღიმილით.

მან თავი უსიტყვოდ დაუქნია და შვებით ამოისუნთქა. იქ სხვების თვალს იქნებოდა მოფარებული და ვერავინ შენიშნავდა. ორივე ხელით აიწია კაბის ბოლოები და თითის წვერებზე შემდგარი გაჰყვა უკან მამაკაცს.

აივანზე არავინ იყო. როცა ზურამ ჰაერზე გამოსულ გოგონას შეხედა, ღიმილი ვერ შეიკავა. მას ისეთი შეშინებული მზერა ჰქონდა, თითქოს ეს-ესაა, თავს დაესხნენო.

— ნუ გეშინია, არ ვიკბინები, შეგიძლია, მოეშვა, — გაეხუმრა და მოაჯირს მიეყრდნო.

— უკვე მოვეშვი, შიგნით რადგან არ ვარ. ვერ ვიტან ასეთ ადგილებს.

— რატომ, ყურადღების ცენტრში რომ არ იმყოფები, იმიტომ?

— ცუდად რომ გამოვიყურები, იმიტომ. თანაც, ამ საზოგადოებაში მე სრულიად ზედმეტი ვარ.

— გინდა, შამპანური დავლიოთ? ცოტას გამოგაკეთებს.

— რა ვიცი... — ცალი მხარი კეკლუცად აიწურა ნუკიმ და ქვემოდან ახედა.

ზურა წავიდა და სამიოდ წუთში დაბრუნდა ორი სავსე ბოკალით ხელში.

— საერთოდ, ცუდად არ ვცეკვავ, მაგრამ ახლა არ გამომივიდა, თან უცხო ხალხი მაკომპლექსებს, — დაიწყო ნუკიმ თავის მართლება.

— სამაგიეროდ, შამპანურის დალევა გამოგივა კარგად. აქ ხომ მხოლოდ ჩვენ ვართ, ვერავინ დაგაკომპლექსებს, — უპასუხა ზურამ და ბოკალი მიაწოდა.



გოგონამ გადაიკისკისა, გულიანად, ბავშვურად. საოცარი რეაქცია ჰქონდა მის სიცილზე მამაკაცს, აღმგზნები, ვნებისმომგვრელი. რას იფიქრებდა, მის ასაკში ასე თუ ააღელვებდა ქალის სიცილი.

შამპანურმა სწრაფად იმოქმედა. დალევას მიუჩვეველი ნუკი ისე უცებ გაბრუვდა, საერთოდ გადაავიწყდა, ცოტა ხნის წინ საშინლად რომ გრძნობდა თავს, გახალისდა, გათამამდა.

— ახლა კი ისევ ვიცეკვოთ, — შესთავაზა მამაკაცმა.

— ისევ? არა, არ გვინდა!

— რატომ, არ გჯერა, რომ ცეკვით შეიძლება, მამაკაცები ალაფრთოვანო?

— ვისაც ვიცნობ, მათი აღფრთოვანება არ მჭირდება.

— ცდები. ეს ყოველთვის ყველას გვჭირდება. ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

— მოდი, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, — მოიღუშა გოგონა.

ზურამ გაიღიმა. უეცრად სიგიჟემდე მოუნდა, მკერდში ჩაეკრა მისი სხეული, მოჰფერებოდა ნაზად, ეზრუნა მასზე, დაეცვა ყველასგან (თან ყოველთვის). მაგრამ რატომ სურდა ასე, ამას ვერ ხსნიდა.

— არ ვიცეკვოთ? — გაუმეორა.

— ღმერთო ჩემო, არ გეყოთ, ფეხები რომ დაგამტვრიეთ? — ეშმაკურად ახედა ნუკიმ.

— რაღაც არ მახსენდება, ნეტავ, როდის ან რატომ? — გაიხუმრა თვითონაც.

— არადა, მთელი დასტა ქაღალდი ჩავაფინე ფეხსაცმელში, რომ არ გამძრობოდა. მაინც არ მიშველა, — კვლავ გადაიკისკისა გოგონამ.

— მაპატიე, იმ დღეს რომ გაგაბრაზე, — უეცრად სხვა თემაზე გადაერთო ზურა.

— მაწყენინე? როდის? — გულწრფელად გაიოცა.

— რომ გაგწუწე ტალახიანი წყლით.

— ააა! ეგ არაფერი, უკვე დამავიწყდა.

— მინდა, ამ საღამოს ჩემი დანაშაული გამოვისყიდო. მინდა, გეცეკვო, გაგამხიარულო, შენ კი ამის საშუალებას არ მაძლევ. რა გავაკეთო?

— ჩათვალე, რომ უკვე გააკეთე, — ჩურჩულით უპასუხა გოგონამ და თვალი თვალში მოურიდებლად გაუყარა, — ამაზე სასიამოვნო და ლამაზი საღამოები არ მქონია, — იმავე ხმით გააგრძელა და თვალები დახარა, — დიდი მადლობა ამისთვის.

ზურას გული აუჩუყდა. უკვირდა, ასე ცოტა რომ ჰყოფნიდა ნუკის დაჭრილ სულს იარების შესახორცებლად. იმდენად ააფორიაქა მისმა „სამადლობელმა სიტყვამ", რომ ვერ მოითმინა, მიეახლა, მისი სახე ხელისგულებში მოიქცია და შუბლზე აკოცა...

საქორწილო სუფრა გვიან დასრულდა და ყველა თავის გზას გაუდგა, სტუმარიცა და მასპინძელიც. ზურამ გამომშვიდობების წინ თბილად გაუღიმა ნუკის, თითქოს ეუბნებოდა, ერთმანეთთან ანგარიში გავასწორეთო და... გავიდა. თუმცა, მალევე მობრუნდა, წინ დაუდგა და დაჟინებით ჩააშტერდა თვალებში. გოგონამ კითხვით სავსე მზერა მიაპყრო.

— არა, არაფერი. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად დავიმახსოვრო შენი კმაყოფილი სახე, რომელიც ასე იშვიათადაა კმაყოფილი.

ნუკის ღიმილისგან თვალ-სახე გაებადრა. ამწუთას მისი შავი, უჩვეულოდ დიდრონი, უძირო, დანისლული თვალები იდუმალ ბრწყინვალებას აფრქვევდა. სწორხაზოვანი მიმიკური ნაოჭი, რომელსაც წარბებს შორის დაედო ბინა, ნელ-ნელა გაიფანტა და თითქოს ფრინველის გაშლილი ფრთების ფორმა მიიღო. ასაკი აშკარად ეტყობოდა.

ზურამ მსუბუქად, მეგობრულად დაადო ხელი ხელზე.

— ყოველთვის შენ გვერდით მიგულე, ნუკი (მირანდა)... წასვლამდე აუცილებლად გნახავ, — გაბზარული ხმით ამოთქვა მამაკაცმა და გავიდა...

იმ ღამეს არ უძინია ზურას... ნუკიზე ფიქრობდა... იმ ღამეს არც ნუკის უძინია, ზურაზე ფიქრობდა. და ასე, ერთმანეთზე ფიქრში დაათენდა ორივეს...

მეორე დილით, ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, როცა სამზარეულოში მოფუსფუსე ნუკის ზურა თავს წამოადგა. გოგონა შეაკრთო მისმა ადრიანად გამოჩენამ. გულმა რეჩხი უყო.

— გამოსამშვიდობებლად მოხვედი? — ნაღვლიანი ხმით შეეკითხა და იატაკს ჩააჩერდა.

ზურას არ გამოჰპარვია, გოგონამ „შენობით" რომ მიმართა და გული აუძგერდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ნუკი უკვე თავისიანად (მფარველადაც კი) მიიჩნევდა მას.

— ჰო. დღეს მივდივარ და დრო ვიხელთე, რომ ერთხელ კიდევ მენახე. მერე ვეღარ მოვიცლიდი.

— არ ღირდა ამისთვის დროის გამონახვა, — ჩურჩულით აღნიშნა ნუკიმ.

— თუ დროის დაკარგვა?

— ეს ერთი და იგივეა.

— აუცილებლად ჩამოვალ, ძალიან მალე ჩამოვალ და რაღაც მოვიფიქროთ, კარგი? — ზურამ თითი ნიკაპქვეშ ამოსდო და თავი აუწია, რომ კიდევ ერთხელ ჩაეხედა მის ლამაზ (იდუმალ) თვალებში.

— როგორც გინდა, — ძლივს გასაგონი ხმით უპასუხა გოგონამ და შეხედა.

მამაკაცმა შეამჩნია, რომ მის თვალებში სიცარიელეს (იმედგაცრუებასაც) დაესადგურებინა. გული დაეწვა.

— არაფერია იმაზე მტკივნეული, ვიდრე მომენტი, როცა ახლობელ ადამიანს შორდები, — დაიწყო ნუკიმ, — ეს პროცესი ზღვის ბობოქარ ტალღებს მაგონებს, რომელიც ნავს დაამსხვრევს და ფსკერზე ჩაძირავს. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, უმჯობესია, დროზე დაამთავრო და არ გაწელო გამომშვიდობების სცენა.

ეს მისი მხრიდან ზედმეტად თამამი განაცხადი იყო. ზურას, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ნუკისგან (და არა მირანდასგან) ასეთი სიტყვების მოსმენა, თუმცა ხვდებოდა, რომ გოგონას დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა. ის იმ ერთადერთ იმედად მოვლენილ ხავსსაც კარგავდა, რომელსაც, ეს-ესაა, მოეჭიდა. და ამწუთას იგი აღარ ჰგავდა პატარა (მეტაფიზიკურ) გოგონას. ის ახლა ნამდვილი მირანდა იყო.

— მაგრამ ხანდახან ის, რაც ორ ადამიანს ერთმანეთს აშორებს, მათ ერთმანეთთან დაახლოებას უფრო უწყობს ხელს, — ახსნა დაიწყო მამაკაცმა, — ის სიძნელეები, რაც მოელით ცხოვრებაში, ბოლოს მაინც აერთიანებს ორივეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერასდროს შეხვდებოდნენ. მე და შენ ორი მარტოხელა ვართ და მაშინ შევცდით, როცა დროის ისარი წინ გადავწიეთ. ეს შორეულ წარსულში მოხდა, ჩვენი გზები სწორედ მაშინ გაიყო. სამაგიეროდ, ზღვამ (იქნებ ჯონ უოტერჰაუსმა) ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს და ახლა უკვე ჩვენი ნებაა, დავიკარგებით თუ — არა. გამოვცადოთ ერთმანეთი, რას იტყვი? — ჰკითხა ზურამ და მეგობრულად გაუღიმა, მაგრამ არა ნუკის, არამედ იმ პატარა გოგონას, რომელსაც წლების წინ იცნობდა.

— ძალიან შეგეჩვიე... ალბათ გამიჭირდება, — ცრემლნარევი ხმით წარმოთქვა ნუკიმ და მსუბუქად ჩაახველა.

— ამქვეყნად ყველაფერი შემთხვევითი როდია, მათ შორის ჩვენი შეხვედრაც. არსებობს კეთილგანწყობა, ყურადღება, დახმარება და თანადგომა, — ზურა დაიძაბა.

გოგონა მშვიდი გამომეტყველებით უყურებდა.

— მე მსწავლობთ? — კვლავ თავაზიან ფორმას დაუბრუნდა იგი.

— ცხოვრების ასე გაგრძელება არ ივარგებს, ნუკი. შენ, ფაქტობრივად, ერთ ადგილს ტკეპნი, ეს კი არაფერს მოგიტანს. ხანდახან უნდა გაიქცე, თუკი ამის საჭიროებას ხედავ. თავს ძალა უნდა დაატანო და გაიქცე, უკანმოუხედავად. არ არსებობს რეკორდი, რომლის გაუმჯობესება არ შეიძლება. ყოველთვის გამოჩნდება უკეთესი გზა...

— რაღაც არა მგონია, ეს შევძლო... არავითარი სურვილი არა მაქვს, გავაგრძელო ცხოვრება. მირჩევნია, საერთოდ არ ვარსებობდე, ვიდრე...

— გადაარჩინეთ ქალი! — უხერხული (თუ დაძაბული) სიტუაციის განსამუხტავად მხიარულად შესძახა ზურამ და ნუკის მხრებში ჩააფრინდა, — რა გჭირს, ასე უნდა გამაცილო? იქნებ ერთი-ორი პეშვის იტირო კიდეც? ხომ გითხარი, ჩამოვალ-მეთქი.

— ჰო.

— იქამდე დაგირეკავ, მოგიკითხავ...

— მობილური არ მაქვს, — ყრუ ხმით თქვა.

— ჩემსას დაგიტოვებ, — იპოვა გამოსავალი ზურამ.

— არა, არა, რას ამბობ! — დაფეთდა ნუკი.

— ვიცი, რასაც ვამბობ. 2 ნომერი მაქვს და 2 — აპარატიც. ერთს შენ დაგიტოვებ... მძევლად. ხომ უნდა გამომცადო, სიტყვის პატრონი ვარ თუ არა? აჰა... ეს ნომერი ძალიან ცოტამ იცის, ამიტომ სულ 2-3 ადამიანი თუ მომიკითხავს. უთხარი, მეორე ნომერზე დაურეკეთ-თქო, თუ ვინმემ მიკითხა. გამომართვი და არაფერი მითხრა, მაინც არ მოგისმენ! მეც დაგირეკავ.

ზურამ უბრალო, შავი ტელეფონი ხელში ძალით მიაჩეჩა ნუკის, შუბლზე აკოცა (ზუსტად ისე, როგორც წუხელ), მერე თითები ნაზად ჩამოუსვა ღაწვებზე და არეული ნაბიჯებით დატოვა სამზარეულო.

— ნუკი! ნუკიიიიიიიიიი! — ეკას ყვირილმა არემარე გააყრუა.

შუადღე გადასული იყო. ნუკი კვლავ სამზარეულოში ტრიალებდა, სუფრის გასაწყობად კერძებს აცხელებდა. გვიან ღამით მაქსი ჰოლანდიაში მიფრინავდა და გამოსამშვიდობებელი ვახშამი უნდა გაემზადებინა. სტუმრები აღარ იყვნენ სახლში, მხოლოდ თათული დარჩა, ეკას მეჯვარე და თამარას 2 დაქალი, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ. ისინი ყველანი ერთად აპირებდნენ სიძის გაცილებას და დროებით უქმროდ დარჩენილი ეკასთვის ნუგეშისცემას.

— აქ ვარ, რა იყო? — გოგონამ თავი გაყო სამზარეულოდან და თვალებით ბიძაშვილს დაუწყო ძებნა.

— სად არის? — დოინჯი შემოიყარა ეკამ და აქოშინებული მიაჩერდა გოგონას.

— ვინ, მაქსი? წეღან გავიდნენ ეზოდან დედაშენი, მამაშენი და მაქსი.

— მაქსი კი არა, ჩემი საყურე.

— რომელი საყურე?

— მაქსმა რომ ჩამომიტანა.

— მე რა ვიცი, — მხრები დაბნეულად აიჩეჩა.

— აბა, ვინ იცის? წუხელ რომ მოვიხსენი, სარკის წინ დავდე!

— საერთოდ არ შევსულვარ შენს ოთახში, იქ რა მინდოდა? — აგდებულად მიუგო ნუკიმ. — სადმე შეინახე ალბათ და არ გახსოვს, კარგად ნახე.

— რა არ მახსოვს, ქალო, გაგიჟდი? როდის იყო, რამე მავიწყდებოდა! მთელი ოთახი გადავქექე! — ბოლო ხმაზე კიოდა ეკა.

— და მაინცდამაინც მე რატომ მეკითხები? ამ სახლში ჩემ გარდა არავინაა?

— იმიტომ, რომ შენ გარდა არავინ აიღებდა, ქალბატონო! — ნიშნის მოგებით მიუგო გაკაპასებულმა პატარძალმა.

ნუკის ტუჩები მოებრიცა აღელვებისგან. სახე წაეშალა. გაფითრებულმა თავი ვერ შეიკავა და თავადაც აყვირდა.

— ახლა ქურდიც გინდათ, გამხადოთ, არა? ის არ გეყოთ, მთელი ცხოვრება თქვენს მოსამსახურედ რომ ვგრძნობდი თავს? კარგი რა, მართლა და მართლა, კარგი! გეყოთ ჩემი დამცირება, საკმარისია!

— რაო? რა მოსამსახურეო, რა თქვი, გაიმეორე?! შე უმადურო! ეგ გვეკუთვნის შენგან? გადაყოლილია დედაჩემი შენზე, ასე უფასებ ამაგს? შენ კი... შენ ვინ ყოფილხარ საერთოდ! ახია მამაჩემზე ყველაფერი! ახლავე დააბრუნე ჩემი საყურე, ან საერთოდ გაეთრიე ამ სახლიდან!

— ჰოდა, მივდივარ! — მტკიცე ხმით დაუბრუნა პასუხი ნუკიმ მდგომარეობიდან გამოსულ ბიძაშვილს, წინსაფარი მოიხსნა, იქვე სკამზე მიაგდო და სამზარეულოდან გავარდა.

არ ახსოვს, როგორ შევიდა თავის ოთახში. მღელვარებისგან ხელები უკანკალებდა. კარადა გამოაღო, თეთრეულის ქვეშ ამოდებული ორასი ლარი გამოიღო, კვლავ სამზარეულოში შევარდა და ჯერ კიდევ ქადაგად დავარდნილ ეკას მაგიდაზე დაუგდო.

— აი, ფული შენი საყურის სანაცვლოდ. ახლა მეტი არ მაქვს, დანარჩენს მერე გამოგიგზავნი! — ზიზღით მიახალა და ისევ თავის ოთახში აბრუნდა ბარგის ჩასალაგებლად.

მორჩა! ეს ბოლო წვეთი იყო! მისი მოთმინების ფიალაც აივსო. კიდევ კარგი, ასე მოხდა, თორემ ვერასდროს გადაწყვეტდა აქედან გაქცევას. ერთი სამოცი ლარიც აქვს გადანახული, წვრილი ფული. მთავარია, თბილისამდე ჩააღწიოს. იქ ნელიკოსთან მივა, თავის ერთადერთ დაქალთან. დროებით მასთან დარჩება. რაღაც სამუშაოს როგორ ვერ გამოძებნის? თუ საჭირო გახდება, მიმტანადაც კი იმუშავებს. ამასობაში ზურაც მოიკითხავს, ისიც დაეხმარება. ხომ



უთხრა, შენ გვერდით მიგულეო? ჰოდა, ეგრე!

20 წუთის შემდეგ ნუკი თავისი სამგზავრო ჩანთით უკვე გზას ადგა. ისე წამოვიდა სახლიდან, ხუტას და თამარას დაბრუნებას არ დაელოდა, ვაითუ, გადამაფიქრებინონო. ამიტომ ჩქარობდა.

ცაზე შავი ღრუბლები გაწოლილიყო. ეტყობოდა, რომ ძლიერად გაწვიმდებოდა. ფართო ნაბიჯებს ადგამდა, რომ ტრასამდე რაც შეიძლება, სწრაფად მიეღწია, რათა არ დასველებულიყო და ავტობუსის (თუნდაც ტაქსის) გაჩერებაზე მიესწრო. მოულოდნელად მანქანა წამოეწია და მის გვერდით გაჩერდა.

— ნუკი, საით? შემიძლია, დაგეხმარო? — ნაცნობმა ხმამ გული (და სულიც) გაუთბო...

— ტაქსი გამაჩერებინე, გთხოვ...

— საით გაგიწევია?

— არ ვიცი... სულერთია, ოღონდ კი აქაურობას მოვშორდე! — ცრემლები გაურია ნათქვამს, — როგორმე თბილისამდე უნდა ჩავაღწიო.

— ტაქსით? — გაოგნდა ზურა, — იცი კი, რამდენი უნდა აქედან თბილისამდე ტაქსის? მაგდენი ფული გაქვს? მოდი, დაჯექი, წაგიყვან, თან გზაში დავილაპარაკოთ.

თავიდან გოგონამ თავაზიანად გააპროტესტა შემოთავაზება, მაგრამ მერე თანდათან დათმო, რადგან წვიმის პირველმა წვეთებმა უკვე დაუსველა შიშველი მხრები...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# გზავნილები

# ახდენილი წინასწარმეტყველება

მარი ჯაფარიძე

**მკითხველს მივესალმები და წინასწარ ბოდიშს მოვუხდი: ვინაიდან და რადგანაც „უცხო“ ავადმყოფობა შემეყარა და ჩემი მარჯვენა ხელი „მწყობრიდან“ გამოვიდა, დიდ და „გრანდიოზულ“ შესავალს ვერ შემოგთავაზებთ („ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ...“, ტკივილისგან ვიტანჯები). არ მკითხოთ ახლა, თუ ასე პატარა შესავალს ვერ წერ, ამხელა „გზავნილები“ როგორღა დაწერეო?! როგორ და — ძალიან კარგად! ეს ჩემი საიდუმლოა და არ ვაპირებ გამხელას. ისე, თუ ზოგიერთი საწვავი „ცეკვავს“ და „მღერის“, ჩემი გზავნილები თავისით ვერ „დაიწერება“?! ჰოდა, წაიკითხეთ ახლა და ისიამოვნეთ. მე კი წავედი, „ნემსის დრო“ მაქვს...**

# ყველა თანახმაა, ერთის გარდა

„წინათ, ხულოს რაიონის მოხუცები კუთვნილ პენსიას რაიონის ცენტრში არსებულ ბანკში იღებდნენ. ამ დღეს ცენტრში უამრავი ადამიანი იყრიდა ხოლმე თავს. ფულს აიღებდნენ, ჯიბეში საიმედოდ შეინახავდნენ, ჯგუფ-ჯგუფად დადგებოდნენ და ახალ ამბებს ერთმანეთს უზიარებდნენ. პენსიონერებთან საუბარი და ხუმრობა ერთ ხულოელ ახალგაზრდა მამაკაცს, ბესარიონს უყვარდა. დადგებოდა მოხუცებთან, მოუსმენდა, საუბარში ჩაერთვებოდა, ზოგს მართალს ეტყოდა, ზოგს — ტყუილს და საღამოს შინისკენ გახალისებული გაუყვებოდა ხოლმე გზას. ერთ დღესაც ასეთი თავშეყრისა და ლაპარაკის დროს, ერთ-ერთმა პენსიონერმა დაიჩივლა:

— 65 წლის კაცი ვარ, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე. შვილები დაბინავებული მყავს, ერთი ბათუმში ცხოვრობს, მეორე თბილისშია გათხოვილი, კარგად ცხოვრობენ და მეც მეხმარებიან. დიდი სახლი მაქვს, უზარმაზარი ეზო და ბაღი, უთვალავი ცხვარ-ძროხა. ეგაა, ქვრივი ვარ, 5 წლის წინ ცოლი გარდამეცვალა და მარტო ამდენ საქმეს ვერ ავუდივარ. ერთი ჩემსავით ახალგაზრდა, ჯანმრთელი ქალი რომ გამაცნო და ცოლად მომაყვანინა, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

— მერე, დედაის გაგირიგებ, — არ დაიბნა ბესარიონი, — იცი, რა კარგი დედაი მყავს, ახალგაზრდა, ლამაზი და ჯანმრთელი.

— გამირიგე, ღმერთი ნუ გაგიწყრება, — შეევედრა პოტენციური მამინაცვალი.

— მე კი გაგირიგებ, მარა დედაის დათანხმება გამიჭირდება. გადირევა, ეს ამბავი რომ ვუთხრა.




— ოღონდ შენ ეს ამბავი გამიხაზირე, მე არაფერს დავიშურებ, — პენსიონერმა ჯიბეში საიმედოდ გადანახული ფული ამოიღო და ბესარიონს ხელში ჩაუკუჭა.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს, მომავალ პენსიამდე და დათქვეს, რომ ერთი თვის შემდეგ ბესარიონი კარგ ამბავს მოუტანდა. ეს დღეც დადგა. მამიამ (ასე ერქვა ქვრივს) მორიგი პენსია აიღო და მოუთმენლად დაელოდა ბესარიონის გამოჩენას.

— რა ქენი, დაითანხმე დედაი? — ჰკითხა, როგორც კი მიუახლოვდა.

— დედაი კი დავითანხმე, მაგრამ ჩემი დაია წინააღმდეგი და ვერ ვითანხმებ.

— ოღონდ შენი დაი დაითანხმე და ეს პენსიაც შენი ფეშქაში იყოს.

ფულმა ამჯერადაც მამიას ჯიბიდან ბესარიონის მუჭში გადაინაცვლა და „პაემანი“ კვლავ ერთი თვის შემდეგ დათქვეს...

— რა ქენი, დაითანხმე დაი? — მოუთმენლად ჰკითხა მამიამ.

— დაი დავითანხმე, მაგრამ ჩემი ძმაა წინააღმდეგი და რა ვქნა, არ ვიცი, — მოისაწყლა თავი ბესარიონმა.

მოვლენები ძველი სცენარით განვითარდა, ბესარიონმა მამიას პენსია მიისაკუთრა და დაჰპირდა, რომ ერთი

თვის შემდეგ, ძმისგანაც მოუტანდა თანხმობას და დედასაც მიათხოვებდა. მამია გულდამშვიდებული და ჯიბეცარიელი მიუყვებოდა სოფლისკენ მიმავალ გზას და სახეზე ღიმილგადაფენილი მომავალ გეგმებს აწყობდა. როგორც იქნა, ის ერთი თვეც გავიდა და ბესარიონიც დათქმულ ადგილზე გამოცხადდა.

— დაითანხმე ძმა? — თვალები უციმციმებდა მამიას.

— ძმაი კი დავითანხმე, დაიც თანახმაა, დედაიც, მარა ამ ბაბაის (მამა) რაი ვუყო, ვერაფრით ვერ ვითანხმებ, დედაჩემი რომ გამოგატანოს, — ჯერ ახალგაზრდაა და მე თვითონაც მჭირდებაო.

იქ ისეთი ამბავი დატრიალდა, მტერს არ ენახოს. წინ ბესარიონი და უკან — მამია. ძლივს გაასწრო გაგიჟებულ პენსიონერს. როგორც ამბობენ, ის 3 თვის პენსია ბესარიონს კანფეტივით შერჩა, მამიამ კი მისი გაუთხოვარი მამიდა ითხოვა და დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ. ჭირი იქა, ლხინი — აქა. აჭარელი".

## ძმობა

„კინოთეატრი „აპსნი" და მისი მიმდებარე ტერიტორია სოხუმისთვის უცხო ბურანში იყო გახვეული. შეშლილი სახეები, ბოღმისგან ანთებული, ჩასისხლიანებული თვალები, დაზაფრული, სახლებს უიმედოდ შეფარებული მოსახლეობა და... სახელდახელოდ მოწყობილი ბარიკადები. სანადირო თოფებიდან კანტიკუნტად ნასროლი ტყვიების ზუზუნი ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლის ტოლფასი იყო. ყუმბარების მაგივრობას ქვები, ბოთლები, ქვაბები, ჯოხები და კიდევ უამრავი სასარგებლო თუ უსარგებლო ნივთი სწევდა, ხოლო აფხაზთა და ქართველთა საუკუნოვანი მეგობრობა ოსტატურად ჩაგდებულმა შუღლმა, მტრობამ და გაუტანლობამ ჩაანაცვლა.

ამბობენ, სამოქალაქო ომი აცილებული იქნა სამეგრელოს რაიონებიდან დაძრული, მრავალათასიანი საავტომობილო კოლონის შიშითო, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ კეთილმა ნებამ და ურთიერთპატივისცემამ მოქიშპენი მეორე დღესვე დააშორიშორა. შეცბუნებული ვაიბოევიკები ოჯახებს დაუბრუნდნენ. თითქოს ცხოვრება ჩვეულ რიტმს უნდა დაჰბრუნებოდა, მაგრამ ტურისტებისგან ერთიანად დაცლილი ქალაქი, დაცარიელებული ქუჩები და სახლებში შეყუჟული მოსახლეობა ჯიუტად არ ცდილობდა გამოცოცხლებას. ყველა ერიდებოდა არათუ ქუჩაში, არამედ უბანში გასვლასაც კი. სოხუმის სამძებროს უფროსმა სახლში შეირბინა. თქვენს მონამორჩილს კატეგორიულად აუკრძალა სახლიდან გასვლა და ვალმოხდილი სახით დაიბუხუნა: „იდუ ვ გოროდ". მცირე ხანს წიგნებით შევიქციე თავი. ნაშუადღევს აივანზე გავედი და თვალებს არ დავუჯერე — სახლის წინ, ტირიფის ჩრდილში ბერძენი იანეკი მოკალათებულიყო და კამათლით ირთობდა თავს. ორიოდე წუთში მე და იანეკი ნარდს ვთამაშობდით შაურიანზე. ნეტავ არ გამოვსულიყავი-მეთქი, გულში ვლანძღავდი ჩემს თავს, რადგან სულ რაღაც ნახევარ საათში ყომარბაზმა იანეკმა მთელი მანეთი მომიგო. წადი, ათი კაპიკი გამოიტანე, იმასაც მოგიგებ და სხვა დროს გავაგრძელოთო, — მითხრა. აზარტს აყოლილი, სახლში შევვარდი და რომ გამოვედი, იანეკი აღარ დამხვდა. ათიოდე წუთში მობრუნდა, ჩაცივებული ლუდის ბოთლებითა და ხილით დატვირთული. ნარდის თამაში განვაახლეთ და თან ლუდს გეახლებოდით ნება-ნება. იანეკი ხმაურითა და ჭახაჭუხით გადააადგილებდა ქვებს, ჩვეულებრივზე ხმამაღლა აქეზებდა კამათელს და მალიმალ ათვალიერებდა მეზობლების ფანჯრებს. მისმა მონდომებამ შედეგი გამოიღო. ქუჩაში აფხაზი გოჩა(!) დოპუა გამოვიდა.

„პრივეტ, გრეკ", — მიესალმა იანეკს და მომეჩვენა, რომ ეჭვით გამომხედა. ჩემს ნაძალადევ ღიმილს საპასუხოდ შეაგება: „კისლაია უ ტებია ულიბკა, ჩტო, ფრაერნულსა? უსტუპი ტი მნე ეტოგო ემიგრანტა ი ონ ბეზ შტანოვ ოტსუდა უიდიოტ".

ზუსტად 20 წუთში იანეკმა გოჩა ფულის მოსატანად გაუშვა, ხოლო თვითონ მოგებული თანხით კიტრი, პომიდორი, ახალი კარტოფილი და ცოტაოდენი თევზი მოიტანა. გოჩამ გადმომიჩურჩულა, — გახედე ერთი, ჩვენს ქუჩასო. მართლაც, აფხაზ ვალერა გამგიას ჭიშკარი ფართოდ გაეღო და რაღაცას გულმოდგინედ საქმიანობდა, თან ცალი თვალი ტირიფისკენ ეჭირა. თენგო და მისი ცოლი თამილა სახლის წინ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ და მზესუმზირას აკნატუნებდნენ. იქით ზარანდიების მთელი ოჯახი გადმომდგარიყო აივანზე და დაუფარავი ინტერესით გვადევნებდა თვალს. გოჩას კარის მეზობელი, კეთილი და ბუხუნა სიკო ცოლს მორიდებით იშორებდა და ტირიფისკენ მოიჩქაროდა. „დუიაქეს" გამოჩენა არავის გაჰკვირვებია — ის მოშორებით ცხოვრობდა, მაგრამ სადაც ნარდი გაჭახუნდებოდა და ჭიქა გაწკარუნდებოდა, უმალ იქ გაჩნდებოდა. დარბაისელი აფხაზი ღუდა და უბნის უსაყვარლესი კაცი, გივი ჯინჯოლია ერთად მოვიდნენ და ექსპრომტად გაშლილ სუფრას სათალი შემატეს. მამა-შვილი ცუშბები უხმოდ შემოუსხდნენ სუფრას, ზურა ნანავამ ერთი გამოგვხედა და უმალ სახლში შეტრიალდა; ცოტა ხანში, გიტარით ხელში მოიჩქაროდა და აფხაზ რომა ჭკადუას მეორე ხმა გზიდანვე შეაგება... მორიდებით მჯდარი რუსლანი — აფხაზი ჭაბუკი, გამორჩეული აღნაგობით, სიტყვა-პასუხითა და მიხრამოხრით, ახლა მხოლოდ იმ ქართველ გოგოზე ფიქრობდა, რომელიც მას მოფერებით რუსიკს ეძახდა... ფაცაციების სახლიდან ის და მისი დაც გამოვიდნენ... „ჩვენი ქუჩის ქალღმერთებს — დალის და მადონას, ანგელოზებს — ინგას, ესმას, ხათუნას, ოლიას, ელექტრას, ჯოკონდას, თეას... ყველას, ყველას გაუმარჯოს და დაე, მათი მანდილით კიდევ ერთხელ გადავკვანძოთ ჩვენი ძმობა, მეზობლებო!" — ეს სადღეგრძელო ერთხმად შეისვა ქართულ, რუსულ, მეგრულ, აფხაზურ და ბერძნულ ენებზე. სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ, ერთურთის კი ყველას ესმოდა. სუფრას მეზობელი ქუჩებიდანაც შემოუერთდნენ და სოხუმის სტადიონის მიმდებარე პაწაწინა უბანში დიდი ზეიმი დადგა. ზეიმი სინანულისა, სიყვარულისა და იმედისა. შექეიფიანებულმა ცუშბამ ზურაბს წყენანარევი ტონით ჰკითხა, — ის ქვა რა გულით მესროლე? რომ მომხვედროდა, ხომ ცოდვას აიკიდებდიო! ზურაბმა ჩაიცინა, — ვიცოდი, არ მოგხვდებოდა, რადგან მივხვდი, რა გულითაც შემაგინეო... კიდევ ბევრი აცდენილი შეგ-




ინება და აცილებული შეურაცხყოფა მოიგონეს და განგებას გულითადი მადლობა უძღვნეს მეგობრობის გადარჩენისათვის. მოხუცი ინალიფა ყავარჯენს ჩამოეყრდნო და „სულში ჩამძვრომი“ თვალები შემოგვატარა: „ვაჟიშვილი მიწევს, ერთიანად დაბეჟილი და ნეკნებდამტვრეული, ქართველმა უმოწყალოდ ურტყა, მთელი სხეული დალურჯებული აქვს და კარგა ხანს მოუწევს ლოგინად ყოფნა; დანითაც არის დაჭრილი. დანა პორტის მუშას, სამველას დაურტყამს, ჩემს შვილს უცნია და არ შეგარჩენო, დამუქრებია. მშიშარა და მხდალი კაცია სამველა. მხდალი ადამიანები შიშისაგან ბოროტები, უგუნურები და მეტად სახიფათოები ხდებიან. სამველამ დანა მოიმარჯვა, მოკვლა უნდოდა ალბათ ჩემი ვაჟის. ამ დროს გადაჰფარებია ვიღაც ქართველი, მაგრამ დაშინებული კაცი ვერ დაუკავებია. თუმცა დანა ხელიდან გამოუგლეჯია და, — ეს აფხაზი ქართველის ხელიდან უნდა მოკვდესო! — უღრიალია. ყვირილით ჩემს ვაჟს მივარდნია და უმოწყალოდ, გონის დაკარგვამდე უცემია. თავში არ დაურტყამს არც ერთხელ თურმე. მომიყვა ჩემმა ვაჟმა ეს ამბავი და დამაბარა, წადი, იმ უცნობი ქართველისთვის ქართველებს მადლობა უთხარიო...“ გარინდულ სუფრას ანაზდად კურცხალი მოსწყდა. „...ბიჭებს უეცრად გული ამოსჯდომიათ, ხვევნა-კოცნა შექმნილა ძმური“, „რაც ექნებოდათ სამდურავი, იციან, ვიცით“... და ამ დროს მოხუცი არამას გულღრძოდ დაგდებული სიტყვებისათვის არავის მიუქცევია ყურადღება: „სკორო დრუგ დრუგა პერეგრიზიოტე ი უმრიოტ ნა ვაშიხ ლიცახ ეტა ბესპეჩნაია ულიბკა“.

P.S. მჟავიტო, ჯერ კიდევ ჩაის მოყვარული მოჭადრაკე მიდგას თვალწინ. მადლობელი ვარ“.

## პირველი დაჭერილი

„აგერ, ახლა მომხდარ, ცინცხალ ამბავს მოგიყვებით, რომელიც თემას ყველი და პურივით ერგება. სურამში ახალი პოლიციის შენობა გაიხსნა. ამ ფაქტმა ზოგს, განსაკუთრებით — ბირჟავიკ ბიჭებს ტანში ჟრუანტელი მოჰგვარა, ზოგი გაალიზიანა, — ბავშვებს ერთი ნორმალური ფეხბურთის მოედანი ჰქონდათ და ისიც დაუნგრიეთო (მართლაც, ფეხბურთის მოედნის ნაცვლად ააშენეს საპატრულოს შენობა). თუმცა ეს ამბავი მოზარდებზე მეტად, ბირჟაზე „მობინადრე“ „ძველ ბიჭებს“ არ ესიამოვნათ. ჩემი ნათესავის მეზობლად ერთი ბიჭი ცხოვრობს. ჩხუბი არ მომხდარა ისე, რომ ის არ ერიოს. ყოველთვის ისაა ჩხუბის წამომწყები, გამონაკლის შემთხვევაში — გამშველებელი. მას შემდეგ, რაც სურამში პატრულები „დასახლდნენ“, გაიძახის, ნეტავ პირველს ვის დაიჭერენო?! ჰოდა, ერთ დღეს ძმაკაცის, დათოს ბებიამ, რომელსაც გიო გულზე დიდად არ ეხატებოდა, უწინასწარმეტყველა: მე არ ვიყო ვინც ვარ, შენ თუ არ დაგიჭირონ პირველიო. საღამოს 8 საათზე ბირჟა ახმაურდა. ისმოდა სიცილი, უწმაწური სიტყვები, შიგადაშიგ — ქალების ბრაზმორეული ხმა, — დღეს ადრე დაიწყეთო, ბიჭებს რომ ეუბნებოდნენ, — სულ ყურის ძირში რომ დაგიდგან საპატრულოს შენობა, მაინც არაფერს მოერიდებით, რამ გაგაჩინათ ასეთი ველურები, დაწყდით ერთ დღესო!.. საბოლოო სიტყვა გიომ თქვა: „წადით, თქვენი!..“ ჯერ „ჯოკერი“ ითამაშეს, მერე წაგებულებმა მოსატანი მოიტანეს და ერთი ბოთლი არაყი სულმოუთქმელად გამოცალეს. არაყთან ერთად, ჭკუაც გამოეცალათ. ატყდა ჩხუბი. ამჯერად გიო უბრალოდ, გამშველებელი იყო. სად იყო და სად არა, პატრულიც გამოჩნდა და მაინცდამაინც გიოს სტაცეს ხელი. გაცოფებულმა დათოს მიაძახა, — ყველაფერი ბებიაშენის ბრალია, მაგან დამთარსა; ამათ დავეხსნა და ეგ თუ არ მივწიო ბებიაჩემს, კაცი არ ვიყოო!.. გიო 2 საათში გაათავისუფლეს და გააფრთხილეს, — კონტროლის ქვეშ გვეყოლები და წყნარად იყავიო. იმის მერე „დაბუნჩულაობს“ გიო თავისთვის. ასე შედგა გიომ პირველმა სურამის საპატრულო პოლიციის შენობაში ფეხი, დათოს ბებიის წინასწარმეტყველების წყალობით, და პირველმაც მან იგემა, სურამელი „პატრული ბიძიას“ მწარე ხელი. ლუნა“.

## დღესასწაულების შიში

„ახდენილი წინასწარმეტყველებაო?.. არ მჯერა ე.წ. წინასწარმეტყველების („ინ კაკულია ვი ტრასტ“), მაგრამ ვერაფერს ვიზამ ფაქტების საწინააღმდეგოდ. როცა დავიბადე, ისეთი თეთრი ვიყავი, რომ ექიმებმა დედას უთხრეს, ეს ბავშვი გაგაწამებთ 6 წლამდეო. მეც თვე არ „გამიმაზავს“, სულ ავად ვიყავი: ან ყელი მტკიოდა, ან სიცხე მქონდა. ასე ჩავამთავრე 6 წელი და მერე „შიშები“ დამეწყო (სიზმარში კოშმარი ვნახე და...). ბედზე სურამში აღმოვჩნდი და გამაქანეს მკითხავთან. იმან „აბრაკადაბრათი“ შემილოცა და დაასკვნა, — ამ ბავშვს ახლა ყველაფერი გაუვლის, მაგრამ დღესასწაულების შიში სჭირსო. გაგიგონიათ მსგავსი?! ისე აგვიხდეს ნატოში შესვლა, 17 წელია უკვე, ახალ წელს ვხვდები და ჰოი, საოცრებავ! ოთხჯერ მანქანაში შევხვდი (ორჯერ — გაფუჭებულში), ერთხელ — მეკვლედ გარეთ გასულს კარი ჩამეკეტა და ახალი წლის პირველი საათი „პადიეზდში“ გავატარე. რაც ყველაზე ცუდია, 31 დეკემბერს გარდამეცვალა ბებია. ახალ წელს კი სოფელში, გაყინულ ოთახში, სქელი „დუტი კურტკით“ წამოწოლილი და ცრემლიანი თვალებით შევხვდი. წელს კი, იქნებოდა ასე 9 საათი, მამაჩემმა სახლში ნათურის გამოცვლა რომ გადაწყვიტა (გადამწვარი იყო). ჰოი, საოცრებავ, 31 დეკემბრის 9 საათზე მოხდა ე.წ. „ზამიკანიე“ და შუქი ჩაგვიქრა. წარმოიდგინეთ სიტუაცია... წარმოიდგინეთ? კიდევ უფრო ღრმად წარმოიდგინეთ, კიდე უფრო ღრმად... წარმოიდგინეთ-მეთქი?.. ჰოდა, დასხედით და დამცინეთ ახლა. P.S. მე ხომ ბედი არა მაქვს და... მჟავიტო ფრომ ბათუსი“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„გთხოვთ, გამომიქვეყნოთ ეს მესიჯი, რადგან თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. ვარ 14 წლის გოგონა კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან. ცოტა ხნის წინ მათემატიკის მასწავლებელმა გაკვეთილების შემდეგ სამეცადინოდ დაგვტოვა. მოგვიანებით, როცა მეცადინეობა დავამთავრეთ, მასწავლებელმა შინ გაცილება შემომთავაზა. უარი არ მითქვამს. ჭიშკართან დედა დაგვხვდა. მივხვდი, რომ ერთმანეთის დანახვისას უცნაური რეაქცია ჰქონდათ. ამის შემდეგ ვხვდები, რომ მათ შორის „სხვა“ ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რაშიც მას შემდეგ დავრწმუნდი, როდესაც დედაჩემის საძინებელში ისინი ერთად ვნახე. აღარ ვიცი, რა ხერხს მივმართო მათ დასაშორებლად, რადგან ყველგან ერთად დადიან და მე ყურადღებას აღარავინ მაქცევს. გთხოვთ. დამეხმაროთ“.

„გამარჯობა, მარიამულ. ამ „ჩათრევა-ჩაყოლაზე“ გამახსენდა: 2 თვის წინ ჩემს ტელეფონზე უცხო ნომრიდან მესიჯი „შემობუნძულდა“. ვიღაცამ მომიკითხა და გაცნობა შემომთავაზა. ამის შემდეგ ხშირად მიმესიჯებდა. მასთან ურთიერთობა მოთხოვნილებად მექცა. შეხვედრას მთხოვდა, ძალიან ლამაზ მესიჯებს მიგზავნიდა და დღეში 5-6 საათი მემესიჯებოდა. მიუხედავად ამისა, შეხვედრაზე არ ვთანხმდებოდი. მერე ეტყობა, დაიღალა და რომ ვერ „ჩამითრია“, თავი დამანება“.

„ჩათრევას ჩაყოლა მაშინ ვამჯობინე,

ული ვარ. შეიძლება, ვიღაცის მიმართ (თუნდაც ეს მამის მეგობარი იყოს) სიმპათია გაგიჩნდეს, მაგრამ ისე არ უნდა დაეცე, რომ მასთან ფიზიკური კავშირი დაამყარო. ჰო, ვნება ოხერი რამაა, ისეთ რამეს გაგაკეთებინებს, რომ მერე საკუთარი თავის შეგრცხვება, მაგრამ ამ ვნებას უნდა მოერიო, ამან არ უნდა დაგაბრმაოს... მამას თუ არა, დედას მაინც უთხარი სიმართლე, თორემ ეგ ბიჭი ყველაფერზე წამსვლელია; მან მამაშენი არაკაცად ჩათვალა, შენს დას კი ცხოვრება დაუნგრია (ნუ, არ ვიცი, თავად ასე ფიქრობს თუ არა). შენს მშობელს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. ღმერთი გფარავდეს, გკოცნი“.

**ნატალი 37:**

„ირაკლი არაკაცია და მაგრად უნდა მიიჟეჟოს. რაც შეეხება ანას, ის ისეთი თავხედი ჩანს, ცხოვრებაში არ დაიკარგება. მგონი, არ ღირს, მშობლებმა მისი საქციელის შესახებ გაიგონ. ნუ დარდობ. გკოცნი“.

**მისტერ:**

„ანა გზას კი არა, უკვე ბორდიურსაც ასცდა. თუ არ გინდა, შენს დაბანილ (ან დაუბანელ) კისერზე ახალგაზრდა ბიჭის ცოდვა „დაიკიდო“, მამიკოს არაფერი უთხრა და ენა ჯერ კუჭში, შემდეგ მუცელში ჩაიგდე. P.S. მხოლოდ ექვიმტანილებს კი არა, შენც გაქვს დუმილის უფლება“.

**გოგონა გარეუბნიდან:**

„იცი, რჩევა როდის უნდა გეკითხა? ვიდრე საქმე სექსამდე მივიდოდა. ახლა უკვე გვიანია და ვერაფერს შეცვლი. ჰო, კიდევ, ისეთი რამ არ გააკეთო, რასაც მერე ინანებ და რაც შენს დას დააზარალებს. აბა, მის ადგილას წარმოიდგინე თავი. ზურგს ნუ შეაქცევ, მას შენი თანადგომა სჭირდება. იცოდე, უმიზეზოდ არაფერი იწყება და უშედეგოდაც არაფერი მთავრდება. ფაქტი სახეზეა“.

**თამუნა:**

„მამაშენის მეგობარს ანასთან სექსი არ უნდა ეკადრებინა. რთული ამბავია. იქნებ, ცოლად შეირთოს... ასეა, განებივრებული მამიკოს შვილები მშობლებს ათას საწუხარს უჩენენ! მამაშენს ეს ამბავი რომც უთხრა, არ დაიჯერებს, ამიტომაც ჯობია, ყველაფერი თავად მოაგვარონ“.

**რუისპირი (YELLOW):**

„შენი და ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაცია „იდსქოს“ ოფიციალური წარმომადგენელია. 18 წლის გოგო, რომელსაც მამაკაცის მოფერება სწყურია და ამას მამის ძმაკაცთან, თანაც — საკუთარ სახლშივე გააკეთებს, მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. შენს ადგილას საკუთარ თავზე უფრო ვიდარდებდი, რადგან შენდაუნებურად, იმ ცოდვის თანამონაწილე გახდი, რომელსაც შენი და სჩადის. სიმართლე მაშინ უნდა გეთქვა, როცა ყველაფერი დაინახე. ისე, თუ ირაკლიმ ანა ცოლად შეირთო, უფლისთვის მადლობის მეტი არაფერი გეთქმის. აი, შენი მესიჯის ბოლოს დაწერილმა სიტყვებმა: — „ჩემი და რომ გზას ასცდეს, მერე“ — ირონიით გაჟღენთილი ღიმილი ამაწება სახეზე. ისე გეშინია, შენმა დამ გზიდან არ გადაუხვიოს, თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ სწორი გზით ევლოს. P.S. რაც შეეხება „იდსქოს“, ეს ახალი ორგანიზაციაა, რომლის სახელწოდებაც ასე იშიფრება: „იდიოტ და სულელ ქალთა ორგანიზაცია“.

**სვანის ასული:**

„შეიძლება, მშობლებს სიმართლე პირდაპირ არ უთხრა და გული არ გაუხეთქო, მაგრამ როგორმე აუცილებლად მიანიშნე, რომ შვილს ბრმად არ უნდა ენდონ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და გააკონტროლონ. ქართული რეალობისთვის მამის ძმაკაცის შეყვარებაც კი, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია, მაგრამ ცოლად რომ შეერთო, კიდევ ჯანდაბას... რადგანაც ფიზიკური ურთიერთობა უკვე ჰქონდათ, გამოდის, რომ ანას უაქტიურია. ვწუხვარ, მაგრამ წინ იმედგაცრუება გელის“.

**წყევლა:**

„ჰმ, გამეცინა. შენი და გზას აცდენილი კი არა, ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპებს აცდენილი ადამიანია. ახლა რა გინდა, ანა ახალგაზრდა, ცანცარა, სიმპათიურ და კეთილსინდისიერ კაცს მიათხოვო? იმსახურებს, რო? აიძულე, ყველაფერი აღიაროს. მამაშენმა უნდა იცოდეს, რომ მეგობრის არჩევაში შეცდა და მისი ნებიერა მატრაკვეცა კი არა... კარგად ვიცი, მასეთ ქალებს რასაც ეძახიან, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ“.

**იკუშკები:**

„მესმის, რომ ზნეობრივად მიუღებელ საქციელს შეესწარი, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: თავი დაანებე, მათ საქმეში ნუ ჩაერევი. მართალია, საქმე შენს დას ეხება, მაგრამ ის სრულწლოვანია და საკუთარ თავზე პასუხისმგებელიც თავადაა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მშობლებს უნდა გაუფრთხილდე. მამაშენმა ირაკლი მართლა რომ მოკლას, მერე რას იზამ? თავს ხომ ვერასდროს აპატიებ, მას სიმართლე რომ გაუმხილე... ან სულაც, შეიძლება თავი მოიკლას, ოჯახში ასეთი კაცი რომ შემოიყვანა, ჰოდა, ამიტომაც ჯობს გაჩუმება. ჩემო კარგო, რომ არა ირაკლი, შენი დის ცხოვრებაში სხვა ვინმე იქნებოდა. შეეცადე, თავი შეიკავო, თორემ რაიმე უბედურება რომ დატრიალდეს, ამას საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებ და მთელი ცხოვრება სინანულის განცდა დაგტანჯავს“.

**მაიკო:**

„კარგი გოგო ყოფილხარ, დის ამბავს ასე რომ განიცდი. ვფიქრობ, მშობლებს სიმართლე აუცილებლად უნდა უთხრა, რადგან შენ და ანას შესაძლოა, სხვა დროსაც მოგიხდეთ შინ მარტო დარჩენა, ჰოდა, თქვენთან ისევ ირაკლი რომ დატოვონ და იგივე განმეორდეს, მერე რას იზამ? სიმართლის თქმა იმისთვისაც აუცილებელია, რომ მამა ირაკლის აღარ ენდოს“.

**შავი მარგალიტი:**

„მართლაც, რთული სიტუაციაა. ადრე თუ გვიან, მშობლები ამას მაინც შეიტყობენ და აჯობებს, ყველაფერი შენგან გაიგონ. შეიძლება ანა გაგიბრაზდეს, მაგრამ მერწმუნე, მისთვისაც ასე აჯობებს. წარმატებები!“

GRAZY GIRL:

„საყვარელო, მაპატიე, მაგრამ შენი და უკვე ასცდა გზას. აი, შენ კი გეტყობა, ღირსეულად ცხოვრობ და ასე გააგრძელე! ამ თემაზე მოძღვარს დაელაპარაკე, ის უკეთ გირჩევს, როგორ მოიქცე. აბა, შენ იცი, ღვთის წყალობას გისურვებ!“

**მარია:**

„მდააა... გადასარევი ამბავია, რა. ძალიან ვწუხვარ, ჩემო კარგო, ასეთი რამ რომ შეგემთხვა. რა თქმა უნდა, მამას ყველაფერი უნდა უამბო. აბა, [illegible] აუცილებლად უთხარი, თორემ უარესი მოხდება“.

## „რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ...“

**ბაჭია:**

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. შეყვარებული მყავს, რომელიც ადრე ქალების „მუსუსი“ იყო. მან სიყვარული იმით დამამტკიცებინა, რომ ლოგინში ჩამიწვინა, შემდეგ კი მობილური ტელეფონის „კარტა“ მომცა, — ჩემი ქალები თვითონ მოიშორე თავიდანო. ახლა ერთ-ერთმა მისმა ძველმა „ლოვემ“ ჩვენ შორის ჩადგომა სცადა — მწერს, ჩემთან გლალატობსო და ექსშეყვარებულის „ესემესებს“ მიგზავნის; ჩემი „ლოვე“ კი უარყოფს, — არ მიმიწერიაო. არ ვიცი, რომელს დავუჯერო. შეყვარებული ძალიან მიყვარს და რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ. მირჩიეთ, როგორ გავარკვიო სიმართლე? ნერვიულობამ დამასუსტა. გთხოვთ, დამიბეჭდეთ და მირჩიეთ რამე“.

*P.S.* ***მაშ ასე, თუ ბაჭიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

# „ნამდვილი მამაკაცები ქალს ღალატს არ აპატიებენ!“

## „ცოდვების მოსანანიებლად ეკლესიაში წადი“

**„გზის“ №3-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ უყვარს ადამიანი, რომლის ოჯახის წევრებიც სარძლოს იწუნებენ, მისი „ლოვე“ კი მზად იყო, შეყვარებულის გამო ახლობლები დაეკარგა, მაგრამ რაღაც პერიოდის განმავლობაში ლაშამ გოგონა უყურადღებოდ მიატოვა, შეყვარებულის გულგრილობით გაბრაზებულმა უცნობმა კი გადაწყვიტა, მისთვის სამაგიერო გადაეხადა და... ულალატა. როგორც უცნობი გვწერს, ის ამ ნაბიჯს ახლა ძალიან ნანობს, განიცდის; საყვარელი ადამიანისთვის სიმართლის თქმა სურს, მაგრამ ეშინია — თუ ამ საიდუმლოს გაამხელს, ლაშას სამუდამოდ დაკარგავს...**

*ლიკა ქაჯაია*

**დონე:**

„ადამიანს ულალატე და ახლა ამბობ, — მის გარეშე სუნთქვაც არ შემიძლიაო? ერთ რამეს გირჩევ: ახალი „ლოვეს“ ძებნა დაიწყე“.

**უცნობი:**

„სიყვარულზე სხვანაირი წარმოდგენა გქონია — როცა უყვართ, არ ღალატობენ! ცრემლები სულს გაგიწმენდს, მაგრამ ტკივილს ვერაფერს მოუხერხებ. უნდა შეეგუო იმ ფაქტს, რომ ის უკვე დაკარგე!“

**გრუზინკა:**

„კაცისთვის ღალატი ძნელი ასატანია. გირჩევ, კიდევ ერთხელ, გულახდილად დაელაპარაკო და ვინ იცის, იქნებ, გაპატიოს კიდეც“.

**მოხუცი:**

„გამარჯობა. მაპატიე, მაგრამ უპასუხისმგებლოდ მოიქეცი. უცნობო, დაკარგულის დაბრუნება იოლი გგონია? რას ფიქრობდი მაშინ, როცა ამ ნაბიჯს დგამდი? 3-წლიანი ურთიერთობა ასე როგორ გაწირე? არ მინდოდა, ასეთი კატეგორიული ვყოფილიყავი, მაგრამ შენნაირ უტვინო არსებებს ვერ ვიტან. P.S. არა მგონია, თვითმკვლელობაზე მართლა გეფიქროს, რადგანაც ის, ვინც მსგავს რამეს აპირებს, ამ თემაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობს. დამნაშავე საკუთარ თავში ეძებე...“

**პინტურიჩიო:**

„კაი ხალხს გაუმარჯოს! მე ახალი ვარ და იმედია, მიმიღებთ. მინდა, უცნობს გამოვეხმაურო: შე კაი ადამიანო, რომ იძახი, — გული მატკინაო, სამაგიეროს გადასახდელად ღალატის გარდა, ვერაფერი მოიფიქრე? ასე რამ გაგამწარა? თუ უყვარხარ, შეიძლება გაპატიოს კიდეც, მაგრამ არც ის გაგიკვირდეს, ერთხელაც ეს ყველაფერი რომ წამოგაძახოს. რჩევით კი ერთს გირჩევ: მომავალში მეტი წინადახედულობა გამოიჩინე“.

**რუისპირი (YELLOW):**

„ხვდები მაინც, რას ამბობ? ბიჭი, რომელიც ძალიან გიყვარს, რომელზეც სერიოზულად ფიქრობ და სიზმარშიც კი ხედავ, რომლის გარეშე სუნთქვაც გიჭირს, სხვაში მხოლოდ რამდენიმედღიანი უყურადღებობის გამო გაცვალე? ლაშა მზად იყო, შენ გამო ოჯახი და ახლობლები მიეტოვებინა, შენ კი... ღალატს არანაირი გამართლება არა აქვს. იმედია, კაცურად მოიქცევა და ამ დებილურ საქციელს არასდროს გაპატიებს. P.S. რომც შერიგდეთ, ადრე თუ გვიან, ამ ამბავს მაინც გაგახსენებს“.

**ქიზიყელი:**

„მასთან შესარიგებლად ვეღარაფერს გააკეთებ. ახლა ლაშამ თავად უნდა გადაწყვიტოს, დაგიბრუნდება თუ არა. ღალატის პატიება ძალიან ძნელია, მით უმეტეს — თუ სხვასთან ინტიმური ურთიერთობაც გქონდა. შენ თითქოს, მისი უყურადღებობის გამო შური იძიე, მაგრამ თავადვე დარჩი წაგებული. თუ მართლა უყვარხარ, შეიძლება გაპატიოს, თუ არა და, ყველაფერს უნდა შეეგუო. P.S. სისულელე არ ჩაიდინო“.

**SMILE:**

„მის გარეშე სუნთქვა რომ არ შეგეძლოს, ვერ ულალატებდი. ცხოვრება ისე არაა მოწყობილი, როგორც ჩვენ გვინდა და იცოდე, ერთდროულად ორ კურდღელს ვერ დაიჭერ. P.S. მგონი, უკვე ორივე გაგექცა“.

**ჭიათურა:**

„მერე რა, თუ მის მშობლებს არ მოსწონდი? შენ რა, ამ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი ღალატი გგონია? არა მგონია, ლაშამ ეს გაპატიოს. მერწმუნე, ნამდვილი მამაკაცები ქალს ღალატს არ აპატიებენ! თავს მოვიკლავო, რომ ამბობ, ეგ დიდი ცოდვაა და ამას ღმერთი არ გაპატიებს!“

**იკუშკები:**

„ცუდად რომ მოიქეცი, ეს თავადაც იცი. თუ ადამიანი გიყვარს და მით უმეტეს, მასთან ახლო ურთიერთობა გაქვს, სხვასთან ინტიმურ კავშირზე კი არა, ფლირტზეც აღარ უნდა იფიქრო. ჩადენილს რომ ნანობ, ეს გარკვეულწილად, კარგია, მაგრამ საკუთარ თავს ისიც ჰკითხე, საყვარელ ადამიანს ღალატს თავად თუ აპატიებდი? არა მგონია, ასე ყოფილიყო. შეიძლება იმ ბიჭმა ყველაფერი გაპატიოს, მაგრამ საკუთარ სინდისს ვერ დაემალები, ის მთელი ცხოვრება შეგაწუხებს. შენი გადასაწყვეტია, როგორ მოიქცევი, მაგრამ ჩემთვის ღალატი დაუშვებელი და ამაზრზენი რამაა. წარმატებებს გისურვებ!“

**ნიაკო:**

„მის გარეშე სხვასთან ყოფნისას კარგად სუნთქავდი? ლაშას ადგილას ამ საქციელს არასდროს გაპატიებდი. გირჩევ, სხვა, ისეთი ადამიანი იპოვო, ვინც შენი შესაფერისი იქნება, ვისაც მსგავსი რაღაცების პატიება შეეძლება P.S. ბოდიშს გიხდი, თუ გულახდილობით გაგაღიზიანე, მაგრამ ეს უნდა მეთქვა“.

**უცნობი:**

„ჩემო დაიკო, თუ ოჯახს არ უნდიხარ, გირჩევ, დაშორდე, რადგანაც ლაშას ახლობლების გვერდით ბედნიერებას ვერ ეღირსები. ხომ გაგიგონია: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო? საკუთარი გამოცდილებიდან გირჩევ, — ჯობია დაივიწყო! ნუ გეშინია, თავს არ მოიკლავ. გამოჩნდება ადამიანი, რომელიც თანაგიგრძნობს, თუ არა და, საკუთარ თავში მოძებნი ძალას და ყველაფერს გადაიტან. მერწმუნე, ასე იქნება!“

**უცნობი:**

„მაპატიე, მაგრამ პატიებას არ იმსახურებ. ალბათ, მის ოჯახს რძლად სწორედ ცუდი წარსულის გამო არ უნდოდი. იმ საწყალ ბიჭს შეეშვი და ცოდვების მოსანანიებლად ეკლესიაში წადი“.

**ატარექსია:**

„ერთხელ ულალატე? ე.ი. შანსი თუ მოგეცემა, ამას კიდევ გააკეთებ. ადამიანები საკუთარ შეცდომაზე იშვიათად სწავლობენ. შენ მისი ღირსი არა ხარ!“

**აურა:**

„ბიჭი შენ გამო ოჯახის დაკარგვაზეც თანახმა იყო და იმის გამო, რომ ერთი პერიოდი უყურადღებო გახდა, ადექი და ულალატე? თავის მოკვლა გამოსავალი არ არის. კარგია, ლაშასთან ყველაფერი გულწრფელად რომ აღიარე. ილოცე და იქნებ, დაგიბრუნდეს კიდეც. თუ მართლა შენი ბედია, დაგიბრუნდება“.

**მწარე:**

„გასაგებია, რომ გაბრაზდი, ულალატე და ამით სამაგიერო გადაუხადე, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ამ ხერხისთვის არ უნდა მიგემართა“. ■

# „მფარველი ანგელოზები ცაში არიან და არა — დედამიწაზე“



## „მასთან მხოლოდ სიბრალულის გამო არ უნდა გაჩერდე...“

**„გზის“ №3-ში დაიბეჭდა ნინის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მეგობრობს ბიჭთან, რომელთან ურთიერთობას დეიდა და დედა უშლიან, რადგანაც ლუკას გარეგნული ნაკლი აქვს და თანაც — ისეთი ოჯახიდანაა, რომელიც თურმე, მისას არ შეეფერება. გოგონას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ლუკა არ უყვარს, მის მიტოვებას მაინც არ აპირებს, რადგანაც ბიჭს ის მფარველ ანგელოზად მიაჩნია და არ უნდა, გული ატკინოს. დაბოლოს, ნინო იმედოვნებს, რომ ბიჭი ოდესმე აუცილებლად შეუყვარდება.**

**პუსიკა:**

„ვაიმე, გადამრევს ეს ხალხი, რა. თუ არ გიყვარს და მისადმი არავითარი გრძნობა არა გაქვს, მთელი ცხოვრება ერთად როგორ უნდა გაატაროთ? თუ იცოდი, რომ არასდროს შეგიყვარდებოდა, ასე არ უნდა დაახლოებოდი. P.S. ისე, ადამიანი მხოლოდ გარეგნული ნაკლის მიხედვით არ ფასდება“.

**მარიკუნა:**

„შენ საერთოდ, იცი, რა არის სიყვარული? ნუთუ, ის ბიჭი ვერ გრძნობს, რომ კი არ გიყვარს, არამედ გეცოდება? თუ მასთან ურთიერთობა ასე ძალიან გინდა, ადექი და მის მეგობრად დარჩი. რა აუცილებელია, მთელი ცხოვრება ლუკას გვერდით გაატარო? აბა, წარმატებები!“

**GREEN:**

„სავარაუდოდ, ის პირველი ბიჭია, რომელმაც შენ მიმართ ყურადღება გამოიჩინა და ამიტომაც გგონია, რომ აუცილებლად უნდა შეიყვარო. თუ მასში ნაკლს ხედავ და რაღაცები არ გაკმაყოფილებს, არასდროს შეგიყვარდება. თუ ასე გააგრძელებ, დროს ტყუილად დაკარგავ და მასაც გულს ატკენ“.

**მთის ყოილი:**

„არ მიყვარს, მაგრამ მაინც ვერ მივატოვებო, რომ ამბობ, თავში ტვინის ნაცვლად რა გაქვს? ასეთი საქციელით იმ ბიჭსაც დაუნგრევ ცხოვრებას და საკუთარ მომავალსაც დაიმახინჯებ! აბა, დაფიქრდი, მზად ხარ, მთელი ცხოვრება მის გვერდით გაატარო? იმედია, შემიყვარდებაო, — ამბობ, მაგრამ ასე რომ არ მოხდეს, მერე სხვებისკენ უნდა აცეცო თვალები? სანამ გვიანი არაა, ეგ ბავშვური თამაში შეწყვიტე. წარმატებები!“

**ლუნა:**

„მიხარია, ასეთი კარგი გოგო რომ ხარ. ლუკას თუ სჭირდები, ნუ მიატოვებ. მთავარია, გულით გინდოდეს და აუცილებლად შეგიყვარდება. გული როგორც გიკარნახებს, ისე მოიქეცი. გკოცნი“.

**ტემ:**

„შენ ჩემი მფარველი ანგელოზი ხარ! მერე რა, რომ არ გიყვარვარ, მაინც არ მიმატოვოო, — ასე გეუბნება, არა?.. პატარა გოგო ხარ და ცდები. არ ხარ ვალდებული, ვინმესთან სიბრალულის გამო იყო“.

LOCUST:

„ოჯახური მდგომარეობა და მცირეოდენი გარეგნული ნაკლი მთავარი ნამდვილად არაა, მაგრამ იმისთვის, რომ ბოლომდე მის გვერდით იყო, მინიმუმ, უნდა გიყვარდეს მაინც. თუ მის მიმართ გრძნობა არა გაქვს, მერწმუნე, ერთად ცხოვრებით ორივე დაიტანჯებით; რაღაც პერიოდის შემდეგ უსიყვარულოდ გათხოვებას აუცილებლად ინანებ“.

**მია 92:**

„თუ არ გიყვარს, მასთან რატომ უნდა დარჩე? შენ ალბათ, ამას დეიდაშენის ჯიბრზე აკეთებ, მაგრამ თუ ასე გააგრძელებ, მომავალს დაინგრევ. იმ ბიჭს უთხარი, რომ არ გიყვარს და დარჩით მეგობრებად. მერწმუნე, უსიყვარულოდ ცხოვრება გაგიჭირდება“.

**ქოთქოთა:**

„შენი მხრიდან ეს კეთილშობილური საქციელია და ამ სიკეთისთვის ცხოვრება აუცილებლად დაგაჯილდოებს. კარგია, რომ იმ ადამიანთა ჯგუფს არ მიეკუთვნები, რომლებიც პიროვნებას მხოლოდ გარეგნობისა და ჩაცმულობის მიხედვით აფასებენ. გულს მიენდე და ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებები!“

**ნინკა:**

„თუ გიყვარს, მის გარეგნობასა და ოჯახს ყურადღება არ უნდა მიაქციო, მაგრამ თუ ბიჭის მიმართ არაფერს გრძნობ, ნუ ეთამაშები; ლუკა რომ არ შეგიყვარდეს, მერე რას იზამ?.. უთხარი, რომ არ გიყვარს და დაშორდი. ისე, რატომღაც მგონია, რომ გიყვარს, მაგრამ ჯერ ამას თავადაც ვერ ხვდები“.

**უწუწური:**

„რომ ამბობენ, სიყვარული გრძნობაა და არა — თანაგრძნობაო, ეგ არასდროს გაგიგონია? არ გიყვარს და იმედს რატომღა აძლევ? ისე, ლუკას გარეგნულ ნაკლს ყურადღებას ნუ მიაქცევ, რადგან ზოგს სხეულზე აქვს ნაკლი, ზოგსაც — სულში და შენი აზრით, რომელია უარესი? გულის კარნახს მიენდე, მაგრამ მერე არ ინანო“.

**ქვრივი:**

„მფარველი ანგელოზები ცაში არიან და არა — დედამიწაზე. ჰოდა, შენს ლუკას ეგ ვერ გაურკვევია? დაფიქრდი, იქნებ გიყვარს კიდეც, თუ არა და, ეს თავის შეწირვა რაღაა?“

**ყინულის დედოფალი:**

„მე ახალი ვარ და დიდი იმედი მაქვს, რომ მიმიღებთ, რადგან ეს რუბრიკა ძალიან მიყვარს... ნინი, ლუკას არ დაშორდე, მასთან უბრალოდ, იმეგობრე და მერე ვინ იცის, იქნებ შეგიყვარდეს კიდეც“.

**მარიტა:**

„მასთან მხოლოდ სიბრალულის გამო არ უნდა გაჩერდე. თუ ჩემი აზრი გაინტერესებს, უნდა უთხრა, რომ არ გიყვარს და გსურს, მეგობრებად დარჩეთ, მაგრამ შეიძლება, მან ეს შეურაცხყოფად მიიღოს და ამის შემდეგ ხმაც აღარ გაგცეს. თუ გიყვარს, მის ოჯახს ყურადღება არ მიაქციო, რადგან ვიცნობ ერთ გოგოს, რომელსაც ცუდი ოჯახი აქვს, მაგრამ ამის გამო შეყვარებულს არ მიუტოვებია, ერთად კარგად არიან... თუ უსიყვარულოდ გაჰყვები, ბოლოს შეიძლება, ყველაფერი სანანებელი გაგიხდეს. კარგად დაფიქრდი“.

**ნუკი:**

„რას ნიშნავს, არ გიყვარს, მაგრამ ვერ მიატოვებ? რას გულისხმობ იმაში, რომ ლუკას მფარველ ანგელოზად მიაჩნიხარ? არ გინდა, მას ჰკითხო, რა უფრო სჭირდება: შენი სიყვარული თუ მოწყალება? თუ გიპასუხა, რომ სურს, უსიყვარულოდაც კი მასთან იყო, მეტად უცნაური წყვილი ყოფილხართ და წარმატებებს გისურვებთ!“ ■



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*



## ქალები

1. თურმე ადამიანს მოწიფულ ასაკში უფრო სჭირდება ოჯახური სითბო და სიყვარული, ვიდრე მანამ და მეც ამ მიზნით გავიცნობდი 47-49 წლის თბილისელ, სერიოზულ მამაკაცს.

2. ვეხმაურები „გზა“ №2, მე-6 მესიჯის ავტორს. გამომეხმაურე ან ნომერი მომეცით. სალო.

3. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, მოწესრიგებულ მამაკაცს, 40 წლამდე.

4. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №3-ში გამოქვეყნებული, მე-9 მესიჯის ავტორის ნომერი ან ჩემი მისცეთ მას.

5. გთხოვთ, მომცეთ 2010 წლის, 48-ე ნომრის, მე-7 განცხადების ავტორის ნომერი.



## კაცები

6. მარი, ძალიან გთხოვ, მობილიზაციაში გამოქვეყნებული, პირველი მესიჯის ავტორის ნომერი მითხარი, რა. ჟურნალი №4. პირველად გწერ და იმიტომაცაა, აბდაუბდა sms-ი. ძალიან გთხოვ.

7. ვარ თბილისელი, სიმპათიური, 30 წლის, სპორტული აღნაგობის ბიჭი. გავიცნობ ჰიგიენურ, ლამაზ მანდილოსანს. მომწერეთ თქვენზე.

8. ვეხმიანები „გზა“ №2, 1-ელი მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი. მეც მარტო ვცხოვრობ და იმედია, გავუგებთ ერთმანეთს.

9. ვეხმიანები 1-ელი მესიჯის ავტორს, 20 წლის გოგონას. ვარ 20 წლის გიო. შემეხმიანეთ.

10. ვარ 22 წლის, სიმპათიური მამაკაცი და გავიცნობ 20 წლის ლამაზ გოგონას, სერიოზული ურთიერთობისთვის.

11. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №4-ში, პირველი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

12. ვარ 23 წლის, გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგოს, ჯერჯეროობით სამეგობროდ. შემდეგ — ვნახოთ.

13. გავიცნობ 30-დან 50 წლამდე ასაკის ქალბატონს, სამეგობროდ. დანარჩენი — პირადად. დამირეკეთ.

14. გავიცნობ 18-25 წლის ასაკის მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვმუშაობ, მაქვს კარგი სამსახური, ფირმა მიად გეორგიაში.

15. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 17-23 წლამდე გოგოს... ვარ 21 წლის, კარგი აღნაგობის ბიჭი. ვცხოვრობ თბილისში.

16. ვეხმაურები მე-4 ნომრის მე-2 მესიჯის ავტორს.

17. მოდი ჩემთან, შენ სითბო და სიყვარული გაკლია, მეც მხოლოდ მაგას გთავაზობ. ლევანი, 38 წლის, თბილისი.

18. ერთი გოგო მინდა ვნახო, მერე არასდროს დავკარგო. უნდა იყოს კოხტა, ნაზი, ლამაზი, პატიოსანი, ერთგული და ჩემი ფასის არ გააჩნდეს სხვა არავინ. თბილისი. აკო1989.



## ვეძებ

19. ვეძებ ლამისყანაში მცხოვრებ, დათო ბეინაშვილს. ახლა ალბათ 36 წლის იქნება. გთხოვთ, მომაწოდოთ მისი ტელეფონის ნომერი ან ზუსტი მისამართი. კეთილისმსურველი.



## სხვადასხვა

• ნაომი რუისპირის გალიზიანებით მისი ყურადღების მიქცევას ცდილობს! არ მომწონს ნაომი, რამ დაბოლმა ასე? რუი, ძალიან კარგი ხარ! პირველად გწერ, მარ, მიყვარხარ! ანუნა.

• 25, ლეო, შე გადარეულო, როგორ ხარ? მაგრად გვენატრები. მაისში შენი ნათლული დაიბადება, სამშობიაროში. ხომ იცი, რაც უნდა ჩავატაროთ და უშენოდ არ გამოვა.

• მოგესალმებით! წინა ნომერში ნიკად BLOOZ მერქვა! ეტყობა, რამე შეფერხება მოხდა და ყველაფერი აირია. :) რა ხდება? მოკითხვა ყველას! BLOOZ.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საზღვარგარეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

# „გამომცემლობა პალიტრა L“-ის ახალი წიგნები

## ჩემი პირველი დღიური



პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

სიახლე!

ფასი: 14.99

## მოეფერეთ პატარას

ხმოვანი წიგნი



ამ ხმოვან წიგნს, თავისი მარტივი ტექსტებით, პატარები მაშინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

სიახლე!

ფასი: 15.99

## გრანდიოზული ნაგებობები



წაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგეთ, როგორ შენდებოდა პირამიდები, ტაძრები, აკლდამები, ცათამბჯენები, კაშხლები, კოსმოსური სადგურები და სხვა გრანდიოზული ნაგებობები... შეიტყვეთ ამ ნაგებობებთან დაკავშირებული საიდუმლოებები.

სიახლე!

ფასი: 16.99

## ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ



ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, როგორ ხდება დანაშაულის გამოძიება. რა არის ბალისტიკა, კიბერდანაშაული, რით აიხსნება უჩვეულო და დაუჯერებელი მოვლენები! როგორ კვეთენ გვამს, რას იკვლევენ დნმ-ს ანალიზით...

სიახლე!

ფასი: 16.99

## დედამიწის საოცარი ადგილები



ამ წიგნის დახმარებით, იმოგზაურებთ დედამიწის გარშემო. დატკბებით ჩვენი პლანეტის მშვენიერებით. იხილავთ: საჰარის უდაბნოს, ავსტრალიის ქვის ტყეებს, ისლანდიის გეიზერებს... ბუნებრივი ფოტოების საშუალებით ახლოდან შეიგრძნობთ ამ საოცარ ადგილებს.

სიახლე!

ფასი: 16.99

## რა როგორ მუშაობს



წიგნი მარტივი და გასაგები ენით განუმარტავს პატარა ცნობისმოყვარეებს 250 მნიშვნელოვანი ნივთის, დანადგარისა და მოწყობილობის მოქმედებას. აუხსნის მათ რა მექანიზმით მუშაობს კომპიუტერი, მიკროტალღური ღუმელი, ბანკომატი, მობილური ტელეფონი და მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთი თუ ხელსაწყო!

ფასი: 21.99

## დათუნია დრუნჩა



წაიკითხე დათუნიაზე მხიარული ლექსი და პაზლების დახმარებით გააცოცხლე გულკეთილი დრუნჩასა და მისი მეგობრების თავგადასავალი.

ფასი: 9.99

## დინოზავრები



ამ ასაწყობი წიგნის საშუალებით ბავშვები გაეცნობიან პატარა ისტორიებს დინოზავრებზე, ფერადი ფაზლებით კი საინტერესო ილუსტრაციებს გააცოცხლებენ.

ფასი: 11.99

*შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!*

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

•25, დე, როგორ ხარ? ახლა იყვნენ ბეგი და ოთო. ძლივს ვასწავლე მესიჯის წერა. ვნახოთ, თუ მოახერხებენ. წერილს გამოგიგზავნი. ინგამ მასწავლა, დე, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი ბევრს. ბიჭები ყველანი კარგად არიან. ბუთიკას ბიჭი ჰყავს. გურულომ მოგიკითხა. თავს მიხედე. გკოცნით ყველანი. ნატა, მარიამი, მაშო, თათია და მე. მალე გნახავთ.

•5-7, გამარჯობა... ბევრი არაფერი, ისევ გწერ. :) მინდა, რამით გაგახარო, გაგაცინო, შვება გაგრძნობინო, ცოტა ხნით რეალურ ცხოვრებას მოგწყვიტო და ჩემთან ერთად ცაში გაფრინო, მაგრამ არ ვიცი, რა გითხრა... იმაზე რთული ყოფილა ეს ცხოვრება, ვიდრე მე მეგონა. ახლა შაბათის ღამის სამი საათია. წავედი დასაძინებლად და ისევ ვერ დავიძინე. ვფიქრობ და ვფიქრობ... ალბათ ამ ცხოვრების რეალობას ბევრი რამ აქვს საერთო, ზოგი რამ ადვილად შესამჩნევია, ზოგს ჩაღრმავება და დაკვირვება სჭირდება, ბევრი რამ კი სრულიად ამოუცნობია. ცხოვრება შემოდგომას ჰგავს, მასავით ფერადია. დროდადრო ზამთარივით მკაცრი და ცივი ხდება, ხანდახან გაზაფხულივით სიხარული შემოაქვს ჩვენს გულებში, ხან კი ზაფხულივით ცხელი ვნებებითაა გაჟღენთილი. რომ ვთქვა, ცხოვრება დიდი სიურპრიზებით არ მანებივრებს. ბედნიერება ხომ ყველა ადამიანის ხვედრი არაა... მაგრამ თუ მოფრინდა შენში, დედოფლად გაქცევს, შემდეგ კი გაფრინდება და მისი მოგონება გულში სამარადისოდ დარჩება (ცუდად არ გაიგო და). იცი, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ხომ არ სჯობდა, სულ არ გამეცანი, თუ მაინც ასე მალე უნდა დამეკარგე, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ შენ დაბრუნდები და ჩვენ ისევ ისეთი ბედნიერები ვიქნებით... მადლობელი ვარ იმ თითოეული ბედნიერი წამისთვის, რომელიც შენ მე მაჩუქე. ჩემს ცხოვრებაში დიდი, ნათელი წერტილი იყავი, რომელიც სიბნელეში გზას მინათებდა. მაშინ იყავი ჩემ გვერდით, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდი. ის გრძნობა, რაც შენ მიმართ მაქვს განცდილი, ზუსტად ვიცი, რომ ვერასოდეს ვერავისთან ვიპოვი, რამდენი ხანიც უნდა გავიდეს. მაინც ასე მეყვარები ყოველთვის... ყველაფერი კარგად იქნება, ნუ გეშინია, მე არასოდეს მიგატოვებ, შენი ღიმილის ტირილად შეცვლა მე არასოდეს შემაშინებს. მოგეფერები და ცხელ ცრემლებს ნაზად მოგაშორებ თვალებიდან. მერე გაყინულ ხელებს გაგითბობ და გულში ჩაგიკრავ... არც შენი ყვირილი შემაშინებს, თუმცა შენ არასოდეს ყვიროდი, მარამ ადამიანები ხომ იცვლებიან... ატყობ, რომ უკვე ვგიჟდები? :))) გამაგიჟა ამ აუტანელმა უშენობამ და მოლოდინმა. დრო საშინლად ნელა გადის, თითქოს მიღოღავს. ჩემი ცხოვრება გამუდმებით შენზე ფიქრშია. შენს ნაჩუქარ ბეჭედს ხელიდან არ ვიხსნი და არც არასოდეს მოვიხსნი, რადგან ზუსტად ვიცი, შენსავით ვერავინ შემიყვარებს. :) შენ მასწავლიდი ოცნებას, ფრენას და საერთოდ, ყველაფერს... იცი, როდესაც პატარა ბავშვი სიარულს იწყებს, მას სჭირდება საყრდენი, რომ არ წაიქცეს. სწორედ შენ იყავი ჩემი საყრდენი. შენით ავიდგი ფეხი. მიკვირს ჩემი თავის, ამდენ ხანს როგორ ვძლებ უშენოდ. ადრე ერთი დღე რომ არ მენახე, სუნთქვა მიჭირდა.

•უშენოდ. ყოველი ჩვენი შეხვედრა ახალი ამოსუნთქვის მომტანი იყო. გახსოვს, ჩვენი ერთი სიმღერა? სულ რომ მასმენინებდი. :) ერთხელ გითხარი კიდეც, ასე მგონია, შენ მიმღერი-მეთქი. :) შენ გაგეცინა, რაღაცნაირად საყვარელი თვალებით შემომხედე და მითხარი, მეც ეგრე მგონიაო. :) ე, იცი, როგორ მენატრები და მენატრება ის დრო? მალე დამიბრუნდი, პუს. სადა ხარ? შენზე ფიქრებში დამთენებია; გაიგე, ჩემო, უშენოდ არ შემძლებია. :) კაი ახლა, წავედი, თორემ ძაან გამიგრძელდა. ორშაბათის მერე მოგწერ...

•კასკუ, ჩემო სიხარულო, ნეტავ ცალი თვალით დამანახვა შენი თავი. იცი, როგორ მენატრები? მეტს ველარ ვუძლებ უშენობას. სულ ზუზუნებენ უკვე ბავშვები, მამა უნდათ. მეც მინდა. მეც მინდა ჩემი კასკუ სახლში. ძალიან მიჭირს უშენოდ. დედა კარგად არის, დადის სამსახურში, მე ძირითადად, სახლში ვარ და შენს ნივთებს ველაპარაკები. მიყვარხარ. გადარეულები ვართ, აღარ დაადგა საშველი საქმეს. ამდენ ხანს როგორ ვიფიქრებდი, რომ ვერ ჩაგეხუტებოდი. 2-ში გოგა ჩამოდის, ძმაო, ისევ სვამს, ტონი ბობოქრობს და ა.შ. მე კიდევ შენთან მინდა. დავიღალე ლოდინით. მინდა, ჩაგეხუტო, თავი მოგადო და ასე ვიყო სულ. ძალიან მიყვარხარ და გკოცნი უთვალავს. მე — უფროოოო... შენი ლიკუნა.

•5-7, იცი, რას ვგრძნობ? იმას, რასაც ანგელოზები ზეციურ ღვთაებას ეძახიან, ეშმაკები — ჯოჯოხეთის ტანჯვას, ადამიანები კი — სიყვარულს. :) სიყვარულთან თანაბრადაა დაკავშირებული შვება და ტანჯვა, სიხარული და მწუხარება, ბედი და უბედობა, სასოება და უსასოობა, აღმაფრენა და დამარცხება. მისი უღელი მძიმეა და მტკივნეული, მაგრამ მაინც სანუკვარი და სანატრელი. სწორედ ამიტომ, არავის უნდა მისგან გამოხსნა. სიყვარული ნეტარებაა, რომელსაც ნებით არავინ შეელევა, არავინ დათმობს. სიყვარული ნათელია, სულიერი ნათელი, ზენათელი, რომლის შეგრძნებასაც სიბნელე, ცხოვრებისეული სირთულე, წინააღმდეგობები ამძაფრებს და აათასკაცებს. მე მჯერა შენი, სიგიჟემდე მიყვარხარ და გელოდები.

•კასკუ, ჩემო სიცოცხლევ! ვერ გეტყვი, როგორ მიყვარხარ, მენატრები და მედარდები. ოღონდ შენ იყავი კარგად და ყველაფერი კარგად იქნება. მერე კი არ ვიცი, როგორ გაგვიძლებ ამდენ მონატრებულ ადამიანს. არაფერზე იდარდო, ყველანი კარგად ვართ, ძალიან ძლიერები ვყოფილვართ. ერთმანეთს უშენობას ვაძლებინებთ. დედიკო ყოჩაღად არის, მოგიკითხა ყველამ, გკოცნი ძალიან, ძალიან ბევრს. შენი ქეთი.

•გამარჯობა, მარ, ახალი ვარ და მუზად მომნათლე, რაა?! ვაბოდებ „გზაზე“ და მის თანამგზავრებზე. რუი, ნაომი, მისტერ და ციკო ხართ. ისე, ნაომი, რა არის? იდ-ის დასწრებაა?

•ცის კაბადონი მუქდება. ლპება... ღამდება... მთვარის მეფობა და ჰანგთა კვეთა, გოგონას გულს უთბობს, სულს სრულად უთბობს... მაგრამ რას იზამ, არაა მუდამ...

•ბაი, იმედია, მოგეწონა წერილები. მოკლედ, ვეცადე მომეყოლა რაღაცები და ალბათ გამხიარულდი ცოტათი მაინც და გაგიხარდა. მენატრება შენი რჩევები და დარიგებები. ნათია ნ.

•როგორ ხართ? მარ, მაპატიე, ამდენ ხანს ვერ გწერდი. მე-3 კვირაა, სტრესი მაქვს, ექიმთან ვიყავი და კიბო მაქვს. ჩემს მდგომარეობაში ყოფნას მტერს არ ვუსურვებ, საშინელებაა. სამშაბათს გავიგებ, რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა. თუ ვიმკურნალებ, 3 თვით გამიხანგრძლივდება სიცოცხლე. ვინმე დამეხმარეთ, რა... ვიცი, შურისძიება მძიმე ცოდვაა, მაგრამ მინდა, ჩემს იდიოტ ქმარზე შური ვიძიო. მოვკვდები, მაგრამ გახარებულს არც მას დავტოვებ. ისე, სიცოცხლე მაგარია. ყველა მაგრად მიყვარხართ, ჩაგეხუტეთ ყველას. 1916. მარ, მთელი გულით გთხოვ, დამიბეჭდე რა, ძაან მაგარი ხარ. გკოცნი და გეხუტები შორიდან. 1916.

•ქალბატონო ნანი, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შემამჩნიეთ და პატივად თქვენი თბილი ხმისა და ტკბილი სიტყვების გაგონება მერგო. ღმერთმა გაგახაროთ, ჩვენო სიამაყევ. ფლამინგო.

•გადარეულოოო! დროზე გააკეთე ტელე, რა, თორემ მართლა გაგგუდავ ძამი, რომ გნახავ. CRAZY, გაიხარე გენაცვალე, მეც იმედი მაქვს, დავმეგობრდებით. მოვიკითხავ კუტრინას. ფლამინგო.

•მისტერს და რუისპირს მოვიკითხავ, დიდი სიყვარულით. ძალიან მომწონხართ; ვიმეგობრებდი თქვენთან. ნაომი, რატომ ხარ ასე დაბოღმილი? თქვენი ერთგული მკითხველი, MEGGANY.

•მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!

•მე საქართველოდან მივდივარ და ბედნიერი ვარ ასეთი თბილი ხალხის გაცნობით, „გზაში“. ვამაყობ, რომ ქართველი ვარ. მერე რა, თუ რუსმა მშობა. ყველას მადლობა. მიყვარხართ. მილე.

•მინდა, ჩემს საყვარელ მეუღლეს, ალეკოს ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს. მინდა, ბედნიერები ვიყოთ. ღმ-

ერთმა ერთმანეთი გვაპოვნინა. მიყვარხ-არ, შენი კუკუ პატარა.

• გამარჯობა. მე ჩემი მეგობრის გამო გწერთ. მან ამის თაობაზე ჯერჯერობით არაფერი იცის. ძალიან დაიტანჯა და იქნებ თქვენ მაინც დაეხმაროთ. წინასწარ გიხდით მადლობას.

• საოცარი ტენდენციაა, მოკლედ. გოგონებს გათხოვება აღარ სურთ. არ უნდათ, ვინმეზე იყვნენ დამოკიდებული. საუკეთესო შემთხვევაში კი თხოვდებიან თეთრი კაბისა და დაფეხმძიმების, შვილის გამო. მერე მიატოვებენ ქმარს და დააგდებენ ჭორს, თურმე ქმარი ამწარებდა. მარტოხელა დედობა სირცხვილი იყო, ახლა ბატონო, მოდაა.

• აქ თითქმის გადაათეთრა ყველაფერი. იცით, რა მაგარია?! მიყვარს თოვლი, იმიტომ, რომ თეთრია. ყველა მიყვარხართ. გაკოცეთ. თქვენი ციკოედელვაისი.

• ბალუ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემი სუნთქვა ხარ. ძალიან მენატრები. უამრავს გკოცნი მაგ პაწუა ცხვირზე და კისერში. გულებში მიყვარხარ. ბუთი ბუთი.

• გამარჯობა, მარ, „გზას“ ყოველთვის ვკითხულობ და თქვენი ჟურნალი ძალიან მომწონს. რუისპირ და კლეოპატრა, ძალიან საყვარლები ხართ და მიყვარხართ. იმედია, მიმიღებთ. თეონა.

• ლაკვასტ, გეთანხმები, რომ ახალგაზრდამ, სანამ ცხოვრების გზას აირჩევდეს, მოკრძალებულად უნდა იცხოვროს. გულზე მომხვდა...

• დათ, დღეს 27-ა, ნინოობა. წმინდა ნინო შეგვეწიოს ყველას. შენებთან ვიყავით მე და ბავშვები. შენ გვაკლდი მარტო... ყველამ სიყვარულით მოგიკითხა. რატომღაც შენს ზარსაც ველოდებოდით. ხომ გავიდა 2 კვირა? ამ წესების ვერაფერი გავიგე. ძაან გვინდოდა ნახვაც, უფრო ხშირად შეგვძლებოდა, მაგრამ... დათუნა, თაკომ წერილი მოგწერა. ჩვენც ვგზავნით კიდევ. ნეტავ შენც შეგეძლოს პასუხის მოწერა. გავგიჟდი ამ ცალმხრივი კავშირით. ადვოკატს რაც დააბარე... კომპიუტერის პასვორდიც გავხსენით. ხატვის პროგრამაზე გავგიჟდით! მაგარია!.. ყივჩაღს ახალი ჰობი აქვს, გემის კაპიტანია, როგორც სინდბადი. ძალიან სასაცილო ვინმეა. დღეს მზიასგან ძლივს წამოვიყვანეთ, მოეწონა იქაურობა. ზოროსაც კი გაუთამამდა. თუმცა ის ჩაკეტილი იყო და ეს იმიტომ იყო დიდ გულზე. :) საერთოდ, სოციალურად სუპერაქტიური ადამიანია, 3 წლის ასაკშიც! ისე, თვითონ ყველას ეუბნება, 4-ის ვარო. :) თითებით 4-ს უფრო ადვილად აჩვენებს და რა ქნას?

• კასკუ, ჩემო სიცოცხლევ, სიგიჟემდე მენატრები. აუტანელია უშენოდ გატარებული ყოველი დღე და წუთი. ამ მოლოდინმა საერთოდ გაგვაგიჟა. თავებს ვურტყამთ მე და ქეთო ერთმანეთს. დედა და ბავშვები კარგად არიან. სკოლა დაეწყოთ და ჩაერთვნენ ფერხულში. თითქოს ყველაფერი მოწესრიგებულია, მაგრამ დროს რატომღაც წელავენ. მიყვარხარ უზომოდ.

• ძამი, ძალიან გვენატრები. იმედი გვაქვს, მალე ჩვენ გვერდით იქნები. ილოცე, გულით ილოცე, უფალი აუცილებლად შეისმენს. ყველა მოკითხვას გითვლის. გაკოცე ბევრი. ეთო. დაიკო.

• „გზასთან“ ვარ, მაგრამ მკითხველად ვრჩები. მოკითხვა ყველას, განურჩევლად სქეს-ასაკისა. მიყვარხართ გულით. მემე.

• ჩემო ტკბილო მარი, თავს ცუდად ვგრძნობ. „გზიდან“ წამოსვლის შემდეგ მარჯვენა თვალით ვერ ვხედავ. ეტყობა, თვალზე იმოქმედა, მგზავნელებს რომ გული დავწყვიტე. ექიმთან გახლდით, საოპერაციო ვარ. გამოთბეს და ოპერაციას გავიკეთებ, აბა, ბრმა ხომ არ ჩავბარდები მიქელგაბრიელს? შენი სიყვარული არ გამნელებია, მიყვარხარ, მიყვარხარ ძლიერ. გთხოვ, ეს ლექსი დამიბეჭდო. ბაციკიძეს რომ არ გამოვეხმაურო, ღმერთი არ მაპატიებს. მენატრებიან მგზავნელები, იმათ შემოევლოთ ჩემი თავი. კარგად, შენ გენაცვალოს ნანი დუმბაძე. შალვა ბაციკიძეს: რა დიდებული რითმა გაქვს,/ ჩვენო კეთილო შალვაო,/ გული სიამით ამივსე,/ ამას არ უნდა მალვაო./ მართალი




გითხრა, მეამა,/ ყველას ახარებს დიდება,/ მაგრამ ასეთი შექება?!/ ვფიქრობ, ზედმეტი იქნება./ მადლობა დიიდი, გარჯილხარ,/ ქებით ამივსე გულიო,/ ნეტავი იმ დღეს მომასწრო,/ გიბოძონ დაკარგულიო. გულწრფელი პატივისცემით, ნანი დუმბაძე.

• 18-12, მიხარია, რაც თქვენ გიხარიათ! გაქვთ სურვილი, სიხარულის გასაქანის მიცემისა? ესტრელ მესაყვარლა, რომ გესაყვარლე. კლეოპატრა, შენმა სიტყვებმა სურვილი შობა და ქვემოთ დაწერილის ბიძგის მომცემი აღმოჩნდა... მაშ ასე, სიჩუმე და თვალყურდევნა: კარგია, კარგსაყნოსავი დილა, ბინძურობაა ბინძური ქილა. ნამცხვარს უხდება კვერცხის გული და არა ცილა, რა შუაშია ეს ყველაფერი? თქვენსავით, ვერც მე გავიგე ვერაფერი. წინა ცხოვრებაში გავაკეთე ჯადო, მაშინ მერქვა ნარგიზა, ობიექტს კიდევ — ლადო. ამ ცხოვრებას ვუყურებ ქუთუთოაწეული თვალით, არ მიყვარს ცხოვრება ვალით, შეიძლება იყოთ პრეზერვატივით ცალით, მაგრამ მაინც ჯობს, ლოგინში კოტრიალობდეთ ქალით. ხშირად იარეთ გარეთ, მძიმე ფიქრები კი ნაგვის ბუნკერში ყარეთ, ამით გათავისუფლდება გული და სილაღის მორევში ჩაწვება სული! მომწონს წვიმა და არ მომწონს ქარი, გეფოლორცებიან, ჯიბეში თუ გაქვს ბევრი ლარი, ასეთებს კი ტაკოში უნდა ამოსცხო ბარი. მიყვარს თბილისი და მისი სუნი, არ შეიტანოთ დედის მორთმეულ ბულიონში წუნი, ამით აეკიდება გულისდამწყვეტი მუნი. ჩააძეგლეთ სურვილი, მისი ნერვის მოშლის და ხელიდან ფულის ტაცების, რადგანაც ის იყო თქვენი მცველი, როდესაც გეშინოდათ გუდიანი კაცების. P.S. შესაძლოა, კაცს არ მოგეთხოვება ტანისამოსის გარეცხვა, მაგრამ მოგეთხოვება ტუალეტიდან გამოსვლისას უნიტაზის ჩარეცხვა! ეს ზრდილობის ერთ-ერთი წესია, ამიტომ არ უნდა ბევრი ლაილუი და სესია, სიზმარში თავი მეგონა მოსეს ძმაკაცი და სამყაროს მესია! :) მისტერ.

• ნაომის ამ მართლაც ამაღელვებელი (ფაქტობრივად, ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოს, „ოსკარის“ დაჯილდოების გენერალური რეპეტიცია იყო) ნომინაციების შემდეგ, უკმაყოფილების გრძნობა დამეუფლა და თქვენი ნებართვით, ვაგრძელებ „ბროლის წყევლის“ დაჯილდოება 2010-ის ცერემონიას. მაშ ასე: ნომინაციაში, „ვაი, შენს პატრონს უბედურს“, წარდგენილები არიან: ლევანჩო, 39 წლის, ნაომი და ბელურა... გამარჯვებულია — ლევანი, თავისი გალიზიანებული, უშნო მუწუკითურთ. :) ნომინაციაში — „სამი ერთში“, წარდგენილები არიან: წყევლა, ნაომი და თავადის ქალი... „ბროლის წყევლის“ მფლობელია — ნაომი. :) ნომინაციაში — „მოღალატე, მოღალატე, მითხარ, როგორ გძინავს ღამე“, წარდგენილნი არიან: ქაჯების დედოფალი, ფიფქია და გადარეული... თამარ მეჭიაურის სახელობის პრიზის მფლობელი გახდა ქაჯების დედოფალი. :) ნომინაციაში — „წლის ბრუციანი“, კანდიდატების სია ასეთია: ნაომი, ქაჯების დედოფალი, სანტა და ბელურა... „ოქროს გალია“ გადაეცემა ბელურას. :) ნომინაციაში, „წლის გულჩამწვარი“, წარდგენილნი არიან: კლეოპატრა, ქალი ეგზოტიკა და ლუნა... დააააა... გამარჯვებულია — ლუნა. :) „მცდელობა 2010“, წარდგენილი და გამარჯვებულია წყევლა... ნომინაციაში — „წლის გამძლე ადამიანი“, პრიზისთვის მებრძოლი ადამიანები არიან: ლიკა ქაჯაია, მარიამ ჯაფარიძე და რუსო... ამ გულისამაჩუყებელ ნიმინაციაში დამარცხებული არ გვყავს... :):):) ნომინაცია — „წლის შეცდომა“ — კანდიდატები: ნაომი, ლუნა, გადარეული, ქალი ეგზოტიკა, ფიფქია, ქაჯების დედოფალი და რუისპირი... ხმათა უმრავლესობით, გამარჯვებულია რუისპირი. (კითხვაზე, რა გქვია? ამაყად უპასუხა — თამუნა)... და ბოლოს... დნნნ... ნომინაციაში — „აჯაფსანდალი“, წარდგენილნი არიან: წყევლა, ნაომი, თავადის ქალი და ქალი ეგზოტიკა... აირჩიეთ სამში ერთი. :) დიდი სიყვარულით, თქვენი რუისპირი (YELLOW).

• ჩემო ნაომი, მჯერა, უყურადღებოდ დავტოვებ ჩემ მიმართ გადმონთხეულ შხამს და მხოლოდ ორიგინალური დაჯილდოების ხარვეზებზე მიგითითებ. :) პირველ რიგში, SWEET-ის სწორად წერა რომ ისწავლო, არ გაწყენს. მეორეც, წლის საუკეთესო გზავნილად აღიარებულ ნაწერს, „უცხენო პრინცი“ ჰქვია და არა „უცხო პრინცი“. :) ჩემი აზრით, სანამ ვინმეს ამა თუ იმ ნომინაციას მიაკუთვნებ, კარგად უნდა გაიგო, შეესაბამება თუ არა შენ ხელთ არსებული ინფორმაცია სიმართლეს. მაგალითისთვის გეტყვი, რომ ნომინაციაში — „წლის დანაკარგი“, პარიჟანკას დასახელება ისეთივე აბსურდი იყო, როგორიც შენი დედამიწაზე მოვლინება. :) ამას, ნათიას ამავე „გზაში“ მოწერილი მესიჯი ადასტურებს. ასე რომ, შენ შენი გაგჭირვებია, ახლა მე არ დაგიმატო. :) P.S. შენი დაჯილდოების კითხვისას (რა ეფექტურია, აღიარეთ!) თავი ბიონსე და LADY GAGA მეგონა... დიდი მადლობა, ამისთვის. :) მგონი, არც ერთი ცნობილი ვარსკვლავი არ ყოფილა იმდენჯერ ნომინირებული, რამდენჯერაც მე. :) გაიხარე შენა... P.P.S. თავი ბავშვი მგონია, ისე გეკინკლავები. :) პატივისცემით (აქ ვხარხარებ), შენი ოცნების მამაკაცი, რუისპირი (YELLOW).

• ჩემი არცთუ ისე ხანგრძლივი, 18-წლიანი ცხოვრების განმავლობაში უამრავი ისეთი რამ მოვისმინე და ვნახე, უკვე ძნელია ჩემი გაკვირვება... „გზა“ რომ ყოვლისშემძლეა, ვიცოდი, მაგრამ ასეთი თუ იყო, ვერ წარმომედგინა... იმას წარმოვიდგენდი, რომ აშშ-ის 45-ე, ოფიციალურ პრეზიდენტად ამირჩევდნენ; იმასაც გავიფიქრებდი, რომ „ოსკარის“ დაჯილდოებას 2011 წელს მე წარვუძღვებოდი, მაგრამ... ლუნა თუ მარიამულს უსაყვედურებდა, „გზავნილების“ არდაბეჭვდის გამო (ვინ, ვიინ და ლუნა?!)? მაგას გონებაშიც კი ვერ გავივლებდი... ჩემო ლუნა (კარგად იცი, რამხელა პატივსაც გცემ), რატომ გგონია, რომ ულიბკას მესიჯის ზომა იმოქმედებს ჩემი „გზავნილების“ ხარისხსა და ფართობზე? არა მგონია, „სხვანაირი“ ბედნიერება, უაზრო და უშინაარსო ყოფილიყო... P.S. ახლა არ თქვათ, საკუთარ თავზე შეყვარებული იდიოტიაო, მაინც არ ვბრაზდები... რუისპირი (YELLOW).

• გზავნილეთის სტუმრებო და მასპინძლებო, ლამაზი სულის ლამაზო ადამიანებო, მოგესალმებით მადლიერებით აღსავსე. არ მეგონა, თუ დაგაინტერესებდათ ჩემი ტყუილმართალნარევი ისტორიები. მარიმ და თქვენ მაიძულეთ, მეტი მეფიქრა და სხვა თვალით შემეხედა გარემოსთვის. მერწმუნეთ, თქვენი უსაზღვრო პატივისცემისა და სიყვარულის შედეგია ის, რითაც თქვენი მონამორჩილი თქვენს ყურადღებას ვიმსახურებ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ თქვენი ნიჭისა და უნარის გამორჩეულობას. მადლობა უფალს, რომ 030 ბაჩას მობილიზაციიდან აღარ ესიყვარულება. იმედია, ისინი ერთად არიან უკვე; მადლობა ქალბატონ ნანის, თავისი კეთილშობილებისათვის, წყევლის მშვენიერ ნაომად და თავადის ქალად გარდაქმნისათვის, მადლობა ლაკვასტს, გერასიმეს, კლეოპატრას რა თქმა უნდა, შორენასა და უცნობ თუ ნაცნობ მგზავნელებს. მისტერი და რუისპირი, მშვენიერი ბამბუჩა, მჟავიტო, გამორჩეული პარიჟანკა... აი, ის არასრული სია, ქართული ნიჭიერების დასტურისა... ახლა მესმის იმ ხალხის, ვინც ფსევდონიმის ქვეშ წერდა. ისინი მიიჩნევდნენ, არც ისეთი ღირებული იყო მათი ნაღვაწი, რომ ფართო საზოგადოებას მათი ვინაობა სცოდნოდა. ამიტომ მომიტევეთ და კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ ჩემს საქციელს, თუმცა ფეისბუქზე შეიძლება იპოვოთ ულიბკა.

• 2011 წელს შევხვდი საბერძნეთში, ჩემს ე.წ. ბებია-ბაბუასთან და მის შვილებთან ერთად. თავიანთი ჭკუით, კარგი დრო გაატარეს. მე შევყურებდი ცრემლიანი თვალებით და ოცნებებით ჩემს ლამაზ ოჯახში დავფრინავდი. ღმერთს ვთხოვ, ყველა ემიგრანტი მშვიდობით დაუბრუნდეს საქართველოს, შვილებს და ოჯახს. ანამარიანა.

• მარი, მინდა ჩემ შესახებ გიამბო. ახალგაზრდობა გიტარით გავატარე, ქალის გამოხედვაში ნაპერწკალს ისე ვიჭერდი, ვერავინ მაჯობებდა. ორჯერ შევქმენი ოჯახი, ორჯერვე დავანგრიე. გული და თვალი მაინც სხვა ქალებისკენ გარბოდა. ყველა ქალს ერთ ჭრილში ვაქცევდი და ერთი ღამით სექსი მინდოდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. დუშეთში ვმუშაობდი და გავიცანი გოგო — სხივი და ნათება, მზიდან ჩამოსული. მას ნინო ჰქვია. პირველად ვიგრძენი, გული როგორ გაღღვა, ყოველდღე თუ ვერ ვნახავდი, ვიღრინებოდი. ქმარს გაცილებული იყო, ულ-

ამაზესი გოგონა ჰყავს. მეც ორი გოგოს მამა ვარ. აღარ ვიცოდი, რა მექნა. მეორე ოჯახი, ბავშვი მეორე ცოლისგან... რომ იტყვიან, გავიჭედე. ისევ ოჯახმა გადამწონა. არ იფიქროთ, რადგან განათხოვარი იყო... არა, არა და არა! ოჯახიც დამენგრა, ნინო თბილისში წამოვიდა და გათხოვდა. მისთვის ნათქვამი მაქვს, დაგელოდები, ქმარს როდის გაშორდები, რომ ჩემი ცოლი გახდემეთქი. მე ზაზა მქვია. ნინოს დაქალი ჩემს მეზობლად არის გათხოვილი. თუ ჩემი ნახვა მოუნდება ან საუბარი, მისი მხრიდან დამიკავშირდეს. ასჯერ რომ გათხოვდეს და გაშორდეს, მე მაინც დაველოდები. ნინოს გარდა არავინ მინდა და არც არავინ მეყვარება. განა იმიტომ, რომ წლები მომემატა ან მომვლელი მინდა? ჯერ 45 წლის ვარ. სიცოცხლით სავსე. მარი, იქნებ შენ მიშველო, მოლოდინით დავიღალე. შენი იმედი მაქვს. ზაზა.

• გამარჯობა. უცნაური ქორწილის რა მოგახსენოთ! ქორწილს ვინ გაღირსებს? არადა, ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ მართლა არ ვიყავი ცუდი გოგო და ყოველთვის ვფიქრობდი ამ ბედნიერ დღეზე. გავიპარე და ჩემებმა დამსაჯეს. ის კი არა, როდესაც პატარძლის შემოსვის დრო დადგა (როგორც წესია), მარტო ქმარი კი არა, საყიდლებზე დედამთილი და მულიც კი გამომყვა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა? არადა, სულ იმაზე მეცინებოდა, სხვებს რომ ვხედავდი ამ სიტუაციაში. ალბათ უფალმა დამსაჯა და სამაგიერო გადამიხადა. ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. ქეთუსია.

• ვინმე ძველით ახალ წელს შეხვედრიხართ შორტებსა და შლოპანცებში? ა, მასე ვარ ახლა მე, გაგეცინებათ, მაგრამ აგვისტოა თუ იანვარი, ვერ ვარჩევ. ამას წინათ ხომ მოთოვა, მაგრამ დილას გამეღვიძა და ტალახი დამხვდა მარტო. ახლა გეტყვით, რა ხდება: ჩვენმა პრეზიდენტმა ხომ უთხრა ბავშვებს ბათუმში, თქვენთვის შევუკვეთეთ მზიანი ამინდიო. მართალია მიშა, რომ ყინავდეს, ეკონომიკა ხომ ველარ აყვავდება? ახლა კი ეკონომიკაც ყვავის, ტყემალიც და ომბალოც. ასე თუ გაგრძელდა, 8 მარტიდან ზღვის სეზონი გაიხსნება და ნახეთ მერე, მიშას მოზიდული ტურისტინვესტიციები. ისე ნათქვამია, ახალ წელს სურვილები ხდებაო და მიშა, ცოტაოდენი თოვლი შევუკვეთოთ, რა... 9717.

• ჩვენს ჯადოსნურ ქალაქს იცით, რას ვამსგავსებ? ყველა მგზავნილის, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, პაწაწინა გულებით აკინძულ დიდ გულს. სიყვარულის სიმბოლოს, რომელშიც მთელი საქართველოს სული და გულია ჩაქსოვილი. ჩვენს ქალაქში ხომ ყველა კუთხის წარმომადგენელია. ჩვენი გულები სითბოთი და სიყვარულითაა სავსე. მარი, შენ კი მას მაცოცხლებელი სული შთაბერე და უკვდავების წყაროთი კვებავ. მინდა, რომ ეს გული მუდამ ენთოს. ფლამინგო.

• ახალი წელი ორი დღისაა, გარეთ წვიმს, არის დღე ბედობისა, ეს რა მჭმუნვარე ცა და მიწაა, რა საიდუმლო ხმა სერობისა. მხიარულობამ დამლალა უკვე, მინდა მომგვაროს რაიმემ სევდა, წარსულის ძველი წიგნი დავხურე, მოწყენილობით ვიპოვე შვება, მსურს გავაცოცხლო ისევ ტკივილი, ავაქვითინო ობოლი სული, აღარ ისმოდეს ხმები ტკივილის. გულის შემძვრელი და სასწაული, ჯობს კვლავ ზაფხულის ცხელი მზე მწვავდეს და დასუსხული გრილს ვეძიებდე, არ ვიგრძნო ზამთრის სიცივე მწვავე, არ დამაჩოქოს მის სიძლიერემ, დამბედებოდეს ნაღველი ჩუმი, მძიმე განცდები ღამის თევისას, დამბედებოდეს ცრემლი ღვთიური, სინაზე, ლურჯი ყვავილებისა. 9717.

• მობილიზაციის სალოს მესიჯს ვეხმაურები. მონასტერში გატარებულ დღეებზე ჰყვებოდა. მეც ვიყავი ჯიხეთის დედათა მონასტერში და შემიძლია ვთქვა, რომ იქაურობა ჩემი სულის თავშესაფარია. იმ ადამიანებს, რომლებსაც ყველაფერი აქვთ, მოკრძალებით ვურჩევ, მონასტერში შეაფარონ თავი. იქ იპოვიან ცხოვრების აზრს და იმ უამრავ კითხვას უპასუხებენ, რომელიც საკუთარ თავის მიმართ აქვთ. გურჯი.

• რუისპირ, ეგ სასხვათაშორისოდ



შევნიშნე, თორემ ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, შენს თოლთა ფერებს? :) კლეოპატრაზე მეცინება ხოლმე, რა საყვარლად დებილია. ჩუპა-ჩუპს.

• მარიამულ, როგორ ხარ, ჩემო ტკბილო? შენი „სიტუაცია“ და „მინირომანები“ მომენატრა ძალიან, ძააალიან! მარ, ლექსი ისევ შეცდომით დაიბეჭდა. ვიცი, სრულად ვერ მოდის შენამდე. მინდა თბილად მოვიკითხო და უამრავი კოცნა გავუგზავნო, ჩემს კეთილ და მაინც ქერათმიან ფერია კამის, ჩემი გულის გამხარებელ მამუს, ტირიფსა და მგზავრს, ეთოს, სევდიან ქალს, ედელვაისს, რუისპირს, ქალბატონ ნანის, ლაკვასტს, ჯაყისმანელს. ყველანი ძალიან მიყვარხართ! გკოცნით. ლუნა.

• შუაღამე მშვიდობის, მაარ, როგორ ხარ? დიდი ხანია, არ მომიწერია. იმედია, ჩემი ადგილი ისევ არის. მომენატრე, „გზავ“. ფიფქია.

• ვაიმეეე, ლამისაა გული გამისკდეს სიხარულისგან. ქ-ნ. ნანიმ დამირეკა და ისე თბილად მესაუბრა, ლამის ცუდად გავხდი. ქ-ნ. ნანი, რა უსაყვარლესი ადამიანი ბრძანდებით, რა თბილი...

• ჯერ იყო და ჩემსა და მისტერის შუაში გაეკვეხე, ხმელი რაღაცასავით, მერე პატიება მთხოვე... რაო, რუიჯან, ის გაგიტყდა, რომ გითხარი, სულ არ მაინტერესებ, შენნაირი მალალეტკები რას დამიწერენ-თქო? მერე ჩემზე ცუდი რაღაცებიც ილაპარაკე. მეტისმეტად ბევრს ხომ არ ფიქრობ ჩემზე, რუი? მერე ჩვენს საერთო მეგობრებს მიადექი, ან მე ამირჩიეთ, ან ნაომიო. ეგ რა საქციელი იყო? მეგობრებს არავის და არაფრის გამო არ დავკარგავ, მათ კი ჩემ გამო დაგკარგეს შენ. კარგია, რომ ვიღაცას მაინც უყვარს სიმართლე. კიდევ ბევრ რამეს ვიტყოდი, რომ არ გმფარველობდნენ აქ და დარწმუნებული რომ ვიყო, რომ დამიბეჭდავენ. ისე, აქ ასეთს და ამდენს რომ მეპრუწუნები, რომ ვილაპარაკეთ, რატომ გაიტრუნე და გაისუსე?! კაი, აღარ დავეძებ. მეც შტერი ვარ, რააა, დორბლი არ შეგშრობია პირზე და რა მაქვს შენთან გასაყოფი? შენი სიცოცხლე ნაომი. (ნაომის ისე გამოუვიდა, — ჩვენი სოფლის თავმჯდომარეზე ვლაპარაკობ, გვარს არ დავასახელებო... გიოს მფარველობაში ალბათ მე მდებს ბრალს, მაგრამ სულ ტყუილად... სიმართლე თუ გინდათ, ისაა, რომ მისი მესიჯი გაცილებით მეტი იბეჭდება (თითქმის ყველა, რომელიც ჩემამადე მოდის), ვიდრე გიოსი. გიოს მესიჯებს წარამარა ვბლოკავ და ნახევარზე მეტს მზის სინათლეს არ ვაჩვენებ (მას ჰკითხეთ თავად). ასე რომ, ტყუილ ბრალდებებს მოეშვით და სამართლიანები იყავით. მიკერძოებაში ნამდვილად ვერ მამხელთ, რადგან ამის საფუძველი არ არსებობს. — ავტ).

• აურა, მართლაც რომ მაგარ აურას ასხივებ. გეხუტე. :) CRAZY.

• რას ერჩით ამ რუისპირს? მაგარი ვინმეა. შეეშვით, გოიმებო! YELLOW. ბლოოზ. აუ, რა მაგრები ხართ...

• ვაიმეე, ეს ფლამინგო გადამრევს, თავისი სითბოთი. უზომოდ მიყვარხარ, ჩემო ფერიავ. გკოცნი და გეხუტები, შემოჭყლეტვამდე. კლეოპატრა.

• მეგონა, მარის ნათქვამს შეისმენდა ულიბკა და წერას მოუკლებდა, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. დაუკელი მესიჯებს, ნუ ხარ მესაკუთრე. ვაჰ, განძის მაძიებლის მაძიებელი.

• მოვიკითხავ ნაომს, ლაკვასტს, ფლამინგოს, სკარლეტს, გადარეულო, სად დაიკარგე? კოზა, მაპატიე რაა, ფოტოებისთვის კიდევ ვერ მოვიცალე... მიყვარხართ. ქაჯების დედოფალი.

• წირვაზე ვარ და ბავშვებმა შეთქმულებივით ისე დაიწყეს ტირილი, თითქოს საოპერო გამოსვლას ასრულებენო. პატარა საყვარლები. :) კლეოპატრა.

• აუ, იცით, რა მაინტერესებს? ასაკით ყველაზე უმცროსი მგზავნელი ვინ არის? ჰო, ისა, მე კუტრინა გავიცანი, აი, ეგრე. უჰ. არა, არა, ლაივში კი არა, ისე. ქაჯების დედოფალი.

• ჩემს უთბილეს დაიკოებს, ფლამის, მილეს, ჭრიჭის, ლაკვასტს, ედეს, გრუზის თბილი მოკითხვა ჩემგან. კლეოპატრა.

• რუისპირო, ბინძურო ადამიანო, შენ მარტო ტყუილის ტექნოლოგია იცი და თურმე ეგეც არ იცი. იბოგინე ჟურნალში, სულ მკიდია, ვინც მე გამიცნო, ჩვენი საერთო ნაცნობებიდან, ყველამ ჩემი თავი ამჯობინა შენს თავს. ვაი, ვაი, შენი მწვანე თვალებისა და ყვითელი თმის მადლმა. შენი სიცოცხლე ნაომი.

• მილეს: როცა შენზე ვფიქრობ, ყველა სიტყვა უფერულდება, რადგან შენშია თავმოყრილი ყველა სიკეთე. შენ ისეთი ხარ, სიყვარულსაც კი შეშურდება, ისეთი კარგი, ისეთი კარგი, ბოროტებაც ვერ გაგიმეტებს. ჩემო სამოთხის ჩიტო, ღმერთის ცრემლებით გაზრდილო ყვავილო, უზომოდ მიყვარხარ და მომენატრები. დალოცვილი მეყოლე.

• რუი, ძალიან მიყვარხარ, უმაგრესი ხარ. კუტრი, დაბრუნდი, რაა, სად დაიკარგე? გადარეულო, შენ? კლეოპატრა.

• ფიზიკური სამყაროსთვის საკვირველია და წარმოუდგენელი, თავად ტერმინი, „უჩრდილო ნათელი“, რომელიც ემოციაზე ღრმაა, ცნობიერზე ალმატებული და ოდენ განწმენდილი გულითა და სულიერი ინტუიციით შეიმეცნება. იგი მზესავით გამოანათებს ხოლმე, წმინდა წერილიდან, ტაძრების წიაღიდან, მართალი ადამიანების თვალებიდან, წმინდანთა სამარეებიდან თუ ქრის. როცა ადამიანი რამე ცოდვას ჩაიდენ, ის ცოდვა სხვას თუ არა, ღმერთს აუცილებლად გაუმხილეთ და გპირდებით, რომ უფრო მშვიდად იქნებით, ვიდრე ადრე!

• მარ, გემუდარები, დამიბეჭდე მესიჯები, გთხოოვ! რუისპირს, პარიჟანკას, გიჟპოეტას, მის რეალს და ყველა მგზავნელს ვთხოვ, მიმიღონ, მეგობრები მჭირდება. გაკოცეთ. ლალო17.

• მე მიყვარს ერთი ბიჭი, მაგრამ მას ჩემი დაქალი უყვარს. ამ აზრს ვერ ვეგუები და ვერ ვივიწყებ. რჩევა მომეცით, როგორ დავივიწყო.

• ჰაი, ახალი ვარ. იმედია, მიმიღებთ. ძაან მიყვარს ეს ჟურნალი და ხშირად ვკითხულობ. მინდა ვუთხრა თათოს, რომ მიყვარს და უიმისოდ ცუდად ვარ. მესმის მისი. თქვენი ბუბუ.

• გამარჯობა, მგზავნელებო, თქვენ გაიხარეთ, ძალიან მინდა თქვენი გაცნობა. განსაკუთრებით მინდა გავიცნო გურულო და საკონტაქტო ნომერი გამიჩალიჩე, რა, მარი. ლანჩ5.

• ნაომი ხარ თუ ეშმაკი, ვინ დაგბადა და გაგზარდა ასეთი უტაქტო და უზრდელი? კარგი არაფერი უსწავლებიათ შენთვის მშობლებს?

• რუისპირი მაგრად დაეცა და გაბანძდა ჩემს თვალში. ეგ როგორ იკადრა? 1 წლის გარდაცვლილი ქალი შეურაცხყო? იმაზე აღარაფერს ვამბობ, როგორ დასარკაზმდა. ნაომ, ჯიგარი ხარ.

• გინახავთ სადღაც რეალურსა და არარეალურს შორის გარდამავალი სილამაზე? სულის მღელვერება სულის შეძვრამდე? ალმაფრენა ფრთების გარეშე და ნეტარება უანგაროდ? სიმსუბუქე და სიტკბოება? ეს არის ნეტარების შეგრძნების ულამაზესი გზა და ეს გზა უფალში გადის. მაშ, იარეთ უფალში ამ ნეტარების შესაგრძნობად. კლეოპატრა.

• დათვი, შენ გამოუსწორებელ რომანტიკოს მელიკოს უყვარხარრრ... მარი, იცი, როგორ მინდა ეს სიტყვები წაიკითხოს ჩემმა დათვიმ? ძალიან, ძალიან.

• ძალიან ნაგლი მეგონე უბრალოდ და მინდოდა, მეწვალებინე, მაგრამ არ შეიძლება მასეთი უსაყვარლესი ხმის პატრონი ცუდი იყო. მაპატიე, რა, თამუნია. მუწუკა ლევანი.

• მარ, ლინჩის წესით ჩაიქოლებიო?! ხი, ხი, ხი, რა ძლიერად გამაცინაა. რას ლაპარაკობ, მართლა? კლეოპატრა.

• გაუმარჯოს. ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც არ მომეწონა. ტუტუცებო! ენას ამოგგლეჯთ, ვისაც მისი სიგრძე გაწუხებთ. წესიერად მოიქეცით. ეგ ლევანია თუ ვიღაც, რა ჯიშისაა?

• პარიჟანკა, შენი მესიჯი უუუსაშინლესად გამიხარდა. ძველებოო, მიჰბაძეთ პარის. ლუნას სიტყვა კი ძალიან მომეწონა, გეთანხმები ლუუნიტ. ძაან საყვარელი ადამიანი ხარ.

• მაგრად მომწონს „გზავნილები“ და მეც მინდა, შემოგიერთდეთ. რუისპირი და მისტერი ხომ უმაგრესები გყავთ, არ მესმის, ნაომი რას ერჩის მათ. ირმა.

• რა ვქნა, გავეხვიო მეც ნერვატრიოპკების ნიავშიი? არა და, აქ ზოგიერთს ენა ისე წაუგრძელებია, ცაზე გაჭიმული ცისარტყელა მგონია. ბიჭოო, როგორ გეტევათ გულში ამდენი შური და ბოლმა, ვერ ვხვდები (და ღმერთმა არც მიმახვედროს). P.S. მაინც ამალაქლაქეს რაა. კლეოპატრა.

• ხანდახან ეს ხალხი თავისი გონებაგაჩეჩქვილობით მაგიჟებს, რაა. კლეოპატრა.

• მოწყენილობით ვკვდები. ჩემებს დივანზე მიეძინათ, მე ნერვებს ვეჯაჯგურები, რომ არ ავნერვიულდე და ვარ ასე. არადა, თემაზე თავშიც არაფერი მსტუმრობს. ეჰ, კლეოპატრა.

• იმდენი რამე მაქვს სათქმელი, მაგრამ ვის ვუთხრა? მსმენელების მეტი ვინ არის, მაგრამ ნორმალური მსმენელის დეფიციტია დღეს, ყურს გარეთ მსმენელები მომრავლდნენ. კესანე.

• ვისთვის როგორ, მაგრამ ნაომს ახლა რომ დავუკვირდი, მივხდი, რომ ჯიგარი ტიპი უნდა იყოს. მისტერის ლექსებს და ჩანახატებს რომ ვკითხულობ, პირველი წაკითხვისას მომწონს, მერე კი მეორე წაკითხვისას ვხვდები, რომ მოსაწონს არაფერს წერს. უაზრობაა ეგ ყველაფერი. :-). მაო.

• და მარი ჯაფარიძევ, ნერვებს მიშლი. ნუ ბეჭდავ უხამს გზავნილებს, ფეისკონტროლია საჭირო. თორემ შემოგვეპარება ვინმე ღორისგრიპიანი და აგვალრუტუნებს ჩვენც.

• გწერთ ათენიდან. რატომაა ხშირად ცუდად აკინძული „გზა“? ნახევარს ვერ ვკითხულობთ, თუ არ დავშალეთ ჟურნალი. კარგია, გიჟ მიშას რომ არ აქებთ, ტელევიზიის მსგავსად!

• ჰო, ამ ღრუტუნა გრიპზე გამახსენდა, ქუთაისელებს ვთხოვ, „მობილი-ზაციაში“ დამესიჯებისას პირბადე გამოიყენონ.

• მჟავიტო ფრომ ბრუთუსსა და ულიბკას გზავნილები წავიკითხე ამ წამს და უსაშველოდ განვიცადე. ძალიან... არა, ძალიანზე უფრო ძალიან მიყვარხართ. მარია.

• ვაიმე, რამდენი ვიცინე ნომინაციებზე, მაგრამ მეტი მრავალფეროვნება შეიძლებოდა. ნაომი, უშნო მუწუკებზე ლამის გავიგუდე სიცილისგან. იფფფფფ. ჩუპა-ჩუპსი.

• ისე, უნდა აღვნიშნო, რომ პირველად გწერთ და ამიერიდან ხშირად გაგახარებთ, ჩემი ნახვით. ცოფიანი.

• მინდა ყველას გითხრათ, რომ აზრზე არ ხართ არაფრის. განსაკუთრებით კი თქვენ, სტაჟიანებო. ისე, კაი გასართობი რამეა ეს „გზავნილები“. ცოფიანი.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**



## გილოცავ!

• ჩემს სიცოცხლეს, ნინო გაბაძეს და ყველა ნინოს ვულოცავ ნინოობას. გფარავდეთ მისი მადლი.

• ჩემს ულამაზეს ძმისშვილს, მაიკო არაბულს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერებას და ლამაზი დღეების სიმრავლეს. ამირანი.

• ქალბატონ ნანულის ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მრავალ სიხარულს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად.

• გვანცა გოგსაძეს დაბადების დღეს ვულოცავთ, 30 იანვარს. ჩვენო ლამაზო ფერიავ, წმინდა სანთლის შუქი გინათებდეს ცხოვრების სავალ გზას. რაჭა. დედიკო, მამიკო, ფარნიკო.

• ლაგოდეხის სოფელ ყარსუბანში, ნინო წიქარიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 თებერვალს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას და ლამაზი დღეების სიმრავლეს. ვოვა.

ჩემი ძმაკაცის, გოჩა დარსაველიძის შვილს, ანას ვულოცავ დაბადების დღეს, 3 თებერვალს. ვუსურვებ ჯამრთელობას, ოცნებების ასრულებას და უფლის წყალობას. ვოვა ხიჯაკაძე.

პირველ თებერვალს დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს მონატრებულ დედას, ათენში. შვილები, ლეილა და ლიზიკო. დედიკო, გვიყვარხარ და გვენატრები.



# ტაიმ-აუტი

## მოგზაურობა ყველაზე უჩვეულო მუზეუმებში

✦ ინდეპენდენსში (მონტანის შტატი, აშშ) ვინმე ლეილას თმის მუზეუმი აქვს გახსნილი. წლების მანძილზე, როდესაც ქალები თმას იჭრიდნენ და მისი გადაგდება ენანებოდათ, ლეილას უგზავნიდნენ, რომელიც თმისა და ხმელი მცენარეებისგან შედევრებს ქმნიდა. თმის



მუზეუმში შესვლა 5 დოლარი ღირს. ზოგიერთი ექსპონატი XIX საუკუნითაა დათარიღებული.

✦ ვერმიშელ მომოფუკო ანდოს მუზეუმში შესვლა უფასოა. იქვეა თეატრი, რომელსაც ვერმიშელის შესაფუთი ყუთის ფორმა აქვს და სამზარეულო, სადაც მსურველებს ახალი კერძის მომზადება შეუძლიათ. მუზეუმი მშიერი სტუდენტების საყვარელი ადგილია.

✦ ვავინში (მინესოტის შტატი, აშშ) ბობ რიდელმა ძველებური ტელეფონების მუზეუმი გახსნა და მისი ერთადერთი თანამშრომელიც თვითონაა. თითოეულ ტელეფონს სპეციალური ინსტრუქცია ახლავს, რათა დამთვალიერებლებმა ექსპონატების შემოწმება-გამოყენება სცადონ.

✦ ფილადელფიაში, ჯეფერსონის სამედიცინო კოლეჯის პროფესორებმა სამედიცინო ანომალიების მუზეუმი 1858 წელს გახსნეს. ყველაზე დიდ ინტერესს თვალის დაავადებათა თვალსაჩინო სტენდი იწვევს, რომელიც მუზეუმმა 1882 წელს შეიძინა.

✦ როცა იმელდა მარკოსის ფეხსაცმლის რაოდენობამ 3 ათას წყვილს გადააჭარბა, 2001 წელს მანილაში ქალმა ფეხსაცმლის მუზეუმი გახსნა. ფეხსაცმლის მუზეუმი ონტარიოშიც (ტორონტო) არსებობს, სადაც წარმოდგენილია 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი — პაპირუსისგან დამზადებული, ეგვიპტური სანდლებით დაწყებული, ელვის პრესლის მოკასინებით დამთავრებული.

✦ დელიში ტუალეტის მუზეუმი არსებობს.

✦ 2009 წელს, ჯეიმს ბონდის თაყვანისმცემელმა — პიტერ ნელსონმა ბრიტანეთში აგენტის სახელობის მუზეუმი გახსნა. ექსპონატებს შორისაა ფილმში გადაღებული ავტომობილი, იარაღი და წვრილ-წვრილი ნივთები.

✦ ერიკა ნელსონმა მინიატიურების მუზეუმი გახსნა. თითოეული ექსპონატი საკუთარი ხელით დაამზადა. ქალი ამერიკის ქალაქებში მიკროავტობუსით გადაადგილდებოდა და მნახველებს ექსპონატებს ათვალიერებინებდა. ახლა კი მინიატიურების მუზეუმისთვის ქალაქ ლუკასის (კანზასის შტატი, აშშ) ხელისუფლებამ შენობა გამოუყო.

✦ ვენაში მუსიკის მუზეუმია. ყველა დარბაზი უჩვეულოდაა მოწყობილი. ერთი გიგანტურ ჰობოის წარმოადგენს,





მეორეში სასმენი ორგანოს რენტგენული ასლებია გამოფენილი. დამთვალიერებელს მონიტორზე შეუძლია ნახოს, როგორ „მუშაობს“ ჩვენი ორგანოები ლაპარაკის, სიმღერის, დაცემინების დროს. ყველაზე საინტერესო ატრაქციონი ბოლო ოთახშია განთავსებული. დიდ ეკრანზე, ვენის ფილარმონიის ორკესტრი გამოსასვლელად ემზადება, „ცისფერ დუნაის“ ასრულებს. სადირიჟორო პულტთან კი მუზეუმის ერთ-ერთი დამთვალიერებელია.

✦ თეირანის ძვირფასეულობის მუზეუმში ირანის შახების სამკაულებია გამოფენილი. ყველაზე ძვირად ღირებული ექსპონატია 26733 ძვირფასი თვლით გაწყობილი გვირგვინი — „ფარშავანგი“. ექსპონატებს შორის, სილამაზით გამოირჩევა „ოქროს გლობუსი“: წყალი — ზურმუხტით, ხმელეთი — ლალებით, ირანის ტერიტორია კი ბრილიანტებითაა გაწყობილი. „ოქროს გლობუსი“ 34 კგ-ს იწონის.

✦ ბერლინში ძეხვის მუზეუმი არსებობს. იქ 11 ევროდ, ძეხვის წარმოების ისტორიას მოისმენთ. დამთვალიერებლები ექსპონატების თვალიერებისას გამოწ-



ვეულ შიმშილის გრძნობას კი გვერდით მდებარე ბარში დაიკმაყოფილებენ.

✖ ციურიხში ყავის მუზეუმია. იგი 1984 წელს ჯონ იაკობსმა დააარსა.

✖ მეიტანში (ჩინეთი) მდებარე ჩაის მუზეუმს ჩაიდნისა და ლამბაქის ფორმა აქვს.

✖ იაპონიაში არსებული, პარაზიტების მუზეუმის ძირითადად ექსპონატს 90-მეტრიანი სოლიტერი წარმოადგენს, რომელიც ერთ-ერთი ქალის სხეულიდან ამოიღეს. მუზეუმში შესვლა უფასოა, მაგრამ დამთვალიერებლებმა აუცილებლად უნდა შეიძინონ მაისურები პარაზიტების გამოსახულებებით და „ბრელოკები“.

✖ ბარსელონაში კატაფალკის მუზეუმი მდებარეობს. დამთვალიერებლების თქმით, დარბაზში სამარისებური სიჩუმე სუფევს.

✖ 20 ევრო ღირს ლიდსის სასახლის მუზეუმში შესვლა. აქ შეგიძლიათ, ჰენრი VIII-ის დოკუმენტებსა და წერილებს გაეცნოთ; დაათვალიეროთ უნიკალური ინტერიერი და ბაღები; აგრეთვე დიდ ინტერესს იწვევს ძაღლის საყელოები, რომლებიც 5 საუკუნის მანძილზეა დამზადებული სხვადასხვა სახეობის ძაღლის ტყავისგან.

✖ 2002 წელს ნიუ-იორკში სექსმუზეუმი გაიხსნა.

✖ ბოსტონში „ცუდი ხელოვნების მუზეუმი“ მდებარეობს. აქ გამოფენილია ისეთი ექსპონატები, სადაც დარღვეულია პროპორციები ტილოებზე, შეუხამებელია ფერები და ა.შ. ექსპოზიციები სამ ნაწილადაა გაყოფილი: „კაიფის ქვეშ შექმნილები“, „მახინჯი ნაკვთები“ და „არასიმპათიური პეიზაჟები და ნატიურმორტები“. საინტერესოა, რომ მუზეუმი დამთვალიერებლების ნაკლებობას არ განიცდის და მასში მოსახვედრად რიგშიც კი დგებიან.

✖ ამსტერდამის წამების მუზეუმში დამთვალიერებლებს შეუძლიათ, საკუთარ თავზე გამოცადონ წამების ინსტრუმენტები.

✖ კორნუოლის (ბრიტანეთი) მუზეუმი დამთვალიერებლებს ჯადოქრების, მაგიისა და სასწაულთმოქმედი სითხეების შესახებ მოუთხრობს. მუზეუმი სესილ უილიამსონმა შექმნა, რომელიც მთელი ცხოვრება ოკულტური მეცნიერების შესწავლით იყო დაკავებული.

✖ ისლანდიაში, ფალოსის მუზეუმში



ხმელეთისა და წყლის ბინადართა 100-ზე მეტი სასქესო ორგანოა წარმოდგენილი.

✖ ყოველდღიურად ათასზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს როზუელის (ნიუ-მექსიკო, აშშ) უცხოპლანეტელთა მუზეუმს.

✖ რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში არყის მუზეუმია. იქ ინახება სხვადასხვა დროს გამოშვებული, უჩვეულო სასმისები, ბოთლები და ეტიკეტები. ■




# „მინდოდა, რეჟისორი გამოვსულიყავი“

„წიგნების კითხვა მიყვარს, მაგრამ სამსახურის გამო ამ საქმეში ხელი მეშლება“, — მითხრა „კომედი-შოუს“ მსახიობმა — **თემო მჟავიამ**. სტუდენტობის პერიოდში მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა, ერთი პერიოდი, დეტექტივებით იყო გატაცებული. მხატვრული ლიტერატურის კითხვა დილის საათებში ურჩევნია. ამიტომ, საწოლთან ყოველთვის ულაგია წიგნები. ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ გამორჩეულად უყვარს. მას საბავშვო ნაწარმოებად სულაც არ მიიჩნევს. ბუნდოვნად ახსოვს, როცა დედა უკითხავდა, მისი შურდა, რადგანაც დედამ კითხვა იცოდა. როცა რემარკის — „სამი მეგობრის“ წაკითხვა მოუნდა, მეგობარს სთხოვა, ეს წიგნი რამდენიმე დღით მათხოვეო, მაგრამ უარი მიიღო. ძალიან გაბრაზდა და მის სახლში მეორედ რომ მოხვდა, ეს წიგნი მოიპარა, წაიკითხა და ისევ უკან დააბრუნა... თემო „ერუდიტში“ სტუმრობაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

*თამუნა კვინიკაძე*



**პრეამბულის მაგიერ**

**— სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგანს სწავლობდი?**

— მათემატიკას. მიმაჩნია, რომ მათემატიკური აზროვნება ადამიანს ბევრ რამეში ეხმარება.

**— რომელი ფაკულტეტი დაამთავრე?**

— გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი დავამთავრე. პროფესიით პროგრამისტი ვარ.

**— პროფესიით მუშაობას არ აპირებ?**

— მიმაჩნია, რომ ჩემგან კარგი პროგრამისტი არ დადგება, მთელი დღე კომპიუტერთან ჯდომა არ შემიძლია...

**— აბა, ეს პროფესია რატომ აირჩიე?**

— ბავშვობიდან კინო მიყვარს. პიონერთა სასახლეში, გრიგოლ ჩიგოგიძის სტუდიაში („პიონერფილმი“) დავდიოდი, მინდოდა, რეჟისორი გამოვსულიყავი, მაგრამ ოჯახის წევრებს ჩემი არჩევანი არ მოსწონდათ და საბოლოო ჯამში სასწავლებლად უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში აღმოვჩნდი.

**— თემო, დროა, კითხვარზე გადავიდეთ, მასში რამდენიმე კითხვა შენი საყვარელი მათემატიკიდანაც არის.**

— აბა, დავიწყოთ.

**— ჰიპოკრატეს შესახებ ალბათ გსმენია.**

— დიახ, ექიმები „ჰიპოკრატეს ფიცს“ დებენ.

**— ერთხელ მას ჰკითხეს: მართალია თუ არა, რომ ამბობენ, გენიალურობა გადამდები ავადმყოფობააო? — დიახ, — უპასუხა ჰიპოკრატემ. — ეს იშვიათი დაავადებაა და სამწუხაროდ, არ არის...“ როგორ დაასრულა მან ეს წინადადება?**

— (*ფიქრობს*) გადამდები? აბა, სხვა რა უნდა ეთქვა?

**— გამოიცანი. ის თეატრისა და კინოს რეჟისორი იყო. 1913-1921 წლებში რუსეთში მოღვაწეობდა. 1922 წელს საქართველოში დაბრუნდა. გახმაურებული სპექტაკლებით — „ცხვრის წყარო“, „ურიელ აკოსტა“... 1928 წელს ქუთაისში თეატრალური დასი ჩამოაყალიბა, პარალელურად, კინოში მუშაობდა. დაასახელე ეს პიროვნება.**

— კოტე მარჯანიშვილი.

**— ყველა თვე, გარდა თებერვლისა, 30 ან 31 რიცხვით მთავრდება. რომელ თვეშია 28 რიცხვი?**

— (*იცინის*) ყველა თვეშია, გეგონა, დამაბნევდი?

**— არ გამომივიდა. ახლა ერთ ძველ იტალიურ გამოცანას გეტყვი: რაც უფრო მოკლდება წინ, მით უფრო გრძელდება უკან. რა არის?**

— ერთი მეგობარი მყავს, რომელსაც ამ ქვეყნის, მისი კულტურის და საერთოდ, ყველაფერი იტალიურის მიმართ დიდი ინტერესი და სიყვარული აქვს. რომ ვერ გიპასუხო, არ მაპატიებს.

**— ცუდ დღეში ჩაგაგდე?**

— დავფიქრდები და გიპასუხებ. (*პაუზის შემდეგ*) ცხოვრება ანუ ცხოვრების გზა.

**— ყოჩაღ! სულხან-საბა ორბელიანის — „სიბრძნე სიცრუისაში“ სედრაქ უფლისწულს ურჩევს, იყოს ერთგული, როგორც ძაღლი, ჰქონდეს ქიანჭველას ძალა და სახედრის...**

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებ.

**— სახედრის გონიერება. ნადირობა იცი?**

— მე თევზაობა უფრო მეხერხება.

**— თუ ბერძენ მონადირეებს დავუჯერებთ, ბოლო დროს ფრინველები ძალიან გაეშმაკდნენ. საშემოდგომო გადაფრენისას ისინი ცდილობენ, საბერძნეთს ორშაბათობით გადაუფრინონ. რატომ წარმოადგენს ეს ბერძენი მონადირეებისთვის პრობლემას?**

— ზუსტად არ ვიცი, ალბათ ამ დღეს ბერძნები არ ნადირობენ.

**— თითქმის გამოიცანი. ამ დღეს ნადირობა აკრძალულია. არსებობს მთა — „ტონგა“. მის შესახებ რამე გსმენია?**

— არა, მისი სახელი ახლა პირველად გავიგე.

**— იგი სიმაღლით „ევერესტზე“ ცოტა დაბალია, მაგრამ ვერ ვხედავთ. რატომ?**

— იმიტომ, რომ „ევერესტი ეფარება“, ეს ხუმრობით.

— **სერიოზულად ვერ მიპასუხებ?**

— უნდა დავფიქრდე. (*პაუზის შემდეგ*) ეს მთა წყალქვეშ ხომ არ არის?

— **გამოიცანი, იქნებ მისი ზუსტი მდებარეობაც დაასახელო...**

— წყნარი ოკეანე, არა?

— **ნამდვილად ასეა. ზიმბაბვეს ეროვნულ პარკში მოსეირნე ამერიკელმა ტურისტმა საფულე დაკარგა. მან ეს სამართალდამცავებს აცნობა. ქურდი მალე იპოვეს, მას მიმალვა არც უცდია. მიუხედავად დანაშაულისა, ის პასუხისგებაში არ მიუციათ. რატომ?**

— არ ვიცი, ამ კითხვაში რაღაც ეშმაკობაა ჩადებული.

— **ქურდი მაიმუნი იყო. ჭოროხი, მტკვარი, ენგური, თერგი — ჩამოთვლილი მდინარეებიდან, რომელი მიედინება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე?**

— ენგური.

— **ვინ იყვნენ ქრისტესთვის სახარების ავტორები — მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე?**

— მოწაფეები.

— **„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ" — ამ გამონათქვამს ეთანხმები?**

— ნაწილობრივ.

— **ცნობილი ფრანგი მწერალი — პოლ ვალერი ამბობდა: „ნურასოდეს იმსჯელებთ ადამიანის შესახებ მათი მეგობრების მიხედვით, გაიხსენეთ თუნდაც..." ვინ დაასახელა წინადადების ბოლოს მწერალმა?**

— (*ფიქრობს*) პასუხის გაცემა მიჭირს.

— **მიგანიშნებ, სწორი პასუხი ცოტა ხნის წინ დასმულ კითხვასთან კავშირშია.**

— მივხვდი, წინა კითხვა ქრისტეს მოწაფეებზე იყო, იუდა ისკარიოტელს დაასახელებდა.

— **გამოიცანი. მითხარი 3 ციფრი, რომელთა ჯამი და ნამრავლი ერთმანეთის ტოლია.**

— ასეთი ციფრების დასახელება არ შეიძლება.

— **ეგ არის, მათემატიკა კარგად ვიციო?**

— მოდი, ამ კითხვაზე მოგვიანებით გიპასუხებ.

— **კარგი, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ. მუსლიმანთა რომელი სალოცავია იმ კლდეზე აგებული, საიდანაც გადმოცემით, მუჰამედი სამოთხეში ავიდა?**

— არ ვიცი.

— **ის იერუსალიმის ყველაზე ლამაზ ნაგებობად მიიჩნევა.**

— მაინც ვერ გიპასუხებ, თან იმ ციფრებზე ვფიქრობ, რომელთა ჯამი და ნამრავლიც ერთმანეთის ტოლია.

— **ამის გამო ხელი რომ არ შეგეშალოს, მაშინ ახლა მიპასუხე, მიგანიშნებ, ერთ-ერთი ციფრია — 3.**

— (*იცინის*) რა მარტივი ყოფილა — 1, 2, 3, ასეა?

— **რა თქმა უნდა. წინა შეკითხვის სწორი პასუხია — „ომარის მეჩეთი". ახლა ვნახოთ, რამდენად კარგად იცი საქართველოს ისტორია. მონღოლთა თითქმის ასწლიანი ბატონობის შემდეგ, მათი ქვეყნიდან განდევნა, რომელმა მეფემ მოახერხა?**

— გიორგი ბრწყინვალემ.

— **სად გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი?**

— რომში და ეს „ქართულ-იტალიური" ლექსიკონი იყო.

— **ბარბრა სტრეიზანდი ამბობდა: „განსაკუთრებული თავისებურება ამაში არის ის, რომ შემქმნელები ხშირად ცდებიან, მაგრამ გამოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ამ შეცდომებში ფულს იხდიან. რაზეა ლაპარაკი?**

— წარმოდგენა არ მაქვს.

— **მოდაზე.**

— ვეთანხმები.

— **„სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი/ სიწმინდის მადლით დაშვენებოდა/ და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,/ შარავანდედი გადაჰფენოდა". ვის აღწერს ასე ილია ჭავჭავაძე?**

— განდეგილს.

— **ეს მწერალი 1826 წელს „იასნაია პოლიანაში" დაიბადა. თბილისში 1851 წელს ჩამოვიდა და აქ 2 თვეზე მეტხანს დაყო. „არ ვიცი, არის თუ არა კავკასია შთაგონების ქვეყანა, მაგრამ იგი უეჭველად სიყვარულის ქვეყანაა", — აღნიშნავდა ერთ-ერთ წერილში. დაასახელე ეს მწერალი.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ლევ ტოლსტოი.**

— ვფიქრობდი და არ გითხარი.

— **რომელია ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის დამაკავშირებელი სრუტე?**

— გიბრალტარი არ არის?

— **დიახ. მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი — „არტემიდეს ტაძარი" ამ ადამიანმა დაწვა, მისი მიზანი იყო, მთელ მსოფლიოში სახელი გაეთქვა, მაგრამ კანონის ძალით, ვინც მის სახელს ახსენებდა, სიკვდილით სჯიდნენ. მიუხედავად ამისა, მისი სახელი ისტორიამ მაინც შემოგვინახა. დაასახელე იგი.**

— სწორი პასუხი არ ვიცი.

— **ჰეროსტრატე. ძველბერძნულ მითოლოგიაში არის ქალღმერთი — თემიდა. რომელი ქალღმერთი შეესაბამება მას რომაულ მითოლოგიაში?**

— მისი კოლეგა რომელია? არ ვიცი.

— **იუსტიცია. არსებობს მხედველობის ნაკლი, რომლის დროსაც ადამიანი ვერ არჩევს ზოგიერთ ფერს. დაასახელე ინგლისელი მეცნიერი, რომლის სახელსაც ეს დაავადება ატარებს.**

— დალტონი.

— **„საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე/ მამულზე ფიქრი,/ ხანდახან გულში ღიმილით ვიტყვი:/ — რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,/ მამულო ჩემო, გილხინს თუ გაჭირს!/ — რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!/ ანდა, რომელი მსაჯული მისი!/ პასუხად მყისვე,/ ვითარცა სეტყვა,/ ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ,/ იხუვლებს ხოლმე, იხუვლებს ერთხმად —/ ღალატიაო მაგგვარი ფიქრი!" ვინ არის ამ ლექსის ავტორი?**

— მუხრან მაჭავარიანი.

— **ვინ იყო თამარ მეფისთვის დავით ნარინი?**

— შვილიშვილი.

— **ეს ნაწარმი აბრეშუმის უწვრილესი ძაფებით ნაწილ-ნაწილ იქსოვებოდა. მისი მოქსოვის ტექნოლოგია ერთმა პარიზელმა მკერავმა მე-16 საუკუნის დასაწყისში შექმნა. დაასახელე მისი გვარი.**

— ფარდაგს ქსოვდა?

— **სწორ პასუხთან ახლოს ხარ.**

— გობელენი.

— **„არ გაეკიდო, არც ქალს და არც ტრამვაის, აუცილებლად..." როგორ მთავრდება ეს იტალიური ანდაზა?**

— არ ვიცი.

— **„... აუცილებლად მოვა შემდეგი".**

■



## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

### „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. სადაური იყო კაპიტანი ნემო?

2. ვინ არის გამოსახული უკრაინულ ორგრივნიან მონეტაზე?

3. ამ ნაცისტი მაღალჩინოსნის მშობლები ღრმად მორწმუნე კათოლიკენი იყვნენ. ისინი თავიანთი შვილის სასულიერო კარიერაზე ოცნებობდნენ, მაგრამ თავად მან მეცნიერება ამჯობინა. 1917-დან 1921 წლამდე იგი 8 უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს. 1921 წელს კი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა გერმანულ ლიტერატურაში. თუმცა ახალგამომცხვარი დოქტორი მალევე მიხვდა, რომ ინტელექტუალური შრომით საკუთარ მომავალს ვერ უზრუნველყოფდა. დაასახელეთ იგი.

4. დაასახელეთ ავტომატი, რომელსაც ჯიბის არტილერიას ეძახიან.

5. მილდიუ ვაზის დაავადებაა. რა ჰქვია მას ქართულად?

6. რა არის ფალკონეტი?

7. მონღოლური შუბი ჰუნების შუბისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ მისით მიყენებული დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ უნაგირიდან ისროდა მოწინააღმდეგეს. რატომ?

8. დაასახელეთ ერთადერთი პლანეტა მზის სისტემაში, რომელსაც ღმერთის სახელი არ ჰქვია.

9. რა არის ბეზმენი?

10. რა ნიშნით დაყო მაყურებელი ხმოვანი კინოს გაჩენამ?

11. რა ერქვა პირველ ატომურ ყინულმჭრელს?

12. 1957 წელს მოსკოვში სტუმრად ჩამოსულ გაბრიელ გარსია მარკესს, მასპინძლების ბინაში მოსახვედრად ფეხით მოუხდა 16 სართულის ავლა, რადგანაც შენობაში არსებული ორი ლიფტიდან არც ერთი არ მუშაობდა. სტუმრის მისვლამდე მასპინძლებმა ქალაქის კომუნალური მომსახურების ყველა უწყება ააწრიალეს, მაგრამ ლიფტის შესაკეთებლად თავი არავის შეუწუხებია. ამის მნახველმა კოლუმბიელმა მწერალმა მხრები აიჩეჩა და ერთადერთი სიტყვა ჩაილაპარაკა. დაასახელეთ ეს სიტყვა.

# ანეკდოტები



* * *

სვანმა ოქროს თევზი დაიჭირა. თევზი 3 სურვილის ასრულებას დაჰპირდა და სვანმაც ინატრა:

— 3 მინდა, რომ მებას.

— 3 რად გინდა? — გაუკვირდა ოქროს თევზს.

— 1 ცოლისთვის, 1 საყვარლისთვის და ერთიც, ყველაზე გრძელი იმისთვის, სვანებზე ვინც ანეკდოტებს ჰყვება!..

* * *

ორი დაქალის საუბრიდან:

— აუ, ზოგს რა ბედი აქვს, სუსანას ქმარიც ჰყავს, საყვარელიც და კიდევ ორი დღის წინ გააუპატიურეს.

* * *

მალაზიაში მომხმარებელი შევიდა და გამყიდველს ეკითხება:

— იატაკზე დასაგები ხალიჩები თუ გაქვთ?

— გვაქვს, რამდენი მეტრი გინდათ?

— 30 მეტრი მომიზომეთ და თითო მეტრზე გადამიჭერით!

გამყიდველებს გაუკვირდათ, მაგრამ მაინც გადაუჭრეს!

— თქვენ რა, გაგიჟდით?! მე სიგრძეზე მინდოდა დაჭრა! — აყვირდა უცებ მყიდველი.

— მგონი, გიჟია, — გადაულაპარაკა ერთმა გამყიდველმა მეორეს.

— რა თქმა უნდა! — კმაყოფილი ღიმილით ეუბნება მყიდველი, — ცნობაც მაქვს!

* * *

— საყვარელო, რამდენი ხანია არ მინახავხარ, ძალიან მომენატრე. შენ არ მოგენატრე?

— კი... მომენატრე...

— არ მჯერა, გეტყობა, საერთოდ არ გაგხსენებივარ!..

— როგორ არა, გამახსენდი...

— მატყუარა! გულცივი ადამიანი ხარ... შეგეძლო, ერთი SMS გამოგეგზავნა...

— მოიცა, რა...

— რა მოიცა?!. მეტყვი, არ მეცალაო, ორი წამით ვერ მოიცალე, რომ ორი სიტყვა აგეკრიბა მობილურ ტელეფონზე? ერთი „სმაილი“ მაინც გამოგეგზავნა, ერთი ღიმილი... რა მოხდებოდა, ერთხელ რომ გაგეღიმა?!.

— ახლა გაგიღიმე.

— არ გინდა, რა! თავი მაინც მოგეჩვენებინა, რომ გახსოვარ...

— მორჩი ახლა, გეყოფა!..

— აი, ხომ ხედავ (ტირის), ამდენი ხანია არ მინახავხარ, მოხვედი და მიყვირი... აღიარე, რომ საერთოდ არ გიყვარვარ...

— ახლა არ გამაგიჟო!.. 10 წუთით ვიყავი გასული ტუალეტში!.. რა SMS, ხომ არ გაგიჟდი?!. რა ისტერიკებს მიმართავ?!.

* * *

კახელს ჰკითხეს, როგორა ხარო?

— ჩონგურივით!.. — ამოიოხრა კეხელმა, — იმასაც 3 ლარი აქვს და მეც.

* * *

ქურთი ყოველდღე რესტორან — „არაგვთან“ ქუჩას გვის. ერთხელაც სახლში გაბრაზებული ბრუნდება:

— რა მოხდა? — ეკითხება ცოლი.

— მთელი დღეები ვირივით ვმუშაობ, იმათ კიდევ წარწერა გამომიკრეს, არაგვიო!



* * *

რუსი ბოგატირი არყით გამოთვრა და ურჩხულის მოსაკლავად წავიდა. მივიდა გამოქვაბულთან და უყვირის:

— ეე, ურჩხულო, თუ მაგარი ხარ, გარეთ გამოდი!

სიჩუმეა.

— გარეთ გამოდი-მეთქი და შემებრძოლე!

კვლავ სიჩუმე.

— არ გესმის, შე ლაჩარო, შემებრძოლე-მეთქი!

ურჩხულს ყელში ამოუვიდა ეს აურზაური და შემობრუნდა.

— თუ ბრძოლა გინდა, ვიბრძოლოთ, უკანალში რას ჩამყვირი!

* * *

მეორე მსოფლიო ომია. აკოფში ცისფერი ლეიტენანტი ზის და ლაქის წასასმელად ქლიბით ფრჩხილებს ისუფთავებს.

— ტავარიშჩ ლეიტენანტ, ნემცი იდუტ! — მოვარდა ქოშინით რიგითი.

— ა, ანი სიმპატიჩნიე? — მშვიდი ხმით კითხულობს ლეიტენანტი, ისე, რომ თავიც არ აუწევია.

— ნეტ, ტავარიშჩ ლეიტენანტ.

— ნუ, ტაგდა აგონ!

* * *

სვანს წვიმამ მოუსწრო. არ უნდოდა, რომ დასველებულიყო და ტბაში გადახტა.

* * *

ორი სტუდენტი საერთო საცხოვრებელში საუბრობს:

— ერთი გოჭი ხომ არ გვეყიდა? ოთახში გავზარდოთ და ღორის მწვადები გვექნება.

— მერე სუნი?

— სუნს შეეჩვევა რა, ღორია, ბოლოს და ბოლოს!..

* * *

თედო მიდის თავისი ურმით და დაინახავს ალაზნის პირას, მიხო მიტოს ჟიმავს.

— რას აკეთებ, ბიჯო?!. — გადაირია თედო.

— რასა და მდინარეში იხრჩობოდა და ბევრი წყალი ყლაპა ამ ოხერმა!

— მერე?!. რასა შვები?!.. მაგას ახლა ხელოვნური სუნთქვა სჭირდება ტუჩებით!

— ვიცი, ჩვენც მასე დავიწყეთ და მერე ნელ-ნელა შევყევით!

* * *

გასვენებაში იმდენი ხალხი მივიდა, რომ მიცვალებული ჩაამატეს.



* * *

— მამი, დღეს ორშაბათია თუ პარასკევი?

— ცოტა ახლო-ახლო მკითხე, შე შობელძაღლო, შენა!

* * *

კაცი ფსიქოლოგთან მივიდა:

— ექიმო, ცოლმა სულ დამიბრიყვა, ყოველდღე მიბაგუნებს. აღარ შემიძლია მეტი!

— იცი, რას გეტყვი? სახლში რომ მიხვალ, ერთი ლაზათიანად შეჯორე და თავისი ადგილი მიუჩინე!

— კარგი, ექიმო...

დაბრუნდა სახლში და ცოლი მოიხმო.

— ახლა კარგად მომისმინე! ხვალ მეგობრებთან ერთად სტადიონზე მივდივარ ფეხბურთის საყურებლად. იქიდან სახინკლეში გავივლით, მაგრად დავთვრებით და ქალებში წავალთ... აბა, გამოიცანი, იქიდან სახლში დაბრუნებულს ვინ გამხდის ბათინკებს?

— მორგის პერსონალი, შე უბედურო, შენა!..

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. ინდოელი.
2. დავით გურამიშვილი.
3. იოზეფ გებელსი.
4. ავტომატი — „უზი“.
5. ჭრაქი.
6. მომცრო, ძველებური ზარბაზანი, რომელიც ტყვიის ბირთვებს ისროდა.
7. საქმე ის არის, რომ ჰუნებს შუბი ხელში ეჭირათ, მონღოლთა შუბის ბოლო კი უნაგირს იყო მიბჯენილი და დარტყმა ცხენის მთელი წონის გამოყენებით ხორციელდებოდა.
8. დედამიწა.
9. ხელში დასაჭერი ზამბარიანი სასწორი. ჩვენში მას „ცალსასწორს“ ეძახიან.
10. ენობრივი ნიშნით.
11. „ლენინი“.
12. „სოციალიზმი!..“

## ჩვენი ფოტო მაღერია



რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

# ჰოროსკოპი

## 3-9 თებერვალი

### ვერძი

გაფრთხილდით, სამსახურში ჭორების მსხვერპლი არ გახდეთ. მოერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. დამატებითი სამუშაო შემოსავალს გაგიზრდით.

### კურო

მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას და ისეთ საქმიანობას მოჰკიდეთ ხელი, რომელიც სიამოვნებას მოგანიჭებთ. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანთან ერთად.

### ტყუპი

გააანალიზეთ წარსული და დაშვებული შეცდომები გამოასწორეთ. შეეცადეთ, არ წამოიწყოთ ახალი საქმეები.

### კირჩხიბი

უამრავ, საჭირო ინფორმაციას მიიღებთ, რაც ახალი საქმეების განხორციელებაში დაგეხმარებათ. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას. დასვენების დღეები მთაში გაატარეთ.

### ლომი

ახალი პროექტები კოლეგების დაუხმარებლად განახორციელეთ, რასაც დაწინაურება ან ხელფასის მომატება მოჰყვება. ფინანსები ზომიერად ხარჯეთ. ნუ აჰყვებით მეგობრებს და ნუ გაფლანგავთ ფულს.

### ქალწული

წარმატებას მოგიტანთ კოლექტიური საქმიანობა. ოჯახური საკითხები მეუღლესთან ერთად მოაგვარეთ. კარგი პერიოდია სამეცნიერო მუშაობისთვის.

### სასწორი

სერიოზული გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ, რადგან არა მარტო საკუთარი, არამედ სხვათა ბედიც თქვენზეა დამოკიდებული.

### მორიელი

თქვენთვის შეუფერებელი ქცევის გამო ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ნუ გაიფუჭებთ. სასიყვარულო ურთიერთობაში მეტი ინიციატივა გამოიჩინეთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

### მშვილდოსანი

სამსახურის საქმეების გამო ახლობლები არ დაივიწყოთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას ნუ გაამწვავებთ. ეცადეთ, ყველაფერი შეთანხმებულად მოაგვაროთ.

### თხის რქა

შემოქმედებითი საქმიანობა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. ახალი მეგობრების დახმარებით საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას შეძლებთ.

### მერწყული

წარმატებული პროექტის გამო კოლეგებში ავტორიტეტს აიმაღლებთ. მოერიდეთ ზედმეტ ხარჯებს.

### თევზები

შესაძლოა, ყველასგან გაქცევა და საკუთარ თავში ჩაკეტვა მოგინდეთ. მოერიდეთ კონფლიქტებს ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს.

# ქალის ჟესტები

**ფსიქოლოგების აზრით, ქალის ბუნების ამოცნობა ძალიან იოლია, თუ დააკვირდებით — რომელ თითზე უკეთია ბეჭედი და რომელ მხარეს ატარებს ჩანთას. ტესტი „მემარჯვენე ქალბატონებისთვის" არის გათვლილი, „მემარცხენეებისთვის" კი პირიქით იქნება.**

**რომელ თითზე უკეთია ბეჭედი?**

### ცერა თითი

მარჯვენა ხელი — სექსუალურად დაუკმაყოფილებელია;

მარცხენა ხელი — ცრუმორწმუნეა, ცოტათი ზარმაცი და კარგი წარმოსახვის უნარი აქვს;

ორივე ხელის ცერა თითი — უყვარს მამაკაცებზე ნადირობა.

### საჩვენებელი

მარჯვენა ხელი — ქედმაღალი და მოუთმენელია, ხშირად იბუტება;

მარცხენა ხელი — მბრძანებლობა უყვარს. საქმიანია და ყოველთვის აღწევს წარმატებას;

ორივე ხელის საჩვენებელი თითი — ენერგიული და მიზანსწრაფულია.

### შუათითი

მარჯვენა ხელი — გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება უჭირს;

მარცხენა ხელი — ეგოისტი და კეკლუცია (თუ ეს ერთადერთი ბეჭედია, რომელსაც ატარებს, ცხოვრების თანამგზავრის პოვნა უჭირს);

ორივე ხელის შუა თითი — წყენის დამახსოვრება იცის და ყოველთვის მზადაა რევანშისთვის.

### არათითი

მარჯვენა ხელი — ნაზი და მორიდებულია. ხშირად ექცევა გარშემო მყოფთა გავლენის ქვეშ;

მარცხენა ხელი — ექსტრავაგანტური, გონებამახვილი და მარტოსულია. მუდმივად სულიერი მეგობრის ძიებაშია;

ორივე ხელის არათითი — ემოციური და საიმედო ადამიანია. საკუთარ აზრებს დაუფარავად გადმოსცემს.

### ნეკა

მარჯვენა ხელი — ცნობისმოყვარე და ამაყია. თუ ეს თითი ხშირად აწუხებს, პროფესია უნდა შეიცვალოს;



მარცხენა ხელი — ხშირად იხსენებს წარსულს;

ორივე ხელის ნეკა თითი — სულსწრაფია.

**რომელ მხარეს ატარებს ჩანთას?**

**მარჯვენა მხარეს** — სამსახური მის ცხოვრებაში პირველ ადგილზეა;

**მარცხენა მხარეს** — სიყვარულისთვის ყველაფერს დათმობს;

**ზურგზე** — მორიდებული და გულჩათხრობილია. ჰყავს ერთგული მეგობრები;

**მარჯვენა ხელში** — ჯიუტი, წუნია და მერყევია;

**მარცხენა ხელში** — სიყვარულში ერთგულია;

**სარტყელი მარჯვენა მხარზე, ჩანთა მარცხენა თეძოზე** — უკომპლექსოა. მუდამ სიყვარულის ძიებაშია. შეყვარებული მხიარული და ცელქია;

**სარტყელი მარცხენა მხარზე, ჩანთა მარცხენა თეძოზე** — მომთხოვნია, როგორც საყვარელი ადამიანის, ასევე კოლეგების მიმართ. ■



1. საჭმლის დამზადების ოსტატობა
2. დიდი ქვა
3. ინდიელთა ნავი
4. იაპონური ბრინჯის არაყი
5. სამურაბე ლამბაქი
6. ერთგვარი კანფეტი
7. ქვეყანა აზიაში
8. ქართული მინერალური წყალი
9. აყალმაყალი
10. ციმბირის ტყეები
11. კათოლიკე მღვდელი
12. ცხვრის ჯოგი
13. „ოპელის" მოდელი
14. ინგლისური ლუდი
15. კოლუმბიელი ავტომრბოლელი
16. ტერორისტი თვითმკვლელი
17. ფრანგი მწერალი
18. მარულა, ჯირითი
19. მდინარე იტალიაში
20. ბუსუსები ქსოვილზე
21. რუზინის ფეხსაცმელი
22. მუსლიმანური დღესასწაული
23. თასი
24. ღია ცის ქვეშ დანთებული ცეცხლი
25. ქრისტიანული დღესასწაული
26. შვედური ავტომობილი
27. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი
28. ყურის ანთება
29. მაზრჩობელა გველი
30. ღორების ჯოგი
31. ჩაგვრა, დესპოტიზმი
32. მუზეუმი პარიზში
33. მცენარეთა სამყარო
34. სათიბი იარაღი
35. კოლხეთის მითური მეფე
36. ქალაქი საქართველოში
37. ... - ვეგასი
38. ესპანური ავტომობილი
39. საამირო არაბეთში
40. მოხუცთა ფულადი დახმარება
41. პატარა სარწყავი არხი
42. ჩვენებითი ნაცვალსახელი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. ვაიომინგი; 2. მუხა; 3. პირველი; 4. ანკარა; 5. გორილა; 6. ნამცხვარი; 7. ცდა; 8. საგა; 9. ლალი; 10. ბონსაი; 11. გამბია; 12. სკივრი; 13. ბატატი; 14. ბოსელი; 15. ნეპალი; 16. სტაფილო; 17. კეპი; 18. ქვირითი; 19. სინაპი; 20. დივანი; 21. სტივ; 22. დერეფანი; 23. ელი; 24. მირკანი; 25. ალაზანი; 26. ტბა; 27. სვასტიკა; 28. ლოდი. 29. ჯემი; 30. ღიპი; 31. სვე; 32. კნუტი; 33. ბერეტი; 34. მი; 35. ეკლერი; 36. ტარანტული; 37. უბე; 38. ელ; 39. ალიზი; 40. ტბორი; 41. რია.
**სურათებზე:** 1. ვანესა პარადი; 2. ჯონი დეპი.

# საფირმო კროსვორდი



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**გ**. რა ერქვა თამარ მეფის მამას; **ა**. ღეროთი შეერთებული ორი თამასა კარის ან ფანჯრის ჩამოსაკიდებლად; **ე**. დამოკლეს მახვილი, იობის მოთმინება, სიზიფეს შრომა, მურმანის — ?; **რ**. ერთნახადი სუსტი არაყი; **თ**. ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ე**. კბილი საჭრელ და ძირითად კბილებს შორის; **თ**. ცხოველი, რომელიც ენის გასატეხის თანახმად „თეთრ თრთვილზე თრთოდა“; **დ**. საჯარო კამათი; **ა**. გამოუწვავი აგური; **დ**. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა**. ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ჩვენში კანონით არ ისჯება, მაგრამ სასტიკად გმობს ეკლესია; **ი**. მგალობელი ფრინველი; **ს**. საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ვ**. იტალიელი კომპოზიტორი; **ე**. გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ**. ნიკოლოზის როლის შემსრულებელი ფილმში „უდიპლომო სასიძო“; **ე**. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **თ**. მართლმსაჯულების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ერთ ხელში მახვილი უჭირავს, მეორეში — სასწორი; **ჩ**. პატარა ჩიტი; **ვ**. რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე**. სილამაზე, ლაზათი, მიმზიდველობა; **ნ**. მაჰმადიანთა ლოცვა; **თ**. დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა**. მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ნ**. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **ე**. ვინ არის ბელზებელი; **რ**. აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა; **თ**. წვრილი ღვედი; **ა**. შუააზიელი ფილოსოფოსისა და მეცნიერის აბუ ალი იბნ სინას ლათინიზებული სახელი; **დ**. ხანი, ჟამი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**ჩ**. ჩოსერი; **ვ**. ვახუშტი; **ე**. ეშვი; **ნ**. ნეილონი; **ი**. იოსები; **ჟ**. ჟირაფი; **უ**. ურანოსი; **რ**. როშფორი; **ნ**. ნოსტე; **ა**. არშინი; **ლ**. ლიე; **ი**. იანუსი; **ს**. სტიმული; **ა**. ანჯამა; **უ**. უტა; **კ**. კეგლი; **ე**. ეკლერი; **თ**. თიანეთი; **ე**. ენგური; **ს**. სეინერი; **ო**. ორგია; **ა**. ამერიკა; **რ**. რური; **ჩ**. ჩოჩორი; **ე**. ემისია; **ვ**. ვივალდი; **ა**. აზნაური; **ნ**. ნიორი; **ი**. იასონი; **ა**. აკორდი.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**სხვის რაშს შენი ჯაგლაგი გერჩივნოსო**

## იაპონური სენსაცია
## სუდოკუ

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 6 | 9 | 3 | 4 | 7 | 2 | 8 | 1 | 5 |
| 8 | 2 | 7 | 5 | 1 | 9 | 4 | 6 | 3 |
| 2 | 8 | 5 | 3 | 4 | 7 | 6 | 9 | 1 |
| 7 | 6 | 4 | 2 | 9 | 1 | 3 | 5 | 8 |
| 1 | 3 | 9 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 3 | 4 | 5 | 8 | 2 |
| 3 | 5 | 8 | 9 | 2 | 6 | 1 | 7 | 4 |
| 4 | 1 | 2 | 7 | 8 | 5 | 9 | 3 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 7 | 1 | 4 | 9 | 2 | 5 | 6 |
| 9 | 6 | 2 | 3 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 |
| 1 | 5 | 4 | 6 | 2 | 7 | 8 | 9 | 3 |
| 6 | 8 | 3 | 2 | 5 | 1 | 9 | 4 | 7 |
| 4 | 1 | 5 | 9 | 7 | 8 | 6 | 3 | 2 |
| 2 | 7 | 9 | 4 | 6 | 3 | 5 | 8 | 1 |
| 3 | 9 | 6 | 8 | 1 | 4 | 7 | 2 | 5 |
| 7 | 4 | 1 | 5 | 9 | 2 | 3 | 6 | 8 |
| 5 | 2 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 | 1 | 9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 4 | 9 | 8 | 5 | 2 | 6 | 3 |
| 9 | 6 | 3 | 2 | 4 | 7 | 8 | 5 | 1 |
| 5 | 2 | 8 | 1 | 6 | 3 | 9 | 4 | 7 |
| 7 | 4 | 6 | 5 | 2 | 8 | 3 | 1 | 9 |
| 8 | 5 | 9 | 3 | 1 | 6 | 7 | 2 | 4 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 9 | 4 | 5 | 8 | 6 |
| 2 | 8 | 1 | 6 | 3 | 9 | 4 | 7 | 5 |
| 6 | 9 | 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 3 | 8 |
| 4 | 3 | 5 | 8 | 7 | 1 | 6 | 9 | 2 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | 6 | | | 9 | |
| | | | | 8 | | | | 6 |
| | | 6 | | | 4 | 3 | | |
| | | 5 | 4 | | | 7 | | |
| 7 | | | | | 5 | | | 2 |
| | | 2 | | 1 | 8 | 6 | | |
| | | 8 | 9 | | | 5 | | |
| 3 | | | | 4 | | | | |
| | 9 | | | 7 | | | | 1 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | 2 | 7 | 6 | | |
| | | 4 | | 6 | | | 8 | |
| 2 | | | | | 4 | | | 9 |
| | 3 | | | | | | | |
| 1 | | | | 7 | | | | 2 |
| | | | | 3 | | | 5 | |
| 4 | | | 1 | | | | | 7 |
| | 8 | | | 4 | | 1 | | |
| | | 2 | 7 | 9 | | 3 | | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | | 9 | 4 | | |
| | 4 | | 5 | | | | 9 | |
| | | | | 4 | | | | 1 |
| | | 5 | 4 | | 3 | 6 | | |
| | 8 | | 1 | | | | 2 | |
| | | 1 | | | 8 | 3 | | |
| 8 | | | | 2 | | | | |
| | 6 | | | | 7 | | 4 | |
| | | 3 | 6 | | | | 7 | |

# ფოტოკურიოზები

















პირველი კლასის სამთო სასტუმრო
„ვერე პალასი“
გთავაზობთ
ყველა პირობას ზამთრისა თუ ზაფხულის სეზონის
სასიამოვნოდ და აქტიურად გატარებისთვის.
სასტუმროში:
43 კომფორტული და კეთილმოწყობილი ნომერი,
მათ შორის 7 ნახევრად ლუქსი;
ორი რესტორანი,სადაც დააგემოვნებთ ქართულ და ევროპულ კერძებს. ;
მწვანე ბარი და ღამის კლუბი;
ბილიარდი
საცურაო აუზი;
საუნა და მასაჟი;
ფიტნეს დარბაზი;
საკონფერენციო დარბაზი;
თხილამურების ქირაობა
თითოეულ ნომერშია
გათბობა, ფერადი ტელევიზორი
არხებით, ტელეფონი ოთახში და
მინი ბარი, ფენი და უსაფრთხოების
ბიზნეს ცენტრში თქვენ ისარგებლებთ
ქსეროქსით, კომპიუტერითა და
თბილისი, კოსტავას ქ. №47
ტელ: (995 32) 98 35 65
ფაქსი: (995 32) 99 68 67
მობ: (995 95) 15 84 48
ბაკურიანი, წაქაძის ქ. №12
ტელ: (995 26) 74 00 49
ფაქსი: (995 26) 74 00 50
მობ: (995 99) 11 60 45 (995 95) 30 06 40




„კვირის პალიტრის“ კოლექცია
„დიდი მხატვრები“
წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები
წიგნი XVI
კარავაჯო
7-დან – 14 თებერვლამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!
„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები
დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

www.britishcentre.ge

# BRITISH CENTRE



**ირინა ონაშვილი:**

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროიყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები."



**ნიკო კეჟერაშვილი:**

"ბრიტანულ ცენტრში" მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატიავილო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.

ქ.თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915ვაჟინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ.ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოევგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

*მიიღე მონაწილეობა ქოლგეით-პალმოლივის ვიქტორინაში და მოიგეთ უამრავი პრიზი! გამოაგზავნეთ სწორი პასუხები ელ-ფოსტაზე colgategeorgia@gmail.com და მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ნომერი.*

# ვიქტორინა

1. რა სიხშირით უნდა გამოიცვალოს კბილის ჯაგრისი?
2. რომელ დაავადებას იწვევს ბაქტერიების გამრავლება პირის ღრუში?
3. დაასახელეთ პირის ღრუს მოვლის 2 საშუალება, გარდა კბილის პასტის და ჯაგრისის.
4. დაასახელეთ ქოლგეითის კბილის ჯაგრისი, რომელსაც გააჩნია ლოყისა და ენის უნიკალური საწმენდი.
5. რომელ ქვეყანაში გამოიგონეს პირველი კბილის ჯაგრისი?

Colgate



ბრენდი რეკომენდებული სტომატოლოგების მიერ

- 90 ნ51/ნ


3 თვის შემდეგ
თქვენი
ჯაგრისი თქვენ
აღარ გეკუთვნით!
შეცვალეთ კბილის ჯაგრისი ყოველ
3 თვეში ერთხელ პირის ღრუს
უკეთესი ჯანმრთელობისათვის
Colgate®
სტომატოლოგთა რეკომენდაცია